114
1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

11

ნ ო ე მ ბ ე რ ი

თბილისი
1940

ПРОВЕРЕНО

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეჩვიდმეტე

Тбилисский филиал
Библиотека
Ин-та Марксизма-Ленинизма при ЦК ВКП (б)

~~106767~~ 36323

11

19 ნოემბერი / სახელგამი 40

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ასათიანი,
ალექსანდრე გოგიაშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე ლოლთქიფანიძე,
ალიო მაშაშვილი (პ/მგ. რედაქტორი),
ილო მოსაშვილი,
ალექსანდრე ჭუთათელი.

რედაქცია: ტფილისი, მაჩაბლის, 13. მწერალთა სასახლე ტ. 3-71-84.
კანტორა: ტფილისი, კამოს, 40. სახელგამი, პერიოდსექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფრიდრიხ ენგელსი
(დაბადებიდან ასოცი წლისთავის გამო)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი

ფრიდრიხ ენგელსი*)

Какой светильник разума погас
Какое сердце биться перестало.

1895 წელს ახალის სტილით, აგვისტოს 5-ს (ივლისის 24-ს) ლონდონში გარდაიცვალა ფრიდრიხ ენგელსი. თავისი მეგობრის კარლ მარქსის (რომელიც 1883 წელს გარდაიცვალა) შემდეგ ენგელსი მთელს განათლებულს კაცობრიობაში ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი და თანამედროვე პროლეტარიატის ყველაზე სახელოვანი მოძღვარი იყო. მას შემდეგ, რაც ბედმა კარლ მარქსი ფრიდრიხ ენგელსს შეახვედრა, ამ ორი მეგობრის ცხოვრების გზა მათ საერთო საქმედ გახდა. ამიტომ იმის გასაგებად, თუ რა გააკეთა ფრიდრიხ ენგელსმა პროლეტარიატისათვის, საჭიროა ნათლად გვქონდეს შეთვისებული მარქსის მოძღვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობა თანამედროვე მუშათა მოძრაობის განვითარებაში. მარქსმა და ენგელსმა პირველებმა დაგვანახვეს, რომ მუშათა კლასი თავისი მოთხოვნილებებით აუცილებელი შედეგია თანამედროვე ეკონომიური წყობილებისა, რომელიც ბურჟუაზიასთან ერთად აუცილებლად წარმოშობს და რაზმავს პროლეტარიატსაც. მათ დაგვანახვეს, რომ კაცობრიობას ახლანდელ მძიმე უბედურებათაგან იხსნის არა ცალკ-ცალკე კეთილშობილ პიროვნებათა კეთილისმყოფელი ზრახვები, არამედ დარაზმულ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა. თავის მეცნიერულ შრომებში პირველად მარქსმა და ენგელსმა განმარტეს, რომ სოციალიზმი მეოცნებე ხალხის გამოგონებული რამ კი არ არის, არამედ იგია თანამედროვე საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების საბოლოო მიზანი და აუცილებელი შედეგი. მთელი ისტორია, ვიდრე დღევანდლამდე, იყო კლასთა ბრძოლის ისტორია, სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა ერთი მეორეზე ბატონობისა და გამარჯვების შენაცვლება. და ეს გაგრძელდება მანამდე, ვიდრე არ მოისპობა კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ბატონობის საფუძვლები — კერძო საკუთრება და უწესრიგო საზოგადოებრივი წარმოება. პროლეტარიატის ინტერესები ამ საფუძვლების მოსპობას მოითხოვს და ამიტომ შეკავშირებულ მუშათა შეგნებული კლასობრივი ბრძოლა ამ საფუძვლების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ხოლო ყოველივე კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა.

მარქსისა და ენგელსის ეს შეხედულებანი ამჟამად შეთვისებული აქვს მთელ იმ მებრძოლ პროლეტარიატს, რომელიც თავის განთავისუფლებისათვის იბრძვის. მაგრამ როდესაც ორმა მეგობარმა 40-იან წლებში მონაწილეობა

*) ამოღებულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა I ტომიდან (სახელგამი, 1928 წ.).

მიიღო მაშინდელ სოციალისტურ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ მოძრაობაში, ეს შეხედულებანი სრულიად ახალი რამ იყო. მაშინ მრავლად იყვნენ ნიჭიერი და უნიჭო, პატიოსანი და უპატიოსნო ადამიანები, რომელნიც გატაცებულნი იყვნენ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლით, გატაცებულნი იყვნენ თვითმპყრობელობასთან, მეფეებთან, პოლიციასთან და ხუცესებთან ბრძოლით და ვერ ჰხედავდნენ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესების დაპირისპირებას. ამ ადამიანებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ მუშებს შეუძლიათ გამოვიდენ როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ძალა. მეორე მხრივ მრავლად იყვნენ მეოცნებენი, ზოგჯერ გენიოსი მეოცნებენიც, რომელნიც ფიქრობდნენ — საკმაოა მმართველი და გაბატონებული კლასები დავარწმუნოთ თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების უსამართლობაში და მაშინ ამ ქვეყნად სულ ადვილად გამეფდება მშვიდობა და საყოველთაო კეთილდღეობაო. ისინი ოცნებობდნენ სოციალიზმზე ბრძოლის გარეშე. დაბოლოს, თითქმის ყველა მაშინდელი სოციალისტი და საერთოდ მუშათა კლასის მეგობარი პროლეტარიატში მხოლოდ ი ა რ ა ს ჰხედავდა და თავზარდაცემული უყურებდა, თუ მრეწველობის ზრდასთან ერთად, როგორ იზრდებოდა ეს იარაც. ამიტომ ყველა ისინი იმასა ჰფიქრობდენ, თუ როგორ შეაჩერონ მრეწველობისა და პროლეტარიატის განვითარება, როგორ დააყენონ „ისტორიის ბორბლის“ ტრიალი. წინააღმდეგ იმ საერთო შიშისა პროლეტარიატის განვითარების წინაშე, მარქსი და ენგელსი მთელ თავის იმედებს პროლეტარიატის შეუჩერებელ ზრდაზე ამყარებდენ. რაც უფრო მეტია პროლეტარიატი, მით უფრო დიდია მისი ძალა როგორც რევოლუციურ კლასისა, მით უფრო ახლოა და შესაძლებელი სოციალიზმი. მარქსისა და ენგელსის დამსახურება მუშათა კლასის წინაშე მოკლედ ასე შეიძლება გამოიხატოს: მათ მუშათა კლასს ასწავლეს თვითშემეცნება და თვითშეგნება და ოცნების ნაცვლად მეცნიერებას მისცეს ადგილი.

აი რატომ უნდა იცნობდეს ყოველი მუშა ენგელსის სახელსა და ცხოვრებას, აი რატომ უნდა გავარკვიოთ თანამედროვე პროლეტარიატის ამ ერთ-ერთი უდიდესი მოძღვრის, ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენს კრებულში, რომლის მიზანიც, ისე როგორც ყველა სხვა ჩვენი გამოცემის მიზანი ის არის, რომ რუსის მუშებში კლასობრივი თვითშეგნება გამოაღვიძოს.

ენგელსი დაიბადა 1820 წელს პრუსიის სამეფოს რეინის პროვინციის ქალაქ ბარმენში. მისი მამა მეფაბრიკე იყო. 1838 წელს ოჯახური პირობების გამო იძულებული იყო გიმნაზიის დაუმთავრებლად ბრემენის ერთ-ერთ სავაჭრო სახლში ნოქრად დამდგარიყო. სავაჭრო საქმემ ხელი არ შეუშალა ენგელსს ემუშავნა თავისი პოლიტიკური და სამეცნიერო განათლებაზე. ჯერ კიდევ გიმნაზიელობის დროს აითვალისწუნა თვითმპყრობელობა და მოხელეების თვითნებობა. ფილოსოფიის სწავლამ ძალიან დააწინაურა იგი. იმ დროს გერმანულ ფილოსოფიაში გაბატონებული იყო ჰეგელის მოძღვრება. ენგელსი მისი მიმდევარი გახდა. თუმცა ჰეგელი პრუსიის თვითმპყრობელურ სახელმწიფოს თაყვანისმცემელი იყო და მის სამსახურში იმყოფებოდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობაზე, მაგრამ მისი მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა რევოლუციონური იყო. ჰეგელის რწმენა ადამიანის გონებასა და მის უფლებებში, ჰეგელის ფილოსოფიის ძირითადი დებულება, რომ ქვეყნიერებაზე ცვალებადობისა და განვითარების მუდმივი პროცესი სწარმოებსო, ბერლინელ

ფილოსოფოსის იმ მოწაფეებს, რომელთაც არ ჰსურდათ სინამდვილეს შეჰრიგებოდნენ, აღუძრავდა აზრს, რომ მარადიულ განვითარების მსოფლიო კანონში ჩამარხული ყოფილა აგრეთვე ბრძოლაც სინამდვილის წინააღმდეგ, ბრძოლა არსებულ უსამართლობისა და არსებულ ბოროტების წინააღმდეგ. თუ კი ყველაფერი განვითარებას განიცდის, თუ კი ერთ დაწესებულებას მეორე სცვლის, რატომ ღა გაგრძელდება მარადიულად პრუსიის მეფის ან რუსეთის ხელმწიფის თვითმპყრობელობა, რატომ იარსებებს მუდმივად უმნიშვნელო უმცირესობის გამდიდრება უდიდესი უმრავლესობის ხარჯზე, რატომ იქნება უცვლელად ბურჟუაზიის ბატონობა ხალხზე? ჰეგელის ფილოსოფია ლაპარაკობდა სულისა და იდეების განვითარებაზე, იგი იყო იდეალისტური ფილოსოფია. სულის განვითარებიდან მას გამოყავდა ბუნების, ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება. მარქსმა და ენგელსმა მიიღეს ჰეგელის აზრი განვითარების მარადიულ პროცესის შესახებ *), მაგრამ უკუაგდეს იდეალისტური შეხედულება. ცხოვრებას რომ დააკვირდნენ, დაინახეს რომ სულის განვითარება კი არ განმარტავს ბუნების განვითარებას, პირიქით სული ბუნებით, მატერიით უნდა განიმარტოს... წინააღმდეგ ჰეგელისა და სხვა ჰეგელიანებისა მარქსი და ენგელსი მატერიალისტები იყვნენ. მატერიალისტურად შეჰხედეს მათ სამყაროსა და კაცობრიობას და დაინახეს, რომ როგორც ბუნების ყველა მოვლენათა წიაღში მატერიალური მიზეზები მარხია, ისე ადამიანთა საზოგადოების განვითარებაც მატერიალურ, საწარმოო ძალთა განვითარებით აიხსნება. საწარმოო ძალთა განვითარებაზეა დამოკიდებული ის ურთიერთობანი, რომელიც ადამიანთა შორის იქმნება საჭირო საგნების წარმოების დროს. და ამ ურთიერთ დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მოვლენის, ადამიანთა მისწრაფებისა, იდეებისა და კანონების განმარტება. საწარმოო ძალთა განვითარება ჰქმნის საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს, რომელიც კერძო საკუთრებაზეა დამყარებული. მაგრამ ჩვენ ვხედავთ თუ საწარმოო ძალების იგივე განვითარება როგორ ართმევს უმრავლესობას კერძო საკუთრებას და როგორ უგდებს ხელში უმნიშვნელო უმცირესობას. ეს განვითარება სპობს საკუთრებას, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს, იგი თვითონ მიისწრაფვის იმ მიზნისაკენ, რომელიც სოციალისტებმა დაისახეს. სოციალისტებმა მხოლოდ ის უნდა გაიგონ, თუ თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში რომელი საზოგადოებრივი ძალაა დაინტერესებული სოციალიზმის განხორციელებით და ამ ძალას უნდა გააგებინონ მისი საკუთარი ინტერესებისა და ისტორიული ამოცანების შეგნება. ასეთი ძალა პროლეტარიატია. ენგელსი პროლეტარიატს ინგლისში გაეცნო, ინგლისის მრეწველობის ცენტრში მანჩესტერში, სადაც იგი 1842 წელს გადასახლდა ერთ-ერთ სავაჭრო სახლის მოსამსახურედ, რომლის მეპაიედ მისი მამა იყო. აქ ენგელსი მარტო ფაბრიკის კანტორაში როდი იჯდა, იგი დაიარებოდა ბინძურ უბნებში, სადაც მუშები ცხოვრობდენ და თავისი თვალით ჰხედავდა მათ სიღატაკეს და ვაი-ვაგლახს. მაგრამ ენგელსი პირად დაკვირვებას არ დასჯერდა, მან გადაიკითხა ყოველივე, რაც კი მანამდე ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობაზე

*) არაერთხელ აღუნიშნავთ მარქსსა და ენგელსს, რომ ისინი თავისი გონებრივ განვითარებით დიდად არიან დავალებულნი დიდი გერმანელ ფილოსოფოსებისაგან და კერძოდ ჰეგელისაგან. ენგელსი ამბობს: „გერმანული ფილოსოფია რომ არ ყოფილიყო, უამისოდ მეცნიერული სოციალიზმიც არ იქნებოდაო“.

დაწერილა, იგი გულმოდგინედ სწავლობდა ოფიციალურ დოკუმენტებს, რომელიც კი მისთვის ხელმისაწვდომი იყო. ამ შესწავლისა და დაკვირვების ნაყოფი იყო 1845 წელს გამოსული წიგნი: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა არის ენგელსის ხანგრძლივი დამსახურება, როგორც ამ წიგნის ავტორისა. ენგელსამდეც ძალიან ბევრნი აგვიწერდნენ პროლეტარიატის დუხჭირ ცხოვრებას და აღნიშნავდენ, რომ საჭიროა მისთვის დახმარება, შველა. პირველმა ენგელსმა სთქვა, რომ პროლეტარიატი არა მარტო იტანჯება; რომ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც პროლეტარიატი იმყოფება, შეუმჩნევლად ხელს ჰკრავს წინსვლისაკენ და აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საბოლოო გამარჯვებისათვის. ხოლო მებრძოლი პროლეტარიატი თავის თავს თვითონ უშველის. მუშათა კლასის პოლიტიკური მოძრაობა აუცილებლად შეაგნებინებს მუშებს, რომ სოციალიზმის გარეშე სხვა რაიმე გამოსავალი არაა. მეორე მხრივ, სოციალიზმი მხოლოდ მაშინ იქნება ძალა, როდესაც იგი შეიქმნება მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის მიზნად. აი ძირითადი მთავარი აზრები ენგელსის წიგნისა მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ ინგლისში, აზრები, რომელიც ახლა მთელი მოაზროვნე და მებრძოლ პროლეტარიატებს შეგნებული აქვს, ხოლო მაშინ მთლად ახალი რამ იყო. ეს აზრები გამოთქმული იყო გატაცებით დაწერილ წიგნში, სადაც გამოხატულია ინგლისის პროლეტარიატის უბედურებისა და სიღატაკის თავზარდამცემი და ფრიად სარწმუნო სურათები. ეს წიგნი საშინელი ბრალდება იყო კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის მიმართ. ენგელსის წიგნი ყველგან ისე მოჰყავდათ და ისე იმოწმებდენ მას, როგორც თანამედროვე პროლეტარიატის მდგომარეობის საუკეთესო დასურათებას. და მართლაც. არც 1845 წლამდე და არც მას შემდეგ არ გამოსულა ისეთი წიგნი, სადაც ასე მკვეთრად და მართლად ყოფილიყოს გადმოცემული მუშათა კლასის უბედურება.

ენგელსი სოციალისტად ინგლისში შეიქნა. მანჩესტერში მან ურთიერთობა გაბა მაშინდელ ინგლისის მუშათა მოძრაობის მოღვაწეებთან და წერა დაიწყო ინგლისის სოციალისტურ გამოცემებში. 1844 წელს, როდესაც გერმანიაში ბრუნდებოდა, გზად პარიზში გაიცნო მარქსი, რომელთანაც მანამდე მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული. ფრანგი სოციალისტებისა და საფრანგეთის ცხოვრების გავლენით მარქსიც პარიზში სოციალისტი გახდა. აქ მეგობრებმა ერთად დასწერეს წიგნი: „წმინდა ოჯახი ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა“. ამ წიგნში, რომელიც ენგელსის „მუშათა კლასის მდგომარეობაზე“ ერთი წლით ადრე გამოვიდა და რომელიც მეტწილად მარქსის დაწერილი იყო, ჩაყრილია მთავარი საფუძვლები იმ რევოლუციურ-მატერიალისტური სოციალიზმისა, რომლის მთავარი აზრებიც ზემოთ გვაქვს მოყვანილი. „წმინდა ოჯახი“ ფილოსოფოს ძმათა ბაუერებისა და მათი მიმდევრების სახუმარო სახელია. ეს ბატონები ჰქადაგებდენ კრიტიკას, რომელიც ყოველნაირ სინამდვილეზე, პარტიასა და პოლიტიკაზე მაღლა სდგას, რომელიც უარყოფს ყოველნაირ პრაქტიკულ სინამდვილეს და მხოლოდ „კრიტიკულად“ სჭვრეტს გარემო სამყაროსა და მის მოვლენებს. ბატონი ბაუერები მაღლიდან დაჰყურებდენ პროლეტარიატს და იგი არაკრიტიკულ მასად მიაჩნდათ. მარქსმა და ენგელსმა გადაჭრით გაილაშქრეს ამ უაზრო და მავნე მიმართულების წინააღმდეგ. ნამდვილი ადამიანური პიროვნების — მუშის ღირსების დასაცავად, რომელსაც ჰქელავს სახელმწიფო და გაბატონებული კლასები, მარქსი და ენ-

გელსი მოითხოვდნენ არა ჭვრეტას, არამედ ბრძოლას საზოგადოების უკეთესი წყობილების მოსაპოებლად. იმ ძალას, რომელსაც ამგვარი ბრძოლის წარმოება შეუძლიან და რომელიც დაინტერესებული არის ამით, რა თქმა უნდა, ისინი პროლეტარიატში ჰხედავდენ. ჯერ კიდევ „წმინდა ოჯახამდე“ ენგელსმა მარქსისა და რუგეს — „გერმანულ-ფრანგულ ჟურნალში“ დაბეჭდა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკული ნარკვევები“, რომელშიაც სოციალიზმის თვალსაზრისით განიხილა თანამედროვე ეკონომიური წყობილების ძირითადი მოვლენები, როგორც აუცილებელი შედეგი კერძო საკუთრების ბატონობისა. ენგელსთან დაახლოვებამ უეჭველად ხელი შეუწყო იმას, რომ მარქსმა ხელი მოჰკიდა პოლიტიკურ ეკონომიას, იმ მეცნიერებას, რომელშიაც მარქსის შრომებმა მთელი გადატრიალება მოახდინა.

1845 წლიდან ვიდრე 1847-მდე ენგელსი ბრიუსელსა და პარიზში ცხოვრობდა. სამეცნიერო მუშაობასთან ერთად იგი პრაქტიკულ მუშაობასაც ეწეოდა ბრიუსელსა და პარიზის გერმანელ მუშებში. აქ ენგელსმა და მარქსმა ურთიერთობა გააბეს გერმანელ კომუნისტების ფარულ საზოგადოებასთან — „კომუნისტების კავშირთან“. ამ კავშირმა მიანდო მარქსსა და ენგელსს მათ მიერ შემუშავებულ სოციალიზმის ძირითადი საფუძვლების დაწერა. ასე წარმოიშვა მარქსის და ენგელსის 1848 წელს დაბეჭდილი ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ეს პატარა წიგნი მთელ ტომებს უდრის: ამ წიგნის სულით სცოცხლობს და მოძრაობს მთელი განათლებული ქვეყნიერების დარაზმული და მებრძოლი პროლეტარიატი.

1848 წლის რევოლუციამ, რომელიც ჯერ საფრანგეთში დაიწყო და შემდეგ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო, მარქსი და ენგელსი სამშობლოში დააბრუნა. რეინის პრუსიაში ისინი სათავეში ჩაუდგენ დემოკრატიულ „ახალ რეინის გაზეთს“, რომელიც კელნში გამოდიოდა. მარქსი და ენგელსი რეინის პრუსიაში რევოლუციონურ-დემოკრატიულ მისწრაფებათა სულსა და გულს წარმოადგენდენ. უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ ისინი რეაქციონური ძალებისაგან ხალხისა და თავისუფლების ინტერესებს. როგორც ვიცით, ამ რეაქციონურმა ძალებმა გაიმარჯვეს. „ახალი რეინის გაზეთი“ აკრძალეს; მარქსი, — რომელსაც ემიგრანტობის დროს დაკარგული ჰქონდა პრუსიის ქვეშევრდომობის უფლება, გააძევეს პრუსიიდან, ხოლო ენგელსმა მონაწილეობა მიიღო შეიარაღებულ სახალხო აჯანყებაში, თავისუფლებისათვის იბრძოდა სამ შეტაკებაში და აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ შვეიცარიით ლონდონში გაიქცა.

მარქსიც ლონდონში დასახლდა. ენგელსი კვლავ ნოქრად დადგა მანჩესტერში, ხოლო შემდეგ მეპაიედ შეიქმნა იმ სავაჭრო სახლისა, სადაც იგი 40-ან წლებში მსახურობდა. 1870 წლამდე ენგელსი მანჩესტერში ცხოვრობდა, ხოლო მარქსი ლონდონში. ეს გარემოება ხელს არ უშლიდა მათ ერთმანეთთან მჭიდრო სულიერი კავშირი ჰქონოდათ: თითქმის ყოველდღე ერთმანეთს წერილებს სწერდენ. ამ მიწერ-მოწერით ერთმანეთს უზიარებდენ თავიანთ აზრებს და ცოდნას და განაგრძობდენ საერთო ძალით მეცნიერულ სოციალიზმის შემუშავებას. 1870 წელს ენგელსი ლონდონში გადასახლდა და ვიდრე 1883 წლამდე — მარქსის გარდაცვალებამდე — გრძელდებოდა მათი საერთო კონებრივი ცხოვრება, რომელიც აღსავსე იყო დიადი მუშაობით. ამ საერთო ცხოვრების ნაყოფი იყო მარქსის მხრივ „კაპიტალი“, ჩვენი საუკუნის ეს უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიური ნაწარმოები, ხოლო ენგელსის მხრივ მთელი

რიგი დიდი და პატარა თხზულებისა. მარქსი არკვევდა კაპიტალისტური მეურნეობის რთულ მოვლენებს. ენგელსი კიდევ ადვილად წასაკითხ და ხშირად პოლემიკურ ნაშრომებში აშუქებდა საერთო მეცნიერულ საკითხებსა და აწმყოსი და წარსული დროის სხვადასხვა მოვლენებს ისტორიის მატერიალისტურად გაგებისა და მარქსის ეკონომიური თეორიის თვალსაზრისით. აი ენგელსის ზოგიერთი შრომა: პოლემიკური თხზულება დიურინგის წინააღმდეგ (აქ გარჩეულია ფილოსოფიის, ბუნების მეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი საკითხები *), „ოჯახის, საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“ (რუსულ ენაზე ნათარგმნი გამოვიდა პეტერბურგში; მე-3 გამოცემა, 1895 წ.), „ლიუდვიგ ფეირბახი“ (რუსული თარგმანი გ. პლეხანოვის შენიშვნებით; ჟენევა 1892 წ.); წერილი რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე (გადმოთარგმნილია რუსულ ენაზე ჟენევის „სოციალდემოკრატში“ № 1 და 2), შესანიშნავი წერილები ბინის საკითხზე და დასასრულ, ორი პატარა, მაგრამ მეტად ძვირფასი წერილი რუსეთის ეკონომიურ განვითარების შესახებ, („ფრიდრიხ ენგელსი რუსეთის შესახებ“ ვ. ი. ზასულიჩის თარგმანი, ჟენევა 1894 წ.). მარქსს სიკვდილმა არ აცალა საბოლოოდ დაემუშავებინა თავისი უდიდესი შრომა კაპიტალის შესახებ. შავად კი დამზადებული ჰქონდა ეს შრომა. და აი, მეგობრის სიკვდილის შემდეგ ენგელსი შეუდგა მეტად მძიმე მუშაობას — „კაპიტალის“ მე-2 და 3 ტომების დამუშავებასა და გამოცემას. 1885 წელს მან მე-2 ტომი გამოსცა, ხოლო 1894 წელს — მე-3 ტომი (მე-4 ტომის დამუშავება ვერ მოასწრო). ამ ორ ტომს ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდა. ავსტრიელმა სოციალდემოკრატმა ადლერმა სწორედ შეჰნიშნა, რომ ენგელსმა „კაპიტალის“ მე-2 და 3 ტომის გამოცემით თავის გენიალურ მეგობარს დიადი ძეგლი აუგო, რომელზედაც უხილავის ხაზებით თავისი საკუთარი სახელი ამოჭკვეთაო. მართლაც და — „კაპიტალის“ ეს ორი ტომი ორი ადამიანის — მარქსისა და ენგელსის შრომის ნაყოფია. ძველებურ გადმოცემებში მოთხრობილია სხვადასხვა ამბები თავდადებულ მეგობრობის შესახებ. ევროპის პროლეტარიატს შეუძლიან სთქვას, რომ მისი მეცნიერება შექმნილია ორი სწავლულისა და მებრძოლის მიერ, რომელთა ერთმანეთთან დამოკიდებულება აღემატება ყოველივე იმას, რაც კი ძველად ყოფილა ნათქვამი ადამიანთა თავდადებულ მეგობრობის შესახებ. ენგელსი ყოველთვის თავის თავს მარქსზე უკან აყენებდა — და ეს საერთოდ სავსებით სამართლიანიც იყო. ერთ თავის ძველ მეგობარს ენგელსი სწერდა: „მარქსის დროს მე მეორე ადგილი მეჭირა“-ო. უსაზღვრო იყო ენგელსის სიყვარული ცოცხალ მარქსისადმი და მისი მოწიწება გარდაცვალებულის ხსოვნის წინაშე. ეს მკაცრი მებრძოლი და მოაზროვნე ფრიად სათუთი და მოსიყვარულე სულის პატრონი იყო.

1848-49 წლების მოძრაობის შემდეგ დევნილი მარქსი და ენგელსი მარტო მეცნიერებით როდი იყვნენ გართული. მარქსმა 1864 წელს „მუშების საერთაშორისო საზოგადოება“ დაარსა და მთელი ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას. „საერთაშორისო საზოგადოების“ მოქმედებას, რომელიც მარქსის აზრით, აერთიანებდა ყველა ქვეყნის პროლეტარებს, მუშათა

*) ეს შრომა ფრიად შინაარსიანი და კარგი წიგნია. სამწუხაროდ, რუსულ ენაზე მხოლოდ მცირე ნაწილია ნათარგმნი, რომელშიაც მოყვანილია სოციალიზმის განვითარების ნარკვევი („მეცნიერული სოციალიზმის განვითარება“, მე-2 გამოცემა; ჟენევა, 1892 წ.). („ანტი-დიურინგის“ სრული თარგმანი რუსულ ენაზე გამოვიდა 1904 წელს. რ ე დ.).

მოძრაობის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამ „საერთაშორისო საზოგადოების“ დაკეტვის (70-იან წლებში) შემდეგაც მარქსისა და ენგელსის გამაერთიანებელი როლი არ შეწყვეტილა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მათი, როგორც მუშათა მოძრაობის სულიერი ხელმძღვანელების მნიშვნელობა გამუდმებით იზრდებოდა, რადგანაც შეუჩერებლივ იზრდებოდა თვით ეს მოძრაობა. მარქსის სიკვდილის შემდეგ ევროპის სოციალისტების მრჩევლად და ხელმძღვანელად მარტო ენგელსი ღა იყო. რჩევა-დარიგებისათვის მას ერთნაირად მიჰმართავდენ გერმანელი სოციალისტებიც (რომელთა ძალაც, მიუხედავად მთავრობის მხრივ დევნისა, სწრაფად და შეუჩერებლად იზრდებოდა) და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც, მაგალითად ესპანელები, რუმინელები, რუსები, რომელთაც კარგად უნდა მოესაზრათ და აეწონ-დაეწონათ თავისი პირველი ნაბიჯი. ყველა ისინი იყენებდენ მოხუცი ენგელსის ცოდნისა და გამოცდილების მდიდარსა და უხვს საგანძურს.

მარქსმა და ენგელსმა რუსული ენა იცოდენ, რუსულ წიგნებს კითხულობდენ და ფრიად დაინტერესებული იყვნენ რუსეთით; ისინი თანაგრძნობით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას და ურთიერთობა ჰქონდათ გაბმული რუს რევოლუციონერებთან. ორივენი დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი იყვნენ და შემდეგ სოციალისტები გახდენ; მათში ფრიად ძლიერი იყო პოლიტიკური თვითნებობისადმი ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი ს დემოკრატიული გრძნობა. ამ უშუალო პოლიტიკურმა გრძნობამ, ღრმა თეორიულმა შეგნებამ იმ კავშირისა, რომელიც არსებობს პოლიტიკურ თვითნებობასა და ეკონომიური ჩაგვრის შორის და აგრეთვე ცხოვრების გზაზე მიღებულმა მდიდარმა გამოცდილებამ მარქსი და ენგელსი მეტად მგრძნობიერი გახადა სწორედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს მ ხ რ ი ვ.

ამიტომ ამ გამობრძმედილ და ნაცად რევოლუციონერებში უმხურვალეს თანაგრძნობას ჰპოვებდა ის გმირული ბრძოლა, რომელსაც ერთი მუჭა რუსის რევოლუციონერები აწარმოებდენ ძლევამოსილ მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მარქსი და ენგელსი პირიქით იჭვის თვალით უყურებდენ და პირდაპირ სოციალური რევოლუციის დიად საქმის ღალატად მიაჩნდათ ყოველივე ისეთი მიდრეკილება, რომელიც კი რაღაც მოჩვენებითი ეკონომიური სარგებლობის გულისთვის ზურგს უქცევდა რუსი სოციალისტების ყველაზე უშუალო და ყველაზე მთავარ საქმეს — პოლიტიკურ თავისუფლების მოპოებას. „პროლეტარიატის განთავისუფლება მისი საკუთარი საქმე უნდა იყოსო“ — აი რას გვასწავლიდენ მუდმივათ მარქსი და ენგელსი. ხოლო ეკონომიური განთავისუფლების ბრძოლისათვის საჭიროა, რომ პროლეტარიატმა განსაზღვრული პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უფლებები მოიპოვოს. გარდა ამისა მარქსი და ენგელსი ნათლად ჰხედავდენ, რომ რუსეთის პოლიტიკურ რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა ექნება დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობისათვისაც. თვითმპყრობელური რუსეთი ყოველთვის ევროპის რეაქციის დასაყრდენი იყო. იმ არაჩვეულებრივად ხელსაყრელმა საერთაშორისო მდგომარეობამ, რომელშიაც

1870 წლის ომმა რუსეთი ჩააყენა, გერმანიასა და საფრანგეთს შორის ქიშპისა და ღვარძლის ჩათესვით, რა თქმა უნდა, მხოლოდ გააძლვერა თვითმპყრობელური რუსეთის მნიშვნელობა, როგორც რეაქციონური ძალა. მხოლოდ თავისუფალ რუსეთს, რომელსაც არ ესაჭიროება პოლონელების, ფინლანდიელების, გერმანელების, სომხების და სხვა პატარა ერების დაჩაგვრა, რომელსაც არ ესაჭიროება საფრანგეთისა და გერმანიის ერთმანეთზე წაქეზება, მხოლოდ ასეთ რუსეთს ძალუძს საშუალება მისცეს თანამედროვე ევროპას თავისუფლად ამოისუნთქოს ომის უბედურებათაგან, მხოლოდ ასეთი რუსეთი შეასუსტებს ევროპის ყველა რეაქციონურ ელემენტებს და ევროპის მუშათა კლასს კი ძალას შეჰმატებს. აი რატომ იყო, რომ ევროპის მუშათა მოძრაობის წარმატებისათვისაც ენგელსს ასე მხურვალედ სწადდა რუსეთში პოლიტიკური თავისუფლების დამყარება. რუსმა რევოლუციონერებმა ენგელსის სახით თავისი საუკეთესო მეგობარი დაჰკარგეს.

საუკუნო ხსენება პროლეტარიატის დიად მასწავლებელსა და მებრძოლს ფრიდრიხ ენგელსს.

ასოცი წელი ენგელსის დაბადებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივ. ჯაფარიძე

ენგელსი დიალექტიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების შესახებ

მსოფლიო ისტორია თავის განვითარებაში ბევრ დიდ ადამიანს იცნობდა, მამაც და გაბედულ ადამიანებს, უდიდესი გულისა და ნათელი აზრის ადამიანებს, თეორიისა და პრაქტიკის ადამიანებს, რომელნიც თავდავიწყებით სწირავდნენ მთელ თავის ენერგიასა და ნებისყოფას მეცნიერებასა და ცხოვრებას, ცხოვრებასა და მეცნიერებას.

მაგრამ ისევე, როგორც მსოფლიო ისტორიას არ სცოდნია უფრო შესანიშნავი საზოგადოებრივი მოვლენა, ვიდრე პროლეტარიატის დიდი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა, რომელიც XIX საუკუნეში წარმოიშვა, ისევე არ სცოდნია მას მეცნიერებისა და ბრძოლის უფრო შესანიშნავი ადამიანები, ვიდრე მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის შემქმნელი, პროლეტარული რევოლუციის გენიოსები — მარქსი და ენგელსი. ისინი იყვნენ ამ მოძრაობის ტვინი და გული, დიდება და სინიდისი, აზრთა ძველი სამყაროს დიადი დამანგრეველნი და ახალი, კომუნისტური მოძღვრების პირველი ხუროთმოძღვარნი. მარქსიდან და ენგელსიდან იწყება რევოლუციური ფილოსოფია და მისი ხანა. ისინი არიან *რევოლუციური მოქმედების ფილოსოფიის ფუძემდებელნი*, მათ ხვდათ დიდი პატივი გამხდარიყვნენ გასულ საუკუნეში ბურჟუაზიისათვის ყველაზე საძულველი მოაზროვნენი. მაგრამ მათვე წილად ხვდათ სახარბიელო ბედნიერება გამხდარიყვნენ იმავე ეპოქაში პროლეტარიატის ყველაზე პატივცემული მასწავლებლები და ბელადები.

ენგელსი — ეს „მარქსის სულიერი ძმა" — ისტორიაში შევიდა როგორც მეცნიერული სოციალიზმის დიადი ფუძემდებელი. ისევე როგორც მარქსი, იგი დაბადებული იყო რევოლუციისა და მისი მეცნიერებისათვის. მარქსთან ერთად იგი ფუძემდებელი იყო პროლეტარიატის ფილოსოფიისა—სოციალისტური რევოლუციის ამ ნამდვილი ალგებრისა. ჩაგრულთა და დამონებულთა ამ მასწავლებლების დასახასიათებლად სავსებით შესაბამისია გერცენის სიტყვები, რომელიც მან XIX საუკუნის პირველი ნახევრის რევოლუციონერებზე სთქვა: ისინი არიან „რაღაც დევგმირები, თავით ფეხთამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, მებრძოლნი — თანამოსაგრენი", ბრძოლის ველზე იმისათვის გამოსულნი, რომ გაეღვიძებინათ პროლეტარიატი ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, ეხელმძღვანელნათ ამ ბრძოლისათვის, ყოფილიყვნენ მისი იდეური და პრაქტიკული ბელადები.

ახლებურად ესმოდათ რა ფილოსოფიის საგანი და ამოცანები, მარქსი და ენგელსი მისი ნამდვილი კოპერნიკები გახდნენ: თავისი მოძღვრების ცენტრად მათ დასახეს ბრძოლა სამყაროს შ ე ც ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს.

ცხოვრება კი არ არის ფილოსოფიის პროდუქტი, მის მიერ წარმოშობილი, არამედ ფილოსოფია არის ცხოვრების პროდუქტი, ცხოვრების მიერ წარმოშობილი. „ფილოსოფოსები, — სწერდა ჯერ კიდევ 1842 წელს მარქსი, — სოკოსავით მიწიდან როდი ამოდიან, ისინი არიან პროდუქტი თავისი დროისა, თავისი ხალხისა, რომლის ყველაზე წმინდა, ძვირფასი და უხილავი წვენი დუღს ფილოსოფიურ იდეებში. იგივე სული, რომელიც ხელოსანთა ხელით რკინიგზებს აშენებს, ჰქმნის ფილოსოფიურ სისტემებს ფილოსოფოსთა ტვინში. ფილოსოფია სამყაროს გარეთ კი არ დაფრინავს, როგორც ტვინიც არ არის ადამიანის გარეთ, თუმცა იგი ჯერ კუჭში იმყოფება... ვინაიდან ყოველი ჭეშმარიტი ფილოსოფია თავისი დროის სულიერი კვინტ-ესენციაა, უნდა დადგეს დრო, როდესაც ფილოსოფია არა მარტო შინაგანად, თავისი შინაარსით, არამედ გარეგანადაც, თავისი ფორმით, შეეხება თავისი დროის ნამდვილ სამყაროს და ურთიერთობა ექნება მასთან". მხოლოდ მაშინ, — მიუთითებდა მარქსი, — „გახდება იგი თანამედროვე სამყაროს ფილოსოფია" (მარქსისა და ენგელსის თხზულებანი, ტ. I, გვ. 186-187). მართალია, ფილოსოფია იჭრება სამყაროში მისი მტრების ღრიალში, რომლებიც თავის უმწეობას ამჟღავნებენ „ველური ღრიანცელით იდეათა ხანძრის წინააღმდეგ დახმარების შესახებ", მაგრამ ეს ისევე ნაკლებად ავნებს ფილოსოფიის საქმეს, როგორც ნაკლებად უშველის მის მტრებს! მართალია, კრიტიკის იარაღი ვერ შესცვლის იარაღით კრიტიკას, მართალია, მატერიალური ძალა დამხობილ უნდა იქნას მატერიალურივე ძალით, „მაგრამ თეორიაც მატერიალური ძალა ხდება, როგორც კი იგი მასებს დაეუფლება. თეორიას შეუძლია გაიტაცოს მასები, როდესაც იგი... რადიკალური ხდება. იყო რადიკალური—ნიშნავს გაიგო ნივთი მის ფესვში" (იქვე, გვ. 392).

XIX საუკუნის ყველაზე რადიკალური მოაზროვნენი—მარქსი და ენგელსი გახდნენ პროლეტარიატის რევოლუციური მოძღვრების გამომხატველნი, მათ აიყვანეს თეორია მატერიალური იარაღის დონემდე- და ამით ისტორიაში პირველად დაამყარეს მეცნიერებისა და ცხოვრების, ფილოსოფიისა და რევოლუციის ნამდვილი ერთიანობა. მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე მათი გამოჩენით ფილოსოფიამ პროლეტარიატში ჰპოვა თავისი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი იარაღი, ხოლო პროლეტარიატმა ფილოსოფიაში — ს უ ლ ი ე რ ი ი ა რ ა ღ ი. მტრების არავითარ ღრიანცელს არ შეეძლო ჩაექრო ის „იდეათა ხანძარი", რომელმაც თავისი შუქით გაანათა სამყარო და გამარჯვება მოუტანა რუსეთის პროლეტარიატს დიადი ოქტომბრის ბარიკადებზე!

*

* *

„მარქსის , მოძღვრება, — სწერდა რ. ლუქსემბურგი, — ბურჟუაზიული მეცნიერების შვილია, მაგრამ ამ შვილის დაბადებას დედამ სიცოცხლე გადააყოლა".

მართლაც, მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი ფილოსოფია ზეციდან როდი ჩამოვარდნილა; იგი არ არის კარჩაკეტილი, გაყინული მოძღვრება, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შარა-გზის გარეთ წარმოშობილი. მარქსის

გენიალობა, — მიუთითებდა ლენინი, — სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან პასუხი გასცა იმ კითხვებზე, რომლებიც კაცობრიობის მოწინავე აზროვნებამ უკვე წამოაყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისა და ენგელსის ფილოსოფია წარმოადგენს ყოველივე იმის კრიტიკული დაძლევის შედეგს, რაც შეჰქმნეს გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა (განსაკუთრებით ჰეგელმა), ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებმა (ა. სმიტი, დ. რიკარდო) და ფრანგ სოციალისტ-უტოპისტთა ბრწყინვალე პლეადამ.

მარქსი და ენგელსი არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ ისინი თავის გონებრივ განვითარებაში ბევრს უნდა უმადლოდნენ ჰეგელს. როგორც ცნობილია, ჰეგელი იყო ახალი დროის ის დიდი მოაზროვნე, ვინც პირველმა შეჰქმნა იდეალისტური დიალექტიკის მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა, დაამუშავა იგი ყველა ძირითად ნაწილში ვრცელ ენციკლოპედიის სახით.

და, ბუნებრივია, ვერავინ, ვისაც უნდოდა შეექმნა ბუნების, ისტორიისა და ადამიანის აზროვნების მატერიალისტურ გაგებაზე დამყარებული ახალი მოძღვრება, გვერდს ვერ აუვლიდა იმ ადამიანს, რომლის მოძღვრება „მთელი ფილოსოფიური განვითარების გვირგვინია“ (ე ნ გ ე ლ ს ი).

ამიტომ ენგელსი, რომელიც ესოდენ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, შექმნაში, არაერთხელ ლაპარაკობდა ჰეგელის მნიშვნელობაზე ახალი, კომუნისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის.

„მარქსი და მე თითქმის ერთად ერთი ადამიანები ვიყავით, რომელთაც გერმანული იდეალისტური ფილოსოფიიდან შეგნებული დიალექტიკა გადავარჩინეთ და ბუნებისა და ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში გადავიტანეთ“ („ანტი-დიურინგი“, 1931 წ. გამოც., გვ. 7. ქართ. 1933 წ. გამოც., გვ. X). ახასიათებდა რა გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, ენგელსი აღნიშნავდა, რომ ამ ფილოსოფიამ თავისი დამთავრება ჰპოვა ჰეგელის სისტემაში, „რომლის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ბუნებრივი, ისტორიული და სულიერი სამყარო — მან პირველად წარმოადგინა პროცესის სახით, ე. ი. განუწყვეტელ მოძრაობაში, ცვლილებაში, სახეცვლასა და განვითარებაში“ („სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, გვ. 47. 1937 წ. გამოცემა).

ყველაზე სისტემატურად და სრულად თავისი და მარქსის დამოკიდებულება ჰეგელის ფილოსოფიისადმი მან გამოსთქვა უკვდავ ნაშრომში „ლუდვიგ ფეირბახი“, დაგვანახვა რა, თუ როგორ გამოდიოდნენ ისინი ამ ფილოსოფიიდან და როგორ გასწყვიტეს მასთან კავშირი. ენგელსი ამ შრომაში უწინარეს ყოვლისა აღნიშნავდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდს, რომელმაც მთელი რევოლუცია გამოიწვია აზროვნების წესში. მან ამ მეთოდს უაღრესად რევოლუციური მეთოდი უწოდა. ე ნ გ ე ლ ს ი ი ყ ო პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე, ვინც მოგვცა ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის ყველაზე სრული, გაშლილი შეფასება და კრიტიკა.

ჰეგელის უდიდეს დამსახურებად ენგელსს მიაჩნდა ის, რომ იგი დაუბრუნდა დიალექტიკას, როგორც ადამიანის აზროვნების უმაღლეს ფორმას. ჰ ე გ ე ლ ი ს დ რ ო ი დ ა ნ დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა გ ა ხ დ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ე თ ო დ ი ა რ ა მ ა რ ტ ო ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ს ფ ე რ ო ს ი, ა რ ა მ ე დ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი ც, ვინაიდან „მან ერთხელ და

სამუდამოდ ბოლო მოუღო იმ შეხედულებას, თითქოს ადამიანის აზროვნების და მოქმედების შედეგებს საბოლოო ხასიათი ჰქონდეს" („ლ. ფეერბახი", — გვ. 8, ქართ. 1932 წ. გამოცემა, გვ. 7). ჰეშმარიტება ფილოსოფიის საგანი ჰეგელს წარმოდგენილი ჰქონდა არა მზამზარეულ, დაგმატურ დებულებათა სახით, არამედ როგორც თვით შემეცნების პროცესი მის ისტორიულ განვითარებაში, მის აღმასვლაში ცოდნის დაბალი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურამდე. ეს ყოვლისმომცველი განვითარება დიალექტიკურ სინთეზში ვრცელდებოდა „არა მარტო ფილოსოფიურ, არამედ ყოველ სხვა შემეცნებაშიც, ასევე პრაქტიკული მოქმედების სფეროშიც. ისტორიას ისევე ნაკლებად შეუძლია შეჩერდეს, როგორც შემეცნებას", — სწერდა ენგელსი (იქვე, გვ. 8).

ჰეგელის დიალექტიკის იდეალისტური მეცნიერების კრიტიკისა და მატერიალისტურ გადამუშავების პროცესში ენგელსმა შეჰქმნა მარქსიზმის რევოლუციური ლოგიკა, ესე-იგი დიალექტიკა, როგორც მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა.

ადგილის შეზღუდულობის გამო აღვნიშნავთ ენგელსის მიერ ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის მატერიალისტურ გადამუშავების მხოლოდ ორ მაგალითს.

1. მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა და გ ო ნ ი ე რ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე. ახალი ფილოსოფიის ისტორიაში არცერთი ფილოსოფიური დებულება ისე მიმზიდველი არ გამხდარა რეაქციულ მთავრობათათვის, და ისე უსაზღვროდ აღსაშფოთებელი გონებაშეზღუდული და წინდაუხედავ ლიბერალთათვის, როგორც ჰეგელის ცნობილი დებულება „ყოველივე რაც ნამდვილია გონიერია; ყოველივე რაც გონიერია ნამდვილია".

ფრიდრიხ ვილჰელმ III და მისი ქვეშევრდომნი ცდილობდნენ გადაექციათ დიდი გერმანელი დიალექტიკოსის ეს დებულება არსებული დესპოტიზმის ფილოსოფიურ დასაბუთებად, სთვლიდნენ მას სოციალური ცხოვრების არაგონივრული და მახინჯი მოვლენის გონივრულ გამართლებად. სწორედ ასევე რუსი ანარქისტი ბაკუნინი ცდილობდა ამ ფორმულით გაემართლებინა ნიკოლოზის რუსეთის საზიზღარი სინამდვილე.

ენგელსი მიუთითებს, რომ ჰეგელისათვის ყოველივე არსებული როდია ნამდვილი. ნამდვილია მხოლოდ ის, რაც ამავე დროს აუცილებელია, ასევე ყოველივე ის როდია გონივრული, რაც ნამდვილად არსებობს, ვინაიდან ყოველივე არსებულის დიალექტიკა არის წინსვლითი პროცესი, რომელიც შეიცავს არსებულის ნეგატივურ გაგებას, მის უარყოფას და ა ხ ლ ი ს დადასტურებას. გონიერია მხოლოდ ის, რაც განხორციელების აუცილებლობას შეიცავს, და ჰეშმარიტად გონიერის ჰეშმარიტება სწორედ ამ აუცილებლობაში მდგომარეობს.

მოჰყავს რა მაგალითები სოციალური ისტორიიდან, ენგელსი აღნიშნავს, რომ რომის რესპუბლიკა ისევე ნამდვილი იყო, როგორც რომის იმპერია, რომელმაც იგი შესცვალა, საფრანგეთის მონარქია 1789 წელს იმდენად არანამდვილი, არაგონივრული და არააუცილებელი გახდა, რომ აღგვილი უნდა ყოფილიყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ, „რომელზეც ჰეგელი ყოველთვის უდიდესი აღფრთოვანებით ლაპარაკობს". რუსეთის ბურჟუაზიული ხელისუფლება, დავძენთ ჩვენ, ნამდვილად არსებული, XX საუკუნის დამდეგს იმდენად არანამდვილი და არაგონივრული გახდა, რომ იგი მოსპობილ იქნა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მიერ.

ზემონათქვამიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კაცობრიობის ისტორიის სფეროში ყოველივე ნამდვილი, რაც მოძველებული და დრომოჭმული გახდება, დროთა მსვლელობაში იქცევა არაგონივრულად და არანამდვილად. ხოლო „ყოველივე ის, რაც ადამიანთა თავში გონიერია, აუცილებლად ნამდვილი გახდება, როგორადაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იგი არსებულ მოჩვენებითს სინამდვილეს“ („ლ. ფეირბახი“, გვ. 7).

ენგელსი აღნიშნავს, რომ თავისი არსებით ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი, თეზისს ყოველივე არსებულის გონიერების შესახებ თავის წინააღმდეგობად აქცევს და ამტკიცებს: ყოველივე ის, რაც არსებობს, დაღუპვის ღირსია! სწორედ ამაში ხედავს ენგელსი ჰეგელის ფილოსოფიის ჭეშმარიტ მნიშვნელობას და რევოლუციურ ხასიათს.

შესანიშნავია, რომ ამხანაგი სტალინი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ხელმძღვანელობს რა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ამუშავებს და იცავს რა მარქსიზმის რევოლუციურ თეორიას, სავსებით ენგელსისებურად განმარტავს მატერიალისტურ დიალექტიკაში გონიერი სინამდვილის პრობლემას.

გამოდიოდა რა ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის ჭეშმარიტი დედაარსის ქართველი ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, მატერიალისტურად ამუშავებდა რა ამ მეთოდს, აკავშირებდა რა მარქსიზმის ფილოსოფიას პროლეტარული რევოლუციის ამოცანებთან, მის პერსპექტივებთან, იგი სწერდა: „ის, რაც ცხოვრებაში იბადება და დღითი-დღე იზრდება — უძლეველია, მისი წინმსვლელობის შეჩერება შეუძლებელია, მისი გამარჯვება აუცილებელია; ე. ი. თუ, მაგალითად, პროლეტარიატი იბადება ცხოვრებაში და დღითი-დღე იზრდება, რაც უნდა სუსტი და მცირერიცხოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს. სამაგიეროთ, ის, რაც ცხოვრებაში კვდება და სამარისაკენ მიექანება, აუცილებლად უნდა დამარცხდეს; ე. ი. თუ, მაგალითათ, ბურჟუაზია ნიადაგსა კარგავს და დღითი-დღე უკან და უკან მიდის, რაც უნდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა დამარცხდეს და სამარეში ჩაესვენოს. აქედან წარმოსდგა ცნობილი დიალექტიკური თქმულება: ყველაფერი ის, რაც ნამდვილად არსებობს, ე. ი. ყველაფერი ის, რაც დღითი-დღე იზრდება — გონიერიაო.

ასეთია დიალექტიკური მეთოდის მეორე დასკვნა“. (გაზეთი „ახალი ცხოვრება“, № 2, 1906 წ. 21 ივნისი).

2. მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ლ ო გ ი კ ა ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ს გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. ენგელსის „ბუნების დიალექტიკა“, რომელიც ჰეგელის „ბუნების ფილოსოფიის“ დაწვრილებითს კონსპექტსა და კრიტიკას წარმოადგენს, უდიდეს მასალას შეიცავს მარქსიზმის ლოგიკის შესახებ. იმისათვის, რომ ცხადვყოთ, თუ როგორ მატერიალისტურად ამუშავებდა ენგელსი ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკას, მოვიყვანოთ აქ კიდევ ერთი მაგალითი.

როგორც ცნობილია, ჰეგელი თავის ცნობილ ნაშრომში „ლოგიკის მეცნიერებაში“ დიალექტიკურ ლოგიკას სამ ნაწილად ჰყოფს. ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ლოგიკად, ა რ ს ი ს ლოგიკად და ც ნ ე ბ ი ს ლოგიკად. გადმოსცემს რა ცნების ლოგიკას, მიგვითითებს რა ცნების ბ უ ნ ე ბ ა ზ ე, ჰეგელი წინააღმდეგ ძველი ფორმალური ლოგიკისა არ ჩერდება აზროვნების ფორმების ფორმალურ-ლოგიკურ აღწერაზე, რაც მოცემულია კანტის მიერ. კანტს ეს ფორმები

2. „მნათობი“ № 11.

თვითშეგნების სუბიექტიურ ფორმებად მიაჩნდა და ამიტომ მათი ურთიერთ კავშირისა და დამოკიდებულების განხილვას იგი ზედმეტად სთვლიდა.

აღნიშნავდა რა ამ „მცდარ საფუძველს", ჰეგელი მიუთითებდა, რომ ლოგიკურ ფორმებში სხვაც რომ ვერაფერი დავინახოთ, გარდა აზროვნების ფორმალური ფუნქციებისა, ამ შემთხვევაშიც ეს ფორმები ღირსია გამოკვლევისა, იმის გამორკვევისა, თუ რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას ეს ლოგიკური ფორმები თავის-თავადო. „ლოგიკას, რომელიც ასეთ გამოკვლევას არ იძლევა, შეუძლია პრეტენზია განაცხადოს სულ ბევრი იმაზე, რომ ჰქონდეს მნიშვნელობა აზროვნების მოვლენათა ბუნებრივ-ისტორიული აღწერისა იმ სახით, როგორც მათ წინასწარ ვნახულობთ" (თხზ. კრებ. ტ. VI, გვ. 27, 1939 წ. გამოცემა). არისტოტელემ პირველად მოახდინა ასეთი აღწერა, „მაგრამ საჭიროა უფრო შორს წავიდეთ და შევიცნოთ ამ ფორმების ნაწილობრივ სისტემატური კავშირი, ხოლო ნაწილობრივ მათი ღირებულებაო", აღნიშნავს იქვე ჰეგელი.

ლენინმა, მაშინ როცა ენგელსის „ბუნების დიალექტიკას" არ იცნობდა, ამოსწერა რა ეს ადგილი ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებიდან", აღნიშნა: „ამრიგად, არა მარტო აღწერა აზროვნების ფ ო რ მ ე ბ ი ს ა და არა მარტო ბუნებრივ-ისტორიული ა ღ წ ე რ ა ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი ს ა... არამედ ჭეშმარიტებასთან შესაბამისობაც... აზრის ისტორიის კვინტ ე ს ე ნ ც ი ა ან, უფრო მარტივად, შედეგები"... „ასეთი გაგებით, — აღნიშნა ლენინმა,—ლოგიკა ემთხვევა შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა ს. ეს საერთოდ მეტად მნიშვნელოვანი საკითხია" („ფილოსოფიური რვეულები", გვ. 170, 1933 წ. გამოცემა).

ენგელსი, აღნიშნავს რა აზროვნების ფორმების გამოკვლევის აუცილებლობას, „ბუნების დიალექტიკაში" (რუბრიკა „შენიშვნები") მიუთითებს რომ ახალ ფილოსოფიაში ეს ამოცანა სისტემატურად მხოლოდ ჰეგელმა შეასრულა და იგი აქვე იძლევა ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკის გენიალურ დახასიათებას. „დიალექტიკური ლოგიკა, წინააღმდეგ ძველი, სავსებით ფორმალური ლოგიკისა, არ კმაყოფილდება იმით, რომ ჩამოსთვალოს და სრულიად დაუკავშირებლად ერთიმეორის გვერდით დააყენოს აზროვნების მოძრაობის ფორმები, ე. ი. მსჯელობისა და გონებრივი დასკვნის სხვადასხვა ფორმები. მას, პირიქით, ეს ფორმები ერთიმეორის შემდგომ გამოჰყავს, ამყარებს რა მათ შორის სუბორდინაციის, და არა კოორდინაციის ურთიერთობას, იგი ანვითარებს უფრო მაღალ ფორმებს დაბლამდგომებიდან".

როგორც ცნობილია, ჰეგელი აზროვნების მოძრაობის ფორმას — მსჯელობას აჯგუფებს ლოგიკის მთელი მეცნიერების დაყოფის პრინციპის სრული შესაბამისობით. ა რ ს ე ბ უ ლ ი ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა — ეს, ჰეგელის მიხედვით, მსჯელობის უმარტივესი ფორმაა, რომელიც შეიცავს დამადასტურებელ ან უარმყოფელ გამოთქმას ერთეულ ნივთზე. ეს მსჯელობა განსაზღვრაში ინარჩუნებს ერთეული საგნის საყოველთაო თვისებას: „ვარდი წითელი" — დადებითი მსჯელობაა, „ვარდი ცისფერი არ არის" — უარყოფითი მსჯელობაა, „ვარდი სპილო არ არის" უსასრულო მსჯელობაა; რ ე ფ ლ ე ქ ს ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა — აქ სუბიექტზე გამოითქმის ერთგვარი დამოკიდებულება: „ეს კაცი მოკვდავია" — ერთეული მსჯელობაა, „ზოგიერთი, ბევრი ადამიანი მოკვდავია" — კერძო მსჯელობაა, „ყველა ადამიანი, მოკვდავია" — უნივერსალური მსჯელობაა; ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ს ჯ ე-

ლ ო ბ ა — აქ სუბიექტზე გამოითქმის მისი სუბსტანციური განსაზღვრულობა: „ვარდი მცენარეა“ — კატეგორიული მსჯელობაა, „როცა მზე ამოდის, თენდება“ — ჰიპოთეზური მსჯელობაა, „ორმაგ-მსუნთქავი ტრიტონი ან თევზია, ან ამფიბია“ — განმყოფი მსჯელობაა; ც ნ ე ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა — აქ სუბიექტზე გამოითქმის, თუ რამდენად შეესაბამება იგი თავის საყოველთაო ბუნებას, თავის ცნებას: „ეს სახლი ცუდია“ — ასერტორული მსჯელობაა, „თუ ეს სახლი გაკეთებულია ასე და ასე, იგი კარგია„ — პრობლემატური მსჯელობაა, „ასე და ასე გაკეთებული სახლი კარგია“ — აპოდიქტური მსჯელობაა.

ენგელსი აღნიშნავს, რომ ჰეგელის მსჯელობის პირველი ჯგუფი — ეს არის ე რ თ ე უ ლ ი მსჯელობა, მეორე და მესამე — გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი, ხოლო მეოთხე — ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო მსჯელობა.

აზროვნების მოძრაობის ფორმების ამ ჰეგელური კლასიფიკაციის სიმშრალისა და ნებისმიერობის მიუხედავად (ზერელე მიდგომით), ვინც სერიოზულად შეისწავლის ამ თემის გენიალურ გაშლას ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებაში“, მისთვის „ცხადი გახდება ამ დაჯგუფების შინაგანი ჭეშმარიტება და აუცილებლობა...“, — სწერს ენგელსი.

მსჯელობის ფორმების ასეთი დიალექტიკური დაჯგუფების ღრმად დასასაბუთებლად, იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დაჯგუფებას ნამდვილი საფუძველი აქვს არა მარტო ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს კანონებში, არამედ თვით ბ უ ნ ე ბ ი ს კანონებშიც, ენგელსს მოჰყავს მაგალითი ბუნების მოვლენათა ისტორიიდან და იმ აზროვნების ისტორიიდან, რომელიც ამ ისტორიას ასახავს: მატერიის მოძრაობის ერთი ფორმის გადაქცევა მეორე ფორმად და ამ პროცესის ასახვა აზროვნებაში, მსჯელობის სათანადო ფორმებში — აი რით ასურათებს ენგელსი იდეალისტ ჰეგელის მსჯელობათა მატერიალისტურად გაგებულ დაჯგუფებას.

ენგელსის მაგალითის შინაარსი მოკლედ შემდეგია: ხახუნი რომ სითბოს იწვევს, რეალური ცხოვრების ეს მოვლენა პრაქტიკაში ცნობილი იყო უკვე ისტორიამდელ ადამიანთათვის, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მათ გამოიგონეს ხახუნით ცეცხლის მიღების ხერხი. მაგრამ ამ მომენტიდან იმის აღმოჩენამდე, რომ ხახუნი ს ა ე რ თ ო დ სითბოს წყაროა, — რამდენიმე ათასეული წელი გავიდა. „მაგრამ ასე თუ ისე დადგა დრო, როდესაც ადამიანის ტვინი იმდენად განვითარდა, რომ შეეძლო გამოეთქვა მსჯელობა:

1. „ ხ ა ხ უ ნ ი ს ი თ ბ ო ს წ ყ ა რ ო ა“ — ეს არსებული ყოფიერების მსჯელობაა და ამასთან დადებითი მსჯელობა“. გავიდა ახალი ათასეული წელი მანამდე, სანამ მეიერმა, ჯოულმა და კოლდინგმა შესძლეს გამოეკვლიათ ეს სპეციალური საკითხი სხვა პროცესებთან ურთიერთკავშირში და ჩამოეყალიბებინათ მსჯელობა: 2. „ყ ო ვ ე ლ ი მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ა დ ა ი ქ ც ე ს ს ი თ ბ ო დ ხ ა ხ უ ნ ი ს გ ზ ი თ“. ჰეგელისაგან განსხვავებით, რომელიც მსჯელობის ფორმების კლასიფიკაციას საფუძვლად უდებდა წმინდა აზრის მოძრაობას, ენგელსი აქ აღნიშნავს იმას, თუ რამდენი დრო და „ემპირიულ ცოდნათა უდიდესი სიმრავლე გახდა საჭირო იმისათვის, რომ საგნის შემეცნებაში წინ წაგვეწია არსებული ყოფიერების დადებითი მსჯელობიდან რეფლექსის ამ უნივერსალურ მსჯელობამდე“.

ამის შემდეგ, შედარებით მოკლე ვადაში, იმავე მეიერმა რეფლექსის მსჯელობა აიყვანა უკვე შემდგომ უფრო მაღალ საფეხურზე და შესძლო

ჩამოეყალიბებინა მსჯელობის უმაღლესი ფორმა — ცნების მსჯელობა, რომელიც ამბობს, რომ: 3. „მოძრაობის ყოველ ფორმას შეუძლია და იძულებულია თვითეული შემთხვევისათვის გარკვეულ პირობებში პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაიქცეს მოძრაობის ყოველ სხვა ფორმად" (იხ. ენგელსის „ბუნების დიალექტიკა", გვ. 100, 101).

ხსნის რა აზროვნების მოძრაობის საერთო ფორმების ჰეგელის კლასიფიკაციის ჭეშმარიტ შინაარსს, სწმენდს რა „რაციონალურ მარცვალს" იდეალისტურ ჩენჩოსაგან, ენგელსი იძლევა ბუნების მოვლენებისადმი მატერიალისტური მიდგომისა და ლოგიკურ ცნებებში მათი ასახვის კლასიკურ დახასიათებას. ჰეგელის მიხედვით აზრის ლოგიკა ჰქმნის ლოგიკის საგანს, და მსჯელობის ფორმებს, ენგელსის მიხედვით კი საგანი და მისი განვითარება ჰქმნიან საგნის და მისი მოძრაობის ფორმების ლოგიკას.

ენგელსი მსჯელობის პირველ ფორმას განიხილავს როგორც ერთეულების მსჯელობას, ვინაიდან მასში ხდება რეგისტრირება ერთეული ფაქტისა: ხახუნი წარმოშობს სითბოს. მეორე მსჯელობა კი არის განსაკუთრებულობის მსჯელობა, ვინაიდან იგი ამტკიცებს იმას, რომ მოძრაობის ზოგიერთი განსაკუთრებული ფორმა (მექანიკური) იჩენს თვისებას გადავიდეს განსაკუთრებულ გარემოებაში (ხახუნის გზით) მოძრაობის ზოგიერთ სხვა, სახელდობრ განსაკუთრებულ ფორმაში სითბოში, რაც შეეხება მსჯელობის მესამე ფორმას, იგი საყოველთაობის მსჯელობაა, ვინაიდან იგი ამტკიცებს, რომ მოძრაობის ყველა ფორმას შეუძლია და იძულებულია გადაიქცეს მოძრაობის ყოველ სხვა ფორმად. „მივიდა რა ამ ფორმამდე, — მიუთითებს ენგელსი, — კანონმა მიაღწია თავის უკანასკნელ გამოსახვას. ახალ აღმოჩენათა საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვუპოვოთ მას ახალი დადასტურებანი, მივცეთ ახალი, უფრო მდიდარი შინაარსი. მაგრამ თვით კანონს როგორც იგი აქ არის გამოთქმული, ჩვენ მეტს ვეღარას დავუმატებთ. თავის საყოველთაობაში, რომელშიც ფორმაც და შინაარსიც თანაბრად საყოველთაოა, მას არავითარი შემდგომი გაფართოება არ ძალუძს. იგი ბუნების აბსოლუტური კანონია" (იქვე).

დაამტკიცა რა სრული სიცხადით, რომ საგანი და მისი მოძრაობა ჰქმნიან თვით საგნისა და აზროვნების ფორმების მოძრაობის დიალექტიკას, და არა პირიქით, ენგელსი აღნიშნავს ბუნებისა და აზროვნების კანონთა განვითარების ერთიანობას.

აქვე ენგელსს აქვს ერთი ჭეშმარიტად გენიალური დებულება, რომელიც წარმოადგენს რეალურ საძირკველს ახალი მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, შექმნისათვის, ე. ი. მარქსიზმის ლოგიკის, დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის ერთიანობის განსახიერებას. ენგელსი სწერს „ამრიგად, ის, რაც ჰეგელის შრომაში მსჯელობის როგორც ასეთის აზროვნებითი ფორმის განვითარებას წარმოადგენს, აქ გვევლინება როგორც განვითარება ჩვენი, ემპირულ საფუძველზე დამყარებული თეორიული ცოდნისა საერთოდ მოძრაობის ბუნების შესახებ. ხოლო ეს ხომ ცხადჰყოფს, რომ აზროვნების ფორმები და ბუნების კანონები აუცილებლად უთანხმდებიან ერთიმეორეს, თუ მხოლოდ ისინი სწორად არიან შეცნობილნი" (იქვე, გვ. 102).

დიალექტიკაზე, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებაზე, ენგელსის მოძღვრების გამოსარკვევად უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს მის ისეთ-

შრომებს, როგორიცაა „შესავალი ბუნების დიალექტიკისა“ (1875 წ.), წინანდელი წინასიტყვაობა „ანტი-დიურინგისა“—„დიალექტიკის შესახებ“ (1878 წ.), ნაწყვეტი „დიალექტიკა“, დაწერილი ენგელსის მიერ 1879 წელს და შემდეგ „ბუნების დიალექტიკაში“ შესული და „ანტი-დიურინგის“ ფილოსოფიური ნაწილის XII და XIII თავები.

3. დიალექტიკა როგორც ფილოსოფიური მეცნიერება. ჰეგელთან ერთად ენგელსს დიალექტიკა ესმის, როგორც ადამიანის აზროვნების ისტორიის შედეგი, შეჯამება. ჰეგელისაგან განსხვავებით ენგელსი გვიჩვენებს, რომ საგნის, რეალური სამყაროს, ბუნების ისტორიის დიალექტიკა ჰქმნის აზროვნების დიალექტიკას. სწორედ აზროვნება თავისი დიალექტიკური ფორმით არის ფიზიკური სამყაროს დიალექტიკის ასახვა ადამიანის თავში. ფიზიკური სამყარო და აზრების სამყარო ვითარდება დაპირისპირებულთა ბრძოლის საფუძველზე, და თუ ჰეგელის მიხედვით რეალური სამყაროს დიალექტიკა უბრალო ანარეკლია მარადიულად განვითარების პროცესში მყოფი, თვითმოძრავი და თვითმომქმედი აბსოლუტური სულისა, ენგელსის მიხედვით სინამდვილეში პირიქით ხდება: აზროვნების დიალექტიკა მხოლოდ ანარეკლია, როგორც გონების, ისე ისტორიის რეალური სამყაროს მოძრაობის ფორმებისა“ („ბუნების დიალექტიკა“., გვ. 3, 1936 წ. გამოცემა).

ენგელსის გენიალური აზრი იმის შესახებ, რომ აზროვნების კანონები და ბუნების კანონები, აუცილებელად უთანხმდებიან ერთმანეთს, თუ ისინი სწორად არიან შეცნობილნი, თავის შემდგომ დადასტურებას ჰპოვებს ობიექტური და სუბიექტური დიალექტიკის იმ გამიჯვნაშიც, რომელიც პირველად სრული სიცხადით ფორმულირებულია ენგელსის მიერ. არა უბრალო იგივეობა (ჰეგელის ყაიდაზე) აზროვნებისა და ყოფიერებისა, მათი განვითარების კანონებისა, არამედ მათი დიალექტიკური ერთიანობა მატერიალისტურ საფუძველზე — აი ენგელსის მთავარი თეზისი. ენგელსი გვიჩვენებს, რომ ობიექტური დიალექტიკა, რეალური ფიზიკური სამყაროს დიალექტიკა მეფობს მთელ ბუნებაში, ხოლო სუბიექტური დიალექტიკა, აზრის დიალექტიკა, დიალექტიკური აზროვნება, ამ აზროვნების ფორმები, დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიები ასახავენ მთელ ბუნებაში გაბატონებულ მოძრაობას დაპირისპირებულთა გზით, რომელნიც განაპირობებენ ბუნების სიცოცხლეს თავისი მუდმივი წინააღმდეგობებითა და დაბალი ფორმებიდან უმაღლეს ფორმებში გადასვლით „...ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორია — აი საიდან ხდება დიალექტიკის კანონების აბსტრაგირება“, მიუთითებს ენგელსი.

თუ ბუნება, ფიზიკური სამყარო, ისტორია რეალურ წინააღმდეგობათა განსახიერებას წარმოადგენენ, აზრიც, რომელიც ასახავს ამ წინააღმდეგობებს და მათი განვითარების გზას, არ არის „რაღაც ცთომილი კომეტა, ტვინის ავადმყოფობა, რომელიც არაფერზე არ არის მიკუთვნებული“, როგორც მხატვრულად გამოსთქვა ჯერ კიდევ გერცენმა. ადამიანის აზრი, ადამიანის აზროვნება აგრეთვე წინააღმდეგობის ლოგიკით, დიალექტიკურად ვითარდება.

დიალექტიკა, როგორც რეალური სამყაროს არსებობის წესი, როგორც ამ სამყაროს განვითარების შემეცნების მეთოდი, ერთდროულად ისტორიაც და თეორიაც შემეცნების ამ პროცესისა. მაშასადამე, სწორედ დიალექტიკა არის მარქსიზმის შემეცნების ლოგიკა და თეორია („საჭირო არ არის 3 სიტყვა: ეს ერთი და იგივეა", შენიშნავს ლენინი).

თეორიული აზროვნება თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე ისტორიულია, იგი ვითარდება კონკრეტული სოციალური ვითარების მიხედვით, ეყრდნობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებს, ამასთან განუწყვეტლივ იცვლის ფორმასა და შინაარსსაც. დიალექტიკური აზროვნება შეგნების, ცოდნის, საერთოდ აზროვნების უმაღლესი პროდუქტია. სწორედ ამიტომ ენგელსი რაციონალურ აზრს ხედავდა ჰეგელის მტკიცებაში იმის შესახებ, რომ მხოლოდ დიალექტიკური აზროვნება არის გონივრული. ენგელსი მიუთითებს, რომ თუმცა გონებრივი მოქმედების ყველა სახე — ინდუქცია, დედუქცია, აბსტრაქცია, ანალიზი და სინთეზი და მათი შემაერთებელი — ექსპერიმენტი ჩვენ ცხოველებთან საერთო გვაქვს, თუმცა ყველა ეს მეთოდი ტიპის მიხედვით ერთნაირია ადამიანში და უმაღლეს ცხოველებში (განსხვავება მხოლოდ ხარისხშია,) მაგრამ, „დიალექტიკური აზრი — სწორედ იმიტომ, რომ იგი გულისხმობს თვით ცნებათა ბუნების გამოკვლევას — დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისა, და ამ უკანასკნელისაც მხოლოდ განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე" („ბუნების დიალექტიკა"., გვ. 33). სწორედ ამიტომ დიალექტიკა, როგორც აზროვნების ლოგიკა, რომელიც იკვლევს მის მიერ განვლილ ისტორიულ გზას, „ისევე როგორც ყოველი სხვა მეცნიერება, არის ისტორიული მეცნიერება, მეცნიერება ადამიანის აზროვნების ისტორიული განვითარების შესახებ" (იქვე, გვ. 70).

დიალექტიკის საგანი, ე. ი. საგნობრივი ცოდნის ისტორია და თეორია ობიექტურად არსებული ნივთების, ობიექტური სამყაროს განვითარების, მოძრაობის, ცვლილების ასახვაა. მაშასადამე, დიალექტიკის კანონებიც ობიექტური სამყაროს კანონების ანარეკლს წარმოადგენენ. დიალექტიკური ლოგიკა, ანუ დიალექტიკის ლოგიკა, არის მოძღვრება არა აზროვნების გარეგან ფორმებზე, არამედ მოძღვრება ყველა მატერიალურ, ბუნებრივ და სულიერ მოვლენათა განვითარების კანონებზე, ე. ი. მატერიალური სამყაროს მთელი კონკრეტული შინაარსისა და მისი შემეცნების დიალექტიკური განვითარება. „დიალექტიკა ხომ წარმოადგენს მხოლოდ მეცნიერებას ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების მოძრაობისა და განვითარების საყოველთაო კანონთა შესახებ", — ამბობს ენგელსი (მარქსი და ენგელსი, ტ. XIV, გვ. 140 — 141).

ა) მოვლენათა ურთიერთ კავშირი. ენგელსი, არაერთხელ მიუთითებდა, რომ, ჰეგელისაგან (და განსაკუთრებით კანტისაგან განსხვავებით, რომელიც გარედან უკარნახებდა მატერიალური სამყაროს მოვლე-

ნებს აზროვნების კანონებს) მისი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ეპრვნა ეს კანონები ამ სამყაროში და იქიდან განევითარებინა და დაესაბუთებინა ისინი. ბუნების დიალექტიკა არის არა მარტო ობიექტი აზრის დიალექტიკისა, არამედ მისი პრინციპების ფუძისდებაც, მათი წყარო. უსაყვედურებდა რა დიურინგს იმას, რომ იგი წმინდა აზროვნებიდან გამოყვანილი ფორმალურ პრინციპებს სთვლიდა ბუნებისა და ადამიანთა ისტორიის ძირითად საწყისად, ენგელსი კითხულობდა: საიდან იღებს თვით აზროვნება ამ ძირითად საწყისებს? რა თქმა უნდა, არა თავის-თავიდან, ვინაიდან აქ ლაპარაკია ყოფიერების, ობიექტიური სამყაროს ფორმებზე, ხოლო აზროვნებას არ შეუძლია ამ ფორმების არც შექმნა, არც თავისთავიდან გამოყვანა, არამედ შეუძლია მათი მხოლოდ თვით გარე სამყაროდან გამოყვანა: „პრინციპები გამოკვლევის გამოსავალი პუნქტი კი არ არიან, არამედ მისი საბოლოო შედეგი; მათ ბუნებისა და ადამიანთა ისტორიისადმი შესაფარდებლად კი არ იყენებენ, არამედ იქიდან გამოჰყავთ. ბუნება და ადამიანის სამეფო კი არ წარიმართება პრინციპების მიხედვით, არამედ პრინციპები სწორია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ბუნებასა და ისტორიას ეთანხმებიან. ეს არის საქმის ერთადერთი მატერიალისტური გაგება, ხოლო საწინააღმდეგო გაგება, რომელიც ბატონ დიურინგს ეკუთვნის, იდეალისტურია“ (იქვე, გვ. 36).

ენგელსმა ისევე, როგორც მარქსისტული ფილოსოფიის ყველა დიდმა წარმომადგენლებმა, დაასაბუთა მატერიალისტური დიალექტიკის ყველა ძირითადი ნიშნები არა მარტო იდეალიზმთან ბრძოლაში, არამედ მეტაფიზიკის წინააღმდეგაც: ქვესათაური თავისი ფრაგმენტისა დიალექტიკის შესახებ ენგელსმა სიტყვა-სიტყვით ასე ჩამოაყალიბა: *განვითარებულ იქნას დიალექტიკის, როგორც კავშირთა შესახებ მეცნიერების საერთო ხასიათი წინააღმდეგ მეტაფიზიკისა.* სწორედ ასე იქცეოდა ენგელსი ყველა თავის ფილოსოფიურ შრომაში, ანვითარებდა რა დიალექტიკის მეცნიერების ძირითად კანონებს წინააღმდეგ მეტაფიზიკისა. მეტაფიზიკურად მოაზროვნე ადამიანისათვის ნივთები და მათი გონებრივი სახეები, ე. ი. ცნებები მხოლოდ ცალკეული და უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ გაყინული მონაცემებია, რომლებიც გამოკვლეულ უნდა იქნას იზოლირებულად, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად. მისთვის ნივთი, მოვლენა არსებობს ან არ არსებობს, საგანი შეიძლება იყოს ან ის რაც თვით ის არის ან სხვა რაიმე, მაგრამ არა ერთიც და მეორეც ერთდროულად. მიზეზი და შედეგი, უარყოფითი და დადებითი, სიცოცხლე და სიკვდილი, ზემო და ქვემო აბსოლუტური დაპირისპირებულია ერთიმეორისადმი და ურთიერთს გამორიცხავს. მეტაფიზიკოსის მსჯელობა შესდგება დოგმატიური ფრაზისაგან; „ჰო ჰო, არა — არა; რაც ამის გარეშეა, ის ბოროტისგანაა“. ამიტომ მეტაფიზიკური აზროვნება ცალმხრივია, შეზღუდული, აბსტრაქტული და გადაუჭრელ წინააღმდეგობებში იხლართება, „იმიტომ რომ საგნების იქით იგი ვერ ხედავს მათს ურთიერთ კავშირს, მათი ყოფნის იქით ვერ ხედავს

მათს წარმოშობასა და გაქრობას, მათი უძრაობის იქით ვერ ხედავს მათს მოძრაობას, ხეების იქით ვერ ხედავს ტყეს“ (იქვე, გვ. 21).

ნამდვილად კი ბუნებასა და ისტორიაში საქმის ვითარება მეტაფიზიკური კი არ არის, არამედ დიალექტიკურია. მიზეზი და შედეგი არა მარტო დაპირისპირებულია ერთიმეორისადმი, არამედ ურთიერთ დაკავშირებულიცაა, ისინი უერთმანეთოდ აღარ არიან ის რაც არიან, ისინი ერთიმეორედ იქცევიან, ურთიერთ არსებობას განაპირობებენ. ასე, მაგალითად, მაგნეტის პოლუსები, მიუხედავად თავისი დაპირისპირებულობისა, ერთიმეორეში აღწევენ, ერთიანობაში არსებობენ.

ყველა ამ რეალური პროცესების მოცვა და მათი ასახვა ადამიანის ტვინში აზროვნების მეტაფიზიკური წესის შესაძლებლობის ფარგლებიდან გამოდის. და, პირიქით, დიალექტიკური მეთოდი აზროვნებაში ამ მოვლენებს თავის ნამდვილ-რაციონალურ დასაბუთებას აძლევს, ვინაიდან დიალექტიკა „იღებს საგნებს და მათს გონებრივ ასახვას უმთავრესად მათს ურთიერთ კავშირში, მათს გადაბმაში, მათს მოძრაობაში, მათს წარმოშობასა და გაქრობაში“ (იქვე, გვ. 23). მხოლოდ აზროვნების დიალექტიკური წესის შეუხებით შეუძლია ადამიანს ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა სამყაროს განვითარების, ადამიანთა საზოგადოების ისტორიის კანონებზე, ისევე როგორც ამ განვითარების ასახვაზე ადამიანთა თავში, ვინაიდან ამ მეთოდის გამოყენებით ადამიანი წარმოიდგენს იმ საერთო ურთიერთმოქმედებას წარმოშობადსა და გაქრობადს საგნებს შორის, რომელიც არსებობს თვით საგანში, საზოგადოებაში.

ბ) **განუწყვეტელი განვითარების დიალექტიკა.** განიხილავდა რა ბუნებისმეტყველების განვითარების ისტორიას გენიალური კოპერნიკიდან არანაკლებ გენიალურ დარვინამდე, ცხადჰყოფდა რა, თუ როგორ თანდათანობით იძულებული გახდა მეტაფიზიკური შეხედულება ბუნებაზე, რომელიც გაბატონებული იყო XVII და XVIII საუკუნეებში, თვით ბუნებისმეტყველების განვითარების გამო ადგილი დაეთმო ბუნების დიალექტიკური გაგებისათვის, — ენგელსი მიუთითებდა, რომ ეს ახალი მსოფლმხედველობა, ძირითადად უკვე მზად იყო იმით, რომ ამ დროისათვის ყოველივე გაყინული ესმოდათ უკვე როგორც მარად მიმდინარე, ყოველივე უძრავი — როგორც მოძრავი, მარადიული — როგორც წარმავალი. „და ეი ჩვენ კვლავ დავუბრუნდით ბერძნული ფილოსოფიის დიად ფუძემდებელთა შეხედულებას იმის შესახებ, რომ მთელი ბუნება, დაწყებული მისი უწვრილესი ნაწილაკებით უდიდეს სხეულებამდე, დაწყებული ნამცეცით და გათავებული მზით, დაწყებული პროტისტით[1]) და გათავებული ადამიანით იმყოფება მუდმივ წარმოშობასა და მოსპობაში, განუწყვეტელ მდინარებაში, დაუღალავ მოძრაობასა და

[1]) პირველადი ცოცხალი უჯრედი (ივ. ჯ.).

ცვლილებაში. მხოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ის, რაც ბერძნებისთვის გენიალური მიხვედრა იყო, ჩვენთვის არის შედეგი ზუსტი მეცნიერული, ცდაზე დამყარებული გამოკვლევისა, და ამიტომ გაცილებით უფრო გარკვეული და ცხადი ფორმა აქვს".

ჰერაკლიტეს დიადი გამოთქმა: „ყველაფერი მიმდინარეობს" — განვითარების დიალექტიკის პირველი მამაცური ამბოხება იყო ბუნებაში უმოძრაობისა და გაყინვის მეტაფიზიკის წინააღმდეგ. ბუნებისმეტყველებამ თავის ისტორიულ განვითარებაში დაამტკიცა ფილოსოფიური ძირითადი დებულების სისწორე, იგი გახდა არა მარტო სასინჯი ქვა ცხოვრებასა და ბუნებაზე დიალექტიკური შეხედულებისა, არამედ ამ შეხედულების სისწორის განუსაზღვრელი დადასტურებაც. მოძრაობა წარმოადგენს მატერიის ყოველი ფორმის არსებობის ფორმას, მოძრაობის გარეშე არ არსებობს მატერია, ისევე, როგორც არ არსებობს მოძრაობა მატერიის გარეშე. ბუნება განსახიერებაა განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილებისა, განახლებისა და განვითარებისა, მარადიული წარმოშობისა და გაქრობისა, შექმნისა და დანგრევისა. მცირე მასების მექანიკური მოძრაობა სამყაროს ცალკეულ სხეულებზე, მოლეკულური რხევანი სითბოს ან ელექტრობის და მაგნეტური დენის სახით, ნივთიერებათა ქიმიური დაშლა და შეერთება, თვით ორგანიული ცხოვრება,—ყოველივე ეს მოძრაობის ფორმებია, რომელთაგან ერთერთში ან ერთდროულად რამდენიმეში იმყოფება ყოველი ცალკეული ატომი, საგანი, მოვლენა. „ყოველ უძრაობას, ყოველ წონასწორობას აზრი აქვს მხოლოდ მოძრაობის ამა თუ იმ ფორმის მიმართ... მოძრაობის შექმნა და მოსპობა, ისევე შეუძლებელია, როგორც თვით მატერიისა" (იქვე, გვ. 60).

გ) რაოდენობისა და თვისების დიალექტიკა. უარყოფის შემოქმედებითი ძალა. ენგელსი, როგორც ახალი დროის უდიდესი დიალექტიკოსი, მოძრაობას, განვითარებას ბუნებაში, საზოგადოებაში და ადამიანის აზროვნების სფეროში განიხილავს არა როგორც ზრდის უბრალო პროცესს, აუღელვებელ ცურვას მხოლოდ რაოდენობრივ გამრავლებათა ან შემცირებათა ფარგლებში, არამედ როგორც რთულ პროცესს, რომლის დროსაც თანდათანობით რაოდენობრივი ცვლილებანი თვისობრივ ცვლილებებს იწვევენ. თვისება განსაზღვრული რაოდენობის თვისებაა, რაოდენობა განსაზღვრული თვისების რაოდენობაა; ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ, რაოდენობრივი ცვლილებანი ხდებიან კანონზომიერად, თანდათანობით. და განსაზღვრულ საფეხურზე, როდესაც რაოდენობა თავისი გადიდების საზღვარს გადასცდება, მაშინ დგება ზომის უზომურობის მომენტი, ნახტომი ახალ თვისებაში, რევოლუცია, როგორც კანონზომიერი ევოლუციური პროცესის შედეგი. ხდება საგნის ძველი თვისობრივი მდგომარეობის, მისი თვისობრივი განსაზღვრულობის უარყოფა ახალი თვისებით, ახალი თვისობრივი განსაზღვრულობით. მაგრამ საგნის დიალექტიკა ულმობელი რამეა, იგი არ ჩერ-

დება მიღწეულზე, და, მუშაობს რა უარყოფითს მომენტზე, უარყოფს ამ უარყოფას, ამყარებს საგნის, მოვლენების, ახალ მდგომარეობას. უარყოფა არის განხორციელება რაოდენობის გადასვლისა თვისებად, ამ უარყოფის უარყოფა — თვისების გადასვლა ახალ თვისებად. და, პირიქით, რაოდენობრივი ცვლილება უზრუნველჰყოფს უარყოფის დადგომის შესაძლებლობას, ახალი თვისება საფუძვლად უდევს უარყოფის უარყოფას. ყველა ეს მომენტები ურთიერთდაკავშირებულია, ურთიერთგანპირობებულია, ერთიმეორის გარეშე ისინი წარმოუდგენელია დიალექტიკური მეთოდის თვალსაზრისით. მაგრამ არსებობს ობიექტიური დიალექტიკის ერთი არსებითი, უალრესად არსებითი ნიშანი — თვით ბუნების, თვით საგნის დიალექტიკა, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა საფუძველს, განმსჭვალავს ფიზიკური სამყაროს და აზრის სამყაროს ყველა სფეროს.

დ) წინააღმდეგობის დიალექტიკა. ენგელსმა უმნიშვნელოვანესი ადგილი მიაკუთვნა დიალექტიკის ძირითად კანონს, ძირითად ნიშანს, მის ძირითად თეორიულ საფუძველს, მის დედაარსს — დაპირისპირებულთა ერთიანობასა და ბრძოლას. უფრო ზუსტად: იგი გამოსთქვამს ამ კანონს ყველა თავის ფილოსოფიურ ნაშრომებში, განიხილავს რა ყველა დანარჩენ კანონებს როგორც მის კონკრეტიზაციასა და გამოვლინებას. ჰეგელი პირველი იყო, ვინც განსაკუთრებული ძალით დაამყარა პრინციპი წინააღმდეგობისა ყველა ბუნებრივ, სულიერ და სხვა სფეროში, როგორც ყოველივე არსებულის მოძრაობისა და თვითმოძრაობის, განვითარების, უნივერსალური საფუძვლის. ენგელსმა ფეხზე დააყენა ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა და დაუღალავად უსვამდა ხაზს იმ უდიდეს როლს, რომელიც „ითამაშა ეგრეთწოდებულმა წინააღმდეგობათა დიალექტიკამ ფილოსოფიაში, უძველესი ბერძნებიდან დაწყებული ჩვენს დრომდე“ (იქვე, გვ. 120).

წინააღმდეგ მეტაფიზიკისა ენგელსი ამტკიცებდა, რომ ყოველმა მკვლევარმა, რომელიც იღებს ნივთებს მათს მოძრაობასა და ცვლილებაში, მათს სიცოცხლესა და ურთიერთ გავლენაში, არ შეიძლება არ დაინახოს, რომ ბუნებისა და ისტორიის ყველა მოვლენას, აგრეთვე ადამიანის აზროვნებას საფუძვლად უდევს შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც შეადგენს საყოველთაო განვითარების, რაოდენობრივ ცვლილებათა თვისობრივ ცვლილებებად გადაქცევის პროცესის შინაგან შინაარსს და, პირიქით, აგრეთვე იმ მნიშვნელოვანი კანონის საფუძველს, რომელიც გამოხატულია წინსვლის მოძრაობაში უარყოფის უარყოფის გზით.

მეტაფიზიკოსისათვის მოძრაობა შეუცნობელია, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაა. დიალექტიკოსისათვის კი წინააღმდეგობის შეცნობაშია მოძრაობის გაგების საწინდარი, ვინაიდან თვით მოძრაობა არის არსებული წინააღმდეგობა: საგანი კიდეც არსებობს და არც არსებობს, კიდეც მოძრაობს და უძრავადაც არის, კიდეც იმყოფება განსაზღვრულ ადგილზე და არც

იმყოფება. „ცხოვრება არის თვით ნივთებსა და მოვლენებში არსებული წინააღმდეგობა, რომელიც მუდამ იქმნება და გადაიჭრება, და როგორც კი ეს წინააღმდეგობა შესწყდება, შესწყდება სიცოცხლეც, დგება სიკვდილი" (იქვე გვ. 121). წინააღმდეგობით გამსჭვალულია ცხოვრების ყველა სფერო, უმდაბლესი მეტაფიზიკაც კი ამ უნივერსალური კანონის განსახიერებაა. ამ წინააღმდეგობის ასახვა აზრში აგრეთვე წინააღმდეგობითია; კიდევ მეტი: „აზროვნების სფეროშიც ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ წინააღმდეგობებს", ვინაიდან „ადამიანის შინაგანად განუსაზღვრელ შემეცნების უნარსა და ცალკეულ, გარედან მეტად შეზღუდულ და მხოლოდ შეზღუდულად შემცნობ ცალკეული ინდივიდუმებში მის ნამდვილ განხორციელებას შორის არსებული წინააღმდეგობა გადაიჭრება თანამიმდევნო თაობათა უსასრულო (ყოველ შემთხვევაში პრაქტიკულად ჩვენთვის) რიგში, უსასრულო პროცესში" (იქვე).

*
* *

მარქსისტული ფილოსოფიის მტრები პირველ რიგში თავს დაესხნენ მის დიალექტიკურ მეთოდს. მარქსიზმის „კრიტიკოსთა" აჩემებული ხერხია მარქსისა და ენგელსისათვის ბრალდების წაყენება მათ მიერ ჰეგელის ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი დიალექტიკური მეთოდის უბრალო სესხებაში. რევიზიონიზმის მამამთავარი ე. ბერშტეინი, ცილსა სწამებდა რა ენგელსს, მიაწერდა რა მას ორჭოფულ პოზიციას რევოლუციის ტაქტიკურ საკითხებში, ამტკიცებდა, რომ ყოველივე ამას „ბოლოსდაბოლოს ფესვი ჰქონდა ჰეგელისაგან ნასესხებ დიალექტიკაში". ეს დიალექტიკა, ამ ფილისტერის აზრით, „მუხანათური ელემენტია მარქსისტულ დოქტრინაში; ის მოვლენათა ყოველი თანმიმდევრული განხილვის გზაზე დაგებული მახეაო" (იხ. მისი „ისტორიული მატერიალიზმი", გვ. 44, 46, 1901 წ. გამოცემა). მოფილოსოფო სახელმწიფო მოღვაწე მასარიკი თავის წიგნში „მარქსიზმის ფილოსოფიური და სოციოლოგიური საფუძვლები" (1899 წ.,), უბადლო გონება შეზღუდულობითა და პრივიტივიზმით აკრიტიკებდა რა მარქსიზმს, ამტკიცებდა, რომ მარქსიზმის „ფილოსოფიური ჩონჩხი", „ეს არის ჰეგელის ფილოსოფია", რომ „მარქსი სამუდამოდ ჰეგელიანელი დარჩა", ხოლო როგორც ჰეგელის, ისე მარქსის დიალექტიკა „უბრალო ოინბაზობაა". ენგელსმა,—ამტკიცებდა იგი,—ჰეგელის იდეალისტური სქოლასტიკის იდუმალობა აითვისაო". საერთოდ მისთვის „თვით ობიექტური დიალექტიკა არც არსებობს" (გვ. 47).

ამ ვაჟბატონებს მარქსისტული დიალექტიკის რუსი კრიტიკოსებიც არ გასცილებიან შორს. ლაპარაკობდა რა იმაზე, რომ მისი გაგება დიალექტიკისა სავსებით ვერ ემთხვევა მარქსის გაგებას, ა. ბოგდანოვი სწერდა, რომ „დიალექტიკის ძირითად ცნებას მარქსის, ისევე როგორც ჰეგელის, შრომებში სრული სიცხადისა და დამთავრებისათვის არ მიულწევია", „რაც შეეხება

ახლანდელ დიალექტიკურ მატერიალიზმს, მისი მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მას არ გამოურკვევია და არ აუხსნია თვით დიალექტიკა". მისი აზრით, „დიალექტიკა სრულებითაც არ არის რაღაც უნივერსალური — იგი არ შეიძლება შემეცნების საყოველთაო მეთოდი გახდეს" და ა. შ. (იხ. მისი „ცოცხალი ცდის ფილოსოფია", გვ. 261). ნიკოლოზ ბერდიაევი უწმაწურ და უსუსურ სტატიაში „მარქსიზმის კატეხიზმო" (ენგელსის „ანტი-დიურინგის" რუსული თარგმანის გამო) სწერდა, მარქსისტული დიალექტიკა ჰეგელის დიალექტიკისაგან იშვა და მის საბედისწერო დაღს ატარებსო. ენგელსს სურდა თავიდან ფეხზე დაეყენებინა დიალექტიკა, მაგრამ ამის შემდეგ დიალექტიკას თავი უნდა დაეკარგა, ვინაიდან ფეხზე დგომა მას არ შეუძლია, რადგან დიალექტიკა, მისი აზრით, ყოველთვის იდეალურ-ლოგიკური პროცესია და იგი შესაძლებელია მხოლოდ გონების ფარგლებში! აშკარა იდეალისტი და რეაქციონერი ი. ილინი, აყალბებდა რა თვით ჰეგელის დიალექტიკას, სთვლიდა მას ფილოსოფოსობის მეთოდის მიხედვით არა დიალექტიკოსად, არამედ ინტივიტუისტად, ინტუიტიურად-მოაზროვნე ნათელმჭვრეტად, ხოლო მარქსისა და ენგელსის მატერიალისტურ დიალექტიკას ის საერთოდ არც სცნობდა (იხ. მისი ორტომიანი ნაშრომი „ჰეგელის ფილოსოფია როგორც მოძღვრება ღმერთისა და ადამიანის კონკრეტობის შესახებ", 1918 წ. გამოცემა). რუსი რევიზიონისტების მსგავსი პოზიცია ეჭირა კ. კაუტსკისაც ორტომიან ნაშრომში „ისტორიის მატერიალისტური გაგება". კაპიტალიზმის პროსტიტუირებული აპოლოგეტის აზრით, წინაალმდეგობის დიალექტიკა არსებობს მხოლოდ ადამიანის შეგნებაში, და არა გარე სამყაროში (ტ. I., გვ. 130).

ახალი დროის ერთადერთი მოაზროვნენი, რომლებმაც განაგრძეს მარქს-ენგელსის გაგება ჰეგელის დიალექტიკისა და ახალ საფეხურზე აიყვანეს მატერიალისტური დიალექტიკა, არიან ლენინი და სტალინი, ახალი ტიპის იმ პარტიის ბელადები და დამაარსებელნი, რომელმაც ლენინის „აპრილის თეზისებში" განახორციელა მარქსიზმის მეთერთმეტე თეზისი ფეიერბახზე, თეზისი სამყაროს შეცვლის შესახებ და გადააქცია იგი ახალი სინამდვილის პრაქტიკად.

მას შემდეგ მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური მატერიალისტური დიალექტიკა ძლევამოსილად მიისწრაფვის წინ, როგორც ახალი სამყაროს მძლავრი თეორიული დროშა, იღებს რა მიუვალ ციხე-სიმაგრეებს, უზრუნველჰყოფს რა კომუნიზმის მტკიცე წინსვლას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბაწერელია

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

1937 წელს, საბჭოთა მწერლების საკავშირო პლენუმზე, რომელიც რუსთაველის იუბილესადმი იყო მიძღვნილი, ივანე ჯავახიშვილი გამოვიდა მოხსენებით მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესახებ. ამ საზეიმო დღეს, მოძმე ერების წარმომადგენლებით, მეცნიერებითა და მწერლებით სავსე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, რადიოს საშუალებით კი მთელს საქართველოში, გაისმა ხმა უხუცესი ქართველი ისტორიკოსისა, რომელიც მსმენელებს აცნობდა ჩვენი ხალხის წარსულის საუკეთესო პერიოდს. პრეზიდიუმში მჯდომი ივანე ჯავახიშვილი მისთვის ჩვეული სიდინჯით ჰყვებოდა თამარის ძლევამოსილ ლაშქრობაზე, კულტურის აყვავებასა და დიდს ჰუმანიზმზე, რომელნიც რუსთაველის ეპოქის ნიშნობლივ თვისებებს წარმოადგენდნენ. და სწორედ იმ მომენტში, როცა ივანე ჯავახიშვილი შეუდგა თხრობას საქართველოში მონღოლთა შემოსევაზე, როცა ისტორიკოსის მუდამ ზეაწეული და შუბლისაკენ გაფრენილი მარცხენა წარბის ბოლო შეირხა (ეს კი ორატორის საზღვარმიჩენილ მღელვარებაზე ანიშნებდა), დარბაზში გამოჩნდა ყაზახეთის სახალხო მომღერალი, ოთხმოცდაათი წლის აკინი დომბრით ხელში. ამ მოხუცის გარეგნობა მიაგავდა იმ მონღოლთა სახეებს, რომელნიც ასე კარგად ჰყავს დახატული ჟამთააღმწერელს „ქართლის ცხოვრებაში“ და რომლის უნებლიე მოგონებაც უწინარეს ყოვლისა ივანე ჯავახიშვილს შეეძლო ამ წუთებში: იყვნეს... თვალითა მცირედ ჭვრიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო... ცხვირითა მდაბალ, ესოდენ, რომელ ღაწვნი უმაღლეს იტყვიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტვნი ჩნდიან ცხვირთაო.

ორატორმა რამდენიმე წუთით შესწყვიტა მოხსენება და დარბაზთან ერთად მიესალმა ვიწროდ გაჭრილ თვალებით მომზირალ სახალხო მგოსანს, რომელსაც თავისი ხალხის სახელით მოეტანა სიყვარულით აღსავსე ჰიმნი, მიძღვნილი რუსთველისა და ქართველი ხალხისადმი.

იყო მთელს ამ სცენაში რაღაც ძალზე დამახასიათებელი. ორივენი — ერთის მხრით, დიდი ისტორიკოსი, რომელიც თავის ხსოვნაში იტევდა მშობელი ხალხის გმირულ წარსულსა და ბევრს სიდუხჭირეს, ხოლო, მეორეს მხრით, მონღოლური სახის მოხუცი, რომელსაც მუსიკალური საკრავი ეპყრა ხელთ ნაცვლად ელვარე და ნახევარ მთვარის მსგავსი ხმლისა, — გამოსთქვამდნენ საერთო სიყვარულს ქართული სიტყვის უდიდესი შემოქმედისადმი.

ივანე ჯავახიშვილი ამ კრებაზე იყო მონაწილე და მოწმე არა მარტო ქართული კულტურის ზეიმისა, არამედ თავისი ხალხის ახალი ისტორიის

დღესასწაულისაც საბჭოთა კავშირის სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად.

მეორედ და უკანასკნელად, დამსწრეთა მოწმობით, ასევე მოლვაწე მოხსენება უძღვნა მან ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საკითხებს და ამ მოხსენების დროს მიიცვალა კიდევაც იგი 1940 წლის 18 ნოემბერს.

ამ ორი მოხსენებით სამუდამოდ დაავალა ივანე ჯავახიშვილმა ქართული მწერლობა.

*
* *

მარტოოდენ საჯარო გამოსვლებში როდი იჩენდა იგი განსაკუთრებულ ინტერესს ქართული ლიტერატურის ისტორიისადმი, — ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის მთელი რიგი მონოგრაფიები და წერილები, რომლებშიაც ის დაწვრილებით არკვევს ჩვენი ძველი მწერლობის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს. მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ შეიცავს საინტერესო და საგულისხმო ცნობებს ლიტერატურული ძეგლების, ავტორებისა და მათი წარმომშობი წიაღის შესახებ. ასეთივე მნიშვნელობის მქონეა ივ. ჯავახიშვილის შესანიშნავი წიგნი „ქართული დამწერლობა ანუ პალეოგრაფია“. მთელი ეპოქა შეჰქმნეს მის მიერ აღმოჩენილმა ხანმეტმა ძეგლებმა; ფრთხილი და დინჯი აზროვნების ნაყოფია ივ. ჯავახიშვილის მოხსენებები და წერილები „ვეფხის ტყაოსანზე“.

არა მარტო ძველი მწერლობა, არამედ ხელოვნებაც — მუსიკა, არქიტექტურა და სხვა — წარმოადგენენ ივ. ჯავახიშვილის უშუალო შესწავლის საგანს. მას ეკუთვნის პირველი და თითქმის ამომწურავი მონოგრაფია ქართული მუსიკის ისტორიიდან. ყოველივე ეს ცხადჰყოფდა ივ. ჯავახიშვილის მდიდარ ერუდიციას, მისი კვლევითი არის სიფართოვეს.

ივ. ჯავახიშვილის უმთავრესი დამსახურება კი, რასაკვირველია, საქართველოს მეცნიერული ისტორიის შექმნაში გამოიხატა. ამ დარგში იგი იყო არა მარტო უცილობელი ავტორიტეტი, არამედ ახალი ფაქტების დამდგინებელი, ნოვატორი და საუკეთესო სისტემატიკოსიც. როცა მკითხველი ეცნობა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურ ნაშრომებს, არ შეიძლება არ განცვიფრდეს ავტორის უმაგალითო შრომის უნარიანობით, ფართო და მრავალმხრივი განათლებით, ანალიზის იშვიათი სიმახვილით. ჩვენი ისტორიის შესწავლის მკაცრ მეცნიერულ საფუძვლებზე დაყენების საქმეში ივანე ჯავახიშვილის როლი განუზომელია. ამოცანა, რომელიც არ შეეძლო გადაეწყვიტა გასულ საუკუნეს (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სრულიად თავმოყრილი და ფილოლოგიურად შესწავლილი მრავალი პირველხარისხოვანი ისტორიული მასალა), ივანე ჯავახიშვილმა და მისმა სკოლამ მშვენივრად გადასწყვიტა. ამ მხრივ მისი დაუღალავი ძიება სანიმუშო მაგალითი იქნება მომავალი თაობისათვის.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს ივ. ჯავახიშვილს წინაპრები არ ჰყოლოდეს ამ გზაზე. გასული საუკუნის პირველნახევარში მოღვაწეობდა ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე, ქართული ფილოლოგიის მამამთავარი და ისტორიკოსი, მეორე ნახევარში კი დიმიტრი ბაქრაძე. ამ ორმა ადამიანმა დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენი ერის წარსულის შესწავლის საქმეს. მაგრამ ეს ორი ისტორიკოსიც განსაზღვრული იყო მეცნიერულად დადგენილი წყაროების სიმცირით, ისტო-

რიის მომიჯნე დისციპლინების ჩამორჩენილობით ჩვენში იმ დროისათვის, ივანე ჯავახიშვილს წილად ერგო არა მარტო გაგრძელება სახელოვანი წინაპრების მიერ დაწყებული საქმისა, არამედ მრავალ შემთხვევაში ახალი შენობის აგებაც იქ, სადაც მარტოოდენ ცარიელი ადგილი მოიპოვებოდა. ივ. ჯავახიშვილი იძულებულ იყო დამოუკიდებლივ შესდგომოდა ახალ მასალის მოპოვებას, მის ფილოლოგიურ შესწავლასა და გამომზეურებას, აგრეთვე — დამხმარე დისციპლინების (სამართლის, ნუმიზმატიკის, დიპლომატიკის, პალეოგრაფიისა და სხვა) ისტორიის სრული სურათის გათვალისწინებას (ყველა ამ საკითხს მან შემდეგ ცალკე შრომები მიუძღვნა), ხოლო პარალელურად თავისი „ქართველი ერის ისტორია" დაემუშავებინა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ამის მისაღწევად ივ. ჯავახიშვილს ხელს უწყობდა შესანიშნავი სკოლა, რომელიც მან ყოფ. პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიარა. ივ. ჯავახიშვილი იყო მოწაფე ნიკო მარისა, გენიალური ფილოლოგისა და ენათმეცნიერის, რომლის ლინგვისტური თვალსაზრისი მან მშვენივრად გამოიყენა ჩვენი ხალხის უძველესი, ბნელით მოცული ეპოქების დახასიათებისას (იხ. „ქართველი ერის ისტორიის" პირველი გამოცემა). უფრო გვიან ივ. ჯავახიშვილმა ბევრი რამ ახალი და ორიგინალური შეჰმატა თავისი კვლევის მეთოდს.

ასევე მისაბაძი და საუკეთესო თვისება ივ. ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსისა, იყო ფაქიზი, კრიტიკული დამოკიდებულება ისტორიული ფაქტებსა და ცნობებისადმი. შეუმოწმებელი და მსუბუქად ნავარაუდევი ჰიპოთეზები მის შრომებში არსად არ გვხვდება. ის იყო მეცნიერი, რომელსაც ორგანიულად ეჯავრებოდა სიადვილის აჩრდილი. ამიტომ ყოველი მისი ნაბიჯი ხანგრძლივი მუშაობისა, ფიქრისა და ძიების ნაყოფს წარმოადგენდა.

არაჩვეულებრივი მეცნიერული სინდისი, — აი რა ახასიათებდა ივ. ჯავახიშვილის დაწერილსა თუ ზეპირად თქმულს.

ივ. ჯავახიშვილი დიდხანს ამოწმებდა ხოლმე თვითოეულ დეტალს, რამდენიმე ცნობის ერთმანეთთან შეჯერების შემდეგ ღებულობდა საბოლოო დასკვნებს. მართალია, მუშაობის ამგვარმა ხასიათმა, ისტორიული ამბების თხრობაში უშუალოდ ჩართულმა და გამოვლინებულმა, თავისებური დალი დაასვა ჯავახიშვილის სტილს — იგი მძიმედ ასათვისებელია ზოგჯერ და მოკლებულია ფრანგი თუ საუკეთესო რუსი ისტორიკოსების სტილის სიმსუბუქესა და ელვარებას. სამაგიეროდ, ივ. ჯავახიშვილის შრომები დიდხანს დარჩებიან ყველაზე სანდო და საორიენტაციო წყაროებად საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლის დროს.

ქართული ლიტერატურის მუშაკებისა და ფართო საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად საყურადღებო იყო აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის მთელი რიგი ლექციები ძველი საქართველოს ყოფისა და ჩვენი წინაპრების ყოველდღიური სახმარი ნივთების ისტორიის შესახებ. დიდი მნიშვნელობისაა აგრეთვე ის ცნობები, რომლებსაც ივ. ჯავახიშვილი გვაწვდის თავის „ქართული სამართლის ისტორიაში" ჩვენი მეფეების კარზე არსებული ეთიკეტისა, დარბაზობებისა და სხვათა შესახებ. საქართველოს შორეული წარსულის თემებზე მომუშავე ჩვენი მწერლების მომავალი თაობები მუდამ დავალებული იქნებიან ივანე ჯავახიშვილის ღვაწლით ამ დარგში.

*
* *

ივანე ჯავახიშვილი იყო არა მარტო დიდი ისტორიკოსი, არამედ დიდი პიროვნებაც. ის არ დაკმაყოფილებულა ჩვენი ხალხის მარტოოდენ წარსულის კვლევით. ივ. ჯავახიშვილმა არამარტო ზედმიწევნით გაიმეორა თავის ხსოვნაში ქართველი ხალხის ისტორიის დიდი ამბავი თუ პატარა შემთხვევა, არამედ თვითონაც შეიტანა ახალი ფურცელი საკუთარი ქვეყნის მომავლის ისტორიაში: იგი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი ქართული უნივერსიტეტისა, სადაც ახალი ქართული ინტელიგენცია აღიზარდა.

ამ პირველხარისხოვანი ეროვნული საქმისათვის ბრძოლაში ივანე ჯავახიშვილი შეუპოვარი აღმოჩნდა. მრავალ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმული მეცნიერი შემდეგშიაც აგრძელებდა ქართული მოქალაქეობრიობის საუკეთესო ტრადიციებს. თვით მისი ხელწერაც, რომელსაც თითქოს ფოლიანტების გადამწერთა ხელწერა უნდა მოეგონებინა ჩვენთვის, უფრო მხედრულს მიაგავდა, — ამ ერუდიტი ისტორიკოსის ხელნაწერის ქართული ასოები, გაფანტულნი და ზოგჯერ უწესრიგოდ ერთმანეთზე გადახლართულნი, მოგვაგონებდნენ იმ სახელმწიფო მოღვაწეების ხელრთვას, რომელნიც სხვადასხვა აქტზე თუ გრაგნილზე აღნიშნავდნენ ხოლმე თავიანთს სახელსა და გვარს წარსულში.

მეცნიერული მუშაობა ივ. ჯავახიშვილს აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნაწილად მიაჩნდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ საკავშირო მთავრობის მიერ ის დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო ჩვენმა ქვეყანამ დეპუტატად აირჩია უმაღლეს საბჭოში, სადაც მას სხვებთან ერთად უნდა დაედასტურებინა თავისი ქვეყნისათვის საჭირო სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

მთაგონება*)

რომანი

3.

გაზაფხულის ჩვილი საღამო გულს საამოდ ესალბუნებოდა.

მზე კაშკაშებდა და გულში ყრუ, გამოუცნობი ნატვრა უჩუმრად გუბდებოდა, ნატვრა დღევანდელი დღის იქით გადახედვისა.

მირიანმა ერთიორჯერ ამაოდ სცადა საუბრის გაბმა, მაგრამ ის ისე იყო გართული თავის ფიქრებში, პასუხსაც ისე უთავბოლოს იძლეოდა, რომ ისევ სიჩუმე არჩია.

— ჯერ არა... ჯერ არა...—ემუდარებოდა უსიტყვოდ მირიანს და რა არა თვითონაც არ იცოდა.

სიყვარულის გრძნობა ხომ მიწაში ჩაგდებულ თესლივით არის. ეს თესლი ჯერ კიდევ კარგად არ იყო გალუებული.

„დინამოს“ ახალ სასპორტო სტადიონს ჩაუარეს და მალე მუშტაიდის დიდ ხეივანს შეჰყვნენ.

ირგვლივ სიჩუმე იყო და ამ დუმილს სადღაც ლიანდაგის მოხვეულში ალმუვლებელი ტრამვაის ბორბლების ყურთასმენის წამღები გმინვა არღვევდა.

ეს მზე, ეს ბაღი, ეს ცისფერი პავილიონები და კიოსკები დარიკოს ისე ახარებდნენ, რომ მზად იყო ამ მზესთან, ხეებთან სათითაოდ მისულიყო, ყოველ მათგანისათვის ეთქვა, რომ ისინი ასე ძვირფასნი არიან, რომ ისინიც იმასავით სიცოცხლით ავსებულან და ტკაცუნით ხეთქავენ კვირტებს. ჰაერი აყვავებული იასამანის, ჭერმისა და ატმის ზარხოშიანი ფშვინვით თვრებოდა და ისინი ხარბად სუნთქავდნენ ამ სურნელებას.

რესტორან-პავილიონში რომ ადიოდნენ, გზად ბოლოგაშლილ ფარშავანგს აუარეს.

გადახრილი მზის ირიბი სხივებით ხეთა ჩრდილები არაჩვეულებრივად დაგრძელდნენ.

სიცხე ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყო მოძალებული და ხალხიც ბაღებს ეგრერიგად არ ეტანებოდა.

ახლად მორწყული ხეივნები სურნელებას, მყუდროებასა და სიგრილეს ერთად ავრცელებდნენ.

---

*) იხ. „მნათობი“ № 10.

მწვანედ აბიბინებული ჯერ კიდევ ქორფა მოლნარი ეს-ეს არის მებალეს ახლა მოერწყა და ზედ შერჩენილი შხეფები ცვარივით ციმციმებდნენ.

მიუხედავად საგანგებოდ შერჩეული კერძეულისა, მაინც [illegible] ხმის ამოუღებლად ისადილეს.

ბიბლიოთეკა

დარიკო ოდნავ მოსმულ ღვინის ჭიქას სუფრაზე ნელა ატრიალებდა და კაცი ვერ გაიგებდა შიგ აციაგებულ მზის სხივთა ქარვისფერი არილით იქცევდა თავს, თუ თავისთვის რამეს ფიქრობდა.

მირიანი პაპიროსს წყნარად აბოლებდა და თან მისი ეშხით ტკბებოდა.

ცისფერ დიდრონ თვალებს შავი წამწამები ლაზათიანად ეჯარებოდნენ. მოკლე სახელოებიანი ცისფერზოლიანი აბრეშუმის ტილოს მთლიანი კაბა კალმახივით მოქნილსა და კოხტად დადგმულ ტანს შნოიანად ეტმასნებოდა. ოდნავ ირიბულად დახურული, უკანიდან ფარფლაკეცილი თეთრი ჭილის ქუდიც ისე უხდებოდა, რომ მეზობელ სუფრების ყურადღებას უნებურად იქცევდა.

ის კი არას ამჩნევდა, ჭიქას გლუვ ზროზე ისევ ისე აბრუნებდა, მერე თავი აიღო და, ვაჟკაცის ხარბად მოჩერებულ თვალებს რომ შეეფეთა, მშვიდად, სანდომიანად გაუღიმა.

— წავიდეთ. — სთქვა ოდნავ გასაგონად და ნელა წამოდგა.

მირიანიც მაშინვე ადგა.

ქალის კოვერკოტის მოსასხამი სკამის საზურგიდან ხელდახელ აიტაცა.

კიბისკენ რომ გაემართნენ, ყველამ აღტაცების ღიმილით გააყოლა თვალი.

ორნივ ახალგაზდანი იყვნენ, ორნივ სიცოცხლით სავსენი, ორნივ მიმზიდველნი.

ძირს რომ ჩავიდნენ, — შედგნენ.

არ იცოდნენ საით აელოთ გეზი, საით წასულიყვნენ და მირიანმა უსიტყვო კითხვით ჩახედა თვალებში.

— სულერთია. — საკვირველი მორჩილებით უპასუხა დარიკომ. მირიანი მის გრილსა და ატლასივით გლუვ მკლავს გაბედული წადიერებით შეეხო და ისიც მინდობილად, თითქოს თავის თავს აბარებსო, ღონიერ ხელს ოდნავ მძიმედ ჩამოეყრდნო.

შეწყობილი ნაბიჯებით გაემართნენ, — საით, თითონაც არ იცოდნენ.

ახლად მორწყული დანაყილი აგურით მოფენილ ხავერდით მტკვრის პირისაკენ ნელა დაეშვნენ.

— დარიკო! — სთქვა მირიანმა ნაზი ჩურჩულით და ზამბარასავით მოქნილ წელში ნელიად ალამუნებული ხელი ფრთხილად შეაპარა.

დარიკოს არა უთქვამს რა, მხოლოდ უსიტყვოდ ოდნავ გაუღიმა.

ვაჟკაცის ღონიერ მკერდს თავდავიწყებულად მიეყრდნო და ეშხით დაბინდული ცასავით კაშკაშა თვალები სახეში ბედნიერად შეაშუქა.

4.

შუალამე გადავიდა.

ქალაქში ხალხის დენა შეწყდა.

ისინი ნელი ტაატით მიდიოდნენ, ერთურთის ალერსით ვერ ძღებოდნენ.

ტროტუარების გასწვრივ აშლილ ხეთა ჩრდილებს რომ შეეფარებოდნენ, მირიანი ბნელით სარგებლობდა და მის ტკბილ ტუჩებს ხარბად ეწაფებოდა. თან მიდიოდა და თან გატაცებით კოცნიდა. სინათლეში მოულოდნელად რომ

გავიდოდნენ, თავდავიწყებისაგან ერთბაშად ერკვეოდნენ და თავისი საქციელის ვამო თვითონვე იცინოდნენ, იცინოდნენ ლაღად, უდარდელად.

უცებ მირიანმა სიცილი მოსწყვიტა და თავისებურად ძინჯად დაიწყო საუბარი. ის ახალგაზდური გატაცებით უამბობდა თუ როგორ ეყვარებოდათ ერთურთი და რა დიდი შთაგონებით იმუშავებდნენ ერთად.

აზრი აზრს მოჰყვა, სიტყვა სიტყვას და თავისი ბავშვობის დღეებიც გაიხსენა.

ის უამბობდა თუ როგორ მოულოდნელად მოუკვდა აღმზრდელი მამიდა და ჯერ კიდევ ბალღმა რა ტანჯვა-წვალებით მიაგნო მამას ევროპის ერთერთ ქალაქში. ის ჯერ, თურმე, მათემატიკით იყო გართული. განსაკუთრებით ვარიაციათა თეორია იტაცებდა მის გონებას, მაგრამ მამასთან ერთად ევროპაში ხეტიალისა და იქაური ქალაქების ნახვის შემდეგ გადასწყვიტა ხუროთმოძღვრება შეესწავლა. მით უფრო, რომ ხატვა დიდათ ემარჯვებოდა და მშობლიურ საბარათიანოს უძველეს ტაძართა ნანგრევები და მათი გასაოცარი ხელოვნება ბალღობითგანვე იტაცებდა.

მამიდისაგან ნასწავლები ხუცური და ქორონიკონთა ანგარიშიც აქ გამოადგა.

მთელი დღეები იჯდა ამ ნანგრევებში, წარწერიან ქვებს ჩაჰკირკიტებდა და მის ოცნებაში ცოცხლდებოდნენ, ესმოდა სუნთქვა აქაურობის მფლობელ ლიპარიტ და რატი ერისთავთ-ერისთავებისა. აბაზაძენი, მარუშიანნი, ვარდანის ძენი და მისნი წინაპარნი მეუნაგრენი უამბობდნენ მწუხარე ამბავს ამ მიდამოების გადაშენებისა.

ყოველ შემოქმედს თავისი მშობლიური ხალხის ხასიათი, ბალღობითგანვე შესისხლხორცებული შთაბეჭდილებანი და ისტორია ანიჭებს შთაგონებას. ამ მასაზრდოებელ წყაროს ის ბალღობითგანვე იქმნა აგლეჯილი და ახლა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, იგრძნო როგორ ივსებოდა სასიცოცხლო წვენით. ახლა, როცა დარიკოც იმისია, მირიანი მზად იყო მთელი ქალაქი გარდაექმნა ისე, რომ ყოველ მცხოვრებს იმასავით ბედნიერად ეგრძნო თავი.

ყოველ ქალაქს თავისი ბიოგრაფია აქვს, ბიოგრაფია, ამსახველი იმ ისტორიულ-სოციალურ იდეალებისა, რომელსაც გაბატონებული კლასები საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდნენ, იმ სოციალურ წყობათა, რომელთაც ესა თუ ის ქალაქი წარმოშვეს, განავითარეს და მის აღნაგობაში ეს ვითარება გამოხატეს.

თბილისი ერთი ასეთი უძველესი ქალაქთაგანი იყო. მისი დაარსების ისტორია მეხუთე საუკუნის ბნელში იკარგებოდა და ვინ მოსთვლის ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერ დაქცეულა იგი უცხო დამპყრობელთაგან, რამდენჯერ აღმდგარა და, კვლავ დაქცეული, კვლავადვე აშენებულა. მისი ქუჩები, მოედნები და მიდამოები ნათათრალია, ნათურქალია, ნაყივჩალარი... მის აღნაგობაში გეოლოგიურ პლასტებივით მეტყველებენ ყველა საფეხურები ქართველი ხალხის ისტორიული სვე-ბედისა. ამიტომაც არის ამგვარი ქალაქის შენება და გარდაქმნა ასე ძნელი. ეს საქმე დიდ სიფრთხილეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. ცოდნას, რომ ძველი უბნები განუყრელად ყოფილიყვნენ ახალთან დაკავშირებული, გამოცდილებას, რომ მისი მთლიანობა და თავისებური იერი არ დარღვეულიყო, რომ ქუჩები ერთურთში მელოდიურად გადასულიყვნენ. გადასულიყვნენ ისე რიტმიულად, რომ მათი ხასიათი და ისტორიული განვითარების ნიშნები არ წაშლილიყო. ასეთ ნიშნებს მიეკუთვნებოდა

ძველი თბილისის ბანიანი სახლები და წარმტაცი სურათიანი აივნებიც. მართლაც და, ისეთ ქალაქში, სადაც თითქმის მთელი წელიწადი მზიანი ამინდებია, განა ბანი და აივანი ბუნებრივ პირობათაგან ნაკარნახევ [illegible] წარმოადგენდა? განა ძველი თბილისის მოქალაქე მთელ თავის ცხოვრებას ბანსა და აივანზე არ ატარებდა? რით იყო მერე ეს ცუდი? ვისაც დღისით, მზისით თბილისისათვის გადაუხედავს, განა არ იცის თუ რა უსახოა იგი თავისი შუაში ამოკეცილი წითლად შეღებილ თუნუქის სახურავებით? მირიანის ოცნებაა კვლავ აღადგინოს ეს ბან-აივნები, მისი არსებობა გააზროს და, რადგან ქალაქის მდებარეობა ესდენ მთაგორიანია და ხელის გულზე გადაშლილი, მისი სახურავებიც წინამოებივით გულმოდგინედ დაამუშაოს. ამიტომ ახარებს მას ასე პარტიის ეს დავალება, უხარია, რომ მისი საქმე, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნება, ცხოვრებასთან ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამიტომ იზრდება მისი უთანხმოება ისეთ უხუცეს მწერალთან, როგორიც ვასილ სავანელია. ის მხოლოდ წარსულში, ისტორიულში ჰპოვებს შთაგონების წყაროს. ძველისძველი სერთუკითა და ქვაბუნაკით თავზე უხუცეს პატრიარქივით დახანხალებს ძველი თბილისის უბნებში გათენებამდე და ყოველ ბანიან სახლს, ყოველ სერაიან აივანს შეჰხარის, როგორც თვითად მშვენიერებას. ძველისძველ მიძინებულ სახლებიდან ესმის ოცნებით აღდგენილ გარდასულ თაობათა ლანდების ყრუ, მირინებული ჟრიამული. ეს იმას ეჩვენება ფუნიკულორის პლატოზე შემომსხდარი ბრძენი ტურები, ესმის როგორ შეჰყეფენ თბილისის ცასა და ვარსკვლავებს უკვე დაჩიავებული, ხანგადასული ქილილა და დამანა ფაჰლაური ლათაიებით. იმას ატკბობს ქვრივის ლიმონების ეშხით დამწვარ თარზე აკვნესებული ბაიათები და ამ დროს ნამდვილი ცხოვრება მტკვარივით შეუმჩნევლად მიეპარება ხელსა და ხელს შუა.

დარიკო ყურადღებით ისმენდა მის გატაცებულ საუბარს და შურდა იმისი ბედი, შურდა, რადგან ის თავისი მოწოდების მიხედვით მუშაობდა, ახარებდა მისი გზნება, რადგან ის ისეთივე გატაცებით შრომობდა, ჰქმნიდა როგორც მისი დიდი შემოქმედი მამა. ის კი... და ღრმად, ნაღვლიანად ამოიოხრა. მირიანს ყურადღებიდან არ გამოეპარა ეს ოხვრა.

— რა იყო, დარიკო? შეგაწუხე? — შეეკითხა იგი მზრუნველობით და თვალებში შეშფოთებით ჩახედა.

— არა, მირიან... პირიქით... — სთქვა დარიკომ ისევ ისე ნაღვლიანად, მაგრამ მირიანი მაინც არ ეშვებოდა. ხედავდა, რომ მის საყვარელ არსებას რაღაც აწუხებდა, რაღაც ულრლნიდა გულს და უნდოდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ახლავ გაეგო. იმდენი ეხვეწა, იმდენი ჰქნა, რომ ბოლოს ენა მაინც ამოადგმევინა.

— შენ არ იცი, ჩემო მირიან, როგორ მიხარია, რომ შენ ასეთი ხარ... აი, შენ გიყვარს შენი საქმე და გატაცებული ხარ შენი საქმით. მე კი... შენ არ იცი, მირი, როგორ ვიტანჯები. ვიტანჯები, რომ მთელი ჩემი სიცოცხლის ოცნება ვერ განვახორციელე... ოცნება, რომ სცენაზე მემუშავნა, ოცნება, რომ ჯულიეტა, ივდითი, ანდა ჩემი თავი, ჩვენი ქალის როლი, მეთამაშა... როცა მიჭირს, მინდა ჩემი გასაჭირი როგორმე გამოვხატო... აი შენც... შენც ჩემი ხარ და... მე მინდა, სურვილი მიტანს, რომ ეს მწუხარება, ეს სიხარული, ეს გატაცება როგორმე გამოვხატო... ალბათ, ეს სურვილი აწერინებს პოეტს ლექსებს, ალბათ, ასევე ჰქმნი შენ შენს პროექტებს...

— მე არ მესმის, დარიკო... განა შენც ისეთივე შემოქმედი არა ხარ შენი შენი საქმისა?.. განა ცხოვრება, ჩვენი სინამდვილე, ვინც იმისი გემო იცის, უფრო წარმტაცი, უფრო მიმზიდველი არ არის, ვიდრე განათლებული რამპა და გამოგონილი ადამიანები?

— არა, მირიან! — ამოხდა მწუხარებით დარიკოს. — შენ, ისეთი დიდი ხელოვანის შვილი, როგორიც პეტრე ლარაძეა, როგორ ამბობ მაგას? არა, მირიან, — ხელოვნებაც იგივე სინამდვილეა, ჭეშმარიტი ხელოვნება ისევე მართალია, ისევე ნამდვილი, როგორც თვით სინამდვილე. ხელოვნება ხომ სინამდვილის აზრის გახსნაა, ხელოვნება ხომ ადამიანის ნებისყოფის უდიდესი გამოვლინებაა. განა მე არ ვიცი, რომ ქარხანაში მუშაობა შემოქმედებაა, მაგრამ ის მაინც სხვაა... აბა, რას ემსგავსებოდა აი აქ, ამ ქუჩის მაგიერ დეკორაციები რომ დაგვედგა, ანდა სცენაზე ნამდვილი მანქანები აგვემუშავებინა? ორივე ტყუილი იქნებოდა... როცა ქარხანაში ვარ, ასე მგონია ვტყუი მეთქი, ასე მგონია, სხვის ადგილას ვარ და სხვისი ხმით ვმღერი... მე კი მინდა, რომ მე მე ვიყო... შენ რომ მიყვარხარ,—მე ვარ, როცა მაწუხებს რამე მაშინაც მე ვარ, მიხარია, — ისევ მე ვარ. ასევე მინდა, რომ მე იქ ვიყო, სადაც მე მე ვარ და არა სხვა...

— მსახიობი ხომ სხვაა? — შეეკითხა ფრთხილად მირიანი.

დარიკო შეკრთა ამ კითხვაზე და პასუხი რომ ვერ იპოვა, ფეხები ტროტუარზე ჯიუტად ააბაკუნა.

— არ ვიცი, მირიან... მე თვითონ არ მესმის... მე დავიბენი, მირიან, დავიბენი, მაგრამ ერთი კი მაინც ვიცი, რომ მამაჩემმა გამაუბედურა... ვიცი, რომ ჩემგან არჩეულ გზაზე ბევრი გასაჭირი შემხვდებოდა, ბევრი იმედების გაცრუება, მაგრამ მაინც უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი. აბა როგორი იქნებოდა, შენ რომ ექიმი ყოფილიყავ, ან აგრონომი? კარგი იქნებოდა, მაგრამ შენ მაინც შენ ადგილას არ იქნებოდი. მოწოდება დიდი რამეა, მირიან, და ვინც მას ღალატობს, მას ეს ღალატი იაფად როდი უჯდება.

მირიანი ჩაფიქრდა.

დარიკო კვლავ განაგრძობდა:

— ხელოვანის ბუნებაში მუდამ არსებობს ორი, ერთის შეხედვით, თითქოს ერთურთის მოპირდაპირე ალღო: ალღო პირადობისა და ალღო საზოგადოებრივობისა. რამდენადაც პირადია ხელოვნება, იმდენადვე უჩვეულოა იგი და მნიშვნელოვანი, მაგრამ ამასთანავე ერთად, რამდენადაც განზოგადებულია და ხალხური, იმდენადვე ზოგადია და მომქმედი. ჩვენი ხელოვნების ბედი იმითი არის შესანიშნავი, რომ ამ ორ ალღოთა შორის წყვეტი არ არსებობს, არ არსებობს იმიტომ, რომ ჩვენი სინამდვილე იმდენად მომხიბლავია და მრავალფეროვანი, რომ ის უხვად ასაზრდოებს მას, ასაზრდოვებს ისე მძლავრად, რომ ხშირად ეს სინამდვილე მის ადგილს იჭერს და ხელოვნებასავით გვაჯადოებს. მე იმიტომ მახარებს ჩვენი სინამდვილე, იმიტომ ვმუშაობ ასეთი გატაცებით, რომ იგი ესდენ მიმზიდველია და მინდა ეს სინამდვილე ხელოვნების ფაქტად ვაქციო. მე არ ვიცი მაქვს ამისი ნიჭი თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მე ეს მინდა, მწყურია და ამის საშუალებას მამა არ მაძლევს. საკვირველია, რამდენადაც ძლიერია მამაჩემის სიყვარული ჩემდამი, იმდენად სასტიკია იგი და ულმობელი. მე მამა როდი მელობება წინ, მისი სახით მე მელობებიან ძველი ქვეყნის შეხედულებათა ის გადანაშთენები, რომლის მიხედვითაც

სცენა და სამეძავო ერთი და იგივეა. — სთქვა და უცებ მიხვდა, რომ თუ ეს მართლაც დრომოჭმულ შეხედულებათა გადანაშთენი იყო, მაშ, რაფერ ალუდგა იგი, რათ არ დაამსხვრია ეს ხუხულა და?.. მამა? მამა — რომელიც ასე უყვარდა... იმისთვის ეს ხომ სიკვდილი იქნებოდა. — ფიქრის შეეშინდა და მირიანს დაბნეული ადამიანის ღიმილით შეხედა.

— თავი მოგაბეზრე, არა, მირიან? — ახლა იმან მოიხადა ბოდიში იმნაირად, თითქოს ეუბნებოდა ამ საგანზე საუბარი მოვათავოთო.

მართლაც, ალერსში, ტკბილად შეყოლილ ბაასში გზა შეუმჩნევლად შემოლეოდათ და ბინასაც შეუმჩნევლად მისდგომოდნენ.

დარიკომ ალაყაფის ჯუჯრუტანაში შეიხედა. ცალსართულიანი პატარა სახლის ფანჯრები ჩაბნელებულიყვნენ, არცერთ დარაბაში სინათლე არ ატანდა.

ქუჩის ნათელით დაშხეფილი აკაციის თეთრად დაყურსული მტევნები მძიმედ დახრილიყვნენ და ნაზი სურნელით უხვად იფშვინებოდნენ.

— სძინავთ. — სთქვა დარიკომ წყნარად და, ხმაურობა რომ არ გამოეწვია, კარი ფრთხილად გააღო.

ღამის ნიავმა ნელი სიასამურით დაჰბერა, ჯადოსნურად ჩაბნელებული ეზოს ბალნარი იდუმალად ააშმაშურა და აკაციების სურნელებასთან ერთად იასამანის ტენიანი სურნელიც მოაყარა.

— აჰ, რა კარგია! — ამოხდა ნეტარებით და ზარხოშიან ჰაერს თან ხარბად ყნოსავდა და თან გრილი ჟრუანტელი ატანილი მოსასხამის გაურჩებულ ზედა ღილს მოუთმენლად იბნევდა.

ჭილის ქუდში ელექტროს შუქი ოდნავ იცრებოდა და დაბინდულ ცისფერ თვალებში სიყვარულისა და სიცოცხლის წყურვილი ისე მძლავრად გამოჭკრთოდა, რომ საუბარში გულგანელებულ მირიანს ვნება კვლავ სახმილივით შემოეგზნო. ქუდი მოიხადა, თმაზე ხელი რატომღაც გადაისვა, ისევ დაიხურა და გამოთხოვების წუთის სიახლოვით შეშფოთებულს მღელვარება დაეტყო.

— რა გაათენებს ახლა ამ ღამეს! — ამოხდა სასოწარკვეთილებით.

მისმა მღელვარებამ დარიკოც შეიპყრო. მეტი სიმტკიცისათვის რაზას ხელით ჩაეჭიდა და, ცალი ფეხით ალაყაფის დირეს ჩამოყრდნობილმა, კისერი ისე მოხდენილად მოიღერა, რომ ახლა ის კიდევ უფრო მომხიბლავი იყო და ძნელად დასათმობი.

ერთხანს ხმას არ იღებდნენ.

ბოლოს სიჩუმე ისევ მირიანმა დაარღვია:

— დარიკო! — კი არ სთქვა, დაიკვნესა. ოდნავ მონღოლური ირიბი თვალები ჩირაღდნებივით აენთო და ერთბაშად ისეთი სულმოსწრაფებით, ისე უთავბოლოდ დაიწყო ლაპარაკი, თითქოს ვინმე მოსდევდა. ეჩქარებოდა, ეშურებოდა, რომ ყველაფერი ახლავე ეთქვა, ერთბაშად ეთქვა როგორ უყვარს, ეთქვა, რომ უმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია, ეთქვა, რომ მისი დატოვება არ შეუძლია და ტიტინებდა, ტიტინებდა რაღაც თავბრუდამხვევ ტკბილ აბდაუბდას სულმოუთქმელად. ხმა უკანკალებდა, აძგერებული გული ყელში აწვებოდა, სუნთქვა ეკვროდა.

ის კი ისევ ისე იდგა, იდგა და სიყვარულით, თანაგრძნობით სავსე თვალებით ისევ ისე ყელმოღერებულად შესცქეროდა და ხედავდა როგორ კანკა-

ლებდა იგი შეციებულივით, თითქოს ესმოდა კიდეც როგორ ტკაცუნობდა აჩქარებული სისხლი მის ძარღვებში, გრძნობდა როგორ ეყრებოდა ვაჟკაცური ცხელი სუნთქვა სახეში ჟრუანტელის მომგვრელად, როგორ [illegible] ნესტოები ჯიშიერ ცხენივით. ტუჩები მღელვარებისაგან ისე [illegible], რომ თავის ბაგეებს თვითონვე გრძნობდა. მირიანის მწველი თვალები ისე ნელა უახლოვდებოდნენ, რომ მონუსხულივით ელოდა, მოთმინება არა ყოფნიდა, ელოდა როდის ჩაანათებდნენ სულში მხურვალებით, მაგრამ გამოერკვა, მოსაგერიებლად ხელი პირზე სათუთად ააფარა და, ვაჟკაცის მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები რომ იგრძნო, ველარ მოშორდა, მის სახეს ალერსით აელამუნა.

— კმარა, კმარა! — ეეედრებოდა ჩურჩულით მეწყერივით მოვარდნილ ვაჟკაცს და თან მისკენ მიიწევდა, უარს ეუბნებოდა და თვითონვე ვერ თმობდა. თავისი სისუსტე თვითონვე იგრძნო და გამოერკვა. მისი ალერსს მოწყურებული მთრთოლვარე ტუჩები ნელა აირიდა.

მირიანმა გამორკვვაც ვერ მოასწრო, რომ ის ეზოში გაჩნდა და კარი ვნების ალმძვრელი სიცილით მიაკეტა. მერე ჯუჯრუტანას იქიდან მოეყრდნო და მუდარით ჩასჩურჩულა:

— წადი, მირიან. წადი.

— როდის? კიდევ როდის, დარიკო?

— ხვალ, მირი, ხვალ, ქარხანაში. — და ბნელში დაინთქა.

5.

ესტატე მთელი საღამო ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. ხან რას მოკიდებდა ხელს, ხან რას, მაგრამ გული ერთ რამეზე დიდხანს არ უდგებოდა, საქმეს თავს მაშინვე ანებებდა.

— სად არი ი გოგო ამდენ ხანს? — ეკითხებოდა თავის თავს წარამარა.

საათს დახედა, არც ისე გვიან იყო, სხვა დროსაც ხშირად შეყოვნებია ასე, მაგრამ დღეს რატომღაც განსაკუთრებულად შფოთავდა. შავი ფიქრები არ ასვენებდნენ. ხვარას უიღბლოდ მოტრიალებული ბედით გულგატეხილ მოხუცს ეშინოდა ახლა ეს მეორე გოგოც არ დასჩაგვროდა. რა უყოთ, რომ შვილი არ იყო, სამაგიეროდ შვილივით ყავდა შეთვისებული. განა ხვარაც ასე არ დაელუპა? განა ისიც თავის ნებაზე არ დადიოდა? მამას არ უჯეროდა, გადაჰყვა იმ ბიჭს, ზედ გადაეგო, კაცობაში გამოიყვანა, ფეხზე დააყენა და, აჰა, სამი წელიწადი კურორტებზეა, სამი წელიწადია ებრძვის საშინელ ავადმყოფობას.

ხვარა მაგიდასთან იჯდა, გვერდით მოწაფეთა რვეულების დასტა დაეწყო და გულდასმით ასწორებდა. ყოველ დღე, დილიდან დაღამებამე ასე თავაუღებლად მუშაობდა, წუთის მოცალეობა არა ჰქონდა და, რასაც შოულობდა, სულ იმას უგზავნიდა, სულ იმის შიშში იყო იმას არა მიჰკლებოდა რა. თვითონ არ იცვამდა, იმას აცმევდა, თვითონ არ სვამდა, იმას ასმევდა... ახლა ესტატეს ეს მეორე გოგოც გაუხდა სადარდებლად.

დღეს საამქროში რომ შეუარა, რაღაც სხვანაირი მოეჩვენა.

— რამე ხომ არ დაემართა? — იკითხა ხმამაღლა.

ხვარამ რვეულიდან თავი აიღო.

— საქმემ თუ შეაყოვნა, ან თათბირს შერჩა სადმე. — სცადა მამის დაშშვიდება, მაგრამ ამაოდ, მოხუცი მაინც არ მშვიდდებოდა.

რა თათბირი უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ მას არ სცოდნოდა?

იქვე, ტახტზე, პატარა ნანული თოჯინებს ახალ ჭრელა-ჭრელა კაბებს აცმევდა, ისევ ხდიდა, ისევ აწვენდა და მერე ისევ აცმევდა. თამაშობაში გართული რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა, — უსულო ამხანაგებს რაღაცას ესაუბრებოდა. ხან ეალერსებოდა, ხან უჯავრდებოდა და ერთი მათგანი კიდევაც სცემა. ესტატე, მშფოთვარე გულის დასაწყნარებლად, ისევ იმას მიუჯდა და შვილიშვილის ალერსში მალე ისე გაერთო, რომ ყველაფერი გადაავიწყდა, საქმეში შესულ ხვარასაც აღარ ერიდებოდნენ, ოთახიდან ოთახში სიცილ-ჭყივილით დარბოდნენ, — კუკუმალულობას თამაშობდნენ.

ნანული ჯერ თვითონ დამალავდა ბაბუას სადმე მიკუნჭულ ადგილას, მერე თვითონვე ეძებდა და მისი მოულოდნელად გამოვარდნის შიშით ატანილი წინდაწინვე წიოდა, თან იცინოდა, თან ხტოდა, თან „კუკუს“, ეძახდა და, დამალული მაინც რომ არ ჩნდებოდა, სამალავთან თვალგაფაციცებით მისული სასაცილოდ ეხვეწებოდა

— ნუ, ჩემო ბაბულიკო, ნუ! ძაან არ შემაშინოვო.

ბავშვის დაწოლის დროსაც მოატანა.

ხვარამ რვეულები იქით გადასდო და შვილს ალერსიანი ღიმილით, მაგრამ მტკიცედ მიმართა:

— აბა, ახლა ძილის დროა და პირი დავიბანოთ. — გაანცებული ბავშვი მაინც არ დასცხრა, მაინც დარბოდა, მაინც ლაღობდა.

ხვარამ ერთხანს კიდევ უცქირა, უცადა, მაგრამ მათ ცელქობას საზღვარი მაინც არ დაედო. ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა და ორთავეს გაუჯავრდა:

— გეყოფათ ახლა, დაიძინეთ! — მაგრამ მაინც არა გამოდიოდა რა, მის ბრძანებას ფოლადი აკლდა და ვერც შვილიშვილი და ვერც ბაბუა თამაშობას ვერაფრით ვერ მოსწყვიტა.

— ცოტა კიდევ, ცოტა ლაა — ემუდარებოდა ნანული და მამისებურ ოქროს კულულებიან თავს კალთაში ალერსიანად უდებდა, თან მესკია ჩიტივით კისერმოღერებული სახეში ხან აქედან ახედავდა ირიბულად, ხან იქიდან და უკმაყოფილო მშობელს ისე ელამუნებოდა.

ხვარას უნებურად გაეღიმა.

— ჰაი, შე კუდიანო, შენა! — მიეფერა შვილს და თავზე ხელი დაუვავებით გადაუსვა.

იმათაც ეს უნდოდათ, — ისევ სირბილი, ისევ სიცილი, მაგრამ ბოლოს ისინიც დაიქანცნენ, დაღლილნი ისევ ტახტზე მიეყარნენ.

— მოდი, ბაბუ, ამაღამ შენთან დავწვები და ზღაპარი მიამბე-ე! აი, ის, ხემწიფეს ლომ ზალბაზანი ესლოლეს... — უცებ დარიკო დეიდასთან შეხვედრა მოაგონდა.

— დედა, ვინ იყო ის ძია, დღეს ლომ დეიდასთან ვნახეთ? აი, ეგეთი... — ერთი სასაცილოდ აიფხორა, სახე შესაქცევად მოიღრიცა, მაგრამ ამაოდ, მაინც ლამაზი იყო, მაინც საყვარელი და ოთახში თვალდაჭყეტილად, გაბღენძილად გაიარ-გამოიარა...

ხვარას შვილის ამ საქციელზე ხმამაღლა გაეცინა, უფრო ხმამაღლა, ვიდრე ეს საჭირო იყო. ამ სიცილით მას ბავშვის სიტყვების მიფუჩეჩება უნდოდა, მაგრამ მამის გულისყური მაინც ვერ გაფანტა.

— ვინ ძია, შვილო? — ყური სცქვიტა მოხუცმა.

— აი ისა... აი იგეთი... სთქვა ნანულიმ, მერე რატომღაც გული მოუვიდა და გაბუტულმა მოკლედ მოსჭრა: — ლა ვიცი ლოგოლი...

ესტატემ შუბლი კუშტად შეიკრა და ახლა შვილს მიუბრუნდა:

— ვისთან იყო დღეს ი გოგო?

ხვარამ მამას რაღაც აბდაუბდა მიუკიბ-მოუკიბა, მაგრამ [illegible] ისეთი მიამიტი ვინმე იყო, რომ მისთვის გზაკვალი ეგრე ადვილად [illegible] თავი აქეთ-იქით სინანულით გაიქნია. არა უთქვამს რა. რომ ეთქვა კიდევაც, რას გაიტანდა? ახალგაზდებს თავისი საიდუმლოება ჰქონდათ. იცოდა მაინც არას გაუმხელდნენ. ხასიათი უცებ წაუხდა, ვერც ითამაშა, არც არაფერი ჭამა და უცებ ძილი მოიმიზეზა.

ნანული მაინც არ ეშვებოდა. იმდენი ეხვეწა, იმდენი ემუდარა, რომ თავისი ლოგინი მეორე ოთახში მაინც გაატანინა და იმ ღამეს ბაბუასთან დაწვა.

ხვარა ისევ მუშაობდა.

ისინი ისევ ტიტინებდენ, ლოგინში ნებივრობდნენ, მაგრამ ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა და ძილი ორთავეს შეუმჩნევლად შეეპარა.

6.

ხვარას დიდხანს არ დაუძინია.

ერთხანს რაღაც ახლად გამოცემული რომანი იკითხა, მაგრამ შიშით, რომ მამას არ გაღვიძებოდა და დარიკო არ მოეკითხა, სინათლე ადრევე ჩააქრო. ნანულის მის გვერდით არ ეძინა და ამ ბინდებში მარტო დარჩენილი უმიზეზო სევდამ შეიპყრო. ერთი ორჯერ ადგა, იმათ ოთახში გავიდა, მძინარეებს დახედა, საბანი გაუსწორა და ისევ თავის ლოგინში დაწვა. ფიქრი ფიქრს წაეება, საგონებელი საგონებელს და ძილი სულ გაუტყდა, თვალს რული არ ეკარებოდა.

ვინ არის ეს ლარაძე? რა კაცია? რა ხასიათის? იქნებ ისიც თავის მამასავით დაუდეგარია და მოუსვენარი? ეშინოდა, რომ დარიკოც იმასავით არ გაუბედურებულიყო. თუმცა ცხოვრების თავიდან დაწყება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ისევ ამ გზას აირჩევდა, გზას, რომელმაც ის აქამდე მოიყვანა. ღამის სანათის მკრთალ სინათლეზე ქმრის ბარათს დახედა, თვალი ცრემლით აევსო. თუ უწინ მისი წერილები მუდამ ვრცელი იყო, ალერსიანი და შინაარსით აღსავსე, ახლა მხოლოდ ღია ბარათებს იმეტებდა, ისიც ათასში ერთხელ, ისიც, თუ რამე დასჭირდებოდა. ეტყობა, ამ ბოლო დროს ფარსაგი არ სჭირდა. ლექსების წერა სხვა კილოთი იწყო. ის ტემპერამენტი, ის გატაცება დღევანდელობით არ მოსჩანდა მის შემოქმედებაში. ფანტასტიური ღამეები, ვიღაცის ხატება, უსაგნო ოცნება და ბუნდოვანება თანდათან მძლავრად ეუფლებოდა მის ნიჭს. ახლა თურმე რაღაც პიესასა სწერს პეტრე ლარაძის თეატრისათვის, პიესას მუდმივი სიყვარულისა და შვილიერების გამო... ბარათი სასთუნალ ქვეშ ამოიდო, თვალი დახუჭა, მაგრამ მაინც არ ეძინებოდა, უთავბოლოდ აშლილი ფიქრები მაინც არ ასვენებდნენ.

ძილს კიდევ უფრო ის უკრთობდა, რომ შვილის ფიქრები აეკვიატნენ და, ვინ იცის, სანამ იქნებოდა ასე, კარებში გასაღების ფრთხილი ხმაური რომ არ გაეგონა.

მაშინვე მიხვდა ვინც იყო. ვრცლად გაღებულ შუა კარებში დარიკოს ოთახს გახედა და ბინდებს ნაჩვევი თვალებით მკაფიოდ დაინახა, როგორ შემოვიდა ის ფეხაკრეფით.

— შენა ხარ? — შეეკითხა მღელვარე, მაგრამ დაოკებული ხმით ისე, რომ ბალიშზე თავი არ აუღია.

— მე ვარ. — მოკლედ მოუჭრა დარიკომ და კილოზე მიხვდა, რომ ხვარამ ყველაფერი იცოდა, მიხვდა, რომ მის მოლოდინში მეგობარს ძილი გაკრთომოდა. სინათლეც, ალბათ, მამის დასამშვიდებლად არ აუნთია, ბავშვის ლოგინიც თავის ადგილას რომ აღარ დახვდა, უცებ გაისაზრა, რომ ნახულის, ალბათ, ბაბუას ოთახში ეძინა.

ახლა ის ისეთ მდგომარეობაში იყო, მისი ცხოვრება დღეს ისე მოულოდნელად შეიცვალა, რომ სიმარტოვე, თავდავიწყება სწყუროდა და ერჩია ხვარასაც სძინებოდა.

— ჩაი გააცხელე. — სთქვა ხვარამ ისეთივე კილოთი, როგორც წელან.

— არ მინდა. — მოკლედ მოუჭრა დარიკომ და მის ოთახში რომ არ გამოვიდა, ხვარა ლოგინში წამოიწია, ელექტროს ვაშლს წასწვდა და ოთახი ერთბაშად განათდა.

ბნელს ნაჩვევი თვალები დარიკოსათვის სინათლეს იმდენად არ მოუჭრია, რამდენადაც შუბლი უსიამოვნოდ შეიჭმუხნა.

ხვარა მიხვდა, რომ ახლა მასთან საუბარი არამც თუ ძნელი, ზედმეტიც იყო, ცოდვაც იყო. მიხვდა ის თავისი ფიქრებითა და საზრუნავით ისე იყო გატაცებული, რომ ლაპარაკი ამაოდ გააწვალებდა.

თვალყურს ისევ ხმისამოუღებლად ადევნებდა. არ ხედავდა, მაგრამ გარკვევით ესმოდა, როგორ დაიბანა ხელპირი მისმა მეგობარმა, როგორ მივიდა სარკესთან. მერე ხედავდა, როგორ ჩამოჯდა თავის ლოგინზე, როგორ იხდიდა ტანისამოსს, იხდიდა ისე, რომ იმისკენ არც გამოუხედავს.

ლოგინები მათ განზრახ ედგათ ასე გამოსაჩენად, ედგათ იმიტომ, რომ ღამით ბავშვის საწოლისათვის ორივეს ყურადღება მიექცია. რამდენადაც ეს დარიკოს აქამდე ახარებდა, ახლა იმდენადვე ნანობდა, ნანობდა, რომ ის ასე დასანახავად იყო გამოდგმული. ხვარამ მის მარმარილოსაგან ჩამოქნილ აღნაგობას თვალის შევლებაც ვერ მოასწრო, რომ ღამის პერანგი გადაიცვა.

სხვა ასეთ დროს მათ სალაპარაკო დილამდის არ გამოელეოდათ. ახლა შეთქმულებივით იყვნენ და ხმას შეთქმულებივითვე არ იღებდნენ. ბოლოს ისევ ხვარას არ მოუთმინა გულმა. აკეცილ მუხლებზე ხელები მჭიდროდ შემოირკალა, ერთი განზრახ ამოახველა, კიდევ ამოახველა და მეგობარს ალერსიანად, ხმადაწეულად გასძახა:

— დარიკო, ერთი გამომხედე.

დარიკო მაშინვე წამოდგა, მთვარეულივით უჩუმრად მისკენ გამოემართა. კარის ამყოლს გამგონე ბავშვივით მორჩილად მიეყრდნო, მაგრამ დაჟინებით მოჩერებულ მეგობარს თვალი ვერ შეუმართა, თავი მოკრძალებით დახარა.

ღამის პერანგში ის კიდევ უფრო მომხიბლავი იყო, კიდევ უფრო მიმზიდველი, უმანკო და, რამდენადაც დარიკოს ამხანაგის ეშხიანი სიშავე ჰშურდა, იმდენად ხვარას მისი სისპეტაკე შეშურდა ახლა.

ერთხანს ხმას არ იღებდნენ.

დარიკო ადგილს ერთბაშად მოსწყდა და მეგობრისაკენ გულამომჯდარი ტირილით გაქანდა.

— ხვარა ხვარა! — ეს ღა მოახერხა, ცრემლმა ყელი გადაუკეტა.

ხვარამ მეგობარი გულში მხურვალედ ჩაიკრა.

გული იმასაც ამოუჯდა, მაგრამ თავი შეიკავა. ოდნავ რომ დამშვიდდნენ, თავი ნელა გადაუღო და ბედნიერებით სავსე თვალებში მშვიდად, თანაგრძნობით ჩახედა.

— ვიცი, ჩემო დარიკო, ვიცი. — სთქვა წყნარად, სთქვა ისე, თითქოს ლოცავდა, მერე გულში ხელი ჰკრა და ალერსით შეუტია:

— წადი ახლა, დაიძინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.

მირიანი ტროტუარზე მთვრალივით მიაბიჯებდა.

ქალაქს, მის თბილისს, ეძინა.

ქუჩებში სიწყნარე იყო.

გრძნობა იმისა, რომ დღეიდან ის ქალაქის მთავარი ხუროთმოძღვარია და დიდი შემოქმედების გზა მისთვის ვრცლად არის გახსნილი, გულს სიხარულით უძგერებდა.

ამ სიწყნარეში ეს სიტკბო კიდევ უფრო საგრძნობი იყო.

ხვალ სხვა დღე თენდებოდა, ხვალ სხვა ცხოვრება იწყებოდა, დღე დიდი შრომისა და შემოქმედებისა, ცხოვრება კიდევ უფრო გააზრებული და გატაცებული.

დღეიდან მისი ცხოვრება სხვა სხივით, სხვა შარავანდედით შეიმოსა და გრძნობა, რომ დარიკო იმისი იყო, შრომის სურვილს უათკეცებდა.

სადღაც, ბაღში, ვიოლინო ტკბილად კვნესოდა და ეს გულითადი კვნესა გულს უჩუყებდა. ეს — კვნესა იყო სიყვარულით სავსე გულისა, კვნესა გამოწვეული დიდი ნეტარებით.

დარიკო ისე დაეუფლა მის არსებას, რომ მის გარეშე ფიქრიც არ შეეძლო, ყველა მის საზრუნავს ის ახლდა, ის დაჰნათიდა. ყველაფერი, რაც მას ყურადღებას იპყრობდა, იმასაც შეეხებოდა და გული მომავლის იმედებით ევსებოდა.

ბინას რომ მიადგა, ეწყინა. არ უნდოდა, ასე მალე მისულიყო შინ, არ უნდოდა, რომ ასე მალე გაევლო ეს გზა ბედნიერებისა, უნდოდა დიდხანს, კიდევ დიდხანს ეტარებინა გულით ქუჩა-ქუჩა ეს ნეტარება.

კარი ნელა შეაღო და ისე, როგორც სხვის ბინაში, ელნათურის ღილს კარგა ხანს ვერ მიაგნო. ბოლოს იპოვა, როგორც იქნა, და, მისი ნახაზებითა და წიგნებით სავსე სტუდენტური ოთახი ერთბაშად რომ განათდა, შედგა. ეს ოთახი და თავისი მარტოხელა ცხოვრება შორეულად მოეჩვენა. ამ დილას აქეთ იმდენ დროს გაეარა, იმდენი განეცადა და თვითონაც იმდენად სხვა იყო, რომ ყველაფერი, რასაც ხედავდა, ნამდვილი კი არა, დიდიხნის წინად დავიწყებული წარსულის მოგონება იყო. აქაურობა უცებ ისე უთვისტომოდ, ისე უკარებლად მოეჩვენა, რომ ეგონა სადღაც სხვაგან იყო. ახლა, როცა ის დღემუდამ სხვათა ბინების ზრუნვაში უნდა ყოფილიყო, ახლა, როცა ის ასე იყო აღსავსე სიყვარულით, მომავლის ტკბილი იმედებით და მარტო ცხოვრება ვერ წარმოედგინა, მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ უბინაო ყოფილა და თავის ბუნაგზედაც უნდა იზრუნოს.

თავი მეექვსე

1.

პეტრე ლარაძეს წუთის მოცალეობა არა ქონდა.

მთავრობის საგანგებო დადგენილებით მისივე შვილი, მირიან ლარაძე, მისთვის ახალ თეატრს აშენებდა და მამა-შვილნი მთელ დღეებს მშენებლობაზე ატარებდნენ. ეს იმათ მოისაზრეს, რომ შენობა ქართული უძველესი ტაძ-

რების მსგავსად აეგოთ, — რეზონანსისათვის კედლებში ღრმა წალობები და ქვევრები დაეტანებინათ. ლარაძის თეატრის განსაკუთრებულება დადგმათა რიტმიულობაში გამოიხატებოდა და ამიტომ ზრუნავდა ის ასეთი მონდომებით რეზონანსის სიმდიდრისათვის. ეს ქვევრები ისე უნდა მოწყობილიყო, რომ მათი სარქველთა ახდა და დახშვა ერთი კაცისაგან ყოფილიყო დამოკიდებული. თუ მის თეატრში განათებას ერთი პირველი ადგილთაგანი ეჭირა, ამიერიდან ხმოვანებაც უდიდესი ყურადღების საგნად იქცეოდა. ამას გარდა, პეტრე ლარაძეს მეორე დიდი საზრუნავიც ქონდა. მომავალ სეზონისათვის რამდენიმე ახალ წარმოდგენას ამთავითვე ამზადებდა და მათ შორის დათა კახაბერის პიესასაც. მართალია, ეს დრამა მას მოპასანის ერთ მოთხრობას მოაგონებდა, მაგრამ რატომღაც მაინც მოსწონდა და სეზონის გახსნას იმითი აპირებდა.

პიესაში ქმრის უსაზღვრო სიყვარულით დაბრმავებულ ახალგაზდა დედინაცვალს ეჭვი ახრჩობდა, ეჭვი, რომ ამ დიდი გრძნობის მოზიარედ სამი წლის გერი ყავდა. ეს ბავშვი მისი ქმრისა და „იმისი“, პირველი ცოლის, სიყვარულის ნაყოფი იყო, „იმისი“ რომელსაც ის ასე გავდა. გაანჩხლებულმა ქალმა ბავშვს დედის სურათები დაუხია, მაგრამ ეჭვიანობამ მაინც არ მოასვენა.

ერთ ზამთრის ქარბუქიანი ღამით, ბალღს თავის ლოგინში საბანგადაგდებულს რომ ეძინა, სიგიჟით შეპყრობილ დედაკაცს თავში ჯოჯოხეთური აზრი მოუვიდა, მისი ოთახის ფანჯარა ვითომც ქარმა გააღო და ბავშვი ორპირი ქარით სასიკვდილოდ გააცია.

არავინ არ იცოდა რა დაემართა, ან რამ დააწერინა ასეთი საშინელი პიესა დათა კახაბერს, პიესა, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ოჯახის საფუძვლებს. რა დაემართა იმ ადამიანს, რომელსაც თვითონ ამ ორიოდე თვის წინად ბავშვი მენინგიტით დაელუპა. რა იყო ეს? იქნებ ბრალდება იყო ხვარასადმი? თუ ეს ასე იყო, მაშინ რაოდენ არაადამიანურად სასტიკი და დაუზოგავი უნდა ყოფილიყო ეს კაცი. იქნებ, წლების განმავლობაში მხოლოდ თავის თავზე ზრუნვამ გაათავკერძოვა ასე? იქნებ, ცოლ-შვილის სიშორემ დაუკარგა ოჯახის ყადრი? ყველას აშფოთებდა ეს პიესა, ყველას აბრაზებდა, მაგრამ პეტრე ლარაძე რაღაც მოსაწონს მაინც პოულობდა და მისი დადგმის განზრახვაზე ხელს არ იღებდა. ვინ იცის, იქნებ, ევროპაში იძულებითი ყიალისა და სიმბოლისტურ-იმპრესიონისტულ ლიტერატურულ სკოლათა გამოძახილიც იყო მისი ეს სიჯიუტე? პიესაში ის ხედავდა სიყვარულისა და ოჯახის, გრძნობისა და მოვალეობის დაპირისპირებას, რომ სიყვარული და მუდმივი ქალოვნება მუდამ მაღლა დგას ოჯახსა და დედობრივობაზე.

ვერც შვილის უკმაყოფილებამ და ვერც სარეპერტუარო კომიტეტის დაწუნებამ მასზე ვერ იმოქმედა.

ვერც ხვარა მოდიოდა აზრს თუ რა დაემართა მის ქმარს და მაშინვე განრისხებული წერილი გაუგზავნა. ის სწერდა, რომ მან ამ პიესით ხელმეორედ მოჰკლა მათი სიყვარულის ნაყოფი, მისი პატარა ნანული, რომ მისი ლოთობა, უწესრიგობა ბავშვობაში შემთხვევითი არ ყოფილა და ის, არამცთუ საბჭოთა მწერალია, არამედ საბჭოთა ადამიანიც არ არის. რომ მან ვერ შეიღირსა საზოგადოებისა და მთავრობის პატივისცემა და სადღაც, უფსკრულისაკენ, მიექანება. აქედან დასკვნებიც თავისთავად გამოდიოდა, მაგრამ ჯერ არა ჩქარობდა, უცდიდა, თავს არწმუნებდა, რომ ის, ალბათ, რაიმე შემთხვევითი მიზეზით იყო დაწერილი, იქება ნანულის დაღუპვამ ჩააგდო იგი ასეთ სასოწარკვეთილებაში და დარდით საზოგადოებრივი ალღო დაკარგა?

ხვარას თვითონ პეტრე ლარაძესთანაც მოუვიდა უთანხმოება და ადამიანი, რომელიც ქმრის წიგნებს შვილსავით პატრონობდა, ელოლიავებოდა, ცდილობდა შიგ არცერთი კორექტურული შეცდომა არ შეპარულიყო, ახლა მის წინააღმდეგ მოქმედებდა, უნდოდა ეს პიესა როგორმე მოეხსნა, მაგრამ არა გაუვიდა რა, პეტრეს მოტეხვა არც ეგრე ადვილი იყო. პეტრე დადგმას მაინც აპირებდა, ოღონდ ერთი რამ აბრკოლებდა, — დედინაცვლის როლისათვის შესაფერი მსახიობი ვერ ეშოვა, მსახიობი, რომელიც ამ ტრაგედიას ხელოვნების სიმაღლემდე აიტანდა.

ერთ დღეს, როცა ის რკინიგზის მთავარ სახელოსნოების თვითმმქმედ დასის წარმოდგენაში თავისი რძლის, დარიკო დემურიას, თამაშს უცქეროდა, სიხარულით ცას ეწია.

— ვიპოვე! ვიპოვე! — გაიძახოდა და ხან სიხარულით ტიროდა, ხან იცინოდა და თავის ულაზათო, წითლად დაღვარჭნილ ხელებს მეტის კმაყოფილებით იშმუშნიდა.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ ქარხნის დირექტორთან მივიდა და სთხოვა, რომ რძალი მისთვის დაეთმოთ.

დარიკო სიხარულით ფეხზე არ იდგა. უხაროდა, რომ ამდენი ხნის ოცნება უსრულდებოდა, მაგრამ ასკურავამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— რას ამბობთ? დარიკო ჩემი ქარხნის თვალია და თქვენ გინდათ, რომ ეს თვალი ჩემივე ხელით ამოვითხარო? აა, პა-პა-პა-პაჰ, ეს ნომერი არ გამოვა.

ვერც ქარხკომის, ესტატე თაბაგარისა, და ვერც სხვათა თხოვნამ გაკერპებულ კაცზე ვერ იმოქმედა, ასკურავას ამის გამო სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა.

დარიკოს დარდით ძილი გაუტყდა, წონასწორობას ხშირად კარგავდა, გახდა და ფერთანა და წონასწორობასთან ერთად ზუსტი, მტკიცე მოქმედების უნარიც დაკარგა.

პირველ ხანებში არ ამხელდა, სცხვენოდა თავისი თავის, მაგრამ ასკურავას გამჭრიახ თვალებს რა გამოეპარებოდა, — მაშინვე მიხვდა თუ რა დარდიც ულრღნიდა გულს, მიხვდა, რომ მისი აქ მუშაობა საცოდაობა იყო.

ერთ დღეს დარიკო სამხაზველოში მათივე ქარხნის მუშა-გამომგონებლის რთულ კონსტრუქციის დაზგის ნახაზზე მუშაობდა, მაგრამ ხელი ნებაზე არ მოყვებოდა, თითები შეციებულივით უკანკალებდა და ერთი რაღაც დეტალი ვერასგზით ვერ ამოხაზა. ასკურავამ უცქირა მის მუშაობას, უცქირა, მერე გაგულისებით წამოდგა და დაფაზე დუგმებით დაბნეული ნახაზი ხელში უსიტყვოდ გამოაცალა.

სახტად დარჩენილმა ინჟინერმა დირექტორს გაკვირვებით ახედა.

— ჰოო-ჰო, რა ეგრე მიცქერ! — სთქვა განზრახ უბირად ასკურავამ და დაფა კედელს გაგულისებით მიაყუდა. — ასე არ შეიძლება, ამხანაგო. მე შენ გეუბნები, არ შეიძლება-მეთქი! — შეუტია ხმის აწევით და მერე ერთბაშად მიახალა — დღეიდან თავისუფალი ხარ, გაიგე?

დარიკო ისევ ისე იდგა და არაფერი არ ესმოდა, ისევ ისე გაკვირვებით უცქეროდა რატომღაც გაცხარებულ კაცს.

არასოდეს მასთან ასეთი კილოთი არვის არ ულაპარაკნია, პირიქით, ხელითხელში ატარებდნენ და ახლა? ამ მკვახე სიტყვებს ის ისეთი ტკივილით ამბობდა, რომ გულის მოსვლაც არ შეიძლებოდა.

— კი მაგრამ...

ასკურავას შეეშინდა ერთბაშად გული არ აჩუყებოდა და სიტყვა აღარ დაანება.

— მაგრამებისა მე არა ვიცი რა... ჩვენთვის, ბოლშევიკებისთვის მაგრამები არ არსებობენ... ხვალიდან შენ თანამდებობას შენი მოადგილე შეასრულებს... სხვა ხომ არაფერი გაქვს სათქმელი?

დარიკოს სათქმელი ბარემ ბევრი ქონდა, მაგრამ ის სიტყვას ისევ ისე არ ანებებდა. არ ანებებდა, რადგან ისევ ეშინოდა თავისი თავის...

— მაგრამებზე კი შემდეგ მოვილაპარაკოთ... — და ამ სიტყვებით კარს მიაშურა, შედგა. უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც და არ იცოდა საიდან დაეწყო. რატომღაც მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ წარბის ერთი ბალანი ძირს დახრილიყო და თვალში ეჩოთირებოდა. გაგულისებით მოიგლიჯა და ისე სთქვა:— ხო, ერთი „მაგრამ" მართლაც არსებობს... აი, წახვალ... ეგ არაფერი... დაგვტოვებ, მაგრამ არ დაგვივიწყო, გოგო!

დარიკოს თვალებში ცრემლი მოადგა.

ასკურავა ცრემლს ვერ იტანდა და გამყლავნებული გრძნობების დასაფარავად ვითომ გული მოუვიდა:

— ეხ, დამიწყო ახლა ამან! — სთქვა განზრახ აგდებულად და კარი ისე ღონივრად გაიხურა, რომ ვაგონების გამონაცვალი ხის მასალით ჭრელა-ჭრელად აჭედილმა ფიცრულმა კედლებმა რყევა იწყეს.

დარიკო მარტო დარჩა.

ახლა, როცა ყველა გზები გაეხსნა, აქაურობას ვერ ელეოდა.

აქ, ქარხანაში, დაქალდა იგი. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, ბავშვი იყო პრაქტიკის მისაღებად რომ გამოგზავნეს. ძია ესტატემ ხელიხელ ჩაკიდებული მოიყვანა ღიმილით და მუშებიც ალიმოდნენ მის ახალგაზდობაზე, მის მოკრძალებაზე. ახლა, ყოველი საამქრო, ყოველი დაზგა, ყოველი მუშა მის განუყოფელ ნაწილად რომ იქცა, ახლა უნდა დასტოვოს აქაურობა და ახალი ცხოვრება დაიწყოს.

მუხლმოკეცილი სკამზე დაეშვა, მაგიდაზე დამხობილმა თავი ხელებში ჩარგო.

2.

დარიკო თავისი მამამთილის დასს რეპერტუარის მოსამზადებლად ქობულეთს გაჰყვა.

ასლან დემურიამ ეს ამბავი რომ გაიგო, ზაფრით კინალამ შეიშალა და შვილს გადიდგულებულად შეუთვალა, რომ მას, ძველ რევოლუციონერს, ცხრაასხუთი წლის წითელ რაზმელსა და შთამომავლობითი პროლეტარს შვილი ჰყავდა და ახლა აღარა ჰყავს, რომ ის მისი მამა არ არის. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დარიკო მაინც არ ეშვებოდა, წერილს წერილზე უგზავნიდა, ემუდარებოდა, სთხოვდა როგორმე ეპატივებინა მისთვის ეს დანაშაული. თვალცრემლიანი ატყობინებდა რომ წლების განმავლობაში ინახა იმისი ხათრი და წლების განმავლობაში იტანჯებოდა იმისი სიყვარულით. ათასნაირი ტკბილი სიტყვებით ეალერსებოდა, გულს უყვავებდა, მაგრამ გაკერპებული მშობლის გული მაინც ვერაფრით ვერ მოიგო. ასლანმა ამდენი ხვეწნა არად ჩაუგდო და შვილი უბრალო პასუხის ღირსადაც არა სცნო. დარიკოს ამ მწუხარებას ისიც დაერთო, რომ თავი ფეხმძიმედ იგრძნო და არ იცოდა რა ექნა. ქარ-

ხანა დატოვა, მამა მოიმდურა, ამდენი მსხვერპლი გაიღო და ახლა შემოქმედების ლაღად გახსნილ გზას მისივე წიაღში ჩასახული შვილი უკეტავდა. სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვა, გადასწყვიტა, სანამ გვიან არ იყო, ხელოვნურად მოესპო ეს დაბრკოლება, მაგრამ შვილისშვილის მოლოდინით გაბარებულ პეტას ამისი გაგონებაც არ უნდოდა. მუშაობის დასრულების შემდეგ ამდენი მლელვარებითა და მუშაობით დაოსებული რძალი მოსასვენებლად ერთი თვით კვლავ ქობულეთში დატოვა და თვითონ თავისი დასით ისევ თბილისს გაემგზავრა. დარიკო ყველაზე მეტად მაინც ხვარას წერილმა ააღელვა. საწყალმა არც ისე დიდი ხანი იყო, რაც თავისი ნანული დაკარგა და ახლა აბორტის გაგონებაც თავზარსა სცემდა. იცოდა და არა სჯეროდა, რომ ის მისი ქმრის პიესაში ისეთი ადამიანის როლს თამაშობდა, რომელიც ბავშვს სასიკვდილოდ იმეტებდა. თუ ის ქალია, თუ ის ცოლია, თუ ის სატრფოა, მაშინ ის დედაც არის, დედა იმისი,ვინც მის წიაღში ასეთი გატაცებული სიყვარულის შედეგად ჩასახულა. თუ ეს ასეა, რამ დააბრმავა, როგორ არ ამჩნევს, რომ მისი როლი, როლი რომელსაც ის ამზადებს პატოლოგიური ხასიათისაა? როგორ შეუძლია მას ამ როლის განცდა, ან და სად არის მისი ქალობა?

დარიკო ისე დააბნია, ისე ააღელვა ხვარას ამ სიტყვებმა, რომ არ იცოდა რა ეპასუხნა. ყველა წინ აღუდგა, ყველა ებრძოდა, — მამა, ქმარი, მეგობარი და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ამ გზაზე სიარული ძალზე ძნელია, რომ აქაც ისევე, როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე, დიდი ბრძოლაა საჭირო. ბრძოლა ახალი შეგნების განსამტკიცებლად, ბრძოლა ახალი კომუნისტური ყოფაცხოვრების დასადგინებლად, მაგრამ როგორ, რა გზით? ჯერ გამოუცდელი იყო, ჯერ ახალი იყო და თავი ისე უმწეოდ იგრძნო, რომ ახლა ქმარი აავსო წერილებით. ეძახდა, ეევედრებოდა, — ერთხელ მაინც ჩამოსულიყო მასთან, თუნდაც ერთი დღით, რადგან მარტოა და გრძნობს, რომ დასაყრდენი ეცლება, არა, კი არ ეცლება, — ეცვლება. სწერდა ათასნაირ საალერსო სიტყვებს, სჩიოდა, რომ უმისობა არ შეუძლია, რომ მასთან ყოფნა, მისი ალერსი სწყურია, მაგრამ ამაოდ. მირიანი ვერ იცლიდა, თბილისის მშენებლობა ისე ვრცლად გაიშალა, რომ სამუშაოს წუთით ვერ ტოვებდა. ჯერ ისიც გამოუცდელი იყო და საქმის იმნაირად დაწყობა არ იცოდა, რომ თავისი პირადი ცხოვრებისათვის დრო დარჩენოდა. ან იქ რა გული მოუთმენდა, როცა თბილისში მისნი ნატვრანი, ოცნებანი და მისწრაფებანი ხორცს ისხამდნენ, ყოფიერებაში სახიერდებოდნენ; როცა მისთვის ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის მიჯნა წაშლილი იყო; როცა მისი სიცოცხლისა და არსებობის აზრი ასე განუყოფელად შერწყმოდა საბჭოთა დიად სინამდვილეს; როცა მისი გონებრივი სალარო ისე იყო სავსე ახალი აზრებით, რომ მუშაობის წყურვილს ვერ აოკებდა; როცა აღორძინებული სამშობლოს სოციალისტური დედაქალაქი ისეთი სისწრაფით იზრდებოდა, რომ ვერც ისა და ვერც აღმასკომის არქიტექტორთა სახელოსნო საქმეს ვერ ასდიოდნენ.

ახალი უბნები, პროსპექტები, მოედნები, ძეგლები, პარკები, სკვერები, ხიდები, სანაპიროები, სასახლეები, თეატრები, მუზეუმები, კინოები, ვაგზლები, ფაბრიკა-ქარხნები, კომბინატები, ელევატორები, მაცივრები, გარაჟები, პასაჟები, საავადმყოფოები, სასტუმროები, ლუქსის მაღაზიები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები და კოტეჯები, აურაცხელ მშენებელ ინჟინრებს, გეოლოგებს, არქიტექტორებს, ეკონომისტებს, ბუხჰალტრებს, ტექნიკო-

სებს, სამუშაოთა მწარმოებლებს, მუშახელს, მასალას, ტრანსპორტს, დროსა და საქმიანობას მოითხოვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიან ლარაძე მთელ დღეებს სახელოსნოსა და მშენებლობაზე ატარებდა და თავისი გამოუცდელობით საქმე ისე ვერ მოაწესრიგა, რომ ერთი ორი დღით ცოლის სანახავად კურორტზე გამგზავრებულიყო.

სულ იმის ფიქრში იყო, რომ ეს უთვალავი ნაგებობანი ერთურთისაგან გათიშულად არა მდგარიყვნენ; ცდილობდა, რომ მათ თავისი წყობით და ურთიერთ შეხამებით ერთი მთლიანი, თანაზომიერად გარდამავალი მოხდენილი გამა შეექმნათ და, ამასთანავე ერთად, ხუროთმოძღვარს სრული საშუალება ჰქონოდა, რომ თავისი ნიჭი, ხასიათი და ფანტაზია მეტის შეუზღუდველობით გამოემჟღავნებინა. არქიტექტურული ანსამბლის ამ ხერხებს ის, გამოჩენილ ხუროთმოძღვართა გარდა, მამისაგანაც სწავლობდა. მამისაგან, რომელიც თავისი წარმოდგენებითა და სცენიური ანსამბლებით ყველას აკვირვებდა.

მისი რეპეტიციები მუდამ ახალს, ჯერ უცნობ საიდუმლოებებს ხსნიდა ამ დარგში. მის თვითეულ რეჟისორს ცალკე პიესა ქონდა მინდობილი დასადგმელად და თითქმის ერთსა და იმავე დროს რამდენიმე წარმოდგენა ერთად მზადდებოდა. არც ავტორს და არც არავის უფლება არა ჰქონდა დასწრებოდა ამ მუშაობას. სანამ რეჟისორი საქმეს არ მოათავებდა, მანამ არც თვითონ ერეოდა მის საქმეში. ცდილობდა, რომ მათ თავისუფლად, გარეშეთა ზეგავლენის გარეშე გამოევლინებინათ თავისი ნიჭის მთელი თავისებურებანი.

დაამზადებდა რეჟისორი რაიმე სცენას და კმაყოფილი, რომ კარგად გამოვიდა, პეტას ამაყად დახვდებოდა. ისიც ნახავდა ნამუშევარს, მოიწონებდა; თუ მომუშავე ახალგაზდა იყო, ქებით ცად აიყვანდა, რადგან უყვარდა მათი წახალისება, მერე განზე გამდგარი, ნახევრად დაღეჭილ პაპიროსს იქით გადაადგებდა და ისე იტყოდა:

— კარგია, ძალიან კარგია, ოლონდ ეს აქ რათ დაგიყენებიათ? იქნებ, ასე აჯობოს, ა? აბა ერთი ეს ასე დააყენეთ. ის ცოტა იქით მიაბრუნეთ. ესენი კი საფეხურებზე გაანაწილეთ, თორემ ისე კიბე ზედმეტია. აი ასე.—და ვერც გაოცებული რეჟისორი, ვერც მირიანი წელანდელ მიზანსცენას ველარა სცნობდნენ. მსახიობებიც უფრო ლაღად გრძნობდნენ თავს და უფრო შეუზღუდველად, შეთანხმებულად თამაშობდნენ. თითქოს არაფერი არ შეცვლილა და მაინც ყველაფერი ერთბაშად ცოცხლდებოდა, სულს იდგამდა, სისხლ-ხორცით ივსებოდა.

მისი სცენიური განაზრახი მუდამ მკაფიო იყო და არაჩვეულებრივად რიტმიული. ყოველი სიტყვიერი შტრიხი მას გასაოცარ სიზუსტითა და მოხდენილობით გადაჰქონდა მოძრაობაში. ყოველი მუსიკალური ფრაზისა, ყოველი ტაქტისა და აკორდისათვის ის მუდამ პოულობდა მოულოდნელად ბუნებრივი მოძრაობისა და ჟესტის ექვივალენტს. ის გასაოცარი სიუხვით ქმნიდა ერთიმეორეზე დამაჯერებელსა და ცოცხალ პოზებს, ჰქმნიდა ისე, როგორც ბუნება, და არასოდეს არ ზრუნავდა, რომ ყოველივე ეს ლამაზი ყოფილიყო, არ ზრუნავდა, რადგან იცოდა, რომ ყოველივე ბუნებრივი ლამაზია, ნამდვილი და მართალი. მისი ფანტაზია იმდენად უშრეტი იყო, იმდენად მდიდარი, რომ არ იცოდა რაა განმეორება. ყველაფერი ახალი იყო, ყველაფერი ნამდვილი და ღრის სინათლესავით ნათელი. ასეთ მუშაობას, ასეთ ოსტატობას შესაფერი სინათლე და ხმოვანება ესაჭიროებოდა. ამიტომ ზრუნავდნენ, ამიტომ იტეხ-

დნენ მამა-შვილი თავს, რომ თეატრში, რომელსაც ისინი ახლა აშენებდნენ, ყველა ეს შესაძლებლობანი ამთავითვე ყოფილიყო გათვალისწინებული.

ერთ დღეს, როცა ის თავისი თეატრის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შენობაში იდგა და მუშაობას თვალყურს ადევნებდა, რატომღაც საწყალი ნიკალა ფიროსმანი გაახსენდა. გაახსენდა მისი ოცნება, რომ შუა ქალაქში, ერთი დიდი ხის შენობა დაედგათ, ეყიდათ დიდი სტოლი, დიდი სამოვარი, ესვათ ჩაი და ებაასნათ ხელოვნებაზე.

ეს მაშინ ოცნება იყო, ახლა, აი, შუა ქალაქში მისთვის უზარმაზარი ქვის ძვირფასი შენობა აუმართავთ და ეს სინამდვილეა, სინამდვილე, რომელზედაც მაშინ ოცნებაც არ შეიძლებოდა.

თვალები სიხარულის ცრემლით აევსო.

შვილს მოუბრუნდა და ეს სამწუხარო შემთხვევა უამბო.

მირიანი უსმენდა მამას, უსმენდა და თან საბჭოთა არქიტექტორის ბედს პარიზისა, მადრიდისა, ლონდონისა, რომისა, კონსტანტინოპოლისა, ლენინგრადისა და იტალია-ჰოლანდიის ქალაქთა მშენებელთა ბედს ადარებდა, ადარებდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. მისი დამკვეთელი, კრიჟანგი, ბნელი და ვიწრო ინტერესებით შეზღუდული კერძო მესაკუთრე კი არა, დიადი სოციალისტური სამშობლო იყო, სამშობლო სტალინური კონსტიტუციის მზით განათებული, სამშობლო, რომელიც არაფერს არა ზოგავდა, რომ მისი სოციალისტური ქალაქები წარმტაცნი, აზრიანნი და საცხოვრებლად მიმზიდველნი ყოფილიყვნენ.

3.

რამდენიმე თვეა, რაც დარიკო ლარაძეებთან ცხოვრობდა და მას მუდამ აკვირვებდა მათი უნარი შემოქმედებითი მუშაობით ასე გატაცებისა. მიუხედავად მამამთილის გასაოცარი ბრწყინვალებისა, მას მირიანი უფრო იტაცებდა, იტაცებდა მით, რომ ის მამასავით ატაცებული კი არა, მთლიანი იყო და მისთვის არავითარი მიჯნა ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის არ არსებობდა. ის კი, დარიკო, ჯერ ისევ იქ იყო, თავის ქარხანაში, და ვერ ახერხებდა, ვერ პოულობდა იმ სასულეს, რომლითაც, არამცთუ ქარხანა და თეატრი, არამედ ჩვენი საბჭოთა სინამდვილის ყველა მოვლენები ერთურთს ასე მჭიდროდ და ორგანიულად უკავშირდებოდნენ. მის არსებაში ერთის მხრივ მამა და ხვარა, ხოლო მეორე მხრივ ქმარი და მამამთილი ურთიერთ წინააღმდეგობებში იყვნენ და მათ შეთავსებას ვერ ახერხებდა. ეს ფიქრები კიდევ უფრო მწველნი იყვნენ აქ და ამიტომ ეძახდა ის ასეთი მუდარით მირიანს, — ის კი არ ჩამოდიოდა, არ ეცალა მისთვის და, როცა არაფერი არ გაუვიდა, გაიბუტა, წერილების წერას თავი გაანება.

კახაბერთან ერთად მთელ დღეებს ზღვის პირად ატარებდა, ანდა შინ მოწყენით იჯდა და წიგნს კითხულობდა. დათა თავისი საშინელი სენისაგან სრულიად განკურნებულიყო და ისე მხიარულად იყო, რომ იმისი ხალისი დარიკოსაც გადაედო.

ამ რამდენიმე წელიწადში, ის ისე გამოცვლილიყო, ისე გამოჩარხულიყო, რომ მასთან ყოფნა და საუბარი დარიკოს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა.

აქვე, ქობულეთში, ამხანაგ ასკურავას ცოლიც ისვენებდა, ხანში შესული ქალი, — აგრაფინა.

დაბალი, ფეხმსხვილი ქალი და თმები მუდამ წითელი კაშნეთი ჰქონდა აკრული.

ხელში ბორჯომული შინდის ხლისტი, პომადა, მანიკური. ალაგზდა ყმაწვილები და პატეფონი.

მთელი დღეები ქუჩის ფოტოგრაფთან ტრიალებდა. ლარასის შვანიობებთან ერთად ნაირნაირ სურათებს იღებდა და წარამარა ისმოდა მისი უსიამოვნო პროვინციული შეკივლება:

— დიდაია, ჩემი სიკვდილი!—დარიკოსთანაც სცადა დაახლოვება, მაგრამ მას იმისთვის არა სცხელოდა და ისიც „გაკურაჟებული" მაშინვე ჩამოეცალა.

ახლა, თავისი ქმრის ყოფილი შოფერი აქ ასე დამშვენებული რომ დაინახა, იმას აეტმასნა. სულ თან დასდევდა, საშველს არ აძლევდა, მაგრამ ცხვირი დათამაც რომ აუბზუა, გაიბუტა და მოაგარაკეთა შორის მათი ურთიერთობის გამო ათასნაირ ჭორებს ავრცელებდა.

დარიკოს აინუნშიაც არ ჩაუგდია მისი ენის ტარტარი, შუალამემდე იჯდა დათასთან ერთად ზღვის პირად და ყურს უგდებდა როგორ ჩქაფუნობდა შემოსხმული ტალღა ნაპირზე ისე, თითქოს რაღაც პრეისტორიული ვეება ცხოველი იფშვინებოდა.

ზღვაური საამოდ ქროდა და დათა ისე იყო გართული საუბრით, რომ არას ამჩნევდა. ის თავდავიწყებით ლაპარაკობდა თეატრზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე და ამტკიცებდა, რომ ხელოვნება სინამდვილის გამაკეთილშობილებელი მოვლენაა, რომ ხელოვნება ანიჭებს კაცს ადამიანობას, მაგრამ დარიკოს მიუღებლად მიაჩნდა საკითხის ამგვარად დაყენება და ისინი დავობდნენ ისეთი გამწარებით, ისეთი თავგამეტებით, თითქოს ერთურთის დიდიხნის დაუძინებელი და ახლა პირისპირ შეხვედრილი მტრები ყოფილიყვნენ.

დარიკო ერთბაშად ისე გამოკოცხლდა და ისე გაერთო, რომ არც გაუგია როგორ მოაღწია დრომ მისი თბილისში გამგზავრებისა.

დღეს შუადღის მატარებლით უნდა გამგზავრებულიყო და, აი, უკანასკნელად შედგაფუნდა ზღვაში ამ სისხამ დილით. გაცელქებულ ტალღებს ისე მოურიდებლად შეერია, როგორც მუდამ. განზრახ იღლებოდა, განზრახ ზედმეტად მოძრაობდა, მაგრამ მაინც არა გამოდიოდა რა, შვილიერებას თავს ვერაფრით ვერ აღწევდა.

ფეხებში შეგორებული ტალღა მშრალსა და ჯერ კიდევ ძილის ბურანისაგან მოთენთილ ტანს ცივად რომ ეშხეფებოდა, კიოდა მოურიდებლად, კნაოდა უსირცხვილოდ, რადგან პლაჟზე მის მეტი არავინ იყო. როცა ერთმა მოზრდილმა ზვირთმა ფეხი გაბედულად გამოაცალა და წააქცია, დარიკო არ დანებდა, თავზე გადატლაშუნებულ წყალს ქვეშ მარჯვედ გაუძვრა. მერე სიცილით, ყიჟინით განიერი მხარული გაჰკრა და წავიდა ზვირთიდან ზვირთზე გადაქნეული.

ნაპირს კარგა რომ მოშორდა, დაწვა პირაღმა და, ცისა და წყალს შუა ნაფოტივით ატივტივებულ, ჩამოხვავებულ უსასრულობას რომ შესცქეროდა, ეგონა ეს ქვეყანა ახლა გაჩნდა ასე საყვარელი მასთან ერთად და მის მოვლინებამდე არც ეს წყალი არსებობდა, არც ეს ცა და არც ეს ნისლით დაბინდული მწვანე ნაპირები.

მერე პლაჟზე იწვა და ჭრელა-ჭრელა კენჭებს გულდასმით ეძებდა. ეძებდა ისე ერთგულად, რომ არც გაუგია როგორ გაივსო ხალხით ზღვის პირი.

ხვინჭკას ხელით ოდნავ სჩიჩქნიდა და ცივი წყალი ისე უსიამოვნოდ ამოდიოდა, როგორც კანშემოთლილ ნედლ ხეში იცის ხოლმე.

ეს პლაჟი, ეს ზღვა და ეს თვალშეუდგამი ცისიერი განსაკუთრებით ძვრიფასი იყო, საყვარელი და დასანანი ამ გამოთხოვების ჟამს.

არსად ქვეყანაზე არ არის ისე ტკბილი ფიქრი და ოცნება, როგორც ზღვის პირას, როცა ჩვილი ბავშვებივით ცელქად შემოგორებული ტალღები გულს ფიქრებივით ეხეთქებიან და ერთფეროვანი შხუილით გაბრუებენ.

მწველი მზე გაცხუნებს, ქვიშაც გაფიცხებულია და რალაც საოცარ ტკბობას განიცდი ამ სიბლუვეში.

დარიკო ფიქრობდა და არ უკვირდა, არ აოცებდა, თუ რად არ იყო ტევა ჰელენურ ღმერთების პანთეონში. ეს პანთეონი სამხრეთის ზღვისპირელთა უშრეტი ფანტაზიის ნაყოფი იყო და დარიკოს არ უყვარდა, რალაც უკარებლობის გრძნობა იპყრობდა ზღვის ქაფიდან დანაბად მარმარილოს თეთრტანიან მილოსელ ვენერას მუდმივი კდემამოსილების გახსენებაზე. მას ამ ვენერას ტერაკოტის პრიმიტიული ტანამწვარი თეძოგანიერი გლეხური ჯაგველა ვენერები ერჩივნა, ვენერები, რომლებიც მის მამამთილს ევროპიდან ჩამოეტანა.

ჰიჰინობელი გაბმით ჭრიჭინებდა, მზის მცხუნვარებაც გაბმით ზუზუნებდა და ეგონა, აი:

— ეეოე! — გაისმის და სიმინდებიდან, შვიარებიდან გამოვარდება კუნტრუშით, ჭიხვინით თხაფეხა პანი. გადმოიჯირითებს ამ აგარაკებს და პეტელით ჩაირბენს ზღვის პირს, დააფრთხობს ხალხს, ააწიოკებს ქალებსა და ბავშვებს.

რა ფიქრი, რა აზრი და რა სახეები არ იბადება ასეთ დროს ადამიანის გონებაში.

ფიქრი — კდემომისილი და მკაცრი თავისი ბრძნული სიდიადით, ფიქრი — პროსტიტუტივით აბეზარი, უზნეო და იმდენად უსირცხვილო, რომ შემდეგ გრცხვენია მსი გახსენებისა, ფიქრი — მახინჯი და ფანტასტიური, უკადრისი და ამაყი, ზვიადი და ლალად გაშლილი. ეს ფიქრები გეხვევიან ირგვლივ, გეჯარებიან, გინდა მოიშორო, მაგრამ ვერ იშორებ. გინდა დაემალო, თუნდაც შენ თავშივე, მაგრამ ვერ ემალები. ფიქრობ ყველაფერზე, — თუნდაც იმაზე, რომ გუშინ სუპი ცივი იყო, იმაზედაც, რომ ტენისში ორი სეტი წააგე და იმაზედაც, რომ ეს მიწა საკვირველი კანონზომიერებით არის გაქნეული უსასრულობაში. ხომ შეიძლებოდა დედამიწა თავის ასტრონომიულ ჰასაკში სულ სხვა მასით ყოფილიყო წარმოდგენილი. მაშინ, მართალია, მუსიო დარსის მათემატიკური საქანის ფორმულა სწორი იქნებოდა, მაგრამ თვითონ დარსი არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე. განა ადამიანიც, საზოგადოებაც ასე კანონზომიერად არ არის აგებული? განა იმიტომ არ ვწვდებით ცხოვრების დიალექტიკას? განა ეს ცხოვრებაც ამ ზღვის კენჭებივით მრავალფეროვანი, ცვალებადი არ არის?

დარიკო დღეს განსაკუთრებით ხალისიანად იყო, ხალისიანად იმიტომ რომ ბარგი გამოკრული ქონდა, ბილეთი აღებული და, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყოფნა ასე კარგი იყო, გული მაინც შინისკენ მიუწევდა.

თავს ვილაც წამოადგა.

— გამარჯობა, დარიკო!

აიხედა, — კახაბერი იყო.

ის ასე ხარბად დასჩერებოდა მის აღნაგობას, რომ თითქმის შიშველ ტანზე მოსასხამი სწრაფად მოიხურა.

— შეიძლება? — იკითხა და ნებართვისათვის არ მოუცდია, მის გვერდით დაჯდა, დაჯდა ისე ახლოს, რომ ქალი იქით მიიწია. მერე თავი მზის მცხუნ-

ვარების ასარიდებლად თითქმის აკეცილ მუხლის თავებამდე დახარა და ამხანაგის ქმარს ქვემოდან თვალმიჭუტულად, ირიბულად ახედა.

— იცით? — სთქვა დათამ ოდნავი ყოყმანის შემდეგ ... ,
ისეთი მღელვარებით, რომ დარიკო მაშინვე გასაფრდა, შუბლზე კოცნა ... ტად შეიკრა.

ის კი ან ვერ ხედავდა, ანდა ყურადღებას განზრახ არ აქცევდა მის განრისხებას, თავის სათქმელს მაინც განაგრძობდა:

— წუხელ არ მიძინია... ვუსმენდი დუმილს და ეს მთვარით განათებული ზღვა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საპარიკმახეროებში როგორღაც შერჩენილ ძველისძველ ფერადათ ნაბეჭდ სურათს მომაგონებდა, მაინც მაღელვებდა. ხომ გქონიათ ისეთი შემთხვევა, როცა მყუდრო ღამეში მარტო ხართ და ასე გგონიათ დუმილს ისმენთ? მე ახლაც მაკვირვებს ეს ხმაური დუმილისა, მაკვირვებს ისე, როგორც ბავშვს, რომელსაც ყურზე ლამპის შუშა მიუდვია და გაოცებული უსმენს შიგ მომწყვდეულ ხმაურს, ხმაურს სიცარიელისა. მეც ასე ვიყავ წუხელ. ვუსმენდი დუმილს და მესმოდა, როგორ ქშინავდა ზღვა, როგორ შმაშურობდნენ, ღრეობდნენ ფოთლები... თქვენ არ იცით, ასეთ დუმილში ისმის ატომთა ტკაცუნი, ტკაცუნი, გამოწვეული მათი გადაჯგუფებებით, მათი ცვალებადობითა და შემჭიდულობით. მთელი ღამე ვუსმენდი ამ ხმაურს და მთელი ღამე ვფიქრობდი თქვენზე. მინდოდა ეს დუმილი გამომეხატა, გამომეთქვა ის პირველადი გაოცება დუმილით და აღტაცება, რომელსაც თქვენი მშვენება იწვევდა... მაგრამ უძლური აღმოვჩდი. ვწერდი და არა გამოდიოდა რა. უფსკრულები, სადაც სიტყვებსა სძინავთ, დახშულნი იყვნენ და არცერთი სიტყვა არ მაწვდიდა თქვენს სახეს, არცერთი სიტყვა არ ხატავდა თქვენ მშვენებას... მესმოდა მხოლოდ ხმაური, გნიასი ქაოსისა, გნიასი სიცარიელისა... აი, თქვენ გიკვირთ და მე არ ვიცი რაა აქ საკვირველი. გიკვირს და საკვირველი კი არაფერია... — სეთი მღელვარებით, თითქოს საყვედურითაც, სთქვა კახაბერმა, რომ მართლაც საკვირველი იყო მისი თავხედობა.

ის ისეთი დაჯერებით, ისეთი უბოდიშო პირდაპირობით გამოსთქვამდა თავის სურვილებს, რომ დარიკოს ბრაზი ყელში მოაწვა. საწყალი ხვარა! იმისთვის გადაეგო, იმისთვის შეალია მას თავისი ქალობა, რომ ის ასე ფუქსავატურად ატარებდეს დროს კურორტებზე და მას, ცოლის უახლოეს მეგობარსაც, ლირწებით უცქეროდეს?

დათამ კიდევ ილაპარაკა რაღაც აბდაუბდა, ილაპარაკა დიდის გატაცებით. მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ არ უსმენდნენ. სიტყვა ჯიუტად მოსწყვიტა და მჭიდროდ შემომჯდარ მოსასხამში ამაღელვებლად გამოკვართულ ქალის მოქნილ ტანს თვალი ხარბი ვნებიანობით შეავლო.

ყველაზე მეტად მას ამ მშვენიერი ქალის კოხტა ფეხზე შემოსხმული წითელი რეზინის საბანაო ფეხსაცმელში ამოზიდული ღონიერი წვივები ათრთოლებდნენ.

დარიკო ყურებს არ უჯეროდა. ის ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ საკმარისი იყო ერთი სიტყვა ეთქვა, მხოლოდ ერთი სიტყვა და მოზღვავებულ რისხვას ველარ დააოკებდა. ალბათ, სილასაც გაარტყამდა და ამიტომ ისევ სიჩუმე და გაცლა ამჯობინა. უსიტყვოდ ადგა, და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ამ დროს დათა მოსასხამის კალთაში ბილწი მუდარით ჩაეჭიდა. ეევედრებოდა, რაღაც სისულელეს სულმოუთქმელად ბუტბუტებდა და თან არ უშვებდა.

დარიკომ კალთას მოსწია და თავი ისე გაინთავისუფლა.

— თქვენ, მგონი, შეიშალეთ! — შეუტია გულის სიღრმიდან ამომხდარი მრისხანებით, მაგრამ ვნებით დაკრუნჩხული კაცი არ ეშვებოდა. ... ქვიშას ხელით ბღუჯავდა თვალსისხლიანი ოხვრით, ქმენით მაინც ... ფორთხავდა.

დარიკომ ერთი ისეთი ზიზღით დახედა, რომ ის გამორკვეული ფეხზე წამოიჭრა.

— მომეცით ნება.... მომეცით ნება, რომ... აი, დღეს მიდიხართ... მეც მივდივარ...

დარიკომ გაკვირვებით შეხედა, რათ უნდა წასულიყო ისიც მაინცდამაინც დღეს?

— უსირცხვილო! უნამუსო! — მიახალა აღშფოთებულად. უნდოდა ხვარა მოეგონებინა, მაგრამ ახლა ეს სახელი ისე წმინდა, ისე უმწიკვლოდ მოეჩვენა, რომ არ ახსენა.

დათა იდგა. შუბლქვემოდან გაწბილებულად, მწუხარედ გასცქეროდა, როგორ ეფლობოდა დარიკოს ფეხები ქვიშაში, როგორ მიდიოდა შინისკენ თავდახრილი, მიდიოდა და თან მხრები ისე უთრთოდა, თითქოს ტიროდა.

აგრაფინა ზღვის პირად იწვა, თან მზეზე იხუხებოდა და თან ამ სურათს თვალყურს გაფაციცებით ადევნებდა.

4.

შავი ხოპოსფერი ავტო ვაგზლისაკენ ირაოდ გაემართა. სააგარაკო პავილიონთან წყნარი ფაჩუნით შეინავარდა და ბარგის შესანახ კამერისაკენ შენელებული სვლით ნარნარად გასრიალდა.

მირიან ლარაძემ ვიწრო სარკმლიდან ვაგზლის მოედანს თვალი ყურადღებით მოავლო.

მანქანა ჯერ ისევ ჩერდებოდა, რომ კაბინიდან მოუთმენლად გადმოხტა. სიჩქარეში კარი ისე მოუზომავად მიაჯახუნა, რომ მინები უსიამოვნოდ აჟღიალდნენ. სადგურს სასწრაფოდ მიაშურა, მაგრამ კამერის წინ ქვის მოაჯირზე არხეინად ჩამომსხდარი თეთრწინსაფრიანი მებარგეები რომ დაინახა, — დამშვიდდა, ნაბიჯი ოდნავ შეანელა.

შემოდგომა იწურებოდა და მაინც საკმაოდ თბილოდა, ცხელოდა კიდეც. უმეტესობას თეთრი საზაფხულო ტანისამოსი ჯერ არ გაეხადა.

მირიანმა წელზე ქამარი შეისწორა და დაჭმუჭვნილი, არცთუ ისე სუფთა უკრაინული ხალათის აშლილ ნაოჭებზე ორთავ ხელი მჭიდროდ ჩამოისვა.

კედლის გასწვრივ რიგში ჩამსხდარმა ფეხსაცმლის მწმენდავებმა ყურადღების მისაქცევად ჯაგრისები ყუთებზე განზრახ ისე მწყობრად აარახუნეს, რომ ძალაუნებურად წინ დაიხედა. ფეხსაცმელები გაჯისა და კირის ტალახით თეთრად ქონდა მოთხვრილი. ერთი შეყოყმანდა, — მოასწრებს თუ არა? მერე მაჯის საათს დააცქერდა და ხელი თავმინებებულად, ოდნავ შესამჩნევად ჩაიქნია, — სადგურს კვლავ განიერი ნაბიჯებით მიაშურა.

ვაგზალში ჩვეულებრივი ყურთასმენის წამღები ყაყანი არ გაისმოდა, მატარებლის შემოსვლისას ერთბაშად რომ იმატებს ხოლმე, არც ბარგი-ბარხანიანი მგზავრების გულგადატრიალებულ ფაციფუცს, ერიამულსა და თავგზაბნეულ სირბილს ქონდა ადგილი.

შედგა.

— ხომ არ დავგვიანდი? — და თავის საათს არ დაუჯერა, კედლისას ახედა.

ისარი იქაც იმავე დროს აჩვენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობათა ბიუროში უთხრეს, რომ მატარებელი თითქმის ნახევარი საათით იგვიანებდა და მინაში ვიწროდ გამოჭრილ სარკმელს დაღვრემით ჩამოშორდა.

შინ გასვლა-მოსვლა აღარ ღირდა, ისევ აქ მოცდა ამჯობინა.

არაფერი მას ისე არ ეზარებოდა, როგორც რაიმეს მოლოდინი, მით უფრო მატარებლისა და ახლა ისიც, თითქოს მისი ჯიბრით იგვიანებდა.

ორი თვეა, რაც დარიკო არ უნახავს და მისი მოლოდინი ახლა, შეხვედრის მოახლოებისას, გულს კიდევ უფრო უწყალებდა.

განშორების ეს სიძნელე მით უფრო მწვავედ იგრძნობოდა, რომ ნატვრა აუსრულდა და დარიკომ თავი ფეხმძიმედ იგრძნო, რამაც მირიანის სიცოცხლეს მეტი აზრი მიანიჭა. მისი არსება კვლავ პირველი გატაცების ჟინიანმა მოუთმენლობამ შეიპყრო და ახლა ეს მოლოდინი იმდენად გამაწამებელი იყო მისთვის, რომ გულის გასართობად მთელ დღეებს მშენებლობაზე ატარებდა. დღესაც იქ დააყოვნა და საქმით ისე გაერთო,—არც მოჰგონებია, რომ დილას აქეთ მის პირში ლუკმა არ ჩასულა. ან საიდან გაახსენდებოდა, როცა ამ დიდ ნატვრას მეორეც ზედ დაერთო? მამას ახალი თეატრი აუშენა და ხარაჩოებისაგან განთავისუფლებული შენობა ქუჩაში ძონძებშემოგლეჯილ მზეთუნახავივით გამოინაკვთა.

სადგურში უქმად ყოფნამ მოლოდინი კიდევ უფრო გააძნელა. გადასწყვიტა აქვე, ბუფეტში, ისადილოს და მით ეს გამაბეზრებელი ნახევარი საათიც როგორმე გააცოდვილოს.

ცემენტის კიბეს ნელი ნაბიჯით რომ აჰყვა, დაღლილობა მხოლოდ მაშინ იგრძნო. ხარაჩოდან ხარაჩოზე ნარბენს მუხლები ერთბაშად მოსწყდა და საფეხურებს დაქანცული თვალებით ახედა. სულ ზემოთ ოთხიოდე წლის გაცელქებული გოგონა თიკანივით მიხტოდა და თან ბედნიერად მოღიმარ ახალგაზდა დედას ხელში ისე ჩაფრენოდა, თითქოს ეშინოდა არსად გამექცესო. კვამლივით აკულულებულ თმის ნაწნავებში ჩასკვნილი აბრეშუმის წითელი ბანტი მხრებზე ვეება პეპელასავით დაფართქალებდა და ვარდისფერი შიფონის მოკლე კაბის ქვემოდან თეთრი საცვალი და შვეტი ნორჩი ფეხები ისე მომხიბლავად მოუჩანდა, რომ ახლად გაფურჩქვნილ ყვავილსა ჰგავდა. ბავშვი ხან შედგებოდა, ხან ისევ მიხტოდა, თან მშობელს რაღაც აბდაუბდას სულმოუთქმელად ეტიტინებოდა. ვილაც მოხუცი მათ ფეხდაფეხ მოყვებოდა და, ეტყობოდა, ბალლის ტიტინს ნეტარებით უსმენდა. მერე უცებ დაიხარა და ალერსიანი ღიმილით რაღაც შეეკითხა. დედაც შედგა და სიყვარულით დასცქეროდა თავის ნაშიერს, ისიც ღიმილით ელოდა, თუ რა პასუხს გასცემდა მისი საამაყო შვილი შეკითხვაზე.

პატარამ ცისფრად აფოფინებული დიდრონი თვალები უცნობ ბებუას სახეში მიამიტად შეანათა და რაღაცა უთხრა. მერე სახე უცებ მოეღრუბლა, ლამაზი ფეხი ქვის იატაკზე სასაცილოდ მიიღრიცა და ისედაც დაბურცული ალუბლის ტუჩები გაბუტვისაგან კიდევ უფრო დაებურცა.

ბედნიერმა მშობელმა მშობლიური სიყვარულის თანაზიარობისათვის მოხუცს მადლიერად გაუღიმა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გოგონამ არ დააცალა და მოსაცდელ დარბაზის სიღრმეში კუნტრუშით შეიტაცა.

მოხუცი შედგა.

ბავშვს თვალი ტკბილი ღიმილით, სინანულით გააყოლა, მერე თავი ჩაჰკიდა და ათრთოლებული ხელი ხან ერთ ჯიბეზე მოიფათურა, ხან მეორეზე. ბოლოს იპოვა, რასაც ეძებდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაფრიალა და ცრემლი შეიმშრალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიანმა მაშინვე იცნო მოხუცი და გული სიბრალულით აევსო.

— ძია ესტატე! ძია ესტატე! — გასძახა განზრახ მხიარულად და ნაბიჯს აუჩქარა.

ესტატემ, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ხელსახოცი ჯიბეში საჩქაროდ ჩაიტენა და ნაყვავილევ სახეზე უხერხულობა და გაკვირვება ერთად აღებეჭდა. უცებ იცნო, ვინც იყო, და წვრილი ჭუტა თვალები სიხარულისაგან კიდევ უფრო მიუწვრილდა.

— აა, შენა, შვილო? — ამოხდა ხალისიანად და მის მოლოდინში გვერდზე მიდგა.

ის უხერხულობა სახეზე ჯერ ისევ ემჩნეოდა და მუშაობით დაკორძებული ხელი მოკლედ შეკრეჭილ თეთრ წვერზე მთრთოლვარედ ჩამოისვა. მერე ქუდი რატომღაც მოიხადა, თავი გაცბუნებულად მოიფხანა, ისევ დაიხურა და ხელი კვლავ ჭაღარაზე ჩამოისვა.

ეს ჩვეულება თავისი სიბერის დღეთა გამხარებელი ერთადერთი შვილიშვილის, პატარა ნანულის, დალუპვის შემდეგ დასჩემდა. შინ მისვლა იმიტომ უხაროდა, მუშაობის სიმძიმესაც ის უმსუბუქებდა, მაგრამ დიდხანს არ გაუხარია მისი კისკისით ესტატეს ოჯახს. ნანულის სიცოცხლეთან ერთად გათავდა ესტატეს ბედნიერებაც. მისი სახლი ერთბაშად ისე დაიცალა, რომ მას შემდეგ გული არ უდგება. თუ სადმეა, შინ მიიჩქარის, ასე ჰგონია, კარს შეაღებს თუ არა, ხელების ფართხალით, გახარებული წივილ-კივილით გამოქანებული გოგონა მკერდში მსუქან მტრედივით ჩაეხუტება. შინ არის და ისევ სხვაგან უნდა, უნდა სადმე დაიკარგოს, თუნდაც ჯოჯოხეთში, ოღონდ აქ არ იყოს, აქ, სადაც ყოველი წვრილმანი იმას ახსენებს.

ესტატემ ლარაძეს თვალი თვალში გაუყარა.

— ისიც, მირიან... იმასაც... ნანული რქმევია. — სთქვა ცრემლმორევით. ხელი ისევ ცხვირსახოცისაკენ წაიღო, მაგრამ გადაიფიქრა, თავი მწუხარედ ჩაჰკიდა. მერე უცებ გამოერკვა, ძალად გახალისდა და ახალგაზდა მეგობარს გამომწვევად შეეკითხა:

— შენ აქ რა გინდა?

— ცოლს ველი კურორტიდან.

— აა, ჩემ დარუხანას? — ამოხდა მოხუცს, თვალები ოინბაზური ღიმილით გაუბრწყინდა და კვიმატიანად მოულექსა: — გიცნობთ, გიცნობთ, რაც ჩიტნი ხართ.

მირიანი ამ გახუმრებამ წაახალისა და ახლა ის შეეკითხა:

— თქვენ, ძია? თქვენ ვილას ელით?

— სიძეს. — იყო მოკლე პასუხი. — დეპეშა მივიღეთ, მოვდივარო.

მირიანმა მის ხმაში უკმაყოფილო მოუთმენლობა იგრძნო და სიტყვაც არ გაუგრძელა.

4.

დაღამდა.

მცხეთაში თბილისის ჰაერი უკვე საგრძნობი გახდა.

დარიკო მოლოდინის მოუთმენლობამ შეიპყრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღე ვაგონში ყოფნით ისე გაბეზრდა, მოიღალა, რომ არც შეუტყვია როგორ მოიტოვეს უკან ზაჰეს-ავჭალა თავისი შამპანურის, ბუშისა და მეტალურგიის უზარმაზარი ქარხნებით.

დათა კახაბერიც მასთან ერთად, ერთ კუპეში, იმყოფებოდა ლამაზად. კიდევ უფრო მოუთმენარი გახადა ეს მგზავრობა. თითქმის მთელი გზის მანძილზე ხმა არ გაუცია მისთვის. სავარძელში უბრად იჯდა და ხან კითხულობდა, ხან ფანჯარაში მოწყენილად იცქირებოდა. ის კი მაინც არა ცხრებოდა, თბილისში ჩასვლის წინ ერთხელ კიდევ სცადა გასაუბრება, მაგრამ არა გამოდიოდა რა. ის, მისი ცოლის მეგობარი, ოდნავ კისერმოღერებული, ფანჯარაში ისევ ისე უბრად იცქირებოდა და თან მატარებლის ჯაჯგურით ისევ ისე ნელა თანაზომიერად ირხეოდა.

დღევანდელი კადნიერების შემდეგ დარიკოს ისე შესძულდა ეს კაცი, რომ მასთან ერთად, არამც თუ კუპეში, ერთ ვაგონში ყოფნაც ეზარებოდა.

წიგნი დახურა და ხიდისთავური ატმებით სავსე საკვოიაჟში იმნაირად ჩასდო, რომ არ გაფუჭებულიყო.

მატარებელი მიჰქროდა და შემოდგომის თბილი ნიავი საფეთქლებთან გაქულულ ქერა ბუწუწებს ლამაზად უშლიდა. ისევ მოქანცულად, ისევ ისე უბრად გასცქეროდა მტკვარგალმა გაშლილ დიღმის საბჭოთა მეურნეობის აქა-იქ განათებულ ორსართულიან სახლებს, მთაწმინდის თავზე აციმციმებულ ზაჰესის ხომლს.

მალე დიდუბის სადგურსაც გასცდნენ და ელექტროს ღვარში შეგრიალებული ელმავალი ზუზუნით, რახრახით გადადიოდა ლიანდაგის ისრებსა და პირაპირებზე. ისევ ტოვებდა უკან კვამლსა და ორთქლში გახვეულ აგუგუნებულ ქარხნებსა და ფაბრიკებს, საწყობებს, სამარაგო ლიანდაგებში ჩაყენებულ ბრმებივით ბნელსა და ცარიელ ვაგონებს, კალოშებივით შავსა და ჯაგველა სამანევრო ორთქლმავლებს. საცაა, რკინისგზის მთავარ სახელოსნოებსაც ჩაუქროლებდნენ და დარიკო მშობლიური ქარხნის ნახვის სურვილმა ისე აიტაცა, რომ ფეხზე წამოიჭრა, სიხარულით გულაჩქროლებულს ერთბაშად დაავიწყდა თავისი დაღლილობა და ფანჯარაში თვალგაფაციცებით გადაიხედა.

ზოგიერთ მოუთმენელ მგზავრს ბარგი უკვე დერეფანში გამოეტანა. ძირს ჩასასვლელად გამზადებულნი იდგნენ, უცდიდნენ როდის გაჩერდებოდა მატარებელი.

აი, სავაგონო პარკიც განვლეს. აი, მისი წინაპრების, დემურიების, ოცლით მორწყული ქარხანაც გამოჩნდა და ჯერ ისედაც შინ მოსვლით გახარებული, ალერსიანი ღიმილით, თითქოს სინანულითაც გასცქეროდა მთავარ სახელოსნოების რკინით ამესრილსა და მავთულის ბადით აფენილ უზარმაზარ ფანჯრებს.

ისევ ელავდნენ ავტოგენური მადუღები, ისევ დაჟინებულად რახუნობდნენ პნევმატიური ჩაქუჩები და შხუილით გაშვებულ ორთქლში გახვეული ორთქლმავლები ელექტროთი განათებულ ლეგა ბურში საოცნებოდ ინაკვთებოდნენ.

აქ, ამ ქარხანაში, დაქალდა იგი, თავისი სიცოცხლის საუკეთესო წუთები აქ განუცდია, აქ უშრომია, უხარებია და ხანდახან, გეგმების ჩაშლის შიშით, უტირია კიდევაც. მის მამა-პაპასაც აქ უბრძოლია, უმუშავია, ჯაფით წელი მოუწყვეტია. აქ არიან მისი მეგობრები — ზოგნი მოხუცნი, ზოგნი ახალგაზდანი. გულმა კვლავ იქით რომ გასწია, ფანჯარას თვალცრემლიანი ჩამოშორ-

და, ისევ კუპეში შევიდა. მღელვარების დასაფარავად საზაფხულო ბალტო ხელდახელ ჩაიცვა, ღილები შეიბნია, ისევ გაიხსნა, ისევ შეიბნია.

კახაბერის ხარბად მოჩერებული თვალები მას ახლა კიდევ უფრო აბრაზებდნენ.

ზურგი ოდნავ შეაქცია და ისე, თითქოს აქ არც არავინ იყო, თან ქუდს იხურავდა და თან ქაღალდის რულონებით, ნახშირმჟავა გაზის რკინის ბალონებით, ტომრებით, ბარდანებითა და მანქანათა ათასნაირი ნაწილებით სავსე საწყობებსა და მათ ღია ფარდულებს გასცქეროდა.

აი, დამხდური ხალხით სავსე, პროჟექტორებით დღესავით განათებული ბაქანიც ბორბლებთან გასრიალდა.

მატარებელმა სვლას ისეთი თანდათანობით უკლო, რომ როგორ გაჩერდა არც შეუტყვია.

გარეთ ხალხი კიდევ უფრო აირია, თეთრ წინსაფრიანი მებარგენი ვაგონის კიბეებზე გაფაციცებით არბოდნენ და მგზავრთა ძირს ჩასვლას აბრკოლებდნენ.

ბარგი-ბარხანით დატვირთული ავტოკარები ღულუნით, პიპინით ხალხში ძლივს ატანდნენ.

ვილაცის სეტერი აქეთ-იქით ხალისიანად დარბოდა, თან ბჯღალებს ასფალტზე აწკრიალებდა და თან ხალისიანადვე ყეფდა.

აქ ვილაც, არაფერი არ უჭირდა და მაინც სულ შეჭირვებულად ყვიროდა, იქ ხმამაღლა იცინოდნენ და ვაგონში ისეთი მყუდროება იყო, ისეთი სიმშვიდე, რომ მთელი დღე შიგ ყოფნით თავგაბეზრებულ დარიკოს ამ ჟრიამულში შერევა წუთით მაინც შეეზარა.

ბაქანზე რომ ვერავინ დაინახა, შეშფოთებული ფანჯარას იდაყვებით გადაეყრდნო და დამხდურთ ისევ გაფაციცებით, სათითაოდ დაუწყო თვალიერება.

— მირიან! მირიან! — დაიძახა უცებ გულშეფრთხიალებულად და ხალხში შერეულ ქმარს ხელი სიხარულით დაუქნია. უცებ დაავიწყდა თავისი სამდურავი და ჩასვლის სამზადისში ფანჯარას მოშორდა. მღელვარებისაგან კუპეში უთავბოლოდ აფუსფუსდა, მერე კარს მიაშურა, მაგრამ ბარგი გაახსენდა და თავის საქციელზე თვითონვე გაეცინა.

დათამ მებარგეც მოიყვანა.

დარიკოს მისი დანახვა ისე გაუხარდა, თითქოს მხსნელი ყოფილიყოს.

— აი ეს, აი ეს, ეს და ეს. — ჩამოუთვალა თავისი ბარგი-ბარხანა მებარგეს ისე, რომ მომყვანისათვის მადლობაც არ უთქვამს. მერე საკვოიაჟს ხელი დასტაცა და, ბარგისათვის არ მოუცდია, დერეფანში ისე გაიჭრა.

კიბესთან მირიანი შემოეგება, საკვიაჟი მაშინვე გამოართვა და, ამდენი ხნის უნახავობის შემდეგ ერთურთის შეხვედრით გამოწვეული სიხარული რომ არ გაემყლავნებინა, ქმარს ხელი სალამისათვის თავდაჭერილად, დარცხვენილად გაუწოდა.

— ისევ თბილისი... ჩემი თბილისი... — ამოხდა ჟრჟოლით. მერე მოაგონდა, წელან ესტატეც დაინახა. ირგვლივ მოიძებნა, მაგრამ ვერსად ვერ პოვა, შეშფოთებულად იკითხა:

— ძია სად არის? ძია ესტატე სად დამეკარგა? — მაგრამ ამ დროს მებარგეც ჩამოვიდა.

მირიანმა მანქანის ნომერი გადასცა, ფასი გადაიხადა და ჩემოდნებით დატვირთული კაცი მაშინვე ვაგზლისაკენ გაემართა.

ძია ესტატე ამ მილეთის ხალხში სიძიანად სადღაც გაბნეულიყო, ახლა ისევ დაინახა ისინი და დარიკოსაკენ გახარებული გაქანდა.

— ჩემო გოგო, ჩემი დარუხანა გოგო! — მაგრამ დარუხანამ თავი ხელი ჰაერში უარის ნიშნად გაასავსავა და ისე მიაძახა:

— არ გამეკარო! ახლოს არ მოხვიდე!

ესტატე შედგა.

არ ესმოდა რა მოხდა, ან რატომ არ უნდა მიჰკარებოდა.

მათ საქციელს რამდენიმე გამვლელის ყურადღება მიექცია და ლამაზ ქალსა და სიმპატიურ მოხუცს შორის ჩამოვარდნილ რაღაც სასაცილო უთანხმოებას ღიმილით შესცქეროდნენ. მირიანმა თავი უხერხულად იგრძნო და ცოლს საყვედურით მიმართა:

— კარგი ახლა, დარიკო! რას აწვალებ? — მაგრამ დარიკომ ქმრის სიტყვები არად ჩაუგდო.

— შენ თუ მართლა ძია ხარ, ერთი წერილი მაინც რათ არ მომწერე, ჰა?

ესტატეს თვალები ისევ გაუბრწყინდა. მორჩილების ნიშნად ორივე ხელი მაღლა ასწია.

— მინავათი ვარ, დარუხან, მინავათი და შევრიგდეთ. — ისეთნაირად სთქვა, რომ დარიკო მაშინვე მიხვდა, მოხუცი ზარხოშად იყო. აკი არა! წელან მირიანს რომ მიუახლოვდა, ღვინის სუნი იგრძნო.

— შენ ერთი ეს მითხარ, სად დალიე?

— ბიბლიოტეკაში. — იხუმრა ესტატემ. — შენგან არ მიკვირს, — სად დაგლევდი? ა, ბატონო, შენი ქმარი შემომიჩნდა, — კაპასი და კორიანჩხელა ცოლი ჩამომიდისო, ჯავრზე ვარო და დარდიანი გულის გასართობად მაინცდამაინც დავლიოთო. რა მექნა, შენი ამბავი რომ ვიცოდი, ავდექი და მის მდგომარეობაში შეველი. — ისე დალაგებულად მოუჭრა სიტყვა ესტატემ, რომ თვითონვე გაუკვირდა, გაუკვირდა და თავის ხუმრობაზე თვითონვე გაეცინა.

— აა, თქვე ეშმაკებო! შეთქმულებას მიწყობთ, არა? ციც! — დატუქსა ორივე და მოხუცს ხელი ალერსით გაუწოდა.

ესტატემ ხელი ჩამოართვა და იმის იმედით, რომ წელან ასე დალაგებულად იხუმრა, კიდევ გააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ სათქმელი ისე აერდაერია, რომ მირიანსა და დარიკოს გულით გაეცინათ. სიტყვა რომ აღარ გამოუვიდა, ხელი ჩაიქნია, უნდოდა რაღაც ისეთი ჩაედინა, რაც მის სიხარულს უფრო სრულად გამოხატავდა, უნდოდა თავისებურად, მამაშვილურად მიალერსებოდა, მაგრამ არ იცოდა როგორ და უხერხულობისაგან მხრები უშნოდ აიჩეჩა.

დარიკო მაშინვე მიხვდა თუ რით იყო ეს მისი უხერხულობა გამოწვეული და გახარებულმა თავისი ტკბილი ცისფერი თვალები მოხუცის მზესუმზირას კაკლებივით მიჭუტულ თვალებს უსაზღვრო მადლიერებით შეუსწორა. უცებ მამა მოაგონდა, მისი უსამართლო გულისწყრომა და ცრემლი ყელში მოადგა.

— მოდი, ძია, მაკოცე. — სთქვა გრძნობით.

ესტატე სულ დაიბნა.

— მაკოცე! — გაიმეორა დარიკომ ბრძანების კილოთი მოუთმენრად და სახე ახლოს მიუტანა.

ესტატემ ულვაშები მაჯებით ერთგულად შეიწმინდა და ქალს, ტუჩებში კი არა, თვალებში ისე სათუთად აკოცა, თითქოს გასატეხია და ეშინია რამე ზიანი არ მიაყენოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისი კოცნა და დარიკოს აყვირება ერთი იყო.

— მომშორდი, შე ბებერო! ვითომ ეგ სადგისივით ულვაშები არ ქმაროდა, ახლა ღვინის სუნითაც ამამჭორე.

ესტატე და მირიანი იცინოდნენ.

დათა კახაბერიც იქვე იდგა და არ იცოდა, იმასაც გაეცინა თუ არა. ბოლოს, ყოველ შემთხვევისათვის, იმანაც გაიცინა.

დარიკომ მხოლოდ ახლა მიაქცია მას ყურადღება, მოაგონდა, რომ ის მის ქმარს არ იცნობდა.

— ხო, მართლა! — წამოიძახა ბოდიშიანად.

— იცნობდეთ, — ჩემი ქმარი. — სთქვა უკანასკნელი სიტყვა ხმის მნიშვნელოვანი აწევით და მერე ისევ ესტატეს მიუბრუნდა:

— ხვარა როგორ არის? უთხარ ხვალვე მნახოს... — მაგრამ გაახსენდა, რომ ის შვილზე მგლოვიარედ იყო, უსაქმოდ არსად გადიოდა და სიტყვა მაშინვე შეაბრუნა: — არა, ნუ ეტყვი... მე თვითონ ვინახულებ... აბა, წავიდეთ.

მირიანს მკლავში ხელი გამოსდო და ვაგზლისაკენ მიმავალ ხალხის მდინარებას ისინიც შეუერთდნენ.

— მამა რათ არ გამოვიდა? — შეეკითხა მირიანს დაწეული კილოთი დარიკო.

— რეპეტიციას შერჩა... შენ ჩამოსვლას მოუთმენლად ელის...

სიტყვა დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ ორივე შეკრთნენ.

ესტატე ვილაც პატარა გოგონას ბედნიერი ღიმილით მისდევდა და თან თითის ალერსიანი ქნევით ეძახდა:

— ნანული! ნანული!

მირიანმა მაშინვე იცნო ის ბავშვი და მოხუცისადმი აღძრული სიბრალულით გულ-ღვიძლი ჩაეთუთქა.

ნანული ვილაც კაცს, ალბათ, მატარებლით ჩამოსულ მამას, ხელში ჩაფრენოდა, კისერი უკან მოეღრიცა და თან კუნტრუშებდა და თან ესტატეს ფოფინა თვალების ელვარებით, კვიმატიანი ღიმილით გამომწვევად ეძახდა:

— ბაბუ! ბაბუ!

ესტატე მისკენ სიცილით გაქანდა, მაგრამ ნანული მორევში ჩატანილ ყვავილივით დაინთქა ხალხში.

მისი ძახილი ისევ რეკდა ყურებში:

— ბაბუ! ბაბუ!

მხრები აუთრთოლდა, თავი დახარა, მწუხარებისაგან ისე მოიკუჟა, რომ ისედაც პატარა, ტანმორჩილი, კიდევ უფრო დაპატარავდა, თითქმის დაილია.

უხმოდ მალულად ტიროდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიოლგი კაჭახიძე

წიგნები

ამ წიგნს ჭალარას და ფერმიხდილს ხანდახან გავშლი,
ბედშავ წინაპრებს შემომიყვანს ფიქრებში უცებ;
ღარიბის ვენახს მომატარებს, გაყიდულს ვალში,
და შემოდგომის ავდარივით ნაღვლიან ქუჩებს.
აქ კვნესის ქვრივი და ქუჩაში მათხოვრობს ბავშვი,
აქ ყოველივეს გასაქრობად სიკვდილი უცქერს...
გრძელ ღამეებში აივნიან პატარა სახლში
ჩემს ბავშვობაში ვკითხულობდი ამ წიგნის ფურცლებს.
მისმენდა ბები, კითხვა ჩემი მოხუცს უყვარდა,
შუბლს ულრუბლავდა წიგნში თქმული, დრო მგლოვიარე.
დაღონებული ჩუმად დიდხანს იჯდა ბუხართან
და იგონებდა სიღარიბით განცდილ იარებს.
დავფიქრებულვარ... მეც მიგრძვნია ბების განცდები,
მიგრძვნია, თუნდაც, ვიღაც გლეხი როგორ გაროზგეს...
ბები წვებოდა მოთენთილი, თითქოს ნაცემი,
წიგნიც დარდივით მოწყენილი სთვლემდა თაროზე.
ღამეებს სოფლად ღამეები ცვლიდნენ წესრიგით,
ერთხელ რიჟრაჟზე ლურჯად ჩაქრნენ ბების თვალები;
სხვებიც წავიდნენ ამ ქვეყნიდან, დარჩა ეს წიგნი,
წარსულის სუსხში ფეხადგმული და ნაწვალები.
ხალხის წუხილის მოზიარეს ისევ ვცემ პატივს,
როგორც წინაპრებს სამშობლოსთვის საქმით ქებულებს;
კვლავ დევს თაროზე და ჯანიერ წიგნებს შენატრის,
წიგნებს, ჭაბუკებს, ჩვენ დღეებში დაბადებულებს.
ეს ჭაბუკები, ეს წიგნები თვალთა რიჟრაჟით
დადიან ხალხში და გულები ღიად ხვდებიან.
როგორც მტრედები, შემოდიან ჩემს წყნარ ბინაშიც
და თაროებზე გუნდგუნდად და მწკრივად სხდებიან.
შემომხედავენ, შუბლზე შუქი მომეფინება,
გამიღიმებენ, თითქოს ყველა არის ნაცნობი.
მათში ელვარებს ჩვენი ქვეყნის აღორძინება,
აღორძინება ჩემი დღის და ყმაწვილკაცობის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულის სიწმინდე და სინდისი მათში დაცული
გაისმის როგორც ხმა უდროოდ არდაბერების;
გაისმის მათში ფრინველების ფრთების ტკაცუნი,
მარად კაცური სიხარული და სიმღერები.
ბევრი გმირია ამ წიგნებში, ბევრი მამაცი,
მწვევია ყველა და თვალებში ფართოდ ჩამცქერის.
აქ ლამაზია სიყვარული, შრომაც წარმტაცი.
ვით გაზაფხული სოფელში და მთების ჩანჩქერი.
აქ მარნებიდან ლხინში მიაქვთ ღვინო ანკარა,
გზა მოვერცხლილა, თითქოს ეტლით ვარსკვლავს უვლია.
ჩვენ ვწერთ ამ წიგნებს, მათში ჩვენი სული ჩამდგარა,
მათ ნაპერწკლიან სტრიქონებში ჩვენი გულია.
მიტაცებს ყველა, ვით მწუხრისას ზღვის სივრცე წმინდა,
როგორც ქალაქში შემოსული გმირის დიდება.
ავიღებ ხელში რომელიმეს, და ფურცლებიდან
ჩვენი დღეების სიხარული მომაფრინდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ ჯაბუშანური

მ ტ რ ე ბ ი

იმ დღეს საზარლად ზეცა წიოდა
პირავსებული ცეცხლის ენებით;
რკინის არწივნი დაბლა ცვივოდნენ
და მაინც ისევ შეხლა ენებათ.
საღამო ჟამზე სივრცის მაღალ ფრონტს
ორი მფრინავი შერჩა მარტოდენ:
— იკმარეთ!
მთვარემ თვალნი აღაპყრო
შიშით...
მტრები კი კვალად მართავდნენ
უმკაცრეს ბრძოლას.
ფრთათა ძგერებით
აპობდა ჰაერს ფოლადის ჟღერა,
ბრძოლაში დატყდნენ პროპელერები
და მოტორებმაც შესწყვიტეს ძგერა.
ტყვიების სეტყვით დანაშავები,
ალის ენებით ანაბორგები
თავქვე დაეშვნენ თვითმფრინავები
და მფრინავებმაც გახსნეს ქოლგები.
გაზარდეს კუზი პარაშუტებმა.
დინჯი შერხევით...
ტაატით...
წყნარად...
თითქოსო კვალად არა სურთ შებმა, —
აქანდნენ ცაში და უწყინარად
მიმართეს მიწას.
შხამის მუქარით
ენთო თვალები ორ მებრძოლს ეხლა
და ემდუროდნენ ამინდს უქაროს,
რომ ცაში აღარ შეეძლოთ შეხლა...
ესეც ხმელეთი.
ქოლგები სივრცის
განერთხნენ მიწას, ვითაარ მტრედი —
ფრთადაკოდილი.
ალსავსე რისხვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთისკენ შებრუნდნენ მტრები.
უღრმესი ზიზღით და გამძაფრებით
ახედეს ერთურთს.
კრთოდა ნათელი —
ირგვლივ:
ტყეს ერტყნენ ალის ფაფრები,
სტიროდნენ ხენი, რტოგანათელნი,
— სადა ვართ?
— მიწა თქვენია.
— ღმერთო!..
მაინც სადა ვართ?
მეცნობით თითქოს...
— ჩვენ ომს ჩვენსავე მიწაზე მტერთან
არ ვართ ჩვეული.
მე კარგად გიცნობ.
გახსოვს ბავშვობა...
შენ ნებიერი..
მე უპატრონო...
ჩემთან თამაში
მოიწადინე.
ბრძენის იერით
შენი მშობლები ნაზს და ლამაზ შვილს
გირჩევდნენ ასგზის:
დამშორებოდი.
შენ აიჩემე...
და ამის შემდეგ
თვითნება თავადს ბავშვი ობოლი
ვითაარ ძაღლი კვალდაკვალ გდევდი.
ხშირად საკუთარ ცრემლით და სისხლით
გართობდი...
მაინც ვნებულს ესოდენ,
შენი მშობლების წყევლა და ჩრისხვა
მე ბედშავ ფარეშს ხშირად მესმოდა.
ცვივოდა დღეთა ყვითელი ქარვა
და ჩვენ დავცილდით ერთურთს მარადის;
შენ შორს გაგტყორცნა ოქტომბრის ქარმა,
აგყარა ხმალი და მუზარადი;
ჩვენ კი მოვსარით ბადე ზღაპრული,
ღამესავით რომ თავზე გვებურა,
ეხლა ამდგარხარ:
ჟამი მზაკვრული
რომ დააბრუნო და ძველებურად
ჩვენი შვილები შენს ნაშიერებს
თავს შემოავლო...
და ხელაშვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუკლა ყრმობა...
კვალად მშიერი
აწამო...
მაგრამ ჩვენი ბავშვების
დღენი არ გვანან მათი მამების
უფერულ დღეებს...
მდორეს ნისლივით,
მათ სიყმაწვილის შემოღამების
არ განუცდიათ...
— კმარა, მისმინეთ...
ნუ გავიხსენებთ გარდასულ დრო-ჟამს,
ჩვენს მიწაზე ვართ...
ეს შეიგენით...
მოდი, მიემხრეთ ჩვენს ამაყ დროშას,
ხომ სულერთია
სიკვდილი გელით:
შემორტყმული ხართ მტრებით გარშემო...
სული ტკბილია...
ჰო და... გთავაზობთ
ხარისხს... სიმდიდრეს...
— სცდები...
ბავშვები
უკვე აღარ ვართ! —
გესმის თავადო!
ვიცი:
ხვალ დილით მკვეთრი, მედგარი
აქ ჩვენი ჰიმნი აგუგუნდება,
დღეს კი ბრძოლიდან ერთი ჩვენგანი
ან და არც ერთი არ დაბრუნდება.
მაშ მოემზადე! —
და წამის უმალ
შეასკდა ხეებს გუგუნი სროლის,
დაიხრიალა ტყემ ანთებულმა
და ძირს დაეცა ორი მებრძოლი.
შემდეგ ისმოდა:
ბორგვა...
ბუზღუნი...
სისხლის მოძრევი ერტყმოდათ რკალად,
ახალ თოვლს სთხრიდნენ მკლავით უძლურით
და ერთურთისკენ იწევდნენ კვალად.
გატრუნულიყო ზეცა მგრგვინავი,
ტყეს ერტყა მარტო ცეცხლის ენები;
თოვლზე კი იწვა ორი მფრინავი,
თითქოს ელოდნენ შემოთენებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიარალო

მაძიებელნი

VII *

ძუკუს გარდა ბასილ მძებრაძეს ერთი ქალიშვილიც ჰყავდა, რომელსაც ტასიას ეძახდნენ. ტასია ჯერ ექვსი-შვიდი წლისა იყო, მაგრამ უკვე ეტყობოდა, რომ თავის დროზე ლამაზი ქალიშვილი გამოვიდოდა. ნახშირივით შავ თვალებს ცეცხლივით აბრიალებდა. ჩასუქებული ლოყები თურაშაული ვაშლივით ულუოდა. ნაზი და შნოიანი მოყვანილობა უკვე იქცევდა მაყურებლის ყურადღებას.

ნასადილევს ტასია და მოსამსახურე გოგო მეზობლებში გავიდნენ. მხარზე-თოფგადებული ძუკუც სადღაც წავიდა. შინ დარჩნენ მხოლოდ ბასილი და მარიკა.

— ძუკუს მამავ, თუ ღმერთმან გვაჩუქა, ჩვენი ძუკუ კაი ბიჭი გამოვა. ვენაცვალე, გვარის დამამშვენებული იქნება! აგებულობა, აგებულობა! როგორც გაჭრილი ჭალა ყველი, კალაპოტში ჩამოსხმული, პაპა მისია, ცხონებული მამაჩემი, ჩოხა-ახალუხიც როგორ უხდება, ენაცვალოს დედა!

— არ მოკვდე იმის მეტი! — მიუგო, ცოტა არ იყოს, გულნატკენმა ბასილმა—მამა შენზე უარესი აგებულება არც მამა ჩემს ჰქონდა. მე-კი დამიწუნე აგებულება!? ჰაი, ჰაი, სადა ხარ, სიყმაწვილევ! — ამოოხვრით გააგრძელა ბასილმა, — რაც შეეხება ჩოხა-ახალუხს, ხარდანაძის ქალო, დაარწმუნე შენი გული, რომ ჯერ მისთვის ნაადრევია. ჯერ ისწავლოს, ბატონო, ისწავლოს და შემდეგ ყოველისფერს მოასწრობს...

— ნაადრევი რატომაა, ძუკუს მამავ? — გაიკვირვა მარიკამ.

— იმიტომაა ნაადრევი, ხარდანაძის ქალო, რომ ჩოხას რა კი ჩაიცვამს, ხანჯალს და რევოლვერს ჩამოიკიდებს, მერე ხშირად ცხენზე ჯდომას მოინდომებს და შენ სწავლაზე გულს აიცრუებს. მე მსურს ის კლასი მაინც გაათავოს როგორმე. როდი მინდა ყაჩაღი გამოვიდეს. შენ რა იცი, ხარდანაძის ქალო, რა დროებაა მომდგარი. თუ ჩემსავით დარჩა, ვაი...

— არავითარი დროება არ არის მომდგარი, ძუკუს მამავ! — უკმაყოფილოდ გააწყვეტინა მარიკამ. — შენ სულ მასთე იცი, სულ რაღაც შიშში ხარ. ღვთის იმედით კი საიმისო არა გვიჭირს-რა, სახლი გვაქვს და კარი, მიწა გვაქვს და ადგილი, საჭმელი და სასმელი, ფული გვაქვს და ქონება. სწავლითაც ისწავლის, აკი სწავლობს, შე კაცო, მარტო ერთი მისი ლერწამივით სწორი და მაღალი წელი ღირს ერთ ბიჭად...

---

*) დასაწყისი იხ. „მნათობი“ № 10.

— აჰა, ჰაი! — პასუხის მაგივრად წამოიძახა ბასილმა, თუთუნს მოუკიდა და ფეხი ფეხზე გადადებული რიკულს ზურგით მიეყრდნო.

„დელი-ვოდელი, ვოდელა!...“ — მოისმა ოდის გვერდიდან ჩუმი სიმღერა და რამდენიმე წუთის შემდეგ აივანთან გაჩნდა ასე ოცდაათი წლის ძავზვერა, კოხტად შეკერილ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ვაჟკაცი. თავზე კრავის თეთრი ქუდი ეხურა, ხოლო ფეხებზე სირმით აჭრელებული წუღა-მესტები ეცვა. ეს გახლდათ ბართლომე მძებრაძე, ბასილის ბიძაშვილი. ამაზე იყო ამას წინათ იაგორა მიკიტანი რომ ეუბნებოდა ბასილს, ცოტაოდენი დუქნის ნახარჯი მართებსო. ბართლომე თავმომწონედ აივანზე ავიდა.

— საღამო მშვიდობისა, ბატონებო! — ზრდილობიანად მიესალმა ივი აივანზე მყოფთ.

— ღმერთმან გაცოცხლოს! — მიუგო ბასილმა. — სად იყავი, შე კაცო, დღეს, ამისთანა დიდი დღესასწაულში წირვაზე რომ არ მოხვედი?

— წირვაზე რა მინდოდა, სოსო ბერი ხომ აჩა ვარ! — სიცილით მიუგო მან და იქვე სკამზე დასაჯდომად მოემზადა.

— ა, შეხედე, აბა რას ჩურჩუტობს! — შეუტია ბასილმა. — ბერი ხომ არა ვარო. წირვა-ლოცვასაც სამასხროდ იგდებთ ეხლანდელი ყმაწვილები! ღმერთმან მშვიდობა მოგცეთ, მაგ...

— სად იყავი მართლა, ბართლომე? — შეეკითხა მარიკა.

— სად იქნებოდა! — დამცინავი კილოთი მოუჭრა ბასილმა და ჩაიცინა. — სად უნდა ყოფილიყო, სანადიროდ იქნებოდა.

— სანადიროდ სად? — ჰკითხა მარიკამ.

— განა არ იცი, მაგისთანა ყმაწვილები სად ნადირობენ და სად მღერიან: ჩიტი გვრიტი, ფერად შვინდი, გადაბრუნდი, გადმობრუნდი...

— არა ბატონო, შენი თავი ნუ მომიკვდება, თავი მტკიოდა და წასვლა დამეზარა...

— რა ამბავია ქვეყანაზე?

— ქვეყანაზე, ბატონო, მშვიდობა. ჩვენი მეწისქვილე მაძინია კარგად არის. საღერღს რომ შეუკვეთამენ, მაშინ წვრილად ფქვავს და წვრილად თუ შეეხვეწენ, მაშინ ღერღავს.

— მაძინიას ამბავი მეც ვიცი, შენ ეს მითხარი, ქუთაისიდან რა ჩამოიტანე?

— ჩემი თავი, ბატონო, ისიც ძლივს ძლიობით! ღმერთო, ხელი მოუმართე, ვინც ეს მაშინა მოიგონა, თორემ ცუდად იყო ჩემი საქმე. ქუთაისიდან რიონამდე ისე ჩავედი, კაპიკი არ გადამიხდია. რიონიდან სამტრედიაში რომ წამოვედი, კონდუქტორს ვუთხარი: ბათუმში მივდივარ მეთქი. ამხედ-დამხედა. მეც გავიჭიმე, ოდეკალონით გაჟღენთილი ცხვირსახოცი ამოვიღე. პატიოსანი კაცი უნდა იყოსო, იფიქრა, ალბათ. ვაგონში გამომჭიმა. სამტრედიაში რომ ჩამოვედი, ისე გამოვძვერი, ვერ დამინახა. მოვატყუე. იმას უფროსის მოტყუება უნდოდა, ის უფროსიც უფროსს ატყუებს, ალბათ და ყველანი ერთად ერთმანეთს ვატყუებთ. სამტრედიიდან სენაკამდი კი არ მომივიდა დუშაში. იქ კანდუხტორი ჩვენებური იყო და მას რა მოატყუებდა! ფოთში მივდივარ მეთქი. ფული გვიბოძეთო. მეც მაშინათვე ჯიბეში ხელი ჩავიყევი. სად როგორ უხთება, ვიცი, არ მოგიკვდეს ჩემი თავი! რაც გროშები დამრჩენოდა, ავაჩხრიალე. მოიცა, ფოთში რად უნდა წავიდე ჯერე-მეთქი? — ხმამაღლა დავეკითხე ჩემს თავს და ცოტა დავფიქრდი. — დღეს რა დღეა? ვკითხე კონდუქტორს. სამშაბათი გახლავსო, — მომიგო. ყა, ფოთში ჯერ რა მინდა, შაბათამდი კი ტყუილად

რა მაყიალებს. სენაკამდის, სენაკამდის, გენაცვალე-მეთქი, მაინც ვერ მოვატყუე, ფული გამომართო. სენაკიდან ზუგდიდამდე, როგორც იყო, მივაღწიე, იქ ერთი ოჯახაშენებული შეგვხვდა, ვილაც შემძლებელი კაცის შვილი. ბუბა ქემახსოვდა, დამავიწყდა. ასე თვრამეტ-ცხრამეტი წლისა იქნებოდა, მაღალ-მაღალი, კაი თვალ-ტანადი. კლასიდან ახლად გამოეგდოთ. ვენაცვალე იმას, ვენაცვალე იმას, ვინც ის კლასიდან გამოაგდო! ის ოჯახაშენებული რომ არ შეგვხვედროდა, ცუდად იყო ჩვენი საქმე, ჩემი და ჩემისთანა ორი სხვა კაცისა. როგორც იყო მივაგენით... ხა, ხა, ხა, თხამ რომ ანწლს მიაგნოს, ისე მივაგენით იმის ოხერ ფულებს. თამაშობის მან ჯერ არა ოცოდა-რა და ცოტა სული მოვიბრუნეთ.

ბასილი ყურს უგდებდა. რამდენჯერმე ამოიოხრა და თავი გაიქნია.

— შენ რა გიჭირს, ბაბა, დადიხარ და სხვის ფულს სჭამ, — მიმართა ბასილმა. — მარტოხელი კაცი ხარ, ცოლი არ გაწუხებს და შვილი. მე კი მარტო მოსამსახურე გოგო ამ საღდგომოდ ხუთი კაჭალია მანეთი დამიჯდა, ხუთი სახარების მადლმა!

— არა, ბიძი. — მიუგო ბათლომემ, — ცოტა უბრალო წუწუნი გიყვარს, შენ ნუ მომიკვდები. ღვთითი, საიმისო არა გიჭირს რა. სულ ასე იცით ქონებით გულ-გახვიხვინებულმა კაცებმა. მე, რომ ვიწუხო, მესმის. აგერ კაცი ვბერდები და არაფერ საქმეს არ ვადგივარ. ერთხელ რომ ჩაეშლება კაცს საქმე, მერე მისი გამოკეთება ძნელი ყოფილა. თორემ შენ რა გიჭირს, ბიძი? ცოლი გყავს და შვილი, სახელი გაქვს და კარი, ფული ბევრი გაქვს და სასმელ-საჭმელი უზრუნველი. მამულიც ხელუხლებელი გაქვს, თითქმის ჩვენი გვარის მონახევრე ხარ...

— აი ბიძი, — დაიწყო წუწუნი ბასილმა — შენც რომ არ გჯერა, სად მაქვს, ბიძი, ფულები? ერთი-ორი გროში სულის მონაფხაჭი თუ სადმე მომეძეოდა, დამტაცეს, ბაბა, დამტაცეს და დამიბრუნებენ თუ არა, ერთმა ღმერთმა უწყის. ხელში რომ გვაქვს, შვილო, ნაღდად, ისაა შენი, თორემ სხვის ხელში შენი, ფული წყალში თევზის მსგავსია, ვალი იქით მიიცინოსო, იტყვიან, და აქეთ მოიტირისო, ტყუილი როდია ბაბაია! აი თუ გინდ შენი მეგობარი დრიმინტია ჭანდრაკელია. შენ რომ მარწმუნებდი... ხუთი წელიწადი ვუცადე, მაგრამ ყურიც არ გაიბერტყა. მერე რა უნდა მექნა? ვუჩივლე...

— ჩემი მეგობარი! ღმერთი ისე ააშენებს მაგის კეფას! — ჩაილაპარაკა ბართლომემ. — მართლა შეიტანე, ბიძი, ქაღალდი?

— რა უნდა მექნა, კაცო, ხუთი წელიწადი გავიდა, ღმერთი არ არის!

— ეხლახან შევხვდი, მიფიცა, მიხინტკა, სულ იქით-იქით გადამივიდა, მკვდარი ვარ სწორედ ბასილთანაო, მაგრამ ამ ორ თვეში ქვეშის თოკად რომ გამიხდეს, მაინც ვუშოვნიო...

— ვაი შენი სიმართლე და გახარება! მაგნაირი სიტყვებით ასჯერ მომელაქუცა, მაგრამ სულ ტყუილები გამოვიდაა... ეხლაც ხელში რა მიჭირავს? სუდის წესითაც ბევრს რას დავაკლებ, მაგრამ ლისტი მაინც მქონდეს ხელში. ჰო, მართლა, ბართლომე, იმ დაღუპულს იაგორა მიკიტანს მიეცი რაღაც რომ გმართებს? სირცხვილია!

— გითხრა რამე? — გაიოცა ბართლომემ.

— მაშ, სულ მეუბნება.

— შეხედეთ მაგ ღორის შვილს, მაგასა! თუ მე მაგას ცხვირ-პირი არ ჩავულეწო! — ბრაზით წარმოსთქვა ბართლომემ.

— ალა, ცხვირ-პირის ჩალეწვა როგორ იქნება...

— იმდენი დღე გაუძლია მაგის ფხალის ძირივით გაბერილ კეფას, მაგ კუბაქს მაგასა! ჰმ! რომ არ ვუჩივლე და პასუხისგებაში არ მივეცი-ის არ ეყოფოდა, მაგ ძაღლის შვილს, რომ მომდგარა და კიდევ ფულებს მედავება?! ბინძურად გაკეთებული წვენი მაჭამა, მაწყინა, ძლივს გადავრჩი კაცი. ღმერთს გეფიცებით, ერთი თუმანი ნაღდი ფული წამლებში დამეხარჯა, კინაღამ მოვკვდი.

— კი, მარა ფული მაინც ქე დაგედო მისი...

— რავა დემედო, როცა კილამ მომკლა მისმა საჭმელმა!.. მაგრამ მაგას თავი დავანებოთ. ერთი ცაცხვისკენ გავიაროთ, ჩვენიანები შეიკრიბებიან, ან კარგს ვიტყვით, ან ავს.

— რას დავეძებ, წავიდეთ, — მიუგო ბასილმა. — ამ გაზაფხულზე ჯერ მინდორობაში არ გავსულვარ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივენი ეზოდან გავიდნენ.

ბართლომე და მისი ძმები, როგორც ვთქვით, ბასილის ბიძაშვილები იყვნენ. ბასილთან შედარებით ისინი ძალიან ხელმოკლედ იყვნენ. ჭირნახული გასასყიდი კი არა, ხშირად საჭმელიც არ მოსდიოდათ. ედგათ ოდის მსგავსი სახლი, ორთვალა, ყავრით დახურული, ბედნიერ დროში აშენებული, როგორც თვითონ ხშირად ამბობდნენ ხოლმე, ე. ი. იმ დროში, როცა უხნავ-უფარცხავად ცხოვრობდნენ. თითო ყმაში, ადგილებს გარდა, ოცდახუთ-ხუთი მანეთი მისცეს. ეხლა ეს პატარა ოდა სიძველისა და დაუდევრობის გამო ნაოხარს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ტახტის აზნაურების საცხოვრებელს. აივანზე ასავალი კიბის საფეხურზე ზოგი დამპალ-ჩამტვრეული იყო, ზოგიც ჩასამტვრევად ემზადებოდა. ამიტომ ამომსვლელს დიდი გამჭრიახობა და ხერხი მართებდა, რომ ფეხი არ მოეტეხა. თვით აივანზე და ოთახებში იატაკის ფიცრები ფეხის ყოველ გადადგმაზე იღუნებოდნენ და საცოდავად ჭრიჭინებდნენ, თითქოს იხვეწებიან: გვიშველეთ, ვიღუპებით. მათი სახლის დანარჩენ აღწერილობას აღარ გამოვეკიდები. არ მინდა მძებრაძეები გავაწითლო და პატივცემული მკითხველიც ცუდ გუნებაზე დავაყენო, ან რაღა უნდა ავწერო, როცა, დამპალი კედლებისა და ძველი მიგლეჯილ-მოგლეჯილი ლოგინის გარდა, ასაწერიც აღარა გახლავთ-რა.

მუშაობა სამივეს სათაკილო საქმედ მიაჩნდა, მამული ნაკლები ჰქონდათ, უკაცრაოდ, შერჩენოდათ, რადგან ერთ დროს, კარგი მემამულენი იყვნენ, მაგრამ თანდათან დაჰყიდეს და დააგირავეს, ფული არსაიდან არ შემოსდიოდათ, ენა კი სამივეს ერჩოდა და ფართო-ფართო ლაპარაკში დახელოვნებულნი იყვნენ, განსაკუთრებით, როცა გლეხებს ჩაუჯდებოდნენ ქორწილში ან საღმრთოში. „ღმერთმან თუ მშვიდობა ქმნა, მომავალი წლისთვის ჩემ საქმეს ასე და ისეო,“ ულვაშების გრეხით იტყოდნენ ძმები. მაგრამ დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს, წელიწადი წელიწადს და მათი საქმე უკანდაუკან მიდიოდა. უფროსმა ძმამ როსტომმა, რომელიც ავკაცობისთვის ციმბირში დაჰკარგეს, მათ ოჯახს ქურდისა და ავაზაკის სახელი მოუხვეჭა და ესეც უცვლელი დაღვივით დაესვა მათ. სოფელს ეხლაც მტკიცედ სწამდა, რომ თუ მათ რამე მოეძეოდათ ხვეისი წანართმევი და ნაქურდალი იყო.

ბართლომე პატარაობიდანვე როგორღაც დაბა ზ-ში მეფართლეესთან მოჰყვა. ყმაწვილი ნიჭიერი იყო, ქართულ-რუსული წერა-კითხვა გვარიანად ისწავლა, ვაჭრობაში უნარი და სიმარჯვე გამოიჩინა. სავაჭროს პატრონმა ერთ-

ხელ-ორჯერ თბილისში წაიყვანა და ბოლოს იმდენად მიენდო, რომ მთელი თავისი ვაჭრობა მას მიანდო, თვითონ კი შორიდან ადევნებდა თვალყურს.

ბართლომეს ჯერ კარგად მიჰყავდა საქმე და მომავლისთვის დიდ-მედებს იძლეოდა. მაგრამ შემდეგში ცოტა-ცოტა ბანქოს და ნარდის თამაშობას მიეჩვია. ქალებშიაც დაიწყო ხეტიალი. ხელი მიჰყო აგრეთვე ქეიფს და ღვინის სმას. ყველა ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ოდესმე მდიდარი და საუკეთესო საქონლით სავსე ამღაზია დაიკეტა და პატრონი კოტრად გამოცხადდა. ბართლომე სოფელში დაბრუნდა, ვაჭარი კი დარდისაგან გარდაიცვალა.

მას შემდეგ ბართლომემ ვერავითარ სასიკეთო საქმეს ხელი ვეღარ მოჰკიდა. ხან აქეთ ეცა, ხან იქით, ამას დაუმეგობრდა, იმას მიეკედლა და ბოლოს უსაქმო კაცი გამოვიდა, რომელსაც კოხტად აცვია და ჰხურავს, წვერებს სამკუთხად იკრიჭავს და ულვაშებს ბოლო-წაწკვიტინებულად იგრეხავს, რიგიანად სვამს და სჭამს. მუდამ მხიარულია და ოხუნჯი. მღერის და ცეკვაობს, ქორწილში, ნათლობაში ან სხვა რამე კამპანიაში ხშირი და სასურველი სტუმარია. ბანქოთი,ნარდით და სხვა სათამაშოებით თავს ირჩენს. დაბა-ქალაქებში ხშირად დაიარება. ზოგს მოატყუებს, ზოგს წაართმევს. შემთხვევამ თუ მისცა, ქურდობასაც არ დაერიდება. სოფლელს რომ მიუთითო ასეთ კაცზე და შეეკითხო, ვინ არისო, კარტოჟნიკია, ბატონო, მოგიგებს.

IX

აპრილის დამდეგს, ცოტა არ იყოს, აცივდა. მზე სქელ და მოშავო ღრუბლებში დაიმალა. ქვეყანას მოწყენილი ფერი დაედო. სოფლის ეკლესიის პატარა და ისიც გატეხილი ზარის ხმა დროგამოშვებით ულაზათოდ ეფინებოდა არე-მარეს, თითქოს დაღვრემილ ბუნებას ბანს ეუბნებაო, გაზაფხულის პირველ დღეებში გამოფხიზლებულ მწერ-ჩიტები ისევ მიიმალნენ და ქვეყანა სიჩუმემ მოიცვა.

ათანასემ და ფარნამ ფარა მშვიდობით არეკეს ბიჯურში.

ბიჯურში, შუა ბეგზე, სათემო გზის პირად, ქარისაგან წაქცეული ვეებერთელა წიფლის როკი ეგდო. ტოტები შემოლეოდა: შეშად წაეღოთ ახლომახლო მცხოვრებთ, ზოგიც დროთა ვითარების გამო დამპალიყო. სალაზღანდაროდ და დასასვენებლად სწორედ ეს როკი აერჩიათ მწყემსებს. ვისაც რამე იარაღი ჰქონდა, თავისს მოვალეობად მიაჩნდა, წაქცეული წიფლის მსხვილი, ალაგ-ალაგ დამპალი ღეროებისთვის ცოტა გაეკაკუნებინა და ნაფოტები დაეყარა. ამიტომ როკი ათასნაირად იყო დაკეპილი.

მისვლის უმალ ფარნამაც სხვების კვალს მიბაძა და წიფლის როკს ორიოდე ნაფოტი გააგდებინა. ხოლო ძაკალა და ათანასე განზე გადგნენ და რაღაცაზე მუსაიფი გააბეს. ორივენი ერთი სიმაღლესანი იყვნენ. ათანასეს ეცვა მსხვილი შალის მოკლე ჩოხა, არათუ მოძველო, კიდევაც დახეული. თავზე კი საკმაოდ სუფთა შალისვე ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული. ძაკალა-კი რაღაც ფარატინებში იყო გახვეული. დიდი დაკვირვების შემდეგ გაარჩევდით, რომ მისი ტანისამოსი ერთ დროს სრული წლოვანის ახალუხი უნდა ყოფილიყო. თავზე ძველი წვეტიანი ნაბდის ქუდი ეხურა, რომელსაც ერთი ადგილი ამოგლეჯოდა, საიდანაც ჯაგარივით მაგარი და რამდენიმე თვის დაუბანელი თმა ამოჩრილიყო.

— წიე, ასე დიდად ნუ აკაკუნებ, — გასძახა ათანასემ ფარნას. — შეიძლება ტყაჩუმ *) გაიგონოს, მოგვარდება და ნაჯახს წაგართმევს, ერთხელ კინალამ წამართვა ნაჯახი: შე ყურუმსალო, — მითხრა — თხებს ხომ მუქთად აძოვებ, ის არ გეყოფა, რომ ხეებსაც აფუჭებო.

თხები კი თვალის დახამხამებაზე ტყეს მოედვნენ და ახლად აღყვავებული კვირტების ჩაკნატუნებას შეუდგნენ.

— ნამდვილს ამბობ? — ხმამაღლა დაეკითხა ძაკალა ათანასეს.

— დედიჩემის სული ნუ წამიწყდება! იქით კვირას ერთი ყაბალახი სავსე დავიჭირე. ასეთი თბილი დღე კიდევ როდი იყო.

— თხებს რა ეშველება? — ნაღვლიანად იკითხა ძაკალამ.

— მეც ეგ მაწუხებს...

— ფარნას ვითომ ვენდოთ?

— რა ვიცი, ან შეეშინდეს ბავშვს, ან რამე არ დაემართოს, მეორედ ასრის აქ...

— აბა ერთი ვქნათ ათა.

— რა?

— წავიდეთ ცოტა ხანს და ისევ ჩქარა დავბრუნდეთ. თხები ვნახოთ და მერე ისევ წავიდეთ.

ათანასე დაფიქრდა.

— ვო, ფარნა! — ალერსიანად დაუძახა ათანასემ.

— ჰო!

— შენ ჩემი კარგი ქუჩურუა ბიჭი არა ხარ? ერთს გეტყვი და თუ იმას რიგიანად შეასრულებ, ისეთ საჩუქარს მოგიტან, რომ...

— რას, რას, შენი ჭირიმე, ათა? — ატიტინდა ბავშვი, ნაჯახი ქამარში ჩაირჭო და მათთან მიიჭრა.

— იცი რას გეტყვი? თხებს რიგიანად უნდა მიხედო. ყური უნდა უგდო, ერთ წამს თვალი არ უნდა მოაშორო. ხანდის-ხან უნდა დაიყვირო. თუ შორს გაიფანტნენ, ახლო უნდა მირეკო. ჩვენ აგერ ფართო ღელეში ჩავალთ და იმდენ კიბოებს დავიჭერთ, რომ ამაღამ ვახშმად... ფო... ფო..: ფო!

კიბოს გაგონებამ ბავშვი აღტაცებაში მოიყვანა.

— კარგი, კარგი, მაგრამ, — დაფიქრდა ბავშვი, — აქედან შორს იჭნებით?

— არა, აქვე ვიჭნებით.

— დია, — წამოიძახა ფარნამ, — დედი ჩემის სულიმე, ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. ბევრ ხანს კი არ დაიგვიანოთ.

— ჩქარა მოვალთ, შენ ასრის გეშინია, კვაღაია ისეთი გალესილია, რომ თმას შუაში გასჭრის...

ამხანაგები ტყეში შევიდნენ. ფარნა კი ბეჯითად შეუდგა თხების ყარაულს.

აღმოსავლეთის ქარმა დაბერა და ღრუბლები ნელ-ნელა შავი ზღვისკენ გარეკა. ლურჯი ცის კამარა გამოჩნდა და ბრწყინვალე მზემ დედამიწას ისევ გაუღიმა. შუა ბიჯურში, სათემო გზის პირად, ნიკოია თოხიტარიას მცირე ფარა ხუჭუჭ-ფოთლებიან რცხილის ძირში დაწოლილიყო და იცოხნიდა. შორიახლო ფარნას კვაღაიას ნელი კაკუნი გაისმოდა.

---

*) ტყაჩუ — ტყის დარაჯი.

— ხაბარდა, ხაბარდა! ჰა, ჰაიტ! — დაიძახა ვილაცამ და თან მათრახის ტკაცუნი და ცხენის ფეხის ხმა მოისმა.

ფარნას უცბად შეეშინდა. მიხედვა ვერ მოასწრო, რომ მის წინ ცხენოსანმა კაცმა გაიქროლა. ბავშვმა ძლივს იცნო, რომ ძუკუ მძებრაძე იყო. ფეხები დაფრთხნენ და წამოცვივდნენ, რაც სრულებით არ ესიამოვნა პატარა მწყემსს და მხედარს არც მაინც და მაინც ზრდილობიანი სიტყვებით შეუკურთხა. ცხენი გარბოდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა და შარაგზაზე კორიანტელს აყენებდა. მხედარი კი ხაბარდა, ხაბარდაო, გაჰკიოდა და ცხენს მარჯვნივ და მარცხნივ მათრახს უტყლაშუნებდა.. ბავშვი გამოერკვა და გაჭენებულ ცხენს სიამოვნებით თვალი გააყოლა.

— ჰა, წიე! ფო, ფო, ფო! რამდენი მტვერია! მე და ბაბამ ერთ საღამოს ნაგავს რომ მოუკიდეთ, ასეთი კვამლი მოდიოდა, — ჩაილაპარაკა თავისთვის ფარნამ.

ამ დროს ღელისკენ მიმავალ გზიდან ხმაურობა მოესმა და იქითკენ მიიხედა.

— წიე, წიე! ძუკუ, ვო, ძუკუ! თავს ლაფი დაგესხა შენ! წიე, დამიცადე! დია, ღმერთო რა ხანგა ხარ! მოიცა, ყოველივეს ბაბას ვეტყვი, — ტირილით ამბობდა ძუკუს პატარა და ტასია და რაც შეეძლო მორბოდა.

გოგოს წითელი ჩითის კაბა ეცვა, ხელშიაც რალაც პატარა ბოხჩა ეჭირა და ჩქარობდა. საშინელი დაღლილობა ეტყობოდა. პირის სახე გასწითლებოდა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. გოგოს უკან, ასე ათიოდე საჟენის სიშორეზე, შუათანა ტანის ენა-გამოყოფილი ძაღლი მორბოდა. „ძაღლიც შინიდან გამოყოლიათო, — გაიფიქრა ფარნამ, — ჩვენი აჟგერია სჯობიან, ის უფრო დიდია“.

— დამაცადოს, დამაცადოს მაგ გიჟმა, თუ ბაბას ყურები არ დავაზელინო! — გაბრაზებული ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს გოგო, რადგან სირბილისაგან სული უგუბდებოდა.

— ალბათ, მოგიცდის, ნუ გეშინია, ასე ნუ მირბიხარ, თორემ სული შეგეხუთება, — თანაგრძნობით შესძახა ფარნამ, რადგან ძალიან შეეცოდა მტირალი გოგო.

— მე მაგას, მე მაგას... — მწყრალად გაიმეორა ტასიამ და უკან მიიხედა.

ძაღლი ახლო იყო მისგან. თვალებ-გაბრიალებულს, გრძლად გამოყოფილ ენიდან სქელი ქაფი სდიოდა.

— ნანა, ნანა, ჩქიმი ცოდვა! — სასოწარკვეთით დაიწუწუნა გოგომ, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ფარნისკენ გაექანა.

გოგოს ძაღლისა შეეშინდა არ მიკბინოსო, მან არ იცოდა, რომ ძაღლი ცოფიანი იყო.

ფარნას კი ცოფიანი ძაღლის ამბავი ბევრი გაეგონა და, კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა, რომ ძაღლი ცოფიანი იყო. ნათლად წარმოუდგა საშიში მდგომარეობა, თმები აებურძგნა და აკანკალდა.

ძაღლი დიდი არ იყო, ძალზე გამხდარი იყო და ფეხებს ძლივს მიათრევდა. ეტყობოდა, საზარელი სენი დიდად მორეოდა. გოგო ფარნასთან მივიდა. ფარნას ნათლად ესმოდა მისი ტანის ცახცახი და პაწია გულის დაგა-დუგი. თითონ შეეძლო ტყეში შევარდნილიყო, მაგრამ გოგო ფეხის გადადგმას ვეღარ ახერხებდა. უმწეო გოგოს გაჭირვებამ ბავშვი გაამხნევა და ნაჯახის ტარისთვის ხელი მაგრა მოაჭერინა.

„გაიქეც, გაიქეც, ხეზე ადი და თავს უშველეო“, — ჩასჩურჩულა ფარნას ვილაცის ხმამ ყურში, მაგრამ იმავე დროს ათანასეს სიტყვებიც გაახსენდა: „თამამად იყავ, ნაჯახი თმას სჭრის, სჭინჩე და თავი გააგდებინეო.“ ბავშვი საშინლად აძაგძაგდა და თვალები ცრემლით აევსო, ერთი ძაღლის მაგივრად ოთხი მოეჩვენა. რაც შეეძლო ნაჯახი მოიქნია და ხელიდან გააგდო. მერე სწრაფად გოგოს ხელში ხელი სტაცა, უკან მიაბრუნა და მასთან ერთად მცირე მანძილი გაირბინა. როცა ერთ ხესთან გაჩერდნენ და უკან მიიხედეს, დაინახეს, რომ ძაღლი წაქცეულიყო და ფეხებს საცოდავად იქნევდა. ნაჯახი თავის ქალაში ჩარჭობოდა. ალისფერი სისხლი ნაკადულივით ჩამოსდიოდა.

ხეს მოფარებული ბავშვები სულგანაბული უცქეროდნენ.

— ამას რას ვხედავ? დაილოცა ღმერთო შენი სახელი! — დაილაპარაკა ამ დროს გაოცებით ვილაცამ შარაგზაზე. — ფო, ფო, ფო! ვინ მოკლა ნეტა ეს ძაღლი? ცოფიანი ყოფილა... ან ეს ნაჯახი რათ ჩასტოვა თავში?

ბავშვებს ამ ხმაზე გული მოეცათ და შარა გზაზე გამოვიდნენ.

— ბიჭო, შენ ვისი შვილი ხარ? ეს ძაღლი ვინ მოკლა? — ჰკითხა ფარნას ახალ მოსულმა, რომელიც მკვდარ ძაღლს დაჰყურებდა.

— მე ნიკოიას შვილი ვარ, — მიუგო ფარნამ.

— რომელ ნიკოიასი?

— ნიკოია თოხიტარიასი.

— ეს ძაღლი ვინ მოკლა?

ფარნა ფეხის ფრჩხილებზე შესდგა და შორიდან გადახედა მკვდარ ძაღლს, თითქოს უნდა დარწმუნდეს, მართლა მკვდარია თუ არაო.

— ნაჯახი მე ვესროლე, — წყნარად და მტკიცედ მიუგო ბავშვმა.

ახალმოსულმა ჩაიცინა:

— შენ კი არა და ის არ გინდა!

— მე დღევანდელი დღის მადლმა! დედა ნუ წამიწყდება!

ახალმოსულს არა სჯეროდა და გაკვირვებული აქით-იქით იყურებოდა.

— რა მესმის, დიდობა შენდა! — პირჯვრის წერით ამბობდა თავისთვის ახალ მოსული. — ან ეს გოგო ვისია ამ ტყეში?

— მე ბასილ მძებრაძესი ვარ, — ჩუმად მიუგო ტასიამ.

ახალ მოსულმა თვალები დააშტერა.

— ბასილის შვილს აქ რა უნდა, ამ შუა ბიჯურში მარტოდ-მარტო? სიზმარში ხომ არ ვარ! ბიჭო, მე მცნობ?

— კი გიცნობ, —მორცხვად მიუგო ფარნამ, — გუდუ არა ხარ გუდუ სხულია?

— ჰო-და... — ჩაიცინა გუდუმ, ალერსიანი თვალებით შეხედა პატარა ბიჭს, — ალი ყოფილხარ, ალი! — ამბობდა თავისთვის გუდუ — თითის ტოლა ბავშვი და... დიდობა შენდა! ეს შენი თხებია? — მიუთითა გუდუმ ჩრდილში მყოფ თხებზე, რომლებიც კვლავ გულგრილად იცოხნიდენ, — მერე, თითის ტოლა ბოვში ამ სიშორეზე ვინ გამოგიშვა?

— მე მარტო არა ვარ, ჩემთან ათანასეც არის.

— მერე, სად არის ეხლა?

— ათანასე და მისი ამხანაგი კიბოების საჭერად წავიდნენ.

— ა, საქმე რაში ყოფილა! — სიცილით სთქვა გუდუმ. — ბასილის შვილს აქ რაღა უნდოდა?

— მე ძუკუს მოვყვებოდი, იმან არ მომიცადა და ცხენი გააჭენა. — სთქვა ტასიამ.

— თქვენ ბედი გქონიათ და ეს არის, ჩემო ძმაო. უბედოდ ხის ფოთოლი არ მოვარდებაო. ტყუილი არ ყოფილა... ეს ნაჯახიც რა, ძალიან მოხვედრია...

— ფარნა, ფარნა, რა ამბავია, თხები ხომ არ დაგებნა? — მოისმა ამ დროს ტყიდან ათანასეს ხმა.

— აქეთ მობრძანდით, აქეთ აბა გამობრძანდით მაგ ტყიდან თქვე ყიყამეებო! — გასძახა გუდუმ ათანასეს და ძაკალას, რომელნიც ამ დროს ტყეში გამოჩნდენ. — ბაღანა აქ დააგდეთ და კიბოების საჭერად წახვედით?! ერთი ბეწო დაკლებია, კინაღამ დეიღუპა და საცოდაობა დატრიალდა...

— რა იყო, შენი ჭირიმე, რა მოხდა? — სასოწარკვეთილი ხმით დაიძახა ათანასემ და ისა და ძაკალა საჩქაროდ მიიჭრნენ.

— აი შეხედე, რა არის! — მიუგო გუდუმ.

ფერწასული და გაქვავებული ათანესე შარაგზაზე იდგა და მკვდარ ძაღლს დაჰყურებდა.

— მეორეჯერ აღარ მოგვიდეთ მაგისთანა შეცდომა, — დარიგებით უთხრა გუდუმ. — პატარები აღარა ხართ, ჭკუა უნდა გქონდეთ. თხები ბავშვის ამარა დასტოვეთ და გაიქეცით...

ათანასემ ტასიას შეჰხედა და როცა შეიტყო, როგორ მოხვდა ის აქ, უფრო გაოცდა. მან გულახდილად წარმოსთქვა:

— ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი! საცემი ვარ, სწორედ საცემი... მაინც, თუ ერთი წუთი თვალიდან მოშორდი, უსათუოდ რამე ბანძი არ მოხდეს, შეუძლებელია! გუდუ გვიშველე ერთი, ეს ძაღლი როგორმე მიწაში დავფლათ, — შეეხვეწა ათანასე.

მათ ფრთხილად ამოიღეს პატარა ნაჯახი ძაღლის თავიდან..

— აა, ძმაო, ამას კი რიგიანი გაწმენდა უნდა, თორემ საშიშია, — უთხრა ათანასეს გუდუმ, — სოველ მიწაზე ბევრ ხანს უსვი, მერე ერთი-ორი დღე დაგუბებულ წყალში ჩააგდე. მჭედელსაც რომ მიუტანდე და გაახურებინებდე, უკეთესი იქმნება...

ათანასემ ნაჯახის ტარს ფრთხილად ხელი დაავლო და უნდოდა გასაწმენდად ტყეში შეეტანა, რომ გაჭენებული ცხენის ფეხის ხმა მოისმა.

ძუკუ მძებრაძე ცხენს ისევ უკან მოაჭენებდა. გასუქებული ცხენი აპაფეებული იყო, ორთქლი ასდიოდა.

— სრულებით არ გეკარდება, შენ არ მომიკვდე, მამიშენის შვილს სრულებით არ შეშვენის! — ცოტა არ იყოს, ცივად მიაძახა გუდუმ.

— რა არ უნდა მშვენოდეს, ჩოხა-ახალუხი თუ ხმალ-ხანჯალი? — ცივადვე უპასუხა ძუკუმ, ცხენი შეაყენა და ნაბიჯით წამოიყვანა. — სადა ხარ, შე ჭირამ გოგოვ, ამდენ ხანს? ფეხები ხომ შებორკილი არა გქონდა? მოვკვდი კაცი შენი ყურებით, ვიცადე, ვიცადე, აი აგერ მოვა, აი აგერ მოვა-მეთქი! — მწყრალად გადასძახა ძუკუმ ტასიას, რომელმაც არა ნაკლებ გულმოსულად შეუბღვირა:

— მერე, სად მირბოდი, შე გადარეულო? წიე, კინაღამ ძაღლმა შემჭამა.

ძუკუს ცუდმა ფერმა გადაჰკრა. მიწაზე სისხლში ამოსვრილი ძაღლი დაინახა. თავისი დანაშაული ცხადად იგრძნო, მაგრამ თან დაყოლილი თავმოყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობა შეელახა და მორბილების მაგივრად უფრო გაბრაზდა. გუდუს სიტყვები ძალიან ეწყინა, ძაღლი მისი მოკლული ეგონა და ამაყად გაეხმაურა:

— გვარიანი გინადირნია, თუ ვინიცობაა, მსუქანია?

— რას ამბობ, ძუკუ, ხომ არ გადაირიე! — მიუგო გუდუმ. — ერთადერთი და დღეს კინალამ ცოფიანმა ძაღლმა შეგიჭამა და შენ კიდევ გეხუმრება? განა ეს ისწავლე?

— მე რაც ვისწავლე, იმის მედიატორედ შენისთანეები არ გამოდგებიან! — მწყრალად მიუგო ძუკუმ და ცხენი შეაჩერა.

— არა, ძმაო, როგორ გეტყობა... რა ვიცი... შენ თუ კაცი შეიქენი... — თავის ჭნევით მიუგო გუდუმ.

— შენი ძმა საღორეში ეძიე! — დაიჭყივლა ძუკუმ, — ბევრ თავს ნუ იგდებ ყაზახო, თორემ ისე გაგხდი, რომ ამ მათრახის კუდს ჰკოცნიდე! — და მათრახს მართლა ზევით ასწია.

— ვო-ვო! — ნაღვლიანად წარმოსთქვა გუდუმ და მარცხენა ხელი შუბლზე მიიცაცუნა: — ბასილ მძებრაძე, როგორც ვხედავ, უძეოდ ამოვარდნილა. ვაი, ვაი, რა კაი კაცი ან რა კაი ოჯახი!

ძუკუ აენთო, ბრაზი იმდენად მოერია, რომ სიტყვა ვერ წარმოსთქვა, და უაზროდ რაღაცას ყვიროდა და მათრახ-ამართული გუდუსკენ იწევდა.

— მამი-ჩემის სულს ვფიცავ, — ხმამაღლა დაუყვირა სახეზე ალ-მოკიდებულმა გუდუმ და ჯოხი მოიმარჯვა, — ერთი ნაბიჯი არ გადმოსდგა წინ თორემ, მამი-ჩემის სულს გფიცავ, ამ ცოფიან ძაღლს გვერდით ამოგიწვენ, შენ ვინცხა ხარ, თავი აგიგდია და, არც კი შეგიტყვია, დიდი ვირიც-კი ყოფილხარ! მადლობის მაგივრად რაებს ამბობ? არც მაგდენად პატარა ხარ, რომ კაცმა ყოველისფერი მოგითმინოს. შენი აზნაურობა ფეხებზე მკიდია! დიდი კაცი თუ ხარ, შენთვის ხარ, შენ ეზოში იდიდკაცე, შენ სახლში იაზნაურე, მე კი შენი ნაბოძები არ მინდა! სათემოს შენი ბატონობა ბევრ არაფერში ჭირს. წაგვიდა ის დროება!

მათ ჩხუბზე ტასია ატირდა. ათანასესაც შეეშინდა: ვაი თუ ძუკუს ბავშობამ დასძლიოს და გუდუს მათრახი მოუქნიოს, გუდუმაც ვერ მოუთმინოს და ერთი ალიაქოთი ატყდესო. ათანასეს მით უფრო შეეშინდა, რომ გუდუ მთელ სოფელში განთქმული გულადი კაცი იყო.

ფარნა როკს მიყდნობოდა და სულგანაბული იყურებოდა.

— აქეთ წამოეთრიე, აქეთ! — დაუჭყივლა ძუკუმ ტასიას, როცა შეატყო, რომ გუდუსთან ჩხუბი ხეირს არ დააყრიდა. — კიდევ ტირის, ეგ ჭირამი, ეგა! — გოგოს ხელი დაავლო, ცხენზე შემოისვა და ხმა-ამოუღებლად გზას გაუდგა.

— რას გეტყვი, იცი, ათანასე? — უთხრა გუდუმ, როცა მიწა ამოთხარეს, ძაღლის ლეში ჩააგდეს და ზედ მიწას აყრიდნენ. — იტყვიან, კაცი მოკვდება, ნათქვამი კი არ მოკვდებაო. მე მითქვამს, ის კაცი თუ თავის ლოგინზე მოკვდა, მე ეს მომპარსე აი, — და ულვაშებზე ხელი გადაისვა გუდუმ, — ყველანი გაიგებთ, იმან თუ თავის ლოგინზე სული დალია... ჯერ ურუმ ტყეში ჩვილი ბალანა დატოვა, თვითონ ლრუბელივით გაიქცა. შუა ბეგში ცხენის ჭენებისთვის საჩუქარს მისცემდენ, თუ რავაა მისი საქმე?! როგორ მექნა, თორემ მაგას გადმოვათრევდი მაგ ცხენიდან და ერთი რიგიანად მივზელავდი. კარგიც იჭნებოდა, ჭკუას დაისწავლიდა!

და მცირე სიჩუმის შემდეგ განაგრძო:

— ასე, ასე ათანასე! ე მაგ მიწაც მოაყარე და მერე კარგად დავტკეპოთ, უბედური სულია, საშიშია... ვის დაემგვანა აგეთი ოხერი? — გაანგარიშა გუდუმ. — დედას ჰგავს, ალბათ, ისიც ცოტა, ცოტა კი არა, ცოტაზე მეტს ეტყობა-ზიკაა. სტუმარი რომ მივიდეს, თუ აზნაური მივიდა შეიძლება თეძოები შეანძრიოს და თუ ვინმე გლეხთაგანი, გდია ისე ოჩა მურესავით და თუ ორი სიტყვა-რამე გითხრა, დიდ წყალობად მიაჩნია.

X

ივნისი დადგა. ფარნა პატარა ფარას თამამად უძღოდა. მხოლოდ ბიჯურისკენ მარტოდ წასვლას ჯერ ვერა ბედავდა. ივნისის შუა რიცხვებში, ერთ პაპანაქება დღეს, შუადღისას თხებს შინისკენ მოერეკებოდა. სოფლის ეკლესიის გვერდით მდებარე მინდორი უნდა გადაევლო, რადგან სოფლის სათემო გზა ამ მინდვრის შუაგულ მიდიოდა. ეს მინდორი საზოგადო იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას: დღეობები, ცეკვა-თამაში და ცხენის ჯირითი და თარჩია სულ აქ იმართებოდა ხოლმე.

დღეობაზე ხალხი ეკლესიაში მოდიოდა, ლოცულობდა, ფულს სწირავდა, ხატის წინ დაჩოქილი სანთელს თავზე ივლებდა და დარწმუნებული იყო, რომ ამით ღმერთს და, განსაკუთრებით, ხატს დიდს დავალებას უწევდა და, პირიქით, ხატისაგან ოთხჯერ ხუთჯერ მეტ წყალობას გამოელოდა. ამ მოვალეობას რომ მოიხდიდა, გადიოდა იქვე მინდორში, ოხუნჯობდა, თამაშობდა, ცეკვავდა, მღეროდა. თუ ცხენი ჰყავდა, ჯირითობდა, მკერდაობდა, თარჩია დაჰქონდა. საუბედუროდ, სულ ცოტა რამ, სულ უმნიშვნელო მიზეზი იყო საკმაო, რომ ხატის სათაყვანოდ მოსულ მხიარულების დროს ერთმანეთისათვის ჩხუბი აეტეხათ ან ძველი ანგარიშები გაეხსენებინათ. ამიტომ ამ მინდორში აყალ-მაყალი ხშირად ხდებოდა ხოლმე, სასიკვდილოდაც კაცი ხშირად იჭრებოდა. ცხვირპირის დასისხლიანება ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

სინიდისი არ აწუხებდათ. პირიქით, დიდად მოხარულნი და კმაყოფილნი იყვნენ: „ხატს დაპირება აღვუსრულე, მისი გული მოვიგე. — ვენაცვალე მის სახელს! — ჩქარა მომეშველა, მტერს ტუკით თავი გაუტეხეო“, — და ორკეცად მხიარული და კმაყოფილი შინ ბრუნდებოდნენ.

ამ მინდვრის პირად, ეკლესიის გალავანთან, ერთი ძველი და დაბალი ფიცრული სახლი იდგა, რომელსაც სასენაკოს ეძახდნენ. სახლს არც ჭერი ჰქონდა, არც იატაკი, არც ფანჯარა, არც ბუხარი. გამურულ კედლებიდან უანგარიშო ჭუჭრუტანა გამოიყურებოდა. წინა კარი ეკიდა, თუმცა დასაკეტი რაზა არა ჰქონდა, უკანა, კი ნახევრად დამტვრეული, ისე მიყუდებული იყო. ღვთის წინაშე, კარები არც იყო საჭირო ამ სახლისათვის, რადგან, მტვრისა და ობობას ქსელის გარდა, შიგ არა მოიძებნებოდა რა.

ამ სახლის დანიშნულება ის გახლდათ, რომ დიდიმარხვის პირველ და უკანასკნელ კვირიაკეში, ვინც ეკლესიის მოშორებით სცხოვრობდა, განსაკუთრებით ქალები, აქ მოდიოდა და საიდუმლოს მისაღებად ემზადებოდა.

ფარნამ შორიდანვე შეამჩნია, რომ მინდორზე ათი-თხუთმეტიოდე ბავშვი მხიარულად დაკუნტრუშებდა, და ძალიან გაუხარდა. „შუადღეა, თხებსაც მოვასვენებ და მეც ან ბურთს, ან რიკს წავითამაშებო“. მართლაც როცა მიუახლოვდა, შეამჩნია, რომ ბავშვები ბურთს თამაშობდნენ, და გახარებულმა

თხები საჩქაროდ წინ გაირეკა. თხებმაც ბევრი აღარ დააყოვნეს და ერთ ვებერთელა თხმელის ჩრდილისაკენ გაეშურნენ.

მაგრამ ამ დროს სასენაკოდან პატარა ზარის წკარუნი მოისმა. ბავშვს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა: წირვის დროის ზარის ხმას არა ჰგავდა. უფრო იმან გააოცა, რომ ამ ხმის გაგონებაზე ბავშვებმა თამაშობა შესწყვიტეს, სირბილით და ხტუნაობით სასენაკოსკენ გაიქცნენ და შიგ შეცვივდნენ.

ბავშვი დაინტერესდა, რაში იყო საქმე.

სასენაკოდან ბავშვების ჩოჩქოლი და ხმაურობა მოისმოდა, სახლის წინ კი, მინდორში, ადგილობრივი მღვდლის შვილი, სევერიანე წყალაძე, თეთრ ხალათში გამოწყობილი, დინჯად დასეირნობდა. ფარნამ შორიდანვე იცნო.

სევერიანე აუჩქარებლივ შევიდა და ხმაურობაც მაშინვე მიწყნარდა. ეხლა კი მიხვდა ფარნა, რაში იყო საქმე. გუშინ წინ დილით ყური მოჭრა თავის დადის მეზობლის ცოლის, მართას, მუსაიფს. მართა, ცოტა არ იყოს, თავმომწონედ ეუბნებოდა მოხუც ჭუჭას: ჩემი არტემა სევერიანეს მივაბარე, წიგნი უნდა დაასწავლოსო. დღესაც მოთამაშე ბავშვებში არტემა შორიდანვე იცნო. წითელი პერანგი ეცვა. თავზე კიდევ თეთრი, შინ მოქსოვილი, აბრეშუმის ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული. ძალზე მოესურვა ენახა, როგორ სწავლობდნენ წიგნს.

ბავშვი ნელ-ნელა და მორცხვად მიდიოდა სასენაკოსკენ, სადაც ჯერ კიდევ სიჩუმე იყო, მხოლოდ სევერიანეს მაღალი ლაპარაკი ისმოდა. სევერიანეც გაჩუმდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რაღაც დაიძახა, და ამაზე ბავშვებმა ისეთი ხმამაღალი და გაჭიანურებული ლაპარაკი გააბეს, თითქმის ყვირილი ასტეხეს, რომ ფარნას ერთ წუთს შეეშინდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ რაღაც უჩვეულო სიტყვებმა, რომლებსაც ბავშვები იძახდნენ, მიიზიდა, და ისევ წინ გასწია.

საერთო ხმაურობაში ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამოკრთოდა რამდენიმე ხმა.

— ხილი, ახალი... ეს ხილი... ახა... ლია! — იძახდა ერთი მჭეჭარე ხმით.

— აკე... თე... ნამ... გა... ლი... გუ... გუ... ლი... გო... დო... რი! — ბოხი ხმით დუდუნებდა მეორე.

— შინ... ყარ... ხარ... შინ... ჩინ...! — ისმოდა სხვა ხმა.

— ქალო... კეკე... ბალი... ჭამე... სოფო... ჩემი... კაბა... მომე! — ისმოდა გოგოს ნაზი ხმა.

— ჩე... ქმა... ჩი... რი... ჩამი... ჩი! — მამლაყინწასავით ყიოდა მესამე.

ბავშვი სასენაკოს წინა კარს ნელ-ნელა მიუახლოვდა და ფრთხილად შეიხედა. ბავშვები გრძელ ფიცრებზე ისხდნენ. წინ, ტაბაკივით, ფიცრებივე ედგათ რომლებზედაც ზოგან ქაღალდების ნახევი და ზოგან წიგნაკები ელაგა. ბავშვები ქაღალდ-წიგნაკებზე სალოკ თითს ადებდნენ და ზემორე თქმულ სიტყვებს გაიძახოდნენ.

ფარნამ ერთი შეიხედა და კარებს მიეფარა. ბავშვებმა ხმაურობა შესწყვიტეს. სევერიანემაც შენიშნა და ალერსით მიაძახა:

— შენ ვისი ბიჭი ხარ, ჯიჯი?

— ნიკოიას შვილია, ნიკოია თოხიტარიასი! — სწრაფად გაისმა რამდენიმე ხმა.

— ნიკოიას შვილი ხარ, ჯიჯი? — ისევ დაეკითხა სევერიანე.

— იახა! — თავ-დაღუნვით მიუგო ფარნამ და ტიტველი ფეხის ცერით, მტვერს ჩხრეკა დაუწყო.

— არ გინდა წიგნი დაისწავლო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე თხებს მივყობი.

— ეხლა სად არიან შენი თხები?

— ჩრდილში ისვენებენ, — მიუგო ფარნამ.

— მერე საით გარეკავ?

— ჯერ სახლში მივრეკავ და მერე ნასადილევს ქუცონისაკენ წავალ...

— შემოდი აქ ცოტა ხნით, ნუ გეშინია, — გაათამამა სევერიანემ.

ფარნა მორცხვად შევიდა და კუთხეში გაჩერდა.

მის დანახვაზე ბავშვებმა ჩოჩქოლი ასტეხეს, ზოგი დასცინოდა, ზოგი საბელს ეძახდა, ზოგი ეპატიჟებოდა და ზოგიც ემასხრებოდა.

— გაჩუმდით!.. — ხმა მაღლა გადასძახა სევერიანემ ბავშვებს. — განაგრძეთ კითხვა.

ბავშვებმა, თითქო ახალ-შემოსულ ფარნას თავი უნდა მოაწონონო, წინანდელზე უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ დაიწყეს კითხვა.

ფარნა, ყურებამდის გაწითლებული და ამ უცხო სანახაობით გაკვირვებული, ერთ ადგილას იდგა თავ-ჩაღუნული. მაგრამ მალე მიეჩვია ამ ახალ სანახაობას, წათამამდა და თავი ასწია, ჯერ მორცხვად გადახედა ბავშვებს, მერე უფრო თავისუფლად დაუწყო თვალიერება. ერთი ორის გარდა, თითქმის ყველანი იცნო არტემას გარდა, იქვე დაინახა თავისივე სახლიკაცი ელიზბარი, ბათა კალათიას შვილი ტარასი, შიგანაძის შვილი იოსები და სხვანი. იქვე შეამჩნია ბასილ მძებრაძის გოგო ტასია. ტასიას ის კაბა ეცვა რომელშიაც იმ ლირსშესანიშნავ დღეს იყო, გრძელ ფოჩებიანი და წვრილ-სახელოებიანი. მან შესვლისთანავე სანდომიანი თვალები დააშტერა ფარნას და ტკბილად გაუღიმა, მაგრამ ფარნა სირცხვილით ვერავის არჩევდა. ეხლა კი, როცა ფარნამაც შეამჩნია ტასია, ეს უკანასკნელი გაწითლდა, ადგილიდან ოდნავ წამოხტა და ტკბილად გაუღიმა. ეტყობოდა, გოგო გაახარა ფარნას დანახვამ.

ტასიას გარდა, ორი სხვა გოგოც შენიშნა ფარნამ, მაგრამ ისინი ვერ იცნო, სხვა სოფლელები იყვნენ.

— ა... შენ არ გინდა წიგნი დაისწავლო? — დაეკითხა სევერიანე.

ფარნამ არა მიუგო-რა. იგი ძირს იყურებოდა და ცალი ხელით ჭამარს იწიკნიდა.

— გინდა ან-ბანი შენც დაგიწერო?

ბავშვმა თავით დაუდასტურა.

შუადღეს გადაცილებული იყო. მზე თავისს ძლევამოსილ სხივებს უხვად უგზავნიდა ქვეყანას. ფრინველები მიჩუმებულიყვნენ. მხოლოდ დაუცხრომელი ჯალია სისინებდა მოუსვენრად. ფარნას პატარა ფარა შინისაკენ მიეშურებოდა და თითონ მწყემსიც ნელნელა უკან მისდევდა. ხელში ქაღალდის ნაგლეჯი ეჭირა და გულმოდგინედ შიგ იხედებოდა. „ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ,“ წამოიძახა მან და კვლავ სულგანაბული ქაღალდს ჩააჩერდა.

— სად იყავი, წიე? რაღა დროს თხების მორეკაა, ეხლა იქით უნდა მიერეკებოდე? არ ჰხედავ, მზე გადახრილია, შე ყიყამო, შენა! — წყრომით მიეგება ფარნას მისი დაი გაიანე, როცა ფარნამ თხები აგვარაში შელალა და სადილისთვის სახლში შევიდა.

ფარნა ხმას არ იღებდა. როცა ეზოს მიუახლოვდა, ქაღალდი ფრთხილად დაკეცა და მოწიწებით უბეში შეინახა.

— არ მეტყვი, ბიჭო, შე გიორგისაგან კისერ მოსატეხო, სად იყავი ამდენს ხანს?

— სად ვიქნებოდი, გოგოვ! — მიუგო ფარნამ.

— მეც მაგაზე გეკითხები, სად იყავი, რად დაიგვიანე?

— თხებს ვაძოებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი, ვიცი, როგორ აძოვებდი! ბავშვებთან ჭარკინს ეთამაშებოდ, ალამოთი მოვიდეს ბაბა, თუ მე შენი თავი ერთი რიგიანად არ გავატკეჩინო...

— სუ, სუ, სუ, შენ ხარ კინჩხ-მოსატეხი! რაა, კიისკიამდი ჩააცივდი თითის ტოლა ბალანას? — გამოექომაგა ფარნას მოხუცი ჭუჭა. — აქ მოდი, შენ გენაცვალოს შენი დადი! სადილი ჭამე თავს შემოგევლოს დადი! ეს ჩემი დოჩორო ბიჭია, ჩემი დამტირებელი და დამმარხველი, — მოეფერა მოხუცი.

სადაც ასეთი მფარველი ჰყავდა, ფარნას ვისი მუქარის შეეშინდებოდა, და გაიანესთვის პასუხი არ გაუცია, მხოლოდ არხეინად სადილს შეექცა.

ნასადილევს კი თხები ქუცონასკენ გარეკა. ეს ადგილი მისი სახლიდან ვერსნახევარზე მდებარეობდა. იქ უფრო ეკლიანი ბუჩქნარი ხარობდა. ქუცონაც იმიტომ ერქვა. სხვათა შორის, იქ ბლომად იცოდა ანწლი, რომლის ფოთლები თხის საყვარელი საჭმელია. თხები ხარბად დაეწაფნენ ანწლის ფოთოლს და ორი საათის განუწყვეტელი კნატუნის შემდეგ ყველას მუცელი გამოებერა.

საღამოჟამს მხიარულად დაუსტვინა ფარნამ და თხები შინისკენ გაირეკა. მზე ჩასვლას აპირობდა და მისი ოდნავ თბილი სხივები შარავანდედად ერტყმოდნენ ცის კამარას და ქვეყანას მოწითანოდ აფერადებდნენ. ნიავმაც დაჰბერა, ფოთლები შეარხია და ფრინველები ააჭიკჭიკა. ბინდმა მთელი დღის სიცხისაგან გულშეწუხებულ ფარნას სიხარული მოჰგვარა და ძალაუნებურად სიმღერა დააწყებინა.

გზაზე საფუტკრე ღელე უნდა გაევლო. როცა ღელეს მიუახლოვდა, უცაბედად განზე გაიხედა და შეამჩნია, რომ ღელეს პირად ამოსული პატარა წიფლის ტოტი სწორედ ისე იყო მოღუნული, როგორც ქალალდზე ანი. მან საჩქაროდ უბიდან ან-ბანი ამოიღო, ხის ტოტს დაკვირვებით შეადარა და სიხარულით ორჯერ-სამჯერ შემოტრიალდა.

— აი სასწაული! — ჰკვირობდა ბავშვი და თვალს არ აშორებდა ხან ქალალდს, ხან ხის ტოტს.

ამასობაში თხები ფრუტუნით და ფეხების ბაკუნით ღელეს გასცილდნენ. ბავშვმა ქამარში ჩარჭობილი ნაჯახი ამოიღო და თხმელას წვრილი და სწორი ტოტი ჩამოსჭრა. წკნელი ორივე ხელში დაიჭირა და გადალუნა. წკნელმაც ისეთივე სახე მიიღო, როგორიც წიფლის ტოტმა. ცალი ხელი გაუშვა დ წკნელი ისევ გასწორდა. ქალალდი მდელოზე გაშალა და წკნელი ნელ-ნელა გადალუნა, ცდილობდა ქალალდზე დაწერილი ანისთვის მიემსგავსებინა, მიამსგავსა კიდეც. გახარებულმა ბავშვმა გრძნობით სავსე თვალები აქეთ-იქით მიმოავლო, თითქოს თავისი სიხარულის მოწმედ მთა-ბარი უნდა მიიწვიოსო.

უფრო მეტად გაეხარდა, როცა ერთ საგანს თვალი მოავლო და რაღაც ახალი აზრი დაებადა. ღელეს პირად, ერთ ადგილას, მშრალი ქვიშა, ეყარა. მოღუნული წკნელი ქვიშისაკენ გაარბენინა, საჩქაროდ ზედ დაადო და ისევ მოაშორა. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: ქვიშაზე ანი გამოისახა. ფარნამ ან-ბანი ახლა ქვიშაზე გაშალა, წკნელი ხელში აიღო და ბანის გამოხატვას შეეცადა. რამდენნაირად არ ატრიალა წკნელი, მაგრამ არ იქნა და არა, ბანს მაინც ვერ მიამსგავსა. სულ ანი და ანი გამოუდიოდა, ან კიდევ რაღაც პირქვე გადმობრუნებული ანის მსგავსი. ასეთი ასოც შენიშნა ან-ბანში, მაგრამ მისი სახელი ჯერ არ იცოდა.

სიხარული ჩაუქრა და მისი ადგილი მოწყენამ და მწუხარებამ დაიჭირა. ბევრს ეცადა, მაგრამ ამაოდ. წკნელი ბანს ვერაფერის გზით ვერ მიამსგავსა. მზად იყო წკნელი შორს გადაეგდო, რომ თავში ისევ ახალმა ბრძოლა გაბრობინა. წკნელი ქვიშაზე გადაუსვ-გადმოუსვა და ქვიშა გაასწორა. მერე ცალ ხელში წკნელი დაიჭირა, მეორეში ქაღალდი, ქაღალდს დაჰხედა და წკნელის ბოლო ქვიშაზე ნელნელა დაუსვა. ჯერ მრგვალი ხაზი შემოავლო, მერე ზევით წაიღო ხაზი, შემდეგ მარცხნივ მოაბრუნა, როგორც ქაღალდზე იყო დაწერილი, და ისევ ქვევით ჩამოიტანა. მართლა ბანი გამოვიდა. ბავშვს თვალები აღტაცებით გაუბრწყინდა. ეხლა შეეცადა განის დაწერას. ისიც გამოიყვანა, მერე დონი. და ამნაირად ექვსივე ასო ქვიშაზე დასწერა. ერთხანს თავისს ნაწარმოებს სიხარულისაგან თვალცრემლიანი დაჰყურებდა. მერე წკნელი გადაუსვა და ყველა წაშალა. ქვიშა ისევ გაასწორა და ხელახლა შეუდგა წერას. ბავშვი იმდენად გაიტაცა ამ მუშაობამ, რომ ვერც-კი შეამჩნია, მზე როგორ ჩავიდა და ქვეყანას სიბნელე როგორ გადაეფარა...

— სწორედ უნდა გადავსახლდე, სწორედ უნდა ავიბარგო აქედან, სხვა საშველი წამალი არაა. აუ!.. აუ! უი შე კინხ-მოსატეხო, უი შე ამოსავარდნო და ამოსაწყვეტო! — ყვიროდა და იწყევლებოდა გახუნია ძღანღაძე, რომელიც საფუტკრე ღელეს პირად სერზე ესახლა და რომელსაც ეზოში საისლე ჰქონდა გაშენებული.

ამ ხმაზე ფარნა გამოერკვა, მიხვდა, რაში იყო საქმე, დაავლო კვაღაიას ხელი და გახუნიას საისლესკენ გაეშურა.

როგორც ფარნას, ისე სხვის თხებს არა ერთხელ ეგემნათ იქაური ტკბილეული და ეხლაც, როცა ფარნა ან-ბანის საქმეში იყო გართული, თხებმა იდროვეს და გახუნიას საისლეში შეცვივდნენ.

გახუნია თან ყვიროდა და თან გრძელი ჯოხით თხებს ერეკებოდა.

— ბიჭო, შე ოჯახდაქცეულის, ცეცხლ დაშრეტილის და კარგამორაზულის შვილო, მაინც და მაინც ჩემი ამოწყვეტა გინდათ? ბიჭო, უსათუოდ ჩემი დაკარგვა გინდათ, უსათუოდ კერა გამიციოთ გინდათ?—მიაყვირა გახუნიამ, როცა სიბნელეში ფარნა გაარჩია.

გახუნიას ცოტა ბუნებით კი უყვარდა საქმის გაზვიადება-გამიზეზება, თორემ საიმისო ზარალი მის საისლეში არა იყო რა.

— ღმერთო, შენ ამოწყვიტე, ღმერთო, შენ გაუჩინე ცეცხლი! — განაგრძო გახუნიამ. — მეორეჯერ არ შემოუშვა, თორემ თხებს არ დაგანებებ, იცოდე!..

— შენ სულ მასთე იცი, შე მკვდარო ყაზახო! — მოისმა ქალის ბრაზმორეული ხმა: მეორეჯერ არ შემოუშვა, მეორეჯერ არ შემოუშვაო და, მგონი, ერთი კვირაა, მეათეჯერ შემოგვიცვივდნენ.

ქალი სტყუოდა: ფარნას მწყემსობაში ეს პირველი შემთხვევა იყო. დღეს მოუვიდა თორემ ამ გზით იშვიათად დადიოდა ხოლმე.

ფარნას ძალიან შეეშინდა გახუნიასი და თხებზე შეეცადა ჯავრის ამოყრას. თხილის გრძელი წკნელით მიუვარდა მათ და ზურგ-ფეხებში დაუშინა. შეშინებული თხები ერთმანეთს ეკვროდნენ და გაჩქარებით შინისკენ მიაბაკუნებდნენ.

ფარნას უნდოდა ისე მიერეკა თხები, არავის შეეტყო, ამიტომ აგვარის ჩელტის კარი ნელა შეაღო და თხები შელალა.

— სად დაიგვიანე ამდენ ხანს? მე შემეშინდა, რამე დაგეშალა, მეგონა, ეხლა შენ საძებრად წამოსვლას ვაპირებდი, — გამოელაპარაკა ფარნას უფროსი ძმა პეტრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დროს ფარნა სიმღერით, ყიჟინით და ერთი ზეშეხტა-და ხტომით შედიოდა ეზოში. დღეს მისი სიჩუმე პეტრეს აკვირვებდა.

— თხები, ხომ არ დაგებნა ფარნა? — მიეალერსა პეტრე.

— არა, — ჩუმად მიუგო ბავშმა.

— მაშ, მოწყენილი რატომ ხარ?

— არა ვარ მოწყენილი...

პეტრე თხების წველას შეუდგა, ფარნა კი სახლში შევიდა.

ივნისის დღის მუშაობისაგან დაქანცული ნიკოია თოხიტარია დაღვრემილი იჯდა ფაცხაში, კერის პირად და ძალზე მყრალ თამბაქოს ეწეოდა. ფაცხაში საშინელი სიცხე იდგა, მაგრამ ნიკოიას, დაღლილობის გამო, გარედ გრილ ჰაერზე გასვლაც კი ეზარებოდა. გაიანე და მოხუცი ჭუჭა ვახშამს ამზადებდნენ.

XI

სევერიანი ადგილობრივი მღვდლის ევთიმე წყალაძის უფროსი შვილი იყო. მის გარდა, მამა ევთიმეს ან, როგორც მრევლში ეძახდნენ, ეთუმე პაპას სამი ვაჟი კიდევ ჰყავდა. სევერიანე სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. წლეულს მესამიდან მეოთხე კლასში გადავიდა და ეხლა, საზაფხულოდ დათხოვნილი, შინ იმყოფებოდა.

ჯერ ისევ პირველ კლასში იყო სევერიანე როცა ფრიად მოსაწონი და სასარგებლო ჩვეულება შემოიღო. ზაფხულში ოთხიოდ-ხუთიოდე მეზობლისა და ნათელმირონის ბაღნებს თავი მოუყარა და წიგნის სწავლება დაუწყო.

მეორე წელს იმდენი მოწაფე მოუგროვდა, რომ იძულებული გახდა „სკოლა“ სასენაკოში გადაეტანა, რადგან სხვა მოხერხებული ბინა ვერ იშოვნა. თვისი პატარა ოდის დარბაზი, საცა პირველად ასწავლიდა, სანახევროდ ძრა ჰყოფნიდა.

ერთი წიფლის ფიცარი მამა ევთიმემ უთავაზა, სხვა ზოგი მოწაფეების მშობლებმა მოიტანეს, ზოგიც აქეთ-იქით ინათხოვრა. ზოგან ქვა მიაშველა, ზოგან ნაფოტი, და გამოვიდა რაღაც საკლასო მაგიდების მსგავსი.

სწავლის ფასს სევერიანე ფულად იღებდა და თუ ვინმე რასმე უფეშქაშებდა, უარს არ იტყოდა. ზოგს ქათამი მოჰყავდა, ზოგს რძე მოჰქონდა, ზოგს ყველი, ზოგს ხილი და სხვა. სწავლის სისტემა და წესრიგი მთლად სევერიანეს კეთილ გუნებაზე იყო დამოკიდებული. ასწავლიდა, როგორც უნდოდა და როგორც იცოდა. ხან ერთ გაკვეთილს აძლევდა, ხან ორს, სამს, ხან ოთხსაც, როგორც ქეიფი მოუვიდოდა.

დილაა. სევერიანემ ისაუზმა და სასენაკოსკენ გაემართა. სასენაკოს ახლოს ფარნას შეხვდა, — დამშეულ თხებს დობერისკენ მიერეკებოდა.

— ფარნა, მოდი აქ! — დაუძახა სევერიანემ.

ბავშვი იმ წამსვე დაიბადა. თხებმა უიმისოდაც ვანაგრძეს გზა. აქე-იქით არც-კი მიუხედნიათ, რადგან მინდორში საკნატუნებელი არა მოიძებნებოდა-რა.

— დაისწავლე რამე? — მიეალერსა სევერიანე.

ფარნამ მორცხვად ხელი უბეში ჩაიყო და ფრთხილად ქაღალდი ამოიღო.

— აბა წაიკითხე!

— ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ! — თამამად მიაყარა ბავშვმა.

— კარგი. ეხლა აქ მომეცი, — უთხრა სევერიანემ.

ბავშვმა ქალალდი გაუწოდა და თხებს გახედა. მათ დალმართი ჩაევლოთ და გზის მოსახვევში ჯარის კაცებივით მწყობრად მიიმართებოდნენ.

სევერიანემ დანარჩენ ან-ბანს ხელი დააფარა, ერთი ასო გამოაჩინა და ფარნას უჩვენა:

— ეს რა არის?

— გან, — მიუგო ბავშვმა.

— ეს?

— ვინ.

— ესა?

— დონ.

— ყოჩალ, ჩემო ფარნა!

ფარნამ ამოიოხრა და ისევ თხებისაკენ მიიხედა.

— თხების გაქცევისა გეშინია? — თანაგრძნობით ჰკითხა სევერიანემ და თვითონაც თხებისკენ მიიხედა, — ეხლა ფარნა,არა გცალია, რომ გეცალოს, კარგი იქნებოდა. შუადღეზე მაინც ადრე გამოიარე. ეხლა კი ერთი ორი ანბანი კიდევ მივუმატოთ. აი დახედე: ზენ, თან, ინ, კან, ლას...

— ზენ, თან, ინ, კან, ლას, — იმეორებდა ფარნა, ქალალდს დაჰყურებდა და თხებისკენ გარბოდა.

დობერაში თხები თავიანთ საქმეს—მშიერი კუჭის დანაყრებას შეუდგნენ. ფარნაც ხის ძირში მწვანეზე ჩამოჯდა და ან-ბანი გაშალა.

— ზენ! ეს კი მაშინვე დავიმახსოვნე, — თავისთვის ბჭობდა ბავშვი. — დედა-ჩემი სოფელ ზენიდან არ იყო. ამ მეორეს რა დაარქვა? თან, თანო, ზენ, თან, ზენ, თან. მესამე კი დამავიწყდა. უი, ბალაგარი! რა იყო რომ დაარქვა? დამავიწყდა... ეს კი გუშინ წკნელითაც გამოვიყვანე, — დაჰხედა შემდეგ ასოს. — წკნელით კი არა, თითონაც გამოვიყვან, — მხიარულად სთქვა, მან, სალოკი თითი მოღუნა და გახედა: — აი, აი... სალოკი კი არა, ყველა თითიც შეიძლება ასე მოიღუნოს.

ყველა თითი მოღუნა, გახედა და აღტაცებით გადიხარხარა.

— სხვები კი არ მახსოვს, — უიმედოდ ჩაილაპარაკა ბავშვმა, — ზენ, ზენ, ეს მაინც კარგად გავიზეპირო...

ჯერ შუადღეც არ იყო, რომ ფარნამ თხები მოაგროვა და პირი უკან იბრუნა.

მინდორს რომ მიაღწია, თხები ჩრდილში დააბანაკა და თვითონ სასენაკოსკენ გაეშურა.

ბავშვები ეხლა ხმამაღლა არ კითხულობდნენ. მხოლოდ სევერიანეს ხმა მოისმოდა. სასენაკოს რომ მიუახლოვდა, ბავშვების ჩუმი ჩოჩქოლიც მოესმა.

ფარნა ფრთხილად მივიდა და კარებში შეიჭყიტა.

— ოჰ, კაი დროს მოხვედი! თხები დააბინავე? კარგი გიქნია, — მოუწონა მასწავლებელმა.

ბავშვებმა წერას თავი მიანებეს და აჩოჩქოლდნენ. ტასიამ გუშინდელივით მეგობრულად გაუღიმა.

ფარნას კვაღაია დამბაჩასავით ქამარში ჰქონდა გარჭობილი.

— კვაღაია ეხლა განზე გადადევი, ჩუმად უთხრა სევერიანემ.

ბავშვებმა სიცილ-ხარხარი ასტეხეს. ფარნა კი გაწითლდა, ქამრიდან ნაჯახი ამოიღო და გარედ კარებთან მიაყუდა.

— თითქოს არ გენახოთ არც ბიჭი და არც ნაჯახი! — გაუკვირდა სევერიანე მოწაფეებს. — დღეს რომ გითხარი, დაგამახსოვრდა? — ღიმილით დაეკითხა მერე ფარნას, რომელსაც ან-ბანი უკვე გაეშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზენ, თან, — გაუბედავად ჩაიკითხა ფარნამ.

— ნუ გეშინია, თამამად იყავი! — სთქვა სევერიანემ და თითი ინზე დაუდვა. — ინ, კან, ლას, მან, ნარ, ონ, პარ, ჟან, — გააგრძელა მასწავლებელმა; რამდენჯერმე განუმეორა და მასაც გაამეორებინა.

ბავშვი რაც შეეძლო გულდადებით ყურს უგდებდა და უცნობ ასოებს აკვირდებოდა.

მეოთხე დღეს ფარნამ ყველა ასო იცოდა.

გაკვირვებულმა ბავშვებმა პირი დააღეს, როცა მეხუთე დღეს ფარნამ ასოები ზეპირად ჩამოსთვალა. ზოგიერთები აგერ თითქმის მთელი თვე ისხდნენ და ჯერ უნ, ფარს არ გადასცილებოდნენ.

სევერიანემ ასოები ცალცალკე უჩვენა. ფარნამ ყველანი გამოიცნო. სევერიანესაც, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა.

— ეხლა, ჩემო ფარნა, უნდა დაისწავლო თუ რა ასო რას იტყვის, ან იტყვის ა-ს, ბან ბ-ს, გან გ-ს...

დანარჩენი ფარნამ თვითონ გააგრძელა.

— მე მათი წერაც ვიცი, — მტკიცედ წარმოსთქვა წათამამებულმა ბავშვმა.

— აბა, აბა! — აღტაცებით წამოიძახა მასწავლებელმა და ფარნას ცარცის ნატეხი გაუწოდა.

ფარნა მივიდა მჭვარტლისაგან გამურულ ფიცრის ნაჭერთან, რომელიც საკლასო დაფის მაგიერობას ასრულებდა, და ა გამოიყვანა.

— კარგი, ეხლა, აბა, ბ გამოიყვანე, — დაუძახა სევერიანემ.

ფარნამ ჯერ რგოლი შემოხაზა.

— მასე არა, ზემოდან უნდა დაიწყო, აი ასე, — უჩვენა სევერიანემ. — ჯერ ქვემოდან ზემოთ უნდა გაატარო ხაზი, მერე განზე, მერე ძირს და ბოლოს რგვალად დააბოლოო.

ფარნამაც, როგორც უთხრეს, ისე გამოიყვანა. მერე მოჰყვა და ყველა ასო დასწერა, რასაკვირველია, ზოგს მრუდედ სწერდა, მაგრამ გვარიანად ამსგავსებდა.

— ეს შენ სად ისწავლე? — გაიკვირვა სევერიანემ.

ბავშვმა ყველაფერი უამბო, თუ როგორ დაიწყო წერა და ვარჯიშობა ჯერ ქვიშაზე და შემდეგ მტვრიან შარაგზაზე. სევერიანი იცინოდა, თან გაოცებული შეჰყურებდა ბავშვს.

— შენ ნიჭიერი კაცი ყოფილხარ, გეტყობა, ამ ზაფხულს მაინც რომ მოგაცლიდენ, წერა-კითხვას რიგიანად დაისწავლი. ხვალ საწერ ქაღალდს და ფანქარს მოგიტან, — უთხრა სევერიანემ.

— მე მივცემ ქაღალდს, — სიხარულით წამოიძახა ტასიამ და მთელი ფურცელი თეთრი, საწერი ქაღალდი გადააწოდა.

შუადღისას გახარებული ფარნა ყიჟინით და სიმღერით თავის ეზოში შევიდა. თხები მარაკში შელალა და ხტუნაობით სახლში შეირბინა. უბეში მალმალ-ხელს იდებდა. იქ ძვირფასი საუნჯე ჰქონდა დამალული.

ერთ დღეს სევერიანე რაღაც კაი გუნებაზე არ იყო. ბავშვები ადრე დაითხოვა და შინ წავიდა. მამა ევთიმეც შინ ბრძანდებოდა და აღსარების მთქმელთა სიას ადგენდა.

— შვილო, სევერიანე! — ტკბილად მიუბრუნდა მამა ევთიმე, — სამოციქულო გამოარჩიე კვირისათვის. უნდა გიყვარდეს, შვილო, სალმრთო წერილის კითხვა. ღმერთი მოწყალეა, აგების სემინარიაში გაგგზავნო. ლარიბი ვარ, ბაბა, მაგრამ, თუ შენ იმარჯვე. პერანგს გავიხდი და სემინარიაში მაინც გაგგზავნი. საკმარისია, რაც მე მედავითნობაში გამომიცდია, რომ შენც იმ ჯოჯოხეთში არ ჩაგაგდო. თავიც რომ დავიწინდო, შენ მაინც გაგგზავნი სემინარიაში. ჩემ ახალგაზრდობაში სად იყო, შვილო, ან კლასი, ან წიგნი, ან ქალალდი, ან კალამი... ღმერთმან აცხონოს ლუკა ბერი, იმან რომ მონასტერში ორი ანა-ბანა მასწავლა, იმით დღეს ლუკმასა ვჭამთ... ცუდი დღე მახსოვს, შვილო! ხუთი ვერსიდან ვეზიდებოდი ფიჩხს ჩემთვის და ლუკა ბერისთვისაც...

— შეშაც არ გქონდათ? — გაიკვირვა სევერიანემ.

— სად იყო, შვილო, შეშა? მონასტრის გარშემო სალი კლდეების მეტი არა მოიძებნებოდარა. ტყუილად კი არ ერქვა უდაბნო. მერე სად იყო ან სანთელი, ან საპონი. ფიჩხს სანთლის მაგიერობა უნდა გაეწია და ნაცარს საპნისა. წყალიც ისეთი ხევიდან იყო ამოსატანი, რომ კაცს შეხედვითაც თავბრუ დაესხმოდა. ეხლანდელ ბიჭებს რა გიჭირთ, შვილო... აბა, აბა, აიღე წიგნი, კვირიაკე მეხუთეა, ხმა მერვე. გამოარჩიე და ჩაათვალიერე.

სევერიანემ ამოარჩია ადგილი სამოციქულოში, გადაშალა და ის იყო გაბმით დაიწყო: „ძმაანო! რომელი იგი", რომ ოთახში თავი შეჰყო სამრევლოში მცხოვრებმა კოჩა ბარიამ, რომელსაც იღლიაში ფეხებ-გაკრული ქათამი ედო, ხოლო ხელში აფშირხით მაწონი ეჭირა. ქათამმა ოთახში თავის შეყოფისთანავე ერთი უშველებელი ჭყივილი ასტეხა.

— მობრძანდი, მობრძანდი, კოჩა! — მიიპატიჟა მღვდელმა. — რად გაისარჯე, შე კაცო ან ეს ძღვენი რა საჭირო იყო...

— საჭირო რაც არის, ვიცი, ჩემო ბატონო, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ ღარიბი კაცის საქმე...

ქათმის ჭყივილზე და ხმაურობაზე მღვდლის მეორე შვილი დიმიტრი გამოვიდა და კოჩამაც მაწონი და ქათამი მას გაუწოდა, თვითონ კი შენდობის ასაღებად მღვდელთან მივიდა.

— დაბრძანდი, ბაბა კოჩა, დაბრძანდი! — მხიარულად უთხრა მამა ევთიმემ.

კოჩა ტახტზე ჩამოჯდა. შუახნის კაცი იქნებოდა, გრძელი შავი წვერი და დიდი ცხვირი ჰქონდა. თავი მოწითანო შალის ყაბალახით ჰქონდა შეხვეული.

— სად არის პატონი სევერიანე? — დაეკითხა მორიდებით კოჩა, როცა ჩვეულებრივად ერთმანეთის ავ-კარგი იკითხეს. — ვითომ ის ჩემი ბალანა სწავლობს რასმე?

— კი, გვარიანად სწავლობს, მხოლოდ დროა წიგნი ჰქონდეს, წიგნი არა აქვს...

— დედა, ღმერთო მომკალი! — გააწყვეტინა კოჩამ, — იქით კვირას გებრძანებინათ წიგნის თაობაზე, მაგრამ უკეთ მოგეხსენებათ, რა გამწარებული დროა! სამარგლავი მქონდა, ვერ მოვიცალე. ან მე რა ვიცი წიგნის და ქალალდის საქმე, მე შენ გეტყვი და მამა ჩემი კელუცაც იმის კითხვაში არ დაიხრჩო!

— მე მოვიტან, კოჩა, წიგნს, მაგრამ ერთი აბაზი აღარ ეყოფა, — უთხრა სევერიანემ. — კაი წიგნი უნდა მოვუტანო, რომ ბევრ ხანს გამოადგეს და ყოველთვის თავსატეხი არ შეგექნეს. აბაზიანი წიგნით, ბევრი არაფერი გაკეთდება.

— აბა რამდენი მოუხდება?

— წიგნს ცხრა შაური უნდა, დაფასაც სამი შაური...

— სულ სამი აბაზი? ი... ი! — დაიწყო წუწუნი კოჩამ! — დაკარგულ-ვარ კაცი და ეს არის, სამი აბაზი კაჭალია! — ჰკვირობდა კოჩა.

— აბა, რა გეგონა ჩემო კოჩა, სწავლას ხარჯი სჭირია, — მიუგო ევთიმემ.

— შენ სამი აბაზი გენანება, ბაბა, და მე რამდენი მანეთი მიზის ეს ბიჭი, ვინ ჩამოთვლის. და ჯერ კიდევ დაწყებაა.

— სი, პაპა, რას ამბობ? — ხუმრობით გამოედავა კოჩა. — მე შენ თავს მიტოლებ? სად შენ და მე: მკვდარი შენია და ცოცხალი. სინდოიას სულისათვის აფანი მოზვერა რომ მოგცეს, იმის ფასი ჩემ ოჯახში სამ წელიწადს არაფერი შემოვა...

— ეჰ, კოჩა, სამაგიეროდ, ბაბაია, გასავალიც არაფერი გაქვს...

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა! როგორ გეკადრება? რომ არ იცოდე ჩვენი მდგომარეობა, კიდევ სხვაა! ჯერ ორი წლის ფოსტა ამ კისერზე მაძევს, — კოჩამ დასამტკიცებლად კისერზე ხელი დაირტყა. — რომ არა მაქვს, საიდან გავაჩინო? შენი ბეგარა ცალკე, მებატონის ცალკე... უბედურ ვარსკვლავზე ვართ დაბადებული, რომ ყველას გაჭირვებას პასუხი ჩვენ უნდა გავცეთ. მარტო შარშანდელი აგვისტო რომ გამახსენდება... ორი ქცევა ნაძილახ მქონდა აღებული სანახევროდ. იმდენად ღვარძლიანი იყო, რომ მესამე დღეს ნამარგლი აღარ დააჩნდა. დავმარგლე მეორეჯერ, მესამეჯერ, სიმინდს სული ჩაუდგი, მეოთხეჯერ იყო სამარგლავი, თუ გავმარგლავდი, საქმე ნაშოვნი იყო, თუ არა, ყოველი შრომა იკარგებოდა. სწორედ წასასვლელად ვემზადებოდი, რომ ზოსია პოპროშიკი მომადგა. სამი დღის ვადით გზა არის შესაკეთებელი და დღესვე უნდა წამოხვიდეო. კინალამ ცოდვა გამედიდა და კაცი შემომაკვდა, თუმცა იმის რა ბრალი იყო! იმას მამასახლისი უბრძანებდა, მამასახლისს კიდევ პრისტავი... ორ შუშელ მენეთად კაცი საქირავებელი შემექნა... გასავალი როგორ არა მაქვს, ბატონო? შენ შემოსავალი ბრძანე, თორემ... კარგი, ბატონო, თათრის ვალს დავიდებ და ცოტა რამეზე საქმეს არ გავაფუჭებ, ოლონდ დაისწავლიდეს რასმე. ღმერთმან ჰკითხოს მტერსაც და მოყვარესაც, ვინც ჩემი ნაოფლარი შეირჩინა, თორემ სამი აბაზი კი არა... აქ რამე ნიჭი ვითომ, პატონო სევერიანე?

— ნიჭი კარგი აქვს, არა უშავს-რა, ერთი ბეწო ბალანას მეტი რა მოეთხოვება!

— შენი ჭირიმე, სევერიანე, შენ სულს ჩამოქნილი სანთელივით შემოვევლე, ერთი, ორი ანა-ბანა დაასწავლე. მე კი ვხედავ, რომ შავი დღის მეტი თეთრს ჩემს სიცოცხლეში ვერა ვნახავ, მაგრამ იმან მაინც მინდა ცოტა სინათლე შორიდან მაინც ნახოს...

— კი, კი ნუ გეშინია! — გული გაუკეთა სევერიანემ.

— სხვა ბიჭები ვინ სწავლობენ კარგად? — იკითხა კოჩამ.

— ოხ! ერთი პატარა ბიჭი რომ ყოფილა, მე მაგის მსგავსი ჯერ არ შემხვედრია...

— რომელი, ბატონო?

— ნიკოია თოხიტარიას ყოლია...

— ნიკოიას... რომელი?

— სულ პატარა, ფარნა...

— აი საბრალო, გამიხარდა, გამიხარდა! — მხიარული კოლოთი წამოიძახა კოჩამ, თუმცა ხმაში სიყალბე და ნაძალადეობა ეტყობოდა, ხოლო ქვეყნის მჭამელმა შურმა ელვასავით სახეზე გადაურბინა.

როცა ნიკოიამ და პეტრემ ფარნას მუყაითობის ამბავი გაიგეს, ერთმანეთს ვიტეს ისიც სკოლაში მიეცათ. ნიკოიამ სამი ახალი სულგუნი გვიმრის ფოთოლში გამოხვია, ერთი დედალიც ხელში დაიჭირა და სევერიანესთან წავიდა.

დილით, როცა ფარნა სასენაკოში შევიდა, ბავშვებმა ერთი ყიჟინი ასტეხეს. ზოგი პატიჟობდა, ჩემთან დაჯექიო, ზოგი ემასხრებოდა: შენ აქ მოსულხარ, თხებს რაღა უყავი, საისლეში არ შეგეპარებიანო, ზოგიც ეოხუნჯებოდა: დადიმ კვერი გამოგიცხო თუ არაო. ფარნას ბრაზი მოსდიოდა, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა, საით წასულიყო.

— აქ მოდი, ფარნა, აქ დაჯედი! — თანაგრძნობით უთხრა ტასიამ და მერე ამხანაგებს მიუბრუნდა: — თქვენ მაგას რას ეცინით? ბევრიც დასცინოთ, თქვენზე უკეთესად მაინც დაისწავლის... ნუ გეშინია, ფარნა, ყური არ ათხოვო.

ცელქი ბავშვებისათვის ეს საკმარისი იყო: ჯერ „ოო... ოხოო“, დაიგრიალეს, მერე ერთი ბავშვი, კოწია ახალაძე, წამოხტა და მაღლა დაიძახა: „ბიჭო! ტასიას, ეტყობა, ფარნა მოსწონს... აზნაურის ქალია, მაგრამ...“

— რა ამბავია, რა ხმაურობაა! — დაიძახა სევერიანემ და ახლად მოტანილი სასწავლო ნივთებით ხელში სასენაკოში შევიდა — შენ რაღა გატირებს? — მიუბრუნდა ტასიას.

ტასიამ ქვითინით და სლუკუნით აუხსნა, რაში იყო საქმე.

სევერიანემ მრისხანედ გადახედა კოწიას. ის კი ნაცარივით გაფითრებული იდგა.

— აქ გამობრძანდი! — დაუყვირა მასწავლებელმა.

კოწია ადგილიდან არ იძროდა.

— აქ მოდი-მეთქი! — გაიმეორა სევერიანემ.

— მე... — რაღაც წაიდუდუნა კოწიამ.

— ჩქარა-მეთქი?

ბავშვი კანკალით გამოვიდა. სევერიანემ სილა შემოკრა და კუთხეში დაიჩოქა. ეს დიდებული აღსაზრდელი ზომა ხშირად ენახა სასულიერო სასწავლებელში.

ბავშვები მიჩუმდნენ. სევერიანემ ქალალდში შეხვეული სასწავლო ნივთები გახსნა. წიგნები, დაფები და რვეულები გამოჩნდა. მოწაფეები სიხარულისაგან აძიგძიგდნენ.

— სისო ჭურაძე! — დაიძახა მასწავლებელმა.

პაწია თმახუჭუჭა ბიჭი წამოდგა.

— აი წიგნი მოგიტანე, შეხედე, რა ლამაზია! ფრთხილად დაიჭირე, არ დახიო.

პაწია ბიჭმა სიხარულით ჩამოართვა წიგნი.

— ესტატე ბარია!

წამოდგა შავგრემანი, დიდთავა ბავშვი.

— შენ წიგნი და ასპიდის დაფა მოგიტანე. იცოდე, კარგად უნდა ისწავლო.

ესტატემ სწრაფად დაავლო ხელი წიგნსა და დაფას.

— ფარნა თოხიტარია.

ფარნა გაოცებული წამოდგა. მას სევერიანესთვის არაფერი დაუბარებია.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ აქ გხედავ! წიგნი გიყიდე და მოგიტანე... ეს შენთვის მიჩუქებია, ოღონდ კი ხელი ფრთხილად მოჰკიდე, არ გააფუჭო. შეხედე, რა ლამაზია!

ამ სიტყვებით სევერიანემ წითელ ყდაში ჩასმული ლამაზი წიგნი ანდასცა. ფარნას სიხარულისაგან თავბრუ დაესხა. როცა აღტაცებამ გაუარა, წიგნს დააცქერდა. წიგნის ყდაზე, შუაში, ბულბული იყო დახატული და მის ზემოთ მსხვილი შავი ასოებით რაღაც ეწერა. ფარნამ ასოები გამოიცნო და თითო-თითოდ გულში გამოსთქვა: „დ... ე... დ... ა... ე... ნ... ა“.

XII

სექტემბრის დამლევი იყო. გრძელ-გრძელი ტაროთი დატვირთული სიმინდი სიმძიმისაგან წაქცევას ლამობდა. ზოგგან წაქცეულიყო კიდეც. ყურძენიც დამწიფებულიყო. ღომი, თავთავ-დაყვითლებული და თავ-ჩაქინდრული, ნამგალს მოელოდა. მსუქანი შემოდგომა გამეფებულიყო. ყოველი ნაყოფი, ყოველი მარცვალი დამწიფებული იყო. თუ სადმე რამე სასარგებლო მარცვალი მოიძებნებოდა, ხარბი ადამიანი მიწაზე დავარდნას აღარ აცლიდა და გაუმაძღარ ბელელ-სასიმინდე-მარნისკენ ეზიდებოდა.

აზნაური ბასილ მძებრაძე, კმაყოფილი და მხიარული, თავის სახლის დერეფანზე გადმომჯდარიყო და წინ გადაშლილ მაღალი სიმინდით დაბურულ ჭალას სიამოვნებით თვალს ავლებდა. ჭალა კი არა, ეს ვაკე ადგილი ამ დროებით უშველებელ ბნელ ტყეს წარმოადგენდა.

— ხარდანაძის ქალო! — მხიარულად მიუბრუნდა ბასილი მარიკას, — თუ ღმერთმან ინება, წრეულს კაი მოსავალი მოგვივა. აბა შეხედე, რა სიმინდებია!

— სასო ღვთისმშობლის იმედით! — მიუგო მარიკამ და ქმრის ახლო საკარძელში ჩაჯდა.

— მერაბის სულს ვფიცავ, ასეთი კაი ჭირნახული ეს ოცი წელიწადია აღარ მინახავს... გაკეთდენ, გაკეთდენ ყაზახები!..

— რად არ გაკეთდებიან, შენი ჭირიმე, — თითქოს უცხო ვისმე ელაპარაკებაო, ნაღვლიანად მიუგო მარიკამ. — ჩვენ დევიღუპეთ, თორემ ყაზახებს რა უჭირს: საბეგროს არ იხდიან და საუდიეროს. ძაკაიას მამას გატრუსული ორი ღორი შემოქონდა ჩვენ ოჯახში... დიდობა შენდა ღმერთო! გუშინ იყო მგონია, და ეხლა სალამსაც არ იძლევა...

— აბა, რა რიგად გადატრიალდა ქვეყანა! — რიხიანად მიუგო ბასილმა.— ან რა სახლები ააშენეს მაგ ყაზახებმა! წინათ ასეთი ოდები, ეხლა აგერ, გალმა, ხიტუ ჭიფეს შვილებმა და ბესია და თანაფია უჩარდიას შვილებმა რომ ააშენეს, ბატონსაც მოენატრებოდა. ჰეი გიდი! ლევან დადია რომ იყოს, ხელად ააფცქვნიდა.

— სახლი სახლია, ძუკუს მამავ, და ახლა ცხენ-იარაღ-მორთულობას არ იკითხავ? სულ გადაირია, სულ გადაირია ეხლანდელი ყაზახობა. ვერც კი გაარჩევ, რომელია ყაზახი და რომელი აზნაური.

— ეჰ, ხარდანაძის ქალო! — ხმას დაუდაბლა ბასილმა: — ღვთის წინაშე ვსთქვათ, აი თუ გინდა ძაკაიას და მის ძმებს ლატარიაში ხომ არ ამოუგიათ ის სახლი და ცხენ-იარაღი? ბევრს, ძლიერ ბევრს შრომობენ, ხარდანაძის ქალო. ჯერ ერთი, ოც ქცევამდი ზოგ თავისას და ზოგ სხვისას ამუშავებენ, ხარებს ზრდიან, ურემ-კამეჩი გაწყობილი ჰყავთ. მეორე, ქალებს არ იკითხავ? მათი ქალები ქალები კი არა, ალები რომ იტყვიან, სწორედ ისინი არიან. აბრეშუმს

იწევენ, საჩოხე-ბაშლაყებს ქსოვენ, ბატები, ქათმები, ინდოურები ჰყავთ. დიდს და პატარას მათ ოჯახში წუთი მოსვენება არა აქვს. დუღს და გადმოდუღს მათი ოჯახი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს მათ ჭიშკარში ვილაც ქვევითი კაცი შევიდა. ხელში დიდი ჯოხი ეჭირა. შორიდან ბასილმა ვერ იცნო, მაგრამ ახლო რომ მივიდა, მამასახლისის თანაშემწე გამოდგა. გულზე მოკლე ძეწკვზე მიბმული თითბრის მრგვალი ნიშანი ეკიდა.

— მშვიდობა, ბატონო თქვენი! — მორიდებით წარმოსთქვა თანაშემწემ, თავზე კოხტად შემოხვეულ კაბალახს ოდნავ ასწია და თავი დაუკრა.

— გამარჯვება! — მიუგო ბასილმა ღირსებით, უბრალო გლეხ კაცს ფეხზე აბა როგორ წამოუდგებოდა! ჯერჯერობით ამ ტრადიციას ბეჯითად ასრულებდა.

— აქ მოდი! — ტკბილად უთხრა ბასილმა.

— არა მცალიან, ბატონო, ქალალდი წერალმა თქვენ გამოგიგზავნათ, — მორიდებითვე წარმოსთქვა თანაშემწემ და უბიდან ერთი მოდიდო წერილი ამოილო, რომელსაც შუაზე ბეჭედი ესვა.

— საიდან უნდა იყოს? — გაიოცა ბასილმა.

— ზ-დან უნდა იყოს, წერალმა მიბრძანა, ბატონო, — მიუგო თანაშემწემ.

— ნეტავ რა ამბავია? — სთქვა ბასილმა და ხელი გაუშვირა.

თანაშემწემ პაკეტი გადასცა, თავი დაუკრა და თავისს გზას გაუდგა.

ბასილმა პაკეტს დაჰხედა, მაგრამ ვერასფერი გაარჩია, რადგან რუსულად იყო დაწერილი. შუაში დასმულ ლუქის ბეჭედს დააჩერდა. პაკეტი რამდენჯერმე მიატრ-მოატრიალა, თითებითაც გასინჯა, თითქო უნდა ქალალდის შინაარსი ამით შეიტყოსო.

ასეთი პაკეტები მას ძალიან იშვიათად მოსდიოდა და ატყობდა, რაღაც მისთვის დიდმნიშვნელოვანი საქმე უნდა ყოფილიყო.

— ხარდანაძის ქალო! — დაიძახა ბასილმა. — გაგზავნე, ერთი ბათლომე მომიხმე, რაღაცა უკანასტერი * მომივიდა, რუსულად დაწერილი.

მარიკამ გოგო გაგზავნა, თვითონ-კი ქმართან მიიჭრა, თავისი მსუქანი ხელებით პაკეტი გასინჯა, გაიკვირვა და ისევ ქმარს გადასცა.

ბართლომე ჩქარა მოვიდა.

— აბა ერთი, შენ გენაცვალე, — მოსვლის უმალ მიაძახა ბასილმა და ჯერ კიდევ გაუხსნელი პაკეტი გადასცა, — გამიგე, რა არის?

„მის კეთილშობილებას ბასილ მძებრაძეს მიერთვას ს. ჭყონონას", — წაიკითხა ბართლომემ მისამართი.

მარიკამ კმაყოფილებით ჩაიცინა.

— აბა, აბა, შენი ჭირიმე, შიგ რა სწერია? — მოუთმენლად ჰკითხა ბასილმა.

ბართლომემ მარჯვენა ცერისა და სალოკის თითის ფრჩხილებით პაკეტს ერთი გვერდი მოჰხია, ქალალდი ამოილო და გულმოდგინედ კითხვა დაიწყო ჯერ ჩუმად, თავისთვის. ცოლ-ქმარი თვალს არ აშორებდა. აი შიგ რა ეწერა:

— „ს. ჭყონონას, აზნაურს ბასილ მძებრაძეს.

პატივი მაქვს, უმორჩილესად შეგატყობინოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ თქვენი შვილი გრიგორი მეტის-მეტად უდიერად იქცევა. ყოველივე ზომა, ჩვე-

---

[1]) უსტარი.

ნგან მიღებული მისი ხასიათის გასასწორებლად, ამაოდ რჩება. ამასთან საშინელი ზარმაცია და არაფერს სწავლობს. უკანასკნელად მისგან ჩადენილი დანაშაული, იმდენად მძიმე და სათაკილოა სკოლაში მოსწავლეებისთვის, რომ, თუ ამ დღეებში თქვენი ნებით არ მოისურვებთ მის სასწავლებლიდან გაყვანას, სასწავლებელი იძულებული იქნება დაითხოვოს და მოაშოროს სასწავლებლის კედლებს!"

ბართლომემ ქაღალდის შინაარსი რასაკვირველია, დაუყოვნებლივ გადასცა ცოლ-ქმარს.

მეხი რომ დასცემოდა ბასილის სახლს, იმაზე უარესს შთაბეჭდილებას არ მოახდენდა, რაც ამ წერილმა მოახდინა. ბართლომეც ვითომ შესწუხდა და „უჰ, ღმერთო მომკალი"-ოს იმეორებდა. გულში-კი, თუ ძალიან არ უხაროდა, არც მაინც და მაინც სწყინდა. „იმან თუ რამე დაისწავლა ამ ცოტაოდენ ქონებასთან, გაუშვი და თავი დაანებე! — ფიქრობდა ბართლომე: — მერე ჩვენ ჭყონნაში აღარ დაგვედგომილება. მობრძანდეს და ჩემსავით ხანჯალი დაიკიდოს. ეხლა მე ვიქნები მისი მასწავლებელი, — ახარებდა გულს ბართლომე, — თამბაქო ხომ გამოულეველი მექნება."

— მე ყოველთვის ვამბობდი, მერაბის სულიმე, ყოველთვის ვამბობდი: არა შეჯდა მწყერი ხესა-მეთქი! — მწუხარედ წარმოსთქვა ბასილმა, როცა გულის პირველმა ტკენამ ცოტად გაუარა. — ჩვენ გვარს არ უწერია, ბატონო, რომ სწავლული ვინმე გაერიოს, — მწუხარედვე დაუმატა და მძიმედ ამოიოხრა.

რამდენადაც მანამდე კმაყოფილი და მხიარული იყო, იმდენად ახლა დაბეჩავებული და მოწყენილი გამოიყურებოდა.

— გვარი რა შუაშია, ბიძი? — მიუგო ბართლომემ. — მე აქედან ვიცი, ძუკუს ბრალი იმდენი არ იქნება... იქ ერთი ისეთი ცუდი მასწავლებელია, რომ...

— შენც რა გალაპარაკებს მაგისთანებს, გაკვირვებული ვარ! — სთქვა გულმოსულმა ბასილმა. — განა იქ ძუკუს გარდა სხვა არავინა სწავლობს? განა ყველანი კარგად სწავლობენ, გგონია? მაგრამ აგეთი თავის მოჭრა სხვას არავის დამართნია. ქვეყანამ უნდა შეიტყოს, საზოგადოებაში თავი უნდა მომეჭრას... ბაბა, შვილო-მეთქი, — ვავა და კიდევ ვავა მაგის კეფას! — ყოველისფერი შენთვის მინდა, შვილო, ან სხვა ვისი იქნება-მეთქი ეს ოხრად დასარჩენი? ა ცხენი, ბაბა, ა უნაგირი, ა ტანი და ფეხი... მაგრამ ეს ყოვლისფერი ამ.. ამის ბრალია! — ბრაზით შეჰხედა ბასილმა მარიკას.

— ჩემი რისთვისაა? — მკვახედ მიუგო მარიკამ.

— ჰო, ჰო, ჰო, თქვენი რჯული და სალავათი ამოვარდა! გამოვიდა თუ არა ჩემ სიტყვაზე? ანანაია, ნანაიაო, ა, ჩემო ძუკუ, ა ცხენი და უნაგირი, ა ჩოხა-ახალუხი... აგისრულდა, აღარავინ წაგართმევს. მოიჯდინე გვერდით, მიართვი მალმალ მრგვალად შემწვარი ქათმები... საბრალო მერაბიკა ფირტვაიას შვილი სუდში წერალი იქნება, შენი სასიქადულო სქიი კი, იმპუ! — ცერის მაღლა აშვერით გამოაჯავრა ბასილმა.

— არა, ბიძი, მაგდენად ნუ შეწუხდებით, ჯერ ვინ იცის, რა იქნება, — მშვიდად მიუგო ბართლომემ, — წადით, შეიტყვეთ, საქმე რაშია, მოელაპარაკეთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით...

— მე? ეხლა? ამ საათში? ან დღეს ან ხვალ? მაგის გულისთვის სადმე წასვლა კი არა, თუ დავინახე, ცოცხალი არ გადამირჩება... მეტი არ იცოცხლა ჩემმა მტერმა და მოუბადემ, მე ის გადამირჩეს!.. მაგას სიკეთე მაშინ შეეტყო,

როცა ერთი ბეწო დაი ბიჭურის ტყეში დააგდო და თვითონ თარჩიის ტარებას და ჯირითს შეუდგა! — მწარედ ამოიოხრა ბასილმა და თავი ძირს ჩაკიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— აი, ძმაო, ცხენი და უნაგირი, — სიჩუმის შემდეგ ისევ გამბაჯრობ ბასილმა:—წადი და მოიყვანე. მე კი იმის გულისთვის ერთ ნაბიჯს ვერსად ვერ გადავდგამ! თქვენ არ იცით და ეს პირველი როდია: მე იმ სმოტრიტელმა რამდენჯერმე მითხრა, მეტის მეტი ცელქია და არ ვიცი, რა მოუხერხოვო... წადი, გენაცვალე ბართლომე და წამოიყვანე. მაგრამ აქ არ მომიყვანო ჯერე, მის გამზრდელის სახლში მიიყვანე, იქ იყოს, ერთი-ორი კვირა, სანამ გული ცოტა დამიმშვიდდება, თორემ, ეშმაკს თვალი დაეხუჭა, შეიძლება ხელში შემომაკვდეს და ერთი უბედურება დატრიალდეს! — ეს ისე მტკიცედ წარმოსთქვა ბასილმა, რომ ხმის შებრუნება შეუძლებელი იყო. — ქე მაინც დანამდვილებით ვიცოდე, რა ჩაიდინა ისეთი მაგ შეჩვენებულმა? — განაგრძო გულდათუთქულმა ბასილმა. — მაგრამ რაღა ბევრი მიხვედრა სჭირია, წაეჩხუბებოდა, გალახავდა ვისმე. კიდევ კარგი, თუ ვინმე ყაზახთაგანი გალახა, თორემ შეიძლება მასწავლებელს წაეჩხუბა... აკი ამბობდა, ახალი უჩიტელი მემტერებაო.

— სულერთია, — ანუგეშა ბართლომემ, — რაც უქნიათ, იმაზე მეტს რას უზამენ, ხომ არ ჩამოახრჩობენ?

— ნეტავი ჩამოახრჩონ! — სთქვა ბასილმა და მწარედ ჩაიცინა.

— შენი თავი! — ნიშნის მოგებით მიუგო მარიკამ.

— ვავა, ვავა, ვავა! — მოთქმით მიაყარა ბასილმა და ცოლს ზიზღით გადახედა.

— ვაი შენდა და უიც, თუ გინდა, ღვთის რისხვაც! — ბრაზით მიახალა მარიკამ, — ერთი ბალანა ყავს და იმასაც რასაა რომ უნატრის! შენც არ ხარ ნასწავლი, მარა ქვეყანაზე ქე ცხოვრობ. არ ისწავლა, არ ისწავლა! რა ვუყოთ მერე? უსათუოდ დავახრჩოთ? მოუფერე, ჩააცვი, დაახურე, საზოგადოება გააცანი. ჩვენი მამული იმას კი დაარჩენს. დიდი ნასწავლი სულ არ ვარგა. ნასწავლია აი იასეს შვილი, მაგის გამოზრდაში საცხოვრებელს გამოესალმა და რა გამოვიდა? არც ლმერთი სწამს, არც კაცი, არც კერზი, არც მოყვარე, დაკარგულია საღაც... არ ისწავლა ჩემმა შვილმა, რა ვუყო, გლეხის შვილს მაინც ქე ემჯობინება. გლეხმა რაც გინდა ისწავლოს, მაინც გლეხია, ყაზახია...

— მე ეს მომპარცე, აი, — შენიშნა ბასილმა და მარცხენა ულვაში დაიგრიხა, — თუ ის გლეხები ჩვენ თავზე არ დაგვაჯდენ, თუ ჩვენ...

— შენ სულ ეგ ინატრე, შე საწყალო შენა! — ზიზღით გააწყვეტინა მარიკამ. — შე უბედურო, გული რამ შეგიშინა, ვერ გამიგია!

— ბატონო, ნუ ჩხუბობთ, — გაერია ბართლომე, — რაც არის, ის არის. ბევრიც რომ იჩხუბოთ, ველარაფერს გაარიგებთ. მე წავალ ხვალ და ჩამოვიყვან. მართლაც და რა? ვინც უსწავლელია, შიმშილით კვდება? ის შენი სწავლა სულ კლავს კაცს, თუ მკითხავ. სწავლულები ყველანი ჭლექიანები არიან...

— ახა! — ამოიოხრა ბასილმა, დერეფნიდან ეზოში ჩავიდა და გაიარ-გამოიარა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბართლომეც ჩავიდა.

— მაშ ასე, ხვალ დილით ცხენებს გამოგიგზავნი და აბა შენ იცი... კიდევ გესმის? შენი ჭირიმე ბართლომე, არ დაგავიწყდეს: დათა ხართავას გაუარე და გადაწყვეტილი ამბავი მომიტანე, ერთი რიგიანი პასუხი მაღირსოს მაგ სახლდამწვრის, მაგ დაქცეულის...

— ვისი, ბიძი? — დაეკითხა ბართლომე, თუმცა იცოდა, ვიზეც ელაპარაკებოდა.

— შე კაცო, არ იცი, დრიმინტიასი, სხვა მაგისთანა ოხერი ვინ-ია!

მეორე დღეს, გათენებისას, ბასილმა ორი შეკაზმული ცხენი გაუგზავნა ბართლომეს და მის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა. ნასადილევს წამ და უწუმ ჭისკრისკენ იყურებოდა, მაგრამ ამაოდ. მზე კიდევაც ჩაეწურა და ბართლომე მაინც არა სჩანდა.

— ყვეი პაჩი! — წამოიძახა ბასილმა, ხელი შუბლზე მიიფარა და ჭისკრისკენ გაიხედა. — ი კაცის საქმე არ მიკვირს?! ბანქოს თამაშს თუ გადაყვა? მაგრამ იმდენი უჭკუო როგორაა, რა ვიცი, ღმერთივით შევეხვეწე...

დაბნელდა, ბართლომე მაინც არა სჩანდა.

— წიე! — დაუძახა მოჯამაგირეს, რომელიც ის იყო წისქვილიდან დაბრუნდა. — შეირბინე ერთი, შეიძლება ბართლომე დაბრუნდა, რა არის, შე კაცო-თქვა, შენი ყურებით თვალები დამებრიცა-თქვა... მაგრამ მოიცა! — ბასილს ცხენის ფეხის ხმა მოესმა, — მგონი მოდის. მიდი, ბიჭო, მიდი! ბართლომე ხარ? — მოუთმენლად დაუძახა ბასილმა ვილაც ცხენოსანს, რომელიც ჭისკარში შემოვიდა.

— მე ვარ, ბატონო! — მოესმა ხმა, მაგრამ ბართლომეს ხმა არ იყო.

— შენ რომელი ხარ?

— ზაკა გახლავარ, ბატონო, ზაკა.

— ჩემ ცხენზე ზიხარ?

— დიახ, ბატონო!

— ბიჭო, ბართლომე სად დაიკარგა?

— მოგახსენებთ, ბატონო, ეხლავე გიახლებით.

ზაკამ ცხენები საჩქაროდ უჩანას გადასცა, თვითონ ოდის დერეფანზე აირბინა და ბასილს მიესალმა.

— კაცო, ბართლომე სად არის?

— ნაობახტში ჩააჯდინეს, ბატონო.

— ა? რისთვის, ბიჭო? — გაიოცა ბასილმა.

ლაპარაკზე მარიკაც გამოვიდა.

— მე, ბატონო, დღეს ზ-ში ცოტა საქმე მქონდა და ადრე წავედი. მივედი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მარა ბართლომე სწორედ არსად შემხვედრია. რაღაც ვივაჭრე, ხომ მოგეხსენებათ, გოგოს გზა გვინდა მიუჩინოთ და რაღაცები დაგვაკლდა... ვივაჭრე და ის იყო შინ დაბრუნებას ვაპირობდი, რომ ვილაც მიძახის: ვო ზაკა, ვო ზაკაო. მოვიხედე, აა ძუკუ. გამიხარდა სწორედ, კაი შვილია, ღმერთმან გაჩუქოს. აქ, მოდი, ზაკა ცხენით ხარ, თუ ფეხითო, მკითხა. ქვეითად გახლავარ, ბატონო-მეთქი. აბა, მოდი ცხენზე შეჯედიო. შევჯედით და წამოვედით. ეს ცხენი ბართლომეს შესაჯდომი იყო, მაგრამ ის დღეს მიკიტანს წაეჩხუბა და ნაობახტში ჩასვესო. მეტი არაფერი უთქვამს. მე მეჩქარებაო, მითხრა, გამზრდელის სახლში უნდა გავიაროვო, და ძუკუ ჩემზე წინ წამოვიდა. ცხენი კი მისვლისთანავე შინ მიიყვანეო, დამაბარა, და ეს არის..

სამივენი — ბასილ, მარიკა და ზაკა — ერთმანეთს პირდაღებული შეჰყურებდნენ. ზაკა რამდენსამე ხანს გაჩუმებული იდგა, მერე თავი დაუკრა და წავიდა.

— დიდება შენდა ღმერთო! — პირჯვრის წერით წარმოსთქვა ბასილმა, როცა ზაკა წავიდა, — რაღაც სიკეთე არ მოელის სწორედ ჩვენს გვარს...

— ვერ გამიგია, მედუქნეს რად უნდა წაჩხუბებოდა? — იკითხა მარიკამ.

— მერაბის სულს ვფიცავ, აქედან ვიცი, რაშია საქმე, — სთქვა ბასილმა. — გაიგებ, თუ ასე არაა. იმას, ალბათ, იაგორა მიკიტანთან მოუვიდა ჩხუბი. არ გახსოვს, ერთხელ რომ სთქვა: ნახარჯზე თუ რამე მიხხრა, მაგ ვირის შვილს ცხვირიდან ძმარს ვადენო. იაგორა რა შვილია! ერთი კოპეიკის გულისათვის კაცს სამართალში ჩაყვება. მან, ალბათ, ბართლომეს ნახარჯი მოსთხოვა. ესეც, რა თქმა უნდა, გალანძღავდა, ის არ მოითმენდა, და გაიმართებოდა ჩხუბი. ჩხუბში ბართლომე თუ ძმარს არა, სისხლს მაინც მოადენდა, და შენს ბართლომეს ვირის აბანოში ამოაყოფინებდნენ თავს, — გალობის კილოთი დააბოლოვა ბასილმა. — კიდევ კარგი, თუ საქმე ამით გათავდა, — განაგრძო მან. — ერთ-ორ დღეში გამოუშვებენ... არ ვარგებულა ის გლახა, ფუი! იმის დაჭერა არ შეეძლოთ. პოლიციას ნება არა აქვს კეთილშობილი კაცი ჩხუბისთვის ნაობახტში ჩასვას, — მრისხანედ წარმოსთქვა ბასილმა. — მაგ გლახას უნდა ეთქვა: აი ჩემი სახელი და გვარი, ხომ არ მომიკლავს, ვცემე მხოლოდ მიბრძანდეს და სუდში მიჩივლოს, პასუხს ვაგებო.

ბასილი ნამდვილად მიხვდა. ბართლომე ზ-ში რომ შევიდა, პირველად სასწავლებლის ზედამხედველს გამოეცხადა. ზედამხედველმა იგივე უთხრა, რაც მისგან გაგზავნილ ქაღალდში ეწერა, მხოლოდ დასძინა, რომ გრიგოლ მძებრაძემ ბევრჯერ მწარედ სცემა ამხანაგებსო, მასწავლებელს შუა ბაზარში ქვა ესროლაო. ბასილს პატივს ვსცემ, კაი აზნაურიშვილია, მაგრამ, რა ვქნა, მისი შვილის გასწორება ჩვენ არ შეგვიძლიაო.

იქიდან გამობრუნებულმა ბართლომემ ძუკუ მოსძებნა, ნაცნობის დუქანში დასტოვა და თვითონ დათა ხართავას საძებრად წავიდა, როგორც ბასილმა დააბარა. დათა ხართავა მეფართლე იყო. შინ არ დაუხვდა. აქეთკენ გაიარაო, უთხრეს. წავიდა მის საძებრად, გაიარ-გამოიარა და ამ სიარულში იაგორას სამიკიტნოს წააწყდა. იაგორა პირველად ტკბილად მიეგება, ორი-სამი ქათინაურიც უთხრეს ერთმანეთს. მაგრამ მიკიტანს გულმა ველარ მოუთმინა და ბოლოს მაინც ნისია გაახსენა.

— საქმე ხომ არ გამოგლევია! — ამაყად უთხრა ბართლომემ.

— მე კი არა, მგონია, შენ ხარ საქმე გამოლეული და გაგიჩენ საქმეს! — ბრაზით მიუგო იაგორამ.

— ვის უბედავ მაგას, შე წუწკო შენა! — შეუტია ბართლომემ და სილა გააწნა.

იაგორამ ხელი დაავლო ხორცის საკეპ დიდ დანას, ბართლომემ ხანჯალი იშიშვლა, იაგორას ხელში სიბრტყით დაჭკრა, დანა გააგდებინა და რამდენსამე ალაგას მსუბუქად დასჭრა. სისხლი ბლომად წამოვიდა. ხალხი მოგროვდა, პოლიციაც მოვიდა, ოქმი შეადგინეს და ბართლომე დაატუსაღეს.

XIII

შემოდგომა მიიწურა. სიმინდი დაარჩიეს და სასიმინდეში დააბინავეს, ღვინო ქვევრებში ჩაასხეს. ჭირნახულს მორჩენილი ადამიანი რამდენიმე დღით მოსვენებას და სიმხიარულეს მიეცა. გაიმართა ნათლობები, ქორწილები. მაგრამ იმავე დროს სიკვდილმაც იჩინა თავი. კიდევ ბედი, რომ გახურებული მუშაობის დროს ს. ჭყონონაში არავინ მომკვდარა. მაგრამ როცა ჭირნახული მიალაგეს, თითქო სიკვდილიც ამას უცდიდაო, ზედიზედ სამი კაცი გარდაიცვალა.

ორი ძალზე მოხუცი იყო. თავიანთი დრო ასე თუ ისე მოეჭამათ. მესამე-კი ახალგაზრდა იყო, ცოლშვილის პატრონი. მკვდრები რიგზე იტირეს-ერთი მიცვალებულთაგანი, ბახულია ბარია, ჩვენი ნაცნობი კოჩა ბარიას სახელსაცი იყო.

ბახულია ბარია სოფ. ჭყონონში თითქმის ყველა გლეხზე შემძლებლად ითვლებოდა. შვილები ბევრი ჰყავდა. ყველა მხნე და გამრჯელი იყო და შედარებით კარგადაც ცხოვრობდნენ. ამიტომ როცა მოხუცი გარდაიცვალა, თავი გამოიდეს და რიგიანი ტირილი გამართეს.

ხალხიც, რა თქმა უნდა, ბლომად დაესწრო. ტყუილად არ არის ნათქვამი: თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოფრინდებაო. რა კი დასანაყრი საკმაოდ ეგულებოდათ, დაუპატიჟებლადაც ბევრი მივიდა. მოხუცი, შვილებისაგან გამოყოფილი, ცალკე ცხოვრობდა, ერთ პატარა სახლში. შვილებიც იქვე ახლო-მახლო ესახლნენ. ყველას ერთი მეორეზე უკეთესი ოდა ედგა.

ტირილის დღეს მიცვალებული თავის პატარა სახლში ესვენა, ამიტომ სტუმრები ჯერ იქ მიდიოდნენ და ტიროდნენ. მამა ევთიმეც, ოლარ-გადაკიდებული, იქვე კუბოს თავთან იდგა და ძალაუნებურად ყურს უგდებდა გულშემზარავ ტირილს. იყვნენ ისეთები, რომელნიც გულწრფელად დასტიროდნენ. მაგრამ უმრავლესობა ფარისევლურად ბლაოდა და „ავავაის“ გაიძახოდა. თუ ვინმე პატივსაცემი პირი მოვიდოდა, ან აზნაური, ან აზნაურის ცოლი, ან მიცვალებულის მახლობელი ნათესავი, მამა ევთიმე ფილონსაც გადაიცვამდა, ცალ ხელში ჯვარს დაიჭერდა, მეორეში საცეცხლურს, მოტირალს კარებში მიეგებებოდა და გუნდრუკით კუბომდის მიაცილებდა.

ძნელი სათქმელია, როდის შემოვიდა ეკლესიის კანონის მიხედვით ასეთი ჩვეულება? ამაზე თვით პატივცემული მამა ევთიმეც ვერაფერს მოგიგებდათ. ვერც თქვენი უმორჩილესი მონა გეტყვით გადაჭრით რასმე, რადგან ამის თაობაზე არავითარი წერილობითი ბრძანება, არც საკრებულო დადგენილება არ ყოფილა. აქ არავითარ დოღმას ადგილი არა ჰქონდა. ეს გახლავთ, ბატონო, პირდაპირ ხალხის ესტეტიკის ნაყოფი, ეს მისი საკუთარი ტიბიკონია, რომელსაც მღვდელიც, ცნობილ მიზეზისა გამო, უსჯა-უბაასოდ და უკრიტიკოდ ემორჩილება. თუ მღვდელი სამსახურს არ გამიწევს, მაშინ ფულს რაღად მივცემო, მსჯელობს ხალხი, და ეს საშიში ლოგიკა ყველას შესაფერ კალაპოტში აყენებს...

ნამტირალევი სტუმრები ოდებში გროვდებოდნენ და იქ ბუხრის პირად ხუმრობა-მუსაიფში თავს იქცევდნენ.

ერთ-ერთი ოდის მოზრდილ ოთახში ადგილობრივი საპატიო ქალები მოგროვილიყვნენ. აქ ბრძანდებოდა ქ-ნი ოლღა, თავად ვახტანგ მუხურელის ასული, რომელმაც გაბედა ტრადიციის გადალახვა და ერთ მშვენიერ დღეს ჩუმად ცოლად გაჰყვა აზნაურს, ჭყონონის მომიჯნავე სოფლის, ვაკე-კარის მცხოვრებს. აქვე ბრძანდებოდა, რა თქმა უნდა, ბასილის მეუღლე მარიკაც თავისი პატარა ტასიითურთ. ბრძანდებოდნენ აგრეთვე მამა ევთიმეს მეუღლე ეკატერინე, ადგილობრივი ვაჭრის ცოლი ნინო და მამასახლისის ცოლი დარიკო. ორი უკანასკნელიც სოფლის არისტოკრატებში ითვლებოდა. იყვნენ სხვა აზნაურების ცოლები, დედები თუ ქალიშვილები და მათ შორის ჭანის წყლის გალმა, ს. მონაჭერის მცხოვრების, აზნაურის გიორგი ბარტყელაიას მეუღლე ეფროსიმე. ეს ორი მანდილოსანი: მარიკა და ეფროსიმე რაც დაბინავდნენ-ერთი ჭყონანაში და მეორე-მონაჭერში, მას აქეთაა სულ ერთმანეთს პირველობა-

ში ექიშპებიან. გალმა ეფროსიმე იყო და გამოლმა მარიკა. მაგრამ თითოეული მათგანი ამას არ სჯერდებოდა და ცდილობდა საზღვარს გადასცილებოდა და პირველობა მოპირდაპირის წრეშიაც მოეპოვებინა. რასაც ეფროსიმე ახალს შეიძენდა, ან ტანისამოსს ან სამკაულს უსათუოდ მარიკასაც იგივე უნდა ჰქონოდა. პირიქით, თუ მარიკა რასმე ახალს და უცხოს იყიდიდა, ეფროსიმეც ქმრისაგან იმასვე მოითხოვდა. მანდილოსნებს ერთმანეთი ჭირივით ეჯავრებოდათ, მაგრამ შეხვედრის დროს ისე ტკბილად მასლაათობდნენ, რომ უცნობს ვისმე მოყვარული დები ეგონებოდა.

— ხომ ბრძანდებით კარგად, ბატონო? — მოიკითხა ეფროსიმემ მარიკა, როცა ერთმანეთი გულით გადაჰკოცნეს და ბუხარს მიუსხდნენ.

— თქვენი იმედით სული გვიდგია, — თავმდაბლად მიუგო მარიკამ. — თქვენ ხომ კარგად ბრძანდებით, გენაცვალე?

— გმადლობთ, ბატონო! საძაგელი რამ არის სოფლის ცხოვრება: ამ სიახლოვეს ერთმანეთის ნახვა გვენატრება. დღეს ცხონებულმა ბოხუიამ შეგვყარა, თორემ დღესაც არ ველირსებოდით ერთმანეთის ნახვას, — ვითომ გულნატკენმა სთქვა ეფროსიმემ.

— მართალია, ბატონო, — პირი დაუმშვენა ეკატერინემ.

— ღვთის წყალობით და თქვენი შემწეობით, — განაგრძო მარიკამ და ტუჩები კვლავ ააცმაცურა, — სასმელ-საჭმელი არ გვაკლია, მაგრამ ამ უგზოობამ, შენი მტერი, ჩვენ რომ შეგვაწუხა. აი, როგორც ეხლა ბრძანეთ, ერთმანეთის ნახვა გვენატრება. მერე რა ბევრია? შუაში წყალი გვყოფს, თორემ ერთი ვერსტი, დიდი, დიდი, ორი ვერსტი იქნება. მაგრამ თუ ერთი ბეწო წვიმა წამოვიდა, ვერავითარი ბედაური ვერ გაატანს...

— რა გიჭირს, გეთაყვა, ღვთით და შენი ქმრის იმედით, — ჩაურთო სიტყვა მამასახლისის ცოლმა, — თუ გინდ ყოველ კვირას გზა-გზა პროვეზია მოგივა. იმან იდარდოს, ვისაც რომ...

— შიმშილი არ გვაწუხებს, დარიკო, მხოლოდ ყრუ სოფელში ყოფნასა ვჩივი, — ტკბილად, მაგრამ ამაყად გააწყვეტინა ეფროსიმემ.

— რა თქვენი საკადრისია, ღმერთო მომკალი! თქვენ თუ შიმშილით დაიხოცეთ, ჩვენ სულ რაღა გვეშველება? — მიუგო დარიკომ.

— ბატონო, აქეთ მობრძანდით, არ შეგცივდეთ მანდ! — მიუბრუნდა მღვდლის ცოლი თავადის ასულს, რომელიც ცოტა მოშორებით სკამზე იჯდა.

— აქაც არა მიშავს-რა, ბატონო, — მიუგო მან და თავმომწონედ აქეთ-იქით მიიხედა.

ტასია მარიკას გვერდით იდგა, თავადის ასულმა თვალი შეასწრო და მარიკას დაეკითხა:

— ეს თქვენი გოგოა, ბატონო?

— დიახ, ბატონო, — მიუგო მარიკამ და თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა.

— რა კაი გოგო გყოლიათ! — ნაზადვე მიეალერსა თავადის ასული და ორივე ხელი მისკენ გაიშვირა. ტასიამ არ იცოდა, რა ექნა.

— მიდი, ნანა, ბატონთან! — უბრძანა დედამ.

ტასია მივიდა. თავადის ასულმა პირი და ლოყები გადაუკოცნა, ხელი შემოავლო და გულში ჩახუტებული თავის წინ გააჩერა.

— ნანა, შვილო, როგორ გაზრდილა! — შეჰხედა ეფროსიმემაც. — ეხლა არა ვხედავდი? რა პატარა იყო. სწორედ ზისინახე *) იქნება. ჩემი სინეჩკა კი მოვიძულე: არ დამიჯერა გიორგიმ და ზ-ში წაიყვანა სკოლაში.

— კარგი გიქნია, კარგი, შენი თავი ნუ მომიკვდება! — ბლწოსა ერთმა აზნაურის ცოლმა.

— სკოლაში მიაბარეთ? — დაეკითხა მარიკა და ტუჩები ოდნავ გაულურჯდა.

— დიახ, შენი ჭირიმე, — ვითომ გულგრილად მიუგო ეფროსიმემ — აქ სოფელში რა უნდა გააკეთოს? აქ მეთხე ბიჭების მეტს ვის ნახავს!

ეს ამბავი ტყვიასავით მოხვდა გულში მარიკას. „როგორ,ეფროსიმეს გოგო სასწავლებელში გაუგზავნია და მე ეს აქნობამდე ვერ შევიტყე?“

— თქვენი ვაჟი ხომ ზ-შია სასწავლებელში? — დაეკითხა ეფროსიმე, თუმცა მისი ამბავი მარიკაზე ადრე შეეტყო.

— არა, გენაცვალე, ეხლა შინა მყავს, ველარ გაუძლო მე უბედური! შორიდან ისე ზორბა სჩანს, თორემ სუსტი ბიჭია. იქ კი მაგარი კაცი ნანდომა... ღმერთი შემარჩენდეს, თორემ ლუკმას არავის შესთხოვს, — გული გაიკეთა მარიკამ.

— მე უბედური! — ვითომ ინაღვლა ეფროსიმემ, — ოი, ვერ გაუძლებდა, ვერ გაუძლებდა! მართალია, ბატონო, ყველა ბიჭი როდი ისწავლის, კლასისათვის ყველა როდი გამოდგება. აი ჩემი ბიქტორა, სამი წელიწადია, რაც სწავლობს და კლასში დარჩენა რა არის, ჯერ არ გამოუცდია, მიდის წინ, — თავმომწონედ დაუმატა ეფროსიმემ.

მარიკა აენთო, მაგრამ თავი შეიმაგრა. ეფროსიმეს სიტყვები პირში თქმა იყო: შენი შვილი არ ვარგა, ჩემი შვილი კი კარგიაო.

— ბევრი სწავლულმაც ვერა გააკეთა-რა, შენი ჭირიმე, ეფროსიმე, — ვითომ გულგრილად მიუგო მარიკამ, თითქოს ეფროსიმეს სიტყვების მნიშვნელობა ვერ გაიგოო — ზოგიერთი სწავლულები, ბატონო, ერთი კაპეიკის გულისათვის ნალ და ფოლოს შუა გადიან... ჭკუიანი კაცები ბევრგვარ სნეულებას ბევრ სწავლას აბრალებენ. დასასნეულებელი შვილი სადა მყავს, დალოცვილო! ერთად-ერთი ბაღნის იმედნეული ვარ, ღმერთი მიცოცხლებდეს ჩემ ძუკუს, თორემ საქმეს ისე დაუტოვებ, რომ ზოგიერთივით, — ეს სიტყვა საგანგებოდ წარმოსთქვა მარიკამ, — ცოტა რამეზე ყოველთვის ფულის სასესხებად არ დარბოდეს.

ეს კი ეფროსიმესთვის მათრახის გადაკვრა იყო. საქმე იმაშია, რომ ეფროსიმეს ქმარი გიორგი საზოგადოებაში ცნობილი და გართული კაცი იყო, მაგრამ ხარჯიც უყვარდა და ფულს ხშირად სესხულობდა. ბასილი კი, პირიქით, ასესხებდა.

— ცოცხალ კაცს, ჩემო მარიკა, ვინც კი მართლა ცოცხალია, ფულიც სჭირია და საქონელიც, აქეთაც ისესხებს და იქითაც ასესხებს. ეს ბევრი არაფერია, გენაცვალე. ნუ გეშინია, მხოლოდ ღმერთს მისი სიცოცხლე სთხოვე და სხვა რა უჭირს! უბედურობა ისაა, ბატონო მარიკა, როცა კაცს შვილი ჯიუტი, უნიჭო, ზარმაცი და ჩხუბის მოყვარული გამოუვა, თორემ სხვა რის გეშინია! — ვითომ თანაგრძნობით მიუგო ეფროსიმემ.

---

[1]) ზზეთუნახავი.

ვინ იცის, კიდევ რას იტყოდნენ მანდილოსნები, შეიძლება ამ მარილიან ლაპარაკს მარილიანი ლანძღვა-გინებაც მოჰყოლოდა, მაგრამ ამ დროს კარები გაიღო და ჩასქელებული, სუფთად ჩაცმული, შავწვერა გლეხი შემოვიდა. ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა. მას ბეჩუ აფხაშვილს ეძახდნენ.

— ბატონებო! უკაცრავად, მაგრამ, — დაიწყო ბეჩუმ, — გთხოვთ, მასპინძელს პატივი სცეთ და ცოტა ხელი დაისველოთ, თითო ჭიქა ჩამოილოცოთ.

— რა საჭიროა? — წარმოსთქვა თავადის ასულმა.

— მე საუზმე გეახელი და ისე წამოვედი, — მხარი დაუმშვენა თავადის ასულს ეფროსიმემ.

— ამ თბილ ოთახში ყოფნა ყოველისფერს მირჩევნია, — გაიდგა ფეხი ვაჭრის ცოლმა ნინომაც.

— წამობრძანდით, ბატონებო, წამობრძანდით! — ამბობდა ბეჩუ და სახეზე ღიმილი უკრთოდა. ის პირველად არა ჰხედავდა მანდილოსნებს ამისთანა შემთხვევაში და მათი ხასიათი იცოდა.

— მიბრძანდით, ბატონო, — მიმართა მარიკამ თავადის ასულს.

— შენი თავი ნუ მომიკვდება, როგორ შეიძლება!

— ეფროსიმე, შენი ჭირიმე!

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა! თქვენ, ბატონო...

— ძუკუ არ მომიკვდეს!

— ოჰ, როგორ შეიძლება, მაშინათვე რომ ფიცს მიახტებით ხოლმე! — ვითომ იწყინა ეფროსიმემ.

ეფროსიმემ ოდნავ ფეხი წინ წასდგა, თითქოს ეჭვშია წავიდეს თუ არაო. მას ზანტად თავადის ასული გაჰყვა, მერე მარიკა და ასე ყველანი ნელ-ნელა გავიდნენ და ძველებურ, ისლით დახურულ დარბაზისკენ გაემართნენ, სადაც, მოგროვების დაგვარად, რიგ-რიგად, დიდსა და პატარას უმასპინძლდებოდნენ თეთრი პურით, ღვინით და სამარხო საჭმელებით.

— დაიქცა მაგათი კუთხე! რას აჭიანურებდნენ, არ ვიცი წასვლას! წყენით ჩაულაპარაკა ერთმა ღარიბი აზნაურის ცოლმა მეორეს.

— ორი გროში რომ მოეძევათ, ის ულიტინებს, თორემ ჩემსავით რომ იყვნენ, მწევარიც ვერ მოეწეოდათ, ისე სირბილ-სირბილით გასწევდნენ, — მიუგო მეორემ.

თუმცა ქალბატონები პურის ჭამას უარობდნენ, მაგრამ ათი წუთის შემდეგ შეგეხედნათ, თქვენი ამბავი რომ ვიცი, სწორედ გესიამოვნებოდათ, ისე მადიანად ახრამუნებდნენ თეთრ პურს და შაქარ-ზეთში მოხრაკულ მაკარონს. ზედაც უხვად აყოლებდნენ წითელ ღვინოს. ეფროსიმემ, მიუხედავად ახალი ნასადილევისა, როგორც თვითონ ამბობდა, გირვანქაზე მეტი პური და ერთი თეფში მაკარონი დაანელა. თავადის ასულსაც, არ ვიცი კი, ვის სასიხარულოდ, თურმე ჩინებული მადა ჰქონია. რაც შეეხება ვაჭრის ცოლს ნინოს, სხვას არც ის ჩამორჩენია. საზოგადოდ მოლოდინის წინაალმდეგ, სადილმა მხიარულად ჩაიარა. ქალბატონებმა განსვენებულის შესანდობარი მიირთვეს და ერთმანეთსაც სავსე ჭიქებით დღეგრძელობა უსურვეს.

მესამე დღეს ბასილ მძებრაძე ზ-ში მიეჩქარებოდა, თან ტასია, მიჰყავდა. ეს უკანასკნელი სასწავლებელში უნდა მიებარებინა, რადგან მარიკა ვერ მოითმენდა და ეფროსიმეს სულ თავზე ვერ დაისვამდა.

XIV

გაიარა ერთმა წელმა. ნიკოია თოხიტარიას ოჯახს შარშანდელზე მეტი სიცოცხლე და ლაზათი დაეტყო. თვითონ ნიკოიაც წელს უფრო [illegible] გამოიყურებოდა. ათი თხა თოთხმეტად გადაიქცა და მომავლისთვის კიდევ უფრო გამრავლებას მოელოდა.

ფარნაც წამოიზარდა. სევერიანეს ნაჩუქარ „დედა-ენას" თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. მუდამ თან დაჰქონდა. როცა თხები ბუჩქნარში დაძვრებოდნენ, ფარნა სადმე ხის ძირში მოხერხებულს ადგილს აირჩევდა და წიგნის კითხვას იწყებდა. ბევრი ლექსი და ამბავი დაისწავლა ზეპირად. მას უნდოდა, რაც შეიძლება მეტად ესიამოვნებინა სევერიანესათვის, როცა სევერიანე საზაფხულოდ შინ დაბრუნდებოდა და სკოლას გახსნიდა, საწერი ქაღალდის უქონლობის გამო, ფარნა სწერდა საცა მოხვდებოდა და რითაც მოხვდებოდა: ქვაზე, ქვიშაზე, კედელზე, ნაცარზე, ხეზე, ზოგან ფიჩხით, ზოგან ნაჯახის წვერით, უფრო კი ნახშირით. მათი სახლის ერთი კედელი სულ წარწერებით იყო აჭრელებული. საღამოობით, როცა ფარნა შინ დაბრუნდებოდა და კერას მიუჯდებოდა ხოლმე, აიღებდა ფიჩხს, გადაჩხრეკდა ნაცარს, გაასწორებდა და წერას შეუდგებოდა. ნაჯახით ბევრი წიფლის ქერქზე ამოსჭრა როგორც თვისი სახელი და გვარი, ისე თავისი თხების სახელები: ხუდუშია, ერცქემია, უჩა, დარგა და სხვ.

იანვრის დამლევს ნიკოიას კონსტანტინე ტომბაშვილი ესტუმრა. მეორე დილას, პირის დაბანის უმალ, კონსტანტინემ ნიკოია ცალკე გაიხმო და მუსაიფი დაუწყო.

— შენ ოჯახში, ჩემო ნიკოია, ღმერთმან მხიარულად შემომიყვანოს. მაგრამ მე ეხლა პირდაპირ შენთან არ წამოვსულვარ. აქეთკენ საქმე მქონდა, ერთ ოჯახ-დაქცეულ კაცს ჩემი ვალი ემართა და იმას მივაკითხე. ვიფიქრე, მოდი ერთი ნიკოიასაც ვნახავ-მეთქი და აქეთკენ შემოუხვიე. კონსტანტინემ იტყუა, არავის აქეთკენ მისი ვალი არ ემართა, საგანგებოდ ნიკოიასთან მოვიდა, — და რადგან, ღვთით, მშვიდობით გხედავ, უკეთესი დრო როდის გვექნება, რომ ვილაპარაკოთ.

— რის თაობაზე, ბატონო? — თავმდაბლად დაეკითხა ნიკოია.

— ივანეს თაობაზე, ბაბა ნიკოია. მამა ნუ წამიწყდება, წინა გიორგის მადლმა, რაც დღეს ეკლესია გააღონ, იმის მადლმა, თუ ჩემ ხელში ის ბიჭი ოთხი-ხუთი წელიწადი დარჩა, იცოდე, კაცი გამოვა. შენ ნუ გეწყინება, ბაბა, მართალია, უბრალო სასოფლო მოჯამაგირედ დავიჭირე, მგრამ როცა სიმარჯვე შევატყე, დუქანში დავაყენე.

— ოთხი-ხუთი, ბატონო კონსტანტილე? — გაიკვირვა ნიკოიამ.

— მოიცა, კაცო! — გააწყვეტინა კონსტანტინემ. — ყური დამიგდე. რას გეუბნები, ერთი წელიწადი შუა მარტში თავდება, ეს ხომ ასეა?

— კი, ბატონო!

— კაი დაგემართოს! თუმანი მაშინვე ბეთ მოგეცი.

— კი, ბატონო, თქვენ უკეთ არ იცით?

— თუმანიც მერე ივანეს ხელით გამოგიგზავნე, აგვისტოს დამლევს. ეს ორი თუმანი. დარჩა კიდევ ჩემთან ორ თუმან ნახევარი. ამას ეხლავე სრულიად მოგართმევ და მომავალი წლისთვის კიდევ მოვრიგდეთ.

— მომავალი წლისთვის რა ვიცი, თუ ბიჭს არ დავეკითხე... წრე, პეტრე! — დაუძახა ნიკოიამ.

კონსტანტინეს პეტრეს დაძახება არ ესიამოვნა.

— აბა, ჩემო პეტრე, — რაც შეიძლებოდა ტკბილად მიუბრუნდა კონსტანტინე, — აგერ ნიკოიას კი ვეუბნებოდი, ეხლანდელ დროში კაცმა თუ ცოტაოდენი თვალი არ გააღო და სოფელს ერთი-ორი წლით მაინც...

— არ დამლუპო დღეს, კონსტანტილე, — ხუმრობით მიაძახა ნიკოიამ, — ესეც ასე ამბობს და სულ არ გადამირიო...

— მოიცა, ბაბა, — ხუმრობითვე შეუტია კონსტანტინემ, — ძველი დროების კაცებმა სულ ასე იცით! წინეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყოლისფერს ძროხით და ღორით ზომავდნენ, ეხლა კი მანეთობით ზომავენ. იტყოდენ რამე საგანზე: სწორედ უღელ ხარად ღირსო. ეხლა იტყვიან: ასი მანეთი ღირსო. ამნაირად, ჩემო პეტრე, ახალი დროების ბატონი მანეთებია და მანეთების საუკეთესო საშოვარი საშვალება კი ალებ-მიცემობაა, ვაჭრობაა. მე შენი ძმა ივანე მოჯამაგირედ დავიჭირე, მაგრამ, როგორც ვატყობ, უბრალო მოჩანჩალე მოჯამაგირედ ცოდვაა მაგი რომ იყოს და თუ მადროვებთ, იცოდეთ, მაგას კაცად გამოვიყვან. თქვენთვისაც და თავისთვისაც სასარგებლო იქნება. ეხლა ფოთში ჩემ ხორცის დუქანში დავაყენე. ხორცის ხელობას ისწავლის, ანგარიშს, წონას... ყოველისფერს ხომ ცოდნა სჭირია და ცოდნასაც დრო, ჩემო პეტრე. ამიტომ ნიკოიას ვეუბნებოდი, თუ გინდა, რომ მაგისაგან კაცი გამოვიდეს, ერთი ხუთი წელიწადი ჩემთან უნდა დაარჩინო-თქო. თუ მე ის ეხლა მომაშორეთ, მისთვის და თქვენთვისაც დიდი ზარალი იქნება.

— როგორც თქვენ გენებოთ, ბატონო, — მიუგო პეტრემ.

— კი, ბაბა, მარა ჩვენც ოჯახი... — გაერია ნიკოია.

— შენ ეხლა დაიჯინებ შენებურად, ბაბა! — გააწყვეტინა პეტრემ. — აქ რომ გვყავდეს ბევრს რას გაგიკეთებს? სამყოფ სიმინდს ჩვენც მოვიწევთ. წამოიყვანე და ირაკლი მძებრაძისას მოჯამაგირედ დააყენე, ახლოს გეყოლება...

პეტრეს სიტყვები კონსტანტინეს გულში ჩაეხატა. მით უფრო, რომ მას პეტრესი ეშინოდა: ვაი თუ არ დამეთანხმოსო. ეხლა კი მხიარულად გაეხუმრა:

— ნეტავ შენი თავიც იქ მომცა, ჩემო პეტრე!

— როგორც გნებავთ, ბატონო, — დასთანხმდა ბოლოს ნიკოია. — მართალია, ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, მაგრამ, გარწმუნებთ, სინიდისი კაცისა გვაქვს...

— ჩვენ ერთმანეთი, როგორც გითხარით, მარტო სადღე-ხვალიოდ კი არ გვინდა. აბა, მაშ, პირდაპირ მითხარით, შემდეგი წლისთვის რამდენად დაითმობთ ივანეს?

— თქვენ ბრძანეთ, ბატონო, — მიუგო მამა-შვილმა.

— არც იქით ვიტყვი ძმაო, ბევრს და არც აქეთ, შარშან ოთხ თუმან ნახევრად მყავდა, წრეულს ხუთ თუმანს მივცემ — ხელის გაშლით წარმოსთქვა ვაჭარმა.

— ცოტაა, ბატონო, — თავმდაბლა მიუგო მამა-შვილმა.

— რას ამბობთ, კაცო, ახლა ტანისამოსი, ქალამანი, დაკონკილად ხომ არ ვატარებ.

— მაინც რაც გინდა იყოს, ბატონო, ის ეხლა ზრდა-გათავებული კაცია, ექვსი თუმანი უეჭველად ერგება, — მიუგო პეტრემ.

— შე კაცო, ექვს თუმანს ზოგიერთ ჩინოვნიკსაც არ აძლევენ, არც ტანისამოსს აძლევენ და არც სასმელ-საჭმელს, — გაიკვირვა კონსტანტინემ.

— ჩილონიკების საქმე სულ სხვაა, ბატონო, იმათთან ჩვენ რა გვინდა, — მიუგო ნიკოიამ, — ერთი ხუთი მანეთი მაინც მიუმატე, ბატონო...

— მე, სწორე გითხრა, ექვსი თუმნის ნაკლები გულში არ მეტყვა, — მაგრამ, რაკი მამა ამბობს, იყოს ასე, — დაემოწმა პეტრეც.

— ტანისამოსიც ჩემია? — ოდნავი ღიმილით დაეკითხა კონსტანტინე.

ორივემ მორიდებით დაუდასტურა.

ვაჭარმა თავი აქეთ-იქით გააქნია, ცალი თვალი დახუჭა, ზევით აიხედა, მარცხენა ხელის თითები შუბლზე მოიცაცუნა და წარმოსთქვა:

— კარგი, თანახმა ვარ, მოდის, — და პეტრეს ხელი გაუწოდა. იმანაც ხელი ხელზე დაჰკრა და მხიარულად სახლში შევიდნენ.

„ამათ ჯერ კიდევ არ იციან თავიანთი ფასი, — ფიქრობდა კონსტანტინე. — ორმოცდათხუთმეტი მანეთი? თუ გინდა სამოცი იანგარიშე, თუ გინდ ოთხმოცდახუთიც... ჯერ ამათ არ იციან თავიანთი ფასი“.

წასვლისას კონსტანტინემ ძველი წლის ფული მისცა და თუმანიც ბედ დაუტოვა ნიკოიას.

დადგა ისევ დიდმარხვა. ჭყონნაში ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. წისქვილი ფქვავდა, მაძინია დარაჯობდა. ფარნა თოხიტარიას უშიშრად დაჰყავდა თხები ბიჯურშიაც-კი და აგრეთვე ტურა-მგლისა არ ეშინოდა. პირიქით, თავისი დაუსრულებელი ყიჟინით თითონ აფრთხობდა მათ.

ერთ დღეს, ახალ ნაალდგომევს, ფარნამ თხები ბარცხენისკენ გარეკა. ეს ადგილი წყლის გალმა მდებარეობდა და სოფელ მონაჭერის ნაწილს შეადგენდა. ბარცხენა იმიტომ ერქვა, რომ ამ ადგილას ბლომად ხარობდა ეკლიანი, ზამთარ-ზაფხულ მწვანე ბუჩქნარი, რასაც ადგილობრივ ბარცხენს ეძახდნენ.

წისქვილის გვერდით, წისქვილისა და ბასილის ეზოს შუა, პატარა რუ მირაკრაკებდა და ამ რუს პირად ეკლნარი იყო ატეხილი. საღამოთი ძალიან ადრე გამობრუნდა ფარნა ბარცხენიდან და თხები ამ ეკლნარს შეაყოლა. ქორფა ეკლით პირის ჩატკბარუნება თხებს ძალიან ესიამოვნათ. იქვე ბალჩა იყო. თხების გასაფრთხილებლად ფარნამ ლობისაკენ მიიწია და ერთ ადგილას ჩამოჯდა.

ბავშვი ოცნებას მიეცა. მისი ოცნების მთავარი საგანი-კი სევერიანე იყო, მღვდლის შვილი. როგორ ჩამოვიდოდა ის, როგორ გახსნიდა სკოლას და როგორ განაგრძობდა ფარნა სწავლას. ნიკოიამ წინდაწინ დააიმედა, მთელი ზაფხულის განმავლობაში დილიდან ნაშუადღევამდე მოგაცლევინებო, და ამაზე ფიქრი ბავშს სასიამოვნო გუნებაზე აყენებდა. „აბა დღეს რაზე იყო, რომ ვკითხულობდი? — გაიფიქრა ბავშვმა, — საწყალი მელაო? ვაი, საწყალი კი არა, მაგას ვუჩვენებდი თვალის სეირს, მაგრამ გაგვექცა...

საწყალი მელა ჩიოდა, არ მომივიდა ძილია!
ერთსა საქათმეს მივაგენ, გამოვუთხარე ძირია.
იხვსა, ბატსა და ქათამსა, ყველას გავკარი კბილია.
უკუ ვიხედე...

„მეტი აღარ მახსოვს, — გაიფიქრა ბავშვმა და შეეცადა ლექსის გახსენებას: — უკუ ვიხედე“, — ბუტბუტებდა ფარნა. ბოლოს იძულებული გახდა წიგნისათვის მიემართა, რომელიც, მიტკლის ნახევში გახვეული, უბეში ედო. ერთი დაფიქრდა და ხელი უბისკენ წაიღო, მაგრამ ამ დროს ვილაცამ პაწია და რბილი ხელები უკანიდან ორივე თვალზე დააფარა.

— აბა გამოიცანი, ვინა ვარ? — მოესმა ნაზი ხმა და თან მხიარული კისკისი.

ფარნა ზეზე წამოვარდა. მის წინ ტასია იდგა.

— ხმაზე გიცანი, თხებს რომ უჯავრდებოდი და აქეთ გამოვიქეცი, — სთქვა გოგომ.

ფარნას ძალიან ესიამოვნა ტასიას ნახვა. გულმა ცემა დაუწყო, სახეზედაც წამოწითლდა. უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ ვერაფერის თქმა ვერ მოახერხა.

— ძალიან შეგაშინე? — ჭიკჭიკებდა გოგო — ისე მოგეპარე, როგორც თაგვს კატა. შენ კი თავჩაქინდრული რალაცას ბუტბუტებდი. აი აგერ მოიხედავს, აი აგერ-მეთქი, მაგრამ არა. ჩვენ დღეს იმდენი სტუმრები გყავს, რომ, — დინჯად დაუმატა ტასიამ.

— ვინ არიან? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ფარნამ.

— ერთი ჩემი მორდიაა [1]), არ იცი, ზალიკა მაწკირია, მეორე დრიმიტია ჭანდრაკელია და კიდევ ვილაცეები, მათი სახელი და გვარი არ ვიცი. არც უჩანამ იცის, ირინესაც ვკითხე, არც იმან იცის. ერთს კაცს აქ აქვს პატარა წვერი, გოგომ ლამაზი პაწია ხელი ნიკაპზე მიიდვა, — სხვაგან კი, როგორც ჩემი ხელის გულია, ისე აქვს, — სიცილით დაუმატა ტასიამ და ხელით უჩვენა.

— რაზე მოვიდნენ ამდენი სტუმრები? — დაეკითხა ფარნა.

— უი, განა არ იცი? დრიმინტია ჭანდრაკელიას ბაბას ფულები მართებს, — ცოტა არ იყოს, ამაყად სთქვა გოგომ, — ბაბამ უჩივლა და რალაცა ქაღალდი გამოიტანა. ამიტომ მოვიდნენ დღეს, ბაბას ეხვეწენ, ეხვეწენ. ერთი ცხენი მისცეს... ისეთი მაღალი ცხენია, რომ..

ფარნა პირდაღებული შეჰყურებდა გოგოს შეთქვირებულ პირისახეს. მისი მხიარული ტიკტიკიც სიამოვნებას ჰგვრიდა.

— ტასია, ტასია! — მოისმა ამ დროს ირინეს ხმა. — სადა ხარ, ჩქარა მოდი!

— აგერ, აგერ, ეხლავე! — დაიძახა ტასიამ, ერთი გადახედა ფარნას და სახლისაკენ გაიქცა.

ფარნამ ბასილის სახლისკენ მიიხედა. ოდის დერეფანზე მართლა რამდენიმე ნაბდიანი და უნაბდო კაცი იდგა.

— ცხენები, ბიჭო, ცხენები! — მოისმა ბასილის ხმა.

უჩანამ შეკაზმული ცხენები ოდის წინ მიიყვანა, სტუმრები შესხდნენ და მათრახის ტკაცა-ტკუცით ეზო გადაითხარიკეს.

ბასილმა სტუმრებს თვალი გააყოლა. მერე აქეთ-იქით გაიხედა და ფალაგისკენ თხები შეამჩნია.

— ვო, უჩანა! — დაუძახა მოჯამაგირეს. — ბიჭო, ის ვისი თხებია? ბალჩაში არ შემოგვიცვივდნენ და არ გაგვინადგურონ!

— თხები ნიკოია თოხიტარიასია, ბატონო, — მიუგო უჩანამ.

— ცოფიანი ძაღლი რომ მოჰკლა, ის ბიჭი მიყობა? დაინტერესდა ბასილი.

— დიახ, ბატონო!

— მერე, ეხლა სად არის?

— აი ეგერ, გადალუნულ კაკლის ძირში ცდგას და თხებს დარაჯობს.

ბასილმა ხელი შუბლზე მიიდვა და გაჰხედა.

— შენ, ჯიჯი, ეი, შენ! — ხმამაღლა დაუძახა ბასილმა, — სახელი რა ჰქვიან, ბიჭო?

— ფარნა ჰქვია, ბატონო.

---

[1]) ნათლია.

— ფარნა, ფარნა! დაუძახე, ბიჭო, აქ მოვიდეს.

ფარნას ეგონა, ფალაგეში თხების ძოვებისთვის მიჯავრდებიანო, და ერთ-ხანს გაქცევა დააპირა, მაგრამ უჩანამ მოუფერა და დაამშვიდა.

ფარნა მორცხვად და თავდაღუნული ავიდა ოდის დერეფანზე.

— ხარდანაძის ქალო, აი ის ძაღლის მკვლელი, ერთი რიგიანად გაუმასპინძლდი, თუ გიყვარდე! — გასძახა ბასილმა მარიკას და თუმცა ძონძებში გახვეული, მაგრამ ლამაზი და ჩასკვნილი ბავშვი სიამოვნებით აათვალ-ჩაათვალიერა.

მარიკამ ოთახიდან თავი გამოჰყო. დღეს რაღაც კარგ გუნებაზედ იყო. ფარნა მას რამდენჯერმე ენახა.

— ამის გამასპინძლება ტასიას საქმეა, — სიცილით სთქვა ხარდანაძის ქალმა, — ის არი მაგის მეგობარი. მოდი, შვილო, მოდი, — მიეალერსა ფარნას მარიკა, დარბაზში შეიყვანა და მაგიდას მოუსვა. სუფრა ჯერ არ აელაგებინათ. სხვადასხვა საჭმელი იმდენი იყო დარჩენილი, რომ ფარნასთანა ხუთს გააძღობდა.

— ნუ გრცხვენია, ფარნა, — მხიარულად ეუბნებოდა ტასია და საუკეთესო ნაჭრებს ულაგებდა წინ.

ფარნამ ჯერ მორცხვად წაავლო ხელი შემწვარი ქათმის მკერდს, მერე თანდათან წათამამდა, კარგად გამოძღა და ბოლოს დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი თხებისკენ გაეშურა.

— მერაბის სულს ვფიცავ, ხარდანაძის ქალო, — უთხრა ბასილმა, — ამ ბიჭს პატრონი რომ ჰყავდეს, კაცი გამოვა, იცოდე. რაღაც მიმზიდველი და გამომეტყველი სახე აქვს.

— ჰმ! — ტუჩებ-აბზეკით მიუგო მარიკამ, — ბევრი მაინც და მაინც რა უნდა იყოს ნიკოია ქუსლ-მოქცეულის შვილი!

— არა, რათა, ნიკოიას შვილობაზე როდია.

— მაშ აბა, რაზე? — უკმაყოფილოდ მიუგო მარიკამ. — ძუკუს მამავ, ხანდისხან საშინელი ახირება იცი ხოლმე. შენი ალმასიც რომ იყოს, არ მოგწონს, სხვისი კი თუ გინდ... ერთი სიტყვით... აი აგერ ცხვირ-სხირტლიანი ბაყაყი მოგწონს. რა უნდა გამოვიდეს, ერთი მითხარი, ყაზახის მეთხე ბიჭისაგან?

— მე კი არა, შენ ხარ ერთი უსამართლო მსაჯული! — უსაყვედურა ბასილმა. — ბოშო, მეტი რა ქნას, ბავშვია ჯერე...

— ბავშვია, სწორედ ბავშვია, ორი წლისაა? — დასცინა მარიკამ. — პატარა არ იყო ჩემი ძუკუ, ჭყონდარი *) რომ მობრძანდა როგორ თამამად მივიდა, ხელზე ემთხვია და ჭყონდარმაც ჯვარი არ აჩუქა? ვენაცვალე, სითამამე მაშინაც კი ეტყობოდა!

— და იმ სითამამით, — გააწყვეტინა ბასილმა, — მასწავლებელს შუა ბაზარში ქვა ესროლა!

ასე ნელ-ნელა შეჰყვნენ და ბოლოს კარგა გამოლანძღეს ერთმანეთი. ამრიგად, მხიარულად დაწყებული საუბარი უსიამოვნოდ დასრულდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

[1]) ჭყონდიდელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ასათიანი

ნამკაშურის წისქვილები

მე მიყვარს თქვენი ხის სასთუმალი,
თქვენი ბორბლების მძლავრი გრიალი,
თქვენი ჭალების ხშირი სტუმარი
ლურჯა აფხაზურუნაგრიანი.
თქვენი ქაჯები და ალქაჯები
ია-იების თვალთა ბრიალით,
მთვარიანში რომ დაალაჯებენ
ბროწეულისფერ თავსაფრიანნი.
თქვენი სიზმრები, თქვენი ზღაპრები
ღარის წყალივით გადაგდებული
და საკალმახე, ფიჭვის ლამპრები
სიყვარულივით განათებული.
თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი
შთაგონებების რომ ხართ სადგური,
თქვენ, გუმარეშის მწვანე ჭალებში
ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული.
ვერ დამაოკებს დიდი მანძილი,
ლექსო, სადავე მომეც ქარების...
თქვენს გაურანდავ ტახტზე გაზრდილი
თქვენს სანახავად მოვეჩქარები.
მწვავს ნამკაშური მინდვრის იმედი
ფოთლების ნამით ადიდებული
და ცეცხლაპირას ნედლი სიმინდი,
ბავშვური ცრემლით ატირებული.
და თქვენს გამჭვარტლულ ჭერქვეშ შეკრებილ
სახლიკაცების გრგვინვა, ბუხუნი,
რომ გადმოლახეს შიშველ ფეხებით
ყანა ცვრიანი და გამუხლული.
მწვავს შევარდენი, ფრენით მოღლილი,
მზის ბრწყინვალებით დაფეთებული,
და მეწისქვილე წელში მოხრილი,
სულ ერთიანად გათეთრებული.
მწვავს, მაგრამ დღემდე ვერ დაუწვავარ
სიყვარული მჭირს განუკურნელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვავს ჩემი ტკბილი ლეჩხუმის ჰავა —
ახლად დაფქვილი ხორბლის სურნელი.
თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი
შთაგონებების რომ ხართ სადგური,
თქვენ, გუმარეშის მწვანე ჭალებში
ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული.
რამ დაადუმა თქვენი ღარების
დაუდგრომელი აგრიგალება,
ვინ გადაკეტა თქვენი კარები,
რატომ არავინ არ გეკარებათ?
თქვენი ენანი და სიმღერანი
როგორ და რისთვის გარინდებულან,
ან სარეკელა მოუსვენარი
რად არ ტიკტიკებს კვლავინდებურად?
თქვენს გაურანდავ ტახტზე შობილი
მხოლოდ ამისთვის მოვისწრაფოდი,
რომ დამენახეთ, ძირსდამხობილნი
სიკვდილის ლოცვებს როგორ ამბობდით,
როგორ მოუხმეს ახლო მეზობლებს,
ჯრხები როგორ გაატიალეს
და სთქვეს: დღეიდან ვეება ბორბლებს
სინათლის ძალა დაატრიალებს.
სულით და გულით როგორ გეწადათ
გამოდგომოდით ნანატრ დროებას,
ქვეყნისთვის ზრუნვა გამოგეცადათ,
გადაჩვეოდით განმარტოებას.
და ახლა გული როგორ გიკვდებათ,
ახალ წისქვილებს როცა უყურებთ,
როცა იგრძნეთ, რომ აღარ სჭირდებით
სინათლის ხანას და საუკუნეს.
თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი
შთაგონებების რომ ხართ სადგური,
თქვენ, გუმარეშის მწვანე ჭალებში
ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეკო შენგელია

დაბრუნება

თავზე მახურავს ზეცა კახური,
ჩემი ზეცა და ჩემი ღრუბლები...
ეს აღარ არის სიზმრად ნახული,
არც გულჩიორებს ვესაუბრები;
მე შავი ზღვიდან მოვალ პირველი,
მომყავს დედოფლად თეთრი აპრილი,
მომაქვს ზღაპარი გასაკვირველი,
ერთი ამბავი მომაქვს ზღაპრული; —
ჩემთან მოდიან ყველა ჩიტები,
შეშინებულნი და ლტოლვილები,
თითქო აპრილის ფერით ირთვება
თვით მწვერვალები დათოვლილები.
ჩემთან მოდიან ფრთების ფრთქიალით,
ბულბულს ნისკარტით მოჰყავს ყვავილი,
და მათი ნატვრა გავიზიარე,
გულიდან ლექსად ამოყვანილი.
ხეებს კვირტები თეთრად ეყარათ,
ნოემბრის თვეში გაჩნდა ზაფხული.
ასე კარგია ჩემი ქვეყანა...
ეს აღარ არის სიზმრად ნახული.
ასეთი ცა და ცისარტყელები, —
არ შეხვედრიათ საქართველომდე;
შორს ავდრიანი დახვდათ ველები,
სადაც დარსა და სითბოს ელოდენ.
კვლავ ბრუნდებიან ფრთების ფრთქიალით
ბულბულს ცისფერი მოჰყავს ყვავილი;
და ეს სიმღერაც გამიზიარეს,
გულიდან ლექსად ამოყვანილი.
ცა უწმინდესი, ჯიღად მახურავს,
ცა ცისარტყელებს დაუქარგიათ.
ნოემბრის თვეში ჰყვავის ზაფხული...
ახლა სიმღერაც ასე კარგია.
დაბრუნებულან ყველა ჩიტები,
და აღტაცებით გაბრუებულან;
ბარი აპრილის ფერით ირთვება, —
თეთრი აპრილი დაბრუნებულა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეები

დილით, ჯერ როცა ყვავილებს სძინავთ
ნისლის საბანში გამოხვეულებს,
ღამესთან ერთად დავტოვებ ბინას,
აღმოსავლეთის შუქდაფრქვეული.
ყველაფერს ისევ პირველად ვუმზერ,
დავდივარ, მაგრამ ვერსად ვჩერდები,
ფერად ზამბახებს დავიყრი გულზე,
და განთიადთან მეც გავთენდები.
ეს მზე, ეს ნისლი და ეს ბალახი,
ის მოღუღუნე ლურჯი ფრინველი,
თითქო მრავალჯერ არის ნანახი,
მაგრამ ყოველთვის არის პირველი.
ერთი წუთია ქვეყნად ცხოვრება,
და ყოველი დღე ახლად იწყება;
არა წარსულის განმეორება,
და არც წარსულის გადავიწყება.
გასაოცარი ყოველი დილა,
ჯერ დაუწერელს ფურცლავს რვეულებს,
მაშინ, როს კიდევ ყვავილებს სძინავთ,
ნისლის საბანში გამოხვეულებს...
დილით ბავშვი ვარ და შუადღიდან
ჩემი ოცნების ვიცი სახელი;
მე ხვალინდელი წუთებიც მინდა,
ამ განთიადში თვალებახელილს.
არა, მოსვლა არ დავაგვიანე,
ეს გული ჩრდილით არ იმოსება,
მხოლოდ; ერთი ვარ ადამიანი
და უთვალავი განცდა, ოცნება...
მე მინდა ეს დღე გათავდეს ასე,
და განთიადთან კვლავ ვთენდებოდე,
ასიათასი დღეების გზაზე,
ყოველთვის ახლად ვიბადებოდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა დადიანი
ალ. ბურთიკაშვილი

ლადო კეცხოველი

თავი მეექვსე *)

ლადო კეცხოველი ბაკოში

Но мы поднимем гордо и смело
Знамя борьбы за рабочее дело.
„Варшавянка".

როცა პოლიცია და ჟანდარმერია ვარშავის ქუჩებში გამოსულ დემონსტრაციას ხმლით, ხიშტით და ტყვიით უმასპინძლდებოდა და ქუჩები სისხლით ირწყვებოდა, რევოლუციონერთა ძლიერი სიმღერა „ვარშავული" მაინცდაინმოდა ქუჩებში და ცოფს გვრიდა პოლიციელთა ხროვას. ეს იყო 1891 წლის 8 აპრილს. უცნობი ავტორის სიმღერა, ბუტირკის ციხეში რუსულად გადათარგმნილი, მთელი რუსეთის მუშათა კლასს მოედვა და მის საყვარელ სიმღერად გადაიქცა. მელოდიური და დრამატიზმით სავსე სიმღერა საბრძოლოდ რაზმავდა მსმენელებს.

ვისაც მუშათა კლასის სამსახური სწადდა, მას ამაყად და გაბედულად უნდა აღემართა მუშათა საქმისათვის ბრძოლის დროშა. ამხანაგ სტალინის ინიციატივით ლადო კეცხოველის მიერ გამოცემულ არალეგალურ გაზეთ „ბრძოლას" ლექსი „ვარშავულიც" ამშვენებდა და სხვა სტატიებთან ერთად ეს სიმღერაც მოუწოდებდა მუშებს.

ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა!

აი ლადოს დევიზი, აი რას შეალია მან თავისი სიცოცხლე.

სად გინახავთ, რომ ომგადახდილმა მებრძოლმა არ შეისვენოს, ოფლი არ მოიწმინდოს და მუხლებიდან ქარი არ ამოიღოს? ერთი პირი ძილი ხომ წყალსაც მოუვაო, მაგრამ ლადო არ ეკუთვნოდა ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც ბრძოლის გადახდისას შესვენებას საჭიროებდნენ. „კონკის" მუშების გაფიცვა დამთავრდა. პროვოკატორმა გასცა ლადო და გაფიცვის ერთი ორგანიზატორის სახელი, გვარი და გარეგნობა ამცნო ჟანდარმერიას. ფილერები ქუჩაქუჩა დაძრწოდნენ და ეძებდნენ ლადოს. თბილისში რომ დარჩენილიყო ლადო, შეიძლება ხელში ჩავარდნოდა ჟანდარმერიას. საჭირო იყო ახალი საქმის დაწყება და ეს საქმეც გამოჩნდა.

ბრძოლის ასპარეზი ფართოვდება კეცხოველისათვის და საქართველოს ფარგლებს სცილდება.

---

*) დასასრული. იხ. „მნათობი" № 9 და 10.

თბილისის პარტიული ჯგუფი (ამხანაგი სტალინი და ს. ჯიბლაძე) ავალებს ლადოს, გაემგზავროს ბაქოში არალეგალური პარტიული მუშაობის განსამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1900 წლის დასაწყისში ლადო უკვე ბაქოშია. ლადოსთვის ბაქო უცნობი ქალაქი არ იყო. ჯერ კიდევ 1899 წელს ლადო ცოტა ხნით ჩავიდა ბაქოში და იქაურ ამხანაგებს გაეცნო და დაუკავშირდა. ამიტომ დემეტრაშვილის გვარზე დამზადებული ყალბი პასპორტით აღჭურვილმა ლადომ მალე მონახა სანდო პირები და მუშაობა გააჩაღა.

90-იან წლებში რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში ბაქოს მუშათა კლასი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და ხშირად რევოლუციურ მღელვარებისა და პოლიტიკური გამოსვლების მებაიარალტრედაც გამოდიოდა. დიდი ხნის ისტორია არა ჰქონდა ბაქოს პროლეტარიატს: ჯერ კიდევ 70-იან წლებში ბაქოს ნავთის მდიდარი სარეწაოები, რომელთა დიდნაწილსაც ხაზინა იჯარით აძლევდა წვრილ კერძო მეწარმეთ, შინამრეწველურ ხასიათს ატარებდა. ნავთს პატარა ჭებიდან იღებდნენ და მისი გადამუშავების ტექნიკა პირველყოფილ მდგომარეობას არა სცილდებოდა: მხოლოდ 70-იანი წლების პირველ ნახევარში ძმების ნობელების სახით შეიჭრა ევროპის კაპიტალი ბაქოს ნავთის სარეწაოებში. შვეიცის კაპიტალს 80-იან წლებში საფრანგეთის კაპიტალი (როტშილდების პარიზის საბანკო სახლი) მოჰყვა. ხოლო 90-იან წლებში ინგლისის კაპიტალიც წაეპოტინა ბაქოს ნავთს.

ლ. ევონტოვის გამოანგარიშებით, 1899 — 1903 წლებში ბაქოს ნავთის სარეწაოებში უცხოეთის 57 მილიონიანი კაპიტალი იყო დაბანდებული. 1899 — 1900 წლებში ევროპა ქვანახშირის დიდ შიმშილს განიცდის, მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ქვანახშირის ამოღება. იზრდება მოთხოვნილება ნავთზე. ბაქოს ნავთი აღვივებს უცხოეთის კაპიტალისტების გაუმაძღარ მადას. ლონდონში აარსებენ სინდიკატებს და სააქციო ამხანაგობებს ბაქოს ნავთის ნაკვეთების შესაძენად. უცხოეთის კაპიტალთან ერთად შინაური კაპიტალიც შლის ფრთებს. ნავთის მრეწველობა ახალ გზას დაადგა: წერაქვებით და ნიჩბებით მიწის ჩიჩქნა დავიწყებას მიეცა, ევროპიდან და ამერიკიდან შემოტანილი მანქანები აგუგუნდნენ. ძველი მამაპაპური ურემი ვილას ახსოვს ან რაში სჭირდება ურმით ნავთის გადატანა, როცა ახლად გაყვანილი ნავთსადენებით საათში ასი ტონობით ხდება ნავთის გადაჭაჩვა. ახლად გახსნილი ამიერ-კავკასიის რკინიგზა რუსეთის ქალაქებს ნავთით ამარაგებს. თუ 1879 წელს, სტატისტიკური ცნობებით, ამოღებულ იქნა ბაქოს სარეწაოებში 26 მილიონი ფუთი ნავთი და იმავე წელს ჭაბურღილთა რიცხვმა 251-ს მიაღწია 1,800 მუშით, 1900 წელს უკვე 600 მილიონი ფუთი ნავთი ამოიღეს 2.800 ჭაბურღილიდან და სარეწაოებში 212553 მუშა იყო დაბანდებული.

კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვა თავისი მუდმივი თანამგზავრი და მესაფლავე—პროლეტარიატი, რომლის მოწინავე კოლონები უკვე გამოდიან ბრძოლის ასპარეზზე. აი ამ პერიოდში მოუხდა მუშაობა ლადო კეცხოველს ბაქოში. პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები ბაქოში 1896—1897 წლების პერიოდში აღმოცენდნენ. ამ წრეებში შედიოდნენ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან მეფის მთავრობის მიერ ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულნი...

ამბ. კეცხოველმა მოახერხა გამოეცოცხლებინა და განემტკიცებინა სოციალ-დემოკრატიული წრეები, მოეგვარებინა პოლიტიკური აგიტაცია ნავთის სარეწაოებისა და რკინიგზის მუშათა შორის და დაეარსებინა ბაქოს პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტი *).

ბაქოში მყოფ კეცხოველს ცოცხალი კავშირი აქვს გაბმული თბილისის ცენტრალურ პარტიული ჯგუფის მეთაურთან, ამხანაგ სტალინთან, და მოქმედებს მისი დირექტივების თანახმად. არალეგალური გაზეთის დაარსების იდეა ამხანაგებმა სტალინმა და კეცხოველმა ჯერ კიდევ 1898 წელს წამოაყენეს და აი ამ დიდი მნიშვნელოვან საქმის უშუალო შესრულება წილად ხვდა ლადო კეცხოველს.

25 წლის წინათ, როდესაც ლადო ჩვილი ბავშვი იყო, სოფელ ტყვიავში არსებობდა პირველი ქართული არალეგალური სტამბა ნაროდნიკებისა და ახლა 25 წლის შემდეგ, სწორედ ტყვიავის მკვიდრს დაევალა დიდი საქმის გაკეთება: ფართო მასშტაბით ამიერ-კავკასიაში პირველი არალეგალური სტამბის მოწყობა. მართლაც, რომ შეუძლიან იამაყოს ტყვიავმა!

თბილისის ხელმძღვანელმა ჯგუფმა ამხანაგ სტალინის ინიციატივით საჭირო თანხები გაიღო არალეგალური სტამბისათვის და შრიფტითაც მოამარაგა იგი.

საჭირო იყო შრიფტის თბილისიდან ბაქოში ჩატანა. ლადო თბილისში ჩამოდის ამ საქმის მოსაგვარებლად.

„ერთხელ ბოჭორიძემ შემატყობინა ლადო კეცხოველის ჩამოსვლა,—იგონებს გიორგი ლელაშვილი,— და დამავალა მიმეტანა ანდრეევის ქუჩაზე სასტამბო შრიფტი, რომელიც ინახებოდა ერთ-ერთ კონსპირატიულ ბინაზე. შრიფტი დაახლოებით 8 ფუთამდე იყო. შევახვიე ყუთი გაზეთებში, გადავუჭირე კანაფი და ბოჭორიძეს მივუტანე. მეორე დღეს დამავალეს მეყიდნა ბაქოს ბილეთი კეცხოველისთვის. სადგურზე მივედი კარგად შეფუთვილი შრიფტით. ეჭვი რომ არ აეღო, კეცხოველი და ბოჭორიძე სწორედ მატარებლის გასვლის წინ მოვიდნენ. მე განზე ვიდექი, კეცხოველის გვერდზე ჟანდარმმა ჩაიარა. ვუყურებ ლადოს — მშვიდი და დაიმედებული სახე... ლადო უახლოვდება ვაგონს და ამ დროს ვაგონის კიბეებიდან ჩამოდის ჟანდარმის მეორე ოფიცერი. კეცხოველი სრულიადაც არ შეშფოთებულა, გზას უთმობს. ჟანდარმს და ადის ვაგონში. კეცხოველს კარგად ეცვა — გარემოება ამას მოითხოვდა. ადგილი დაიკავა მეორე კლასის ვაგონში. მე მას ავყევი. შევედი კუპეში, ბარგი დავაწყე თაროზე, ქუდის მოხდით გამოვემშვიდობე და ჩამოვედი. მატარებელი მაშინვე დაიძრა". („ზარია ვასტოკა", 1938 წ. 30 აგვისტოს ნომერი).

ხიფათის მოლოდინში ლადოს დამშვიდებული სახე ძლიერ ნებისყოფას ააშკარავებდა და ეს აღტაცებას იწვევს ლელაშვილში. მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვდა, მოსალოდნელ ხიფათს ლადო დამშვიდებით როდი ხვდებოდა, იგი იერიშზე გადადიოდა და მტერს მოულოდნელად თავგზას უბნევდა. ზღაპრად, შეთხზულ ამბად მოეჩვენება მკითხველს, ნამდვილად რომ არ შემთხვევოდა დამსწრეთა მოწმობით, ლადოს თბილისის სადგურზე: ლადო ორი ჩემოდნით მივიდა სადგურზე. მეტის-მეტად კარგად იყო გამოწყობილი. ერთ-ერთ ჟანდარმ-

*) ლ. ბერია — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 34.

მა დაინახა თუ არა ლადო, არ ვიცი, იცნო თუ საეჭვოდ მიიჩნია, მიუახლოვდა და უთხრა—გამომყევით სამორიგეო ოთახშიო. ლადომ ამაყად დასდო ძირს ჩემოდნები და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სთხლიშა სილა ჟანდარმს-ცა მიაძახა ამაყად; როგორ ბედავ, როგორ მითხარი ეგაო. დაიბნა ჟანდარმი, ეგონა, რომ შესცდა და ვილაც დიდი ბატონი და ბობოლა საეჭვო პირად ჩასთვალა. ბოდიშით და „თქვენო აღმატებულების“ ძახილით თავისი ხელით აუტანა ჩემოდნები ვაგონში განრისხებულ ბობოლას. რა იცოდა ყეყეჩმა, რომ სილა მიღო იმ ადამიანისაგან, რომლის დაპატიმრებითაც ის თავის უფროსებისაგან დიდ მადლობას დაიმსახურებდა.

სტამბისათვის საჭირო შრიფტისა და სხვა მასალის წაღება თბილისიდან ბაქოში ერთგზობით შეუძლებელი იყო. ლადოს ხან თუ კარგად გამოწყობილს მეორე კლასის ვაგონით თვითონ მიაქვს ჩემოდნებით შრიფტი ხან სულ სხვა ხერხს მიმართავს ხოლმე. ყოველთვის ხომ ყეყეჩი ჟანდარმი არ შეეხეჩება და სილისაგან დაბნეული აღმატებულების ძახილით ჩემოდანს არ აუტანს. „კონკის“ მუშების გაფიცვის ორგანიზატორი ლადო პროვოკატორის მიერ გაცემულია, ჟანდარმერიის ფილერები მსუნაგი ძაღლებივით დასდევენ და ეძებენ. კვალს რომ მიაგნონ, მისი პირმშო სტამბის საქმეც შეფერხდება. სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო. იცის ბრძნული ანდაზა ხალხისა ლადომ და ამ სიფრთხილის და კონსპირაციის ერთ-ერთ ეპიზოდს მოგვითხრობს ოლღა აგლაძისა თავის მოგონებაში ლადო კეცხოველზე.

„ერთხელ ლადო მოვიდა და მითხრა: თუ ქალი ხარ, ერთ რამეს გთხოვ და უარი არ მითხრაო. რა საქმეს, — ვუთხარი მე, — ალბათ, მყუდრო ბინა გინდა. წადი ჩემ ნათესავთან ბეგიაშვილთან (ადელხანოვის ქარხნის მუშა იყო, ცხოვრობდა ფეთხაინის ქუჩაზე, ლადო იცნობდა).

—„არა, მოსასვენებლად არა მცალიან. შენ რკინისგზის მუქთი ბილეთი გაქვს. პატარა ამანათია ბაქოში წასაღები. იქ სადგურზე კაცი დაგხვდება. შენ არ იცნობ, მაგრამ ის კარგად გიცნობს და მას გადაეცით.

„რასაკვირველია, წავედი. ბაქოში გაჩერდა თუ არა მატარებელი, გადმოვედი პერონზე. ვიყურები აქეთ-იქით, ველი უცნობ კაცს. წუთით და ჩემს წინ გამოიჭიმა თვითონ კეცხოველი. გავოცდი. საიდან? — შევძახე.

— შე ქალო, აბა რა მექნა. ძაღლებივით დამდევენ, ამანათს მე ვერ წამოვიღებდი, თუმცა ამავე მატარებლით მოვდიოდიო.

„მადლობა გადამიხადა, ხელი ჩამომართვა, ამანათი გადასცა ამხანაგს რომელიც თან ახლდა და წავიდა“ (კომუნისტი“, 1938. 30).

სტამბის საქმეში უკვე დახელოვნებულს (აი კიდევ სად გამოადგა ლადოს ხელაძის სტამბაში გატარებული დრო) არ გასჭირვებია მისი მოწყობა. 1901 წლის დამდეგს ბაქოში ამუშავდა პირველი არალეგალური სტამბა „ნინად“ წოდებული.

მაჰმადიანთა მივარდნილ უბანში, როცა მთელი უბანი ღრმა ძილში იყო, ლადო თბილისიდან მივლინებული ორი ასოთამწყობის დახმარებით ფარვანასავით დასტრიალებდა თავს თავის „ნინოს“. აწყობდა, ჰკრავდა და ბეჭდავდა ფურცლებს, რომლებიც მტერს ლახვარს სცემდნენ, ხოლო მოყვრებს საბრძოლველად რაზმავდნენ.

მალე პატარა საბეჭდი მანქანა ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, საჭირო გახდა ახალი მანქანის შეძენა, მაგრამ ეს ადვილი საქმე არ იყო: რომელი ფაბრიკანტი, მექარხნე ან ხელოსანი გაბედავდა არალეგალურ სტამბი-

სათვის ნაწილების დამზადებას? ლადო ოსტატურად აღწევს თავს ამ სიძნელეებს. მაგრამ უმჯობესია ამაზე ავალაპარაკოთ ლეონიდ კრასინი, რომელიც 1900-იან წლებში ბაქოს ელსადგურის მშენებლობის დირექტორის მოადგილედ იყო და იმავე დროს არალეგალურ მუშაობას ეწეოდა.

„არ იყო არავითარი შესაძლებლობა შეგვეძინა საბეჭდავი მანქანა და სისტემატურად გვეყიდა ქაღალდი, საღებავი, შრიფტი და სხვა, თუ არ გვექნებოდა გუბერნატორის მოწმობა სტამბის გახსნის უფლებაზე. ამხ. ლადომ ძალიან უბრალოდ გაართვა თავი ამ სიძნელეს. მან განჯის გუბერნატორის სახელით შეადგინა თავის სახელზე მოწმობა სტამბის გახსნის უფლებაზე, გადასწერა ეს მოწმობა წინასწარ მიღებულ ბლანკზე, რომელსაც გუბერნატორის ტიტული ეკრა, და შემდეგ თვითონ მოაწერა ხელი ამ დოკუმენტს გუბერნატორის მაგივრად. გადაიღო ასლი ყალბი მოწმობიდან, დაამოწმა ეს ასლი ბაქოს ნატარიუსთან და ამგვარად მიიღო დოკუმენტი, რომელზედაც უკვე არცერთი ყალბი ხელმოწერა აღარ იყო. ამ დოკუმენტით ლადომ უხიფათოდ შეიძინა საჭირო მანქანა და მასალა და რსდმპ იატაკქვეშეთის ტექნიკამ დაიწყო მუშაობა ბაქოში“ *).

ლადოს ასეთი გამჭრიახობის მეოხებით შეძენილი მანქანები მოთავსებულ იქნა ვორონცოვის ქუჩაზე და სტამბამ გააჩაღა მუშაობა. ლენინური „ისკრის“ სახელოვანი ისტორია უშუალოდ ბაქოს არალეგალურ სტამბასთან არის დაკავშირებული. საზღვარგარეთიდან ლიტერატურის გამოგზავნა არც ისე ადვილი იყო და ამიტომ ლენინი დღის წესრიგში აყენებს რუსეთში პარტიული ლიტერატურს ბეჭდისა და გავრცელებისათვის სათანადო ბაზის შექმნის საკითხს. ლენინის აზრით, ბაქო მეტად ხელსაყრელი იყო ასეთი ბაზის შესაქმნელად. ამით აიხსნება, რომ „ისკრას“ რედაქციამ 1901 წელს მიავლინა ბაქოში თავისი წარმომადგენელი, რომელიც ლადო კეცხოველს დაუკავშირდა.

„ისკრა“ საზღვარგარეთიდან რუსეთში ფარულად იგზავნებოდა. გაზეთი მეტად თხელ, მაგრამ გამძლე ქაღალდზე იბეჭდებოდა და შემდეგ ხდებოდა მისი გამრავლება რუსეთში არსებულ არალეგალურ სტამბებში.

„ბაქოში მუშაობის დროს ლადო კეცხოველმა დაამყარა კავშირი ვ. ი. ლენინთან და ვლადიმერ ილიას-ძის დავალებით ბაქოს სტამბამ იწყო ლენინური „ისკრის“ გამრავლება. „ისკრა“ და სხვა ისკრული მასალები, ბაქოს სტამბაში დაბეჭდილი, ფართოდ ვრცელდებოდა რუსეთის სამხრეთ ქალაქებში. ამავე დროს ლადომ მოაგვარა ისკრულ გამოცემათა ტრანსპორტი საზღვარგარეთიდან რუსეთში ვენა-თავრიზი-ბაქოს ხაზით“ **).

1901 წლის სექტემბერი ისტორიული თარიღია თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში. ამ თვეს ბაქოში გამოვიდა ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი რევოლუციური გაზეთი კავკასიაში „ბრძოლა“. სამი წლის წინათ ლადომ სთარგმნა და გამოსცა დიკშტეინის ბროშურა „ლუკმა პურის ისტორია“ (ვინ რითი ცხოვრობს). ეს ხომ პირველი ქართული არალეგალური წიგნი იყო და 1901 წელს გამოცემული გაზეთი „ბრძოლაც“ ხომ პირველი არალეგალური გაზეთია. ლენინური „ისკრა“ მხურვალედ მიესალმა გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლას წერილში: „რუსული ხიშტის ასიწლისთავი საქართველოში“. გაზეთი, სხვათა შორის, სწერდა: „მაგრამ ყველაზე მნიშვნე-

*) ციტირებულია ამხანაგ ბერიას წიგნიდან „ლადო კეცხოველი“, გვ. 13.
**) ლ. ბ ე რ ი ა — „ლადო კეცხოველი“, გვ. 15.

ლოვანი იყო, რომ ადგილობრივმა მუშათა ორგანიზაციამ ასი წლის თავი აღნიშნა პირველი ქართული რევოლუციური პერიოდული ორგანოს „ბრძოლის“ გამოცემით...“ პირველი ნომერი შეიცავდა რამდენიმე პრინციპულ [illegible]ათის სტატიას, პროკლამაციებს და კავკასიაში (განსაკუთრებით [illegible]) მომხდარ გაფიცვების ქრონიკას.

„ბრძოლა“, პერიოდული გამოცემა რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასისა“, — ასეთი სათაური და ქვესათაური აქვს წამძღვარებული გაზეთს. გაზეთმა გაამართლა თავისი სახელი, ის ნამდვილი მებრძოლი მარქსიზმის ორგანო გახდა, ორგანო სოციალ-დემოკრატთა რევოლუციონური ფრთისა.

გაზეთი იწყება მოკლე, შვიდი ბწკარისაგან შემდგარი, პატარა, მაგრამ ძლიერი მიმართვით. „მიიღეთ და შეიტკბეთ“ — უძღვნი ჩემს უძვირფასეს ამხანაგებს, ჩემთან ჭირში და ლხინში შეზრდილთ, რკინის გრდემლივით ცეცხლში გამოწრთობილთ, ცხოვრების წალმა-უკუღმა ტრიალში მებრძოლთ, უშიშარ გმირთ, სიმართლისათვის თავდადებულთ, ადამიანის ზნეობრივად ამამაღლებელთ, დავრდომილთა და ჩაგრულთა გამამხენეველებელთ, უსამართლობის ბორკილთა დამლეწთ, ადამიანთა შემბორკავ ჯაჭვთა დამამსხვრეველთ, მეცნიერების განმათავისუფლებელთ, შემზარავ საპყრობილეთა დამნგრეველთ, და მანდილოსანთა პატიოსნების აღმდგენელთ, ბნელში მანათობელთ და გასალკდეებულ ვაჟკაცთ, თავისუფლების, სიყვარულის და ერთობის დროშის მატარებელთ, ერთგულ და სიმართლისათვის ტანჯულ-წამებულ ამხანაგებს!

მუშა“.

ეს მიმართვა ნათელ სურათს იძლევა, თუ რა მიზნებს ისახავს „ბრძოლა“ და ვის ეძღვნება იგი. მოწინავე წერილში „რედაქციისაგან“ და შემდეგ ხელმძღვანელ წერილში „პოლიტიკური ბრძოლა“ დასახულია მებრძოლი მარქსიზმის სამოქმედო გეგმა. მოწინავეში გაშუქებულია არალეგალური პრესის მიზნები და ამოცანები. წერილში ლაპარაკია მეფის მოხელე ცენზორების მიერ არტახებში ჩასმულ ლეგალურ პრესაზე.

„ჩვენ დიდ შეცდომად ჩავთლიდით, თუ რომელიმე მუშა ლეგალურ გაზეთს, რა პირობებითაც უნდა იყოს იგი გარემოცული, რა მიმართულებასაც უნდა ადგეს იგი, ჩასთვლის თავის, მუშის, ინტერესების გამომხატველად. მუშებზე „მზრუნველ“ მთავრობას მშვენიერად აქვს მოწყობილი საქმე ლეგალურ გაზეთებთან. მთელი ხროვა ჩინოვნიკებისა, ცენზორებად წოდებულნი, მიჩენილი ჰყავს მათ და ისინი საგანგებოდ ადევნებენ თვალს წითელ მელანს და მაკრატელს, თუ სადმე, თუნდაც ჭუჭუტანიდან, გამოსჭვივოდეს ეს სიმართლის და ჭეშმარიტების სხივი“ და სხვა. და ამიტომ საჭიროდ მიაჩნდათ თავისუფალი პრესა. „ქართული თავისუფალი პერიოდული გამოცემა აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის“. წერილი, ეხება რა გაზეთის შინაარს და მიმართულებას, აცხადებს: „ქართველი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარის პროგრამით. ის ხელი-ხელ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“.

„ბრძოლა“ გამსჭვალული იყო ინტერნაციონალიზმის იდეით, თავის თავს მიიჩნევდა საერთო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ადგილობრივ ორგანოდ და ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს უკავშირებდა რუსეთის

პროლეტარიატს. „ბრძოლა“ იცავდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას, ამ-ხელდა „ლეგალურ“ მარქსისტებს და პროლეტარიატს სახალხო რევოლუციაში ანიჭებდა ჰეგემონის როლს.

„ბრძოლის“ პირველსავე ნომერში ფართოდ არის გაშუქებული რევოლუციური მოძრაობის ქრონიკა თბილისში. მხურვალედ გამოეხმაურა „ბრძოლა“ სტუდენტთა მოძრაობასაც რუსეთში. მოყვანილია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სამდივნოს მოწოდება დასავლეთის მუშებისადმი მეფის ტირანიის მსხვერპლთა თანაგრძნობის მიტინგების მოწყობის შესახებ. პირველსავე ნომერშია მოთავსებული ორი ლექსი, ერთი ორიგინალური „ოცდაორ აპრილს“, „შავბიჭას“ (ლადო იაშვილის) ხელმოწერით და მეორე თარგმნილი, პოლონეთის რევოლუციონერთა ცნობილი პოპულარული სიმღერა „ვარშავული“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლადო კეცხოველის წერილი ასი წლის იუბილეის გამო (წერილი ქართველ მუშებთან). აღნიშნული წერილი ლ. კეცხოველმა დასწერა თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელი ჯგუფის და პირადად ამხანაგ სტალინის დავალებით. წერილი ეხება ქართველ თავად-აზნაურობის მიერ 1900 წლის სექტემბერს გადახდილ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის იუბილეს. ჟურნალისტის მგზნებარე ტემპერამენტს, საგნის ღრმა ცოდნას, ერუდიციას და შეურიგებელ პრინციპულობას ააშკარავებს ეს წერილი. ყოველი ბწკარი ლახვარივით ხვდება გულში მტერს. წერილი ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიას, ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას და ქართველი წარჩინებული წოდებისა და ბურჟუაზიის ლაქიობას მეფის მთავრობის წინაშე. ავტორი მოუწოდებს მუშათა კლასს — მედგარი ბრძოლა აწარმოოს. შორს ჩვენგან, ფლიდნო ქართველნო, შორს ბილწნო მოკავშირენო! ჩვენ თქვენთან საერთო არაფერი გვაქვს; ჩვენ გვექნება ჩვენი დღესასწაული მხოლოდ მაშინ, როცა დღევანდელი მთავრობა მისი ბოძებითურთ დაეცემა, დაირღვევა; როცა თქვენს ბაირაღს, რომელსაც აწერია „სიფლიდე და ძალმომრეობა“, შესცვლის ჩვენი ზედწარწერა „თავისუფლება და სიყვარული“... ჩვენ ვინადიმებთ, ვიდღესასწაულებთ, მხოლოდ თქვენსავით ძალდატანებით, მატყუარობით, ფლიდობით კი არა!

„მაშ შეერთდეთ, მეგობრებო, შეერთდეთ ყველა ქვეყნის მუშებო, დღევანდელი გათახსირებული მთავრობის დასამარცხებლად *).

ასე ამთავრებს ამ საყურადღებო წერილს ავტორი.

არალეგალურ სტამბაში, გაზეთ „ისკრის“ და „ბრძოლის“ გარდა, იბეჭდებოდა პროკლამაციები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. „ბრძოლისათვის“ სტატიებს და სხვა მასალას ლადო თბილისიდან ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა გ ა ნ და თბილისის ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სხვა წევრებისაგან იღებს. იმავე დროს ლადო თვითონაც სწერდა წერილებს, აწყობდა, ჰკრავდა, კორექტორობდა, რედაქტორობდა, ბეჭდავდა. თუ კონსპირაცია მოითხოვდა, ლადო კარგად გამოწყობილ ტანსაცმელში დადიოდა და ჟანდარმერიას თვალებს უხვევდა. როცა საჭირო იყო ლადო სალებავებისაგან გათხუპნულ ტანისამოსს იცვამდა, დღისა და ღამის განმავლობაში საყვარელ ფურცლებს ბეჭდავდა და ცოცხალ სიტყვას ჰფენდა მშრომელთა გულში.

ამით აიხსნება, რომ ბევრი ლადოს პროფესიულ ასოთ-ამწყობად სთვლიდა. ვიდაც შავრაზმელის მიერ მორზეს ანბანით ჟანდარმერიის სახელზე 1903

*) საქ. რევ. მუზ. არქივი № 358, ტ. IV, გვ. 1450.

წ. 22 თებერვალს გაგზავნილ წერილში სწერია: — „კეცხოველი, — რომელსაც თქვენ სთვლით არალეგალური მუშაობის სულის ჩამდგმელად, იყო მხოლოდ უბრალო ფანატიკური შემსრულებელი რაიონის ხელმძღვანელების ბრძანებისა. კეცხოველი უბრალო ასოთ ამწყობია“.

საკმარისი ცოდნით აღჭურვილი ინტელიგენტი, ტემპერამენტიანი და მახვილი კალმის მქონე ჟურნალისტი და ამავე დროს ასოთამწყობი, კორექტორი, მეტრანპაჟე, მბეჭდავი და ამკინძავი! ლადოს დიდი ბუნებაც სწორედ ამასში იყო, რომ ის აკეთებდა ყოველივე იმას, რაც რევოლუციას ესაჭიროებოდა. დაწერილს ხომ აწყობა სჭირდებოდა, აწყობილს შეკვრა, შეკრულს დაბეჭდვა, დაბეჭდილს გავრცელება. ლადო თავისში აერთიანებდა მწერალს, ასოთამწყობს, მბეჭდავს და დაბეჭდილის გამავრცელებელსაც. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ფაქიზად გამოწყობილი ლადო და მის წინ გამოჭიმული, გამოყეყეჩებული, სილისაგან ალეწილი სახით მდგომი ჟანდარმი. რევოლუცია მოითხოვდა, რომ ლადოს გაეთამაშნა წარჩინებული პირის როლი და ეს მან იდეალურად შეასრულა, ხოლო იგივე რევოლუციის ინტერესები უკარნახებდნენ ლადოს უბრალო „მეტაჩკის“ ტანსაცმელში, ჩანთა გადაკიდებული მჯდარიყო კოფოზე და თბილისის ქუჩები მოევლო. მაგრამ ავალაპარაკოთ ოლღა აგლაძისა.

„ერთხელ ლადო მოვიდა და მთხოვა — თქვენს ეზოში რომ მელიმონათე ვანუა ცხოვრობს, გამაცანიო.

„გამიკვირდა, რისთვის დასჭირდა მისი გაცნობა, და შევეკითხე, არ მითხრა—გამომადგებაო.

„გავაცანი. ემასლაათა, ზოგი სასაცილო უთხრა, ზოგი სერიოზული. ვანუას მოეწონა. ლადო რომ გავიდა, ვანოს გავაგებინე, რა კაციც იყო ლადო. არ გასულა ორი-სამი დღე, რომ ლადო ადრიანად შემოვიდა და მითხრა — მელიმონათე ვანუას სთხოვე თავისი „ტაჩკით“ წამიყვანოსო. ვანუა ჯერ არ იყო წასული. მისი „ტაჩკა“ ალაყაფის კარებთან იდგა. მე მეტაჩკე ვიქნები, თავისი აბგა გამიკეთოს, მხოლოდ ერთი ყაბალახი მიშოვნეთო.

„ჩავედი, ვთხოვე ვანუას და ისიც სიამოვნებით დასთანხმდა. დედაჩემს ჰქონდა უწინდელი ოქრომკედით ნაქარგი წითელი ყაბალახი. ის გამოვუტანე. ლადომ გაიცინა — ჰე, ჰე, კარგია, მაგრამ დღეს არ გამოდგებაო. მერე რაღაც შალი შემოიხვია. შინელის მაგგვარი რაღაც ჩაიცვა, ზემოდან აბგა შემოიჭირა, დაუსხდნენ ტაჩკას და წავიდნენ.

„საღამოთი ვანუამ მიამბო: სამ ადგილას მივიყვანე. როცა სადგურის ქუჩაზე ერთ დუქანს ლიმონათს ვაბარებდი, ლადომ ჩუმად გაიხადა შინელი, მოიძრო აბგა და თუმანი შემომაძლია. ძალიან მეწყინა, ჩემმა მზემ, — დაუმატა ვანუამ, — და უთხარიო, კაცო, შენ საქვეყნო საქმეს აკეთებ, თავი არ გენანება და მე ფული როგორ უნდა ავიღოო“.

არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ფურცლებისათვის ლადომ სპეციალური საწყობიც კი გაიჩინა. იმ პერიოდში საუფლისწულო მამულების ღვინის საწყობს ბაქოში სოლორაშვილი განაგებდა. საწყობშივე მუშაობდა ერთი საიმედო ახალგაზრდა რაჭველი, გვარად ბაკურაძე. ლადომ კავშირი გააბა ამ პირებთან და დაბეჭდილ „ბრძოლას“, „ისკრას“, პროკლამაციებს და სხვა ლიტერატურას ღვინის საწყობში ინახავდა. სტამბა რომ არ ჩავარდნილიყო, ლადოს იქ არავინ მიჰყავდა და ლიტერატურას თვითონ ეზიდებოდა „საწყობში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტის-მეტად დაძაბულ მუშაობას ეწეოდა ლადო. გაზეთის ან ბროშურის ბეჭდვისას მთელი კვირაობით სტამბაში იყო და მზის სინათლეზე არც კი გამოდიოდა.

ასეთმა მუშაობამ ფიზიკურად დაასუსტა, გააყვითლა და ავადმყოფის შთაბეჭდილებას ახდენდა.

„1900 წლის ოქტომბერში მეც მომიხდა ბაქოში გადასახლება, — იგონებს ლადოს ძმა ვანო. — პირველად ვხვდებოდი ძმას, შემდეგ კი, რამდენიმე ხნის განმავლობაში, ვერ მოვახერხე მისი ნახვა. შემეშინდა, არაფერი შემთხვეოდა ლადოს, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა დავრწმუნდი, რომ ჟანდარმები უძებდნენ მას.

„ერთხელ შევხვდი ლადოს ქალაქის ცენტრში, ეგრედწოდებულ პარაპეტთან. გამხდარი, გაყვითლებული იყო, შეკითხვაზე, თუ რატომ არსად გამოჩნდა ამდენ ხანს. მიპასუხა: „ავად ვიყავიო“. შემდეგში შევიტყე, რომ ლადო დღე და ღამე იატაკქვეშეთის სტამბაში მუშაობდა.

„საუბრით გავიარეთ რამდენიმე ქუჩა და მივედით ერთ პატარა სახლთან. შესავალი ეზოდან იყო. შევედით ტალანში და შემდეგ ოთახში, რომელიც სტამბის ხელსაწყოებით იყო სავსე. აქ ეწყო შრიფტი, საღებავი, ქაღალდი, ხის ჩაქუჩი... საბეჭდი მანქანა მეორე ოთახში იყო, იქ, სადაც ტახტი და პატარა მაგიდა იდგა. მაგიდაზე ეწყო სამელნე, კალმისტარი, სხვადასხვა ხელნაწერი, პურის ნატეხი, ყველი, ჩაიდანი და პატარა სარკე.

„ტახტზე დავჯექი და „ბრძოლის“ კითხვა დავიწყე. პირველად ვკითხულობდი არალეგალურ ქართულ რევოლუციურ გაზეთს და ჩემის თვალით ვნახე, რომ ლადოს დიდი ხნის ოცნება განხორციელებულ იქნა... გამოთხოვებისას ლადომ გამაფრთხილა, არავითარ შემთხვევაში უიმისოდ არ მივსულიყავ ამ ბინაში. შევთანხმდით შევხვედროდით ხოლმე ყოველთვის ბალახანის ქუჩაზე, ნაცნობ მემანქანის ბინაზე“ („ზარია ვასტოკა“, 1938 წ. VIII, № 198).

ბრძოლის პირველი ნომერი ლადომ გადაგზავნა თბილისში, საიდანაც ის საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მოჰფინეს. შემდეგი ნომერი ნოემბერ-დეკემბრით არის დათარიღებული და ორმაგია, როგორც პირველი ნომერი, „ბრძოლის“ მე-2-3 ნომერიც მდიდარი და მრავალფეროვანია თავისი შინაარსით. მეთაურში („რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია და მისი უმახლობელესი მიზნები“) მოცემულია სოციალ-დემოკრატიის ზრდის მიმოხილვა, აღნიშნულია პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ როლი და გაშუქებულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ რევოლუციაში.

წერილში „ფარისევლობა, პირმოთნეობა და „გულითადი მზრუნველობა“ მხილებულია თვითმპყრობელობის ფარისევლური, ორპირული პოლიტიკა და პოლიციური „ზუბატოვობა“. წერილში „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“ მოცემულია ნაციონალური საკითხის ღრმა მარქსისტული ანალიზი. გაზეთში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მუშათა მოძრაობის ქრონიკას და საზოგადოებრივ მოძრაობას რუსეთში. ცოცხლად არის დაწერილი ფელეტონი „რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში“. წერილში მხილებულია რუსეთის თვითმპყრობელობის იმპერიალისტური ზრახვები. გაზეთში მოთავსებულია ორი ლექსი, ერთი მეტეხის საკანიდან გამოგზავნილი „ამხანაგებს“, და მეორე „ბრძოლას“.

ყურადსაღებია გაზეთის ბოლოში გამოქვეყნებული სია იმ არალეგალური ლიტერატურისა, რომელიც თბილისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს ჰქონდა შეძენილი. ამ სიაში მოხსენებულია გაზეთ „ბრძოლის“ — გამოცემები: „ჩვენი კითხვები“ № 1 და № 2, „ობობა და ბუზი“. ეს ლიტერატურა ბაქოს სტამბაშია დაბეჭდილი კეცხოველის მიერ.

ბაქოში ყოფნისას ლადო დროგამოშვებით ჩამოდის საქართველოში ამხანაგ სტალინთან სათანადო დირექტივების და არალეგალური გაზეთისათვის მასალის მისაღებად.

რევოლუციის პრაქტიკოსი ხელმძღვანელობს ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, უძღვება ისეთ დიდ საქმეს, როგორიც არის არალეგალური სტამბა „ნინო“.

სამუშაო დიდია. ერთ კაცს თითქოს არ შეუძლიან ყველაფერს გასწვდეს, მეტის გაკეთება ერთი ადამიანის ძალ-ღონეს უნდა აღემატებოდეს. მაგრამ ლადოს დაუდგრომელი ბუნება ამით არ კმაყოფილდება. ხშირად მოგზაურობს, ეზიდება პროკლამაციებს და გადმოაქვს საზღვარგარეთიდან გემებით მოტანილი არალეგალური ლიტერატურა.

„აგვისტოს პირველ რიცხვებში ბაქოდან ჩამოვიდა ლადო კეცხოველი. ის ელოდა საფრანგეთის ერთ გემს, რომელსაც ლიტერატურა უნდა მოეტანა. მაგრამ გამოირკვა, რომ გემს აგვიანდებოდა. ის რამდენიმე დღეს დარჩა ბათომში ჩვენთან (ს. თოდრია — მოგონებანი, „რევოლუციის მატიანე“, № 3, 1923 წ. თბილისი, გვ. 89).

თითქოს ცამ ჩაყლაპა და მიწამ პირი უყოო, ჟანდარმერიამ ვერ მიაგნო საშიშ რევოლუციონერის კვალს. სამმართველოს აგენტურის გამგე როტმისტრი ლავროვი ფილერებს ჰგზავნის სხვადასხვა ქალაქში კეცხოველის საძებნელად.

კიევის ჟანდარმთა სამმართველოში გადაღებული ლადოს ფოტოგრაფიული სურათი აგენტებს ხელთ აქვთ, უეჭველია პროვოკატორმა ერთხელ აუწერა მათ ლადოს გარეგნობა, მაგრამ მაინც ვერ მოჰკრეს თვალი ლადოს. ყოველივე სიძნელეს მოხერხებულად აძვრენდა თავს ლადო და ერთხელ, როგორც ეს წინა თავში დავინახეთ, თვით როტმისტრი ლავროვიც-კი გააცურა და მშრალზე დასვა.

კონსპირაციის დიდი ოსტატი, უშიშარი და გამბედავი ლადო, იმავე დროს ყოველგვარ ვითარებაში სწრაფი ორიენტაციის იშვიათ უნარს იჩენდა და ეს ხშირად ხიფათს თავიდან აცილებდა.

გავიხსენოთ ვანო კეცხოველის მოგონებიდან ერთი ადგილი. ვანო კეცხოველი 1900 წლიდან ბაქოში ცხოვრობდა. იგი თავის ნათესავის, ბაქოს სადგურის უფროსის თანაშემწის ბინაზე იდგა. ლადო ძმის სანახავად ამ ბინაზე მიდიოდა.

„მახსოვს, 1901 წლის 1 იანვარი იყო. შუადღე იქნებოდა, როცა ლადომ კარი შემოაღო და თავისებური ღიმილით ყველას მიესალმა. ახალი წლის პირველი დღე იყო. დიასახლისმა მიიპატიჟა სხვადასხვა საუზმით და ტკბილეულობით სავსე მაგიდაზე, რომელსაც ოჯახის დანარჩენი წევრებიც გარშემოსხდომოდნენ. ყველა მხიარულობდა. მოულოდნელად და გაუფრთხილებლივ სასადილო ოთახში თავი შემოჰყო ბაქოს რკინისგზის სადგურის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა (როტმისტრის ჩინით იყო).

„ამ მოულოდნელობამ ერთგვარი უხერხულობა დაჰბადა ყველა ჩვენში. მაგრამ ლადო სრულებითაც არ დაიბნა. მისმა ენაწყლიანობამ თითქოს კიდეც დაინტერესა როტმისტრი, ბაასი რატომღაც დაიწყო რუსეთის ჩინოვნიკობაზე, მათ ბიუროკრატობაზე (ჟანდარმი თავს ილიბერალებდა). მე ხმირად გარეთ ვიხედებოდი და ვათვალიერებდი გამვლელ-გამოვლელთ. თუ ვინიცობაა, პოლიცია და ჟანდარმები გამოჩნდებოდნენ, ლადო გამეფრთხილებინა.

„თითქმის მთელი საათი გაგრძელდა ასეთი დაჭიმული მდგომარეობა. როტმისტრი, როგორც იყო, დაემშვიდობა მასპინძელს და წავიდა. სწორედ მისი წასვლის შემდეგ აიჭარხლა ლადო. თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ ჟანდარმი ლადოს დასაჭერად მოვიდა, რაც ყოველთვის მოსალოდნელი იყო, რადგან თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს ლადოს შესაპყრობად მიღებული ჰქონდა ყოველგვარი ზომები და ამ მიზნით ბაქოს ჟანდარმებიც გაფრთხილებული იქნებოდნენ, მაგრამ ლადომ თავისი მოხერხებული ბაასით შესაძლებლობა არ მისცა ჟანდარმს მასზე ეჭვის აღებისა.

„მეორე თუ მესამე დღეს ეს როტმისტრი შეხვედროდა ჩვენს მოკეთეს და ეკითხა, ვინ იყო ის ახალგაზრდა, ისე ჭკვიანად რომ მსჯელობდა და სხვა ასეთი კომპლიმენტებით დაეხასიათებინა ლადო“ (გაზეთ „კომუნისტის“ 1938 წ. 30 აგვისტოს ნომერი).

ჟანდარმერიას ხელში უვარდება „ბრძოლის“ და „ისკრის“ ფურცლები.

როტმისტრი ლავროვი ცოფებსა ჰყრის, მან მთელი თავისი ფილერები დარაზმა, რათა აღმოეჩინათ ის სტამბა, სადაც ეს გაზეთები იბეჭდებოდა.

ჟანდარმთა თბილისის საგუბერნიო სამმართველოს უფროსი გენერალ მაიორი დებილი 1902 წლის 30 მარტის თარიღით პოლიციის დეპარტამენტს უგზავნის სავსებით საიდუმლო მიმართვას, სადაც აღნიშნავს, რომ... „არალეგალურ გამოცემათა ბეჭდვის ადგილის დიდიხნის ძებნის შემდეგ ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში შემოდიოდა აგენტურის უფრო და უფრო დაჟინებითი მითითება, რომ ყველა პროკლამაცია, ქართული არალეგალური ჟურნალი „ბრძოლა“, რომელიც გასული წლის დამლევს გამოჩნდა, და თვით გაზეთი „ისკრაც“ კი იბეჭდება ქალაქ ბაქოში“, ამასთან ამ არალეგალური წარმოების (წაშლილია) ნამდვილ აქტიურ მონაწილედ დასახელებული იყო ვლადიმერ კეცხოველი, რომელსაც ეძებდნენ და რომელიც იმალებოდა დემეტრაშვილის გვარით. იმავე მოხსენებიდან ირკვევა, რომ 1901 წლის 31 დეკემბერს ბაქოში დაუპატიმრებიათ ებრაელი ქალი სოფიო გინზბურგი, რომლის სახელზედაც მისულა „ისკრა“ და წიგნაკი „ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების დაცვისათვის“. იმავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1901 წლის აგვისტოს უცნობ პირს ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისაგან შეუძენია საბეჭდავი მანქანა ბაქოში არსებულ პრომიშლიანსკის სტამბისათვის. კვლევა-ძიებით გამორკვეულა, რომ პრომიშლიანსკის სტამბას ასეთი შეკვეთა არ მიუცია ქართველთა ამხანაგობისათვის. მოხსენების პირველნაწილში გენერალ-მაიორ დებილს დადასტურებულად მიაჩნია, რომ სტამბა ბაქოშია მოწყობილი.

„რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ სახელდობრ სად არის მოთავსებული ბაქოში არალეგალური სტამბა, ამაზე ჯერჯერობით დარწმუნებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ეს საქმე, ეჭვს გარეშეა, ინტელიგენციის ხელშია... მხედველობაში მაქვს რა, რომ თუმცა სტამბა ქ. ბაქოში იმყოფება, მაგრამ ხელმძღვანელი როლი თბილისს ეკუთვნის და რომ ჩემს ხელში მეტი ცნობებია დაგროვილი ამ საგანზე და მეტი საშუალებებიც, ვიდრე ბაქოს

სამმართველოში, ჩემი ბრძანებით ქ. ბაქოში დატოვებულ იქნა ორი ფილერი სამეთვალყუროდ და თუ ამ მეთვალყურეობამ შედეგი გამოიღო, განზრახული მაქვს ქარხანაში „ელექტრიჩესკაია სილა“ საგანგებო აგენტი მივავლინო“.

ფილერების მეთვალყურეობა შეუმჩნეველი არ დარჩა ლადოს. გაჩნდა სტამბის ჩავარდნის საფრთხე, საჭირო იყო დროზე ზომების მიღება სტამბის გადასარჩენად.

როდესაც 1902 წლის მარტში შეიქმნა სტამბის ჩავარდნის რეალური საფრთხე, გადაწყდა გადაეტანათ იგი ბაქოდან რუსეთში. სტამბისათვის ადგილის გამოძებნა დაეკისრა ლადო კეცხოველს. ამ მიზნით იგი 1902 წლის აპრილს გაემგზავრა რუსეთში.

„ლადომ შემოიარა მთელი რიგი ქალაქები (კიევი, სამარა და სხვა) მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ქალაქებში ვერ შესძლეს აღმოეჩინათ მისთვის საჭირო დახმარება სტამბის მოწყობის პირობათა მომზადებაში“ *).

რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გამგზავრებამდე საბეჭდი მანქანა ლადომ დაშალა და ნავთსადგურში მიაბარა შესანახად, ხოლო შრიფტი 15 ფუთის რაოდენობით აჯიქაბულში გადაიტანეს მემანქანე ვიქტორ ბაქრაძის საშუალებით. ლადო ბაქოში დაბრუნდა. გადასწყვიტა, ისევ ამ ქალაქში აღედგინათ სტამბა. კეცხოველმა დაიჭირა ჩადრის ქუჩაზე სამი პატარა ოთახი. ნავთსადგურიდან მანქანა გადაიტანეს და ორ ღამეში უკვე დაიდგა. მემანქანემ ვიქტორ ბაქრაძემ 10 ფუთი შრიფტი გადმოიტანა აჯიქაბულიდან ბაქოში. დარჩა 5 ფუთი გადმოსატანი.

თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ ბაქოში მივლინებული ფილერები გულმოდგინედ დაძრწოდნენ და უთვალთვალებდნენ ლადოს. 1902 წლის 19 ივლისს (№ 3705) გენერალ-მაიორ დებილის მიერ პოლიციის დეპარტამენტის სახელზე გაგზავნილ სავსებით საიდუმლო მიმართვაში, სხვათაშორის, სწერია:

„მოგახსენებთ რა ყოველივე ამას და ამასთან გიდგენთ რა კეცხოველის გადიდებულ სურათს, ამ ხუთი წლის წინათ ჯგუფთან გადაღებულს, მაქვს პატივი დავსძინო, რომ ხსენებული კეცხოველის [აქ წაშლილია]... უკვე დაახლოებით ორი კვირა მეთვალყურე ფილერების მიერ არსად არ იქნა შემჩნეული.

„ადვილი შესაძლებელია, რომ კეცხოველი გამგზავრებისას ისარგებლებს ჩემს მიერ № 3187 მომართვაში მოხსენებულ ნიკოლოზ მელიქოვის პასპორტით“ **).

ვიქტორ ბაქრაძე მოემზადა დარჩენილი შრიფტის გადმოსატანად:

„1902 წელს ამზანაგმა კეცხოველმა დამავალა, გადამეტანა აჯიკაბულიდან ბაქოში შრიფტი. შრიფტი ორთქლმავალში მქონდა. ამ დროს დეპოში დაჰკარგოდათ რაღაც ნაწილები. დაიწყეს ძებნა. ერთ-ერთი ცეცხლფარეში, გვარად ანისიმოვი, მისულა ჩემს ორთქლმავალთან. მე ამ დროს სამორიგეო ოთახში ვიყავი. მას გაეხსნა ყუთი, ენახა რა შრიფტი, ვერ მიხვედრილიყო, რა იყო. ამოეღო ნაწილი შრიფტისა და წაეღო, დეპოს უფროსისათვის ეჩვენებინა“... როგორც ვიქტორ ბაქრაძის მოგონებიდან ირკვევა, დეპოს უფროსს დაუყოვნებლივ ჟანდარმერიისათვის ეცნობებინა შრიფტის აღმოჩენის ამბავი.

---

*) ლ. ბერია — „ლადო კეცხოველი“, გვ. 16.

**) იმელის თბილისის ფილიალის არქივი, ფ. № 31, საქმე № 144, ფ. 52.

მყისვე გაჩდნენ ორთქლმავალთან ჟანდარმები და დააპატიმრეს ვიქტორ ბაქრაძე. ამ უკანასკნელის ბინაზე ბაქოში ინახებოდა გადაზიდული შრიფტის ნაწილი. ჟანდარმერიამ აცნობა ბაქოს, გაეჩხრიკათ ვიქტორ ბაქრაძის ბინა. ორთქლმავალს შრიფტით ბაქოს სადგურზე ელოდებიან. ვიქტორ ბაქრაძე არა სჩანს. აშკარა გახდა ბაქრაძის მარცხი. საჭირო იყო შრიფტის გადარჩენა. მაგრამ ბაქოს ჟანდარმერია ფეხზე იდგა, მან მიაგნო კეცხოველის კვალს, და 1902 წლის 2 სექტემბერს დიმიტრი ბაქრაძის ბინაზე დააპატიმრეს ელისავეტოპოლის მცხოვრები აზნაური ნიკოლოზ აბრამის-ძე მელიქოვი. იგი აღმოჩნდა ის საშიში რევოლუციონერი, ლადო კეცხოველი, რომელსაც ასე გამწარებით დაეძებდა ჟანდარმერია.

თავი მეშვიდე

ლადოს უკანასკნელი დღეები

„ძმანო მებრძოლნო, კვლავ ბრძოლა,
ლომგულს ვით გასტეხს ტყვეობა,
პირიქით, გვიორკეცდება
ვაჟკაცობა და მხნეობა!“

ტუსაღი — „ბრძოლა“ № 2—3.

ლომგულს ვით გასტეხს ტყვეობა — აწყობდა და ბეჭდავდა ლადო მეტეხის საკანიდან გაგზავნილ, ბრძოლის განწყობილებაში გამსჭვალულ ტუსაღის ლექსს „ამხანაგებს“ და მალე თვით ეს ლომგული ჟანდარმერიის ტყვე შეიქნა.

ორ წელიწადს დაგეშილი ძაღლებივით დაძრწოდნენ ჟანდარმთა სამმართველოს ფილერები და ეძებდნენ საშიშარი რევოლუციონერის კვალს.

რამდენჯერ ააფორიაქეს სოფელი ტყვიავი, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ეწვივნენ დაუპატიჟებელი სტუმრები მოხუც ზაქარიას, რამდენჯერ შეიჭრნენ სოფელ ქორბში დის ანას ოჯახში, რამდენჯერ ათევდნენ ღამეებს ქუჩების კუთხეებში და ალაყაფის ჭიშკრებთან ატუზული ლავროვის აგენტები და გამვლელ-გამომვლელში ეძებდნენ იმ ადამიანს, ვინც ასე უფრთხობდა ძილს მათ ბატონებს!

1902 წლის 2 სექტემბერს ჟანდარმერიამ საწადელს მიაღწია: ლადო კეცხოველი მათ ხელში ჩაუვარდათ.

ზეიმობდა ჟანდარმერია, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ზეიმი. მალე დარწმუნდნენ, რომ ლომგულს ტყვეობა ვერაფერს დააკლებდა, პირიქით, უორკეცებდა ვაჟკაცობას და მხნეობას.

3 სექტემბერს ბაქოს ჟანდარმთა სამმართველომ პირველი ჩვენება ჩამოართვა ლადო კეცხოველს, და აშკარა გახდა ჟანდარმერიისათვის, რომ მას საქმე ჰქონდა მეტად გამოცდილ, მარჯვე და გაბედულ ადამიანთან, ისეთ ადამიანთან, რომელსაც ვერავითარი რეპრესია ვერ მოსდრეკდა.

„რა სარდალია ან კი ის,
მცირე დაკოდვით ვინც დრკება?“ —

განაგრძობდა თავის ლექსს გაზეთ „ბრძოლაში“ მეტეხის ციხის ტუსაღი, და განა ეს ლადოზე ზედ გამოჭრილი არ იყო? მცირე დაკოდვით ლადოს ვინ მოსდრეკდა?

ბაქოს გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო იძულებული ხდება თავის საიდუმლო მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტის სახელზე განაცხადოს,

რომ საქმე აქვს „ფრიად მარჯვე, ფრთხილ ადამიანთან, რომელმაც დაკითხვებზე ყველა ზომა მიიღო, რათა სხვები გამოეხსნა... თავის დამცველთა დასახელებაზე კეცხოველმა, როგორც სხვებმა, უარი განაცხადა, რის გამო ჯერ შეუძლებელი გახდა გამოგვერკვია ზოგიერთ პირთა ურთიერთკავშირი რევოლუციური საქმიანობის მხრივ“ *).

დაპატიმრებისას გაჩხრეკილ ლადოს ჟანდარმერიამ აღმოუჩინა რუსულ-ფრანგული შიფრის ანბანი, ციფრების შიფრი, უვადო პასპორტი ელიზავეტპოლის აზნაურ ნიკოლოზ აბრამის-ძე მელიქოვის სახელზე, მელიქოვის სახელზე გაცემული მოწმობა ელიზავეტპოლის გიმნაზიის დამთავრების შესახებ, საზღვარგარეთული (ბელგიის) ალფრედ თეოდორ იოსების სახელზე ბრიუსელის ბეჭდით და გუბერნატორ ვრაბანის ხელის მოწერით, პასპორტის სუფთა ბლანკი, ბროშურა რუსულ ენაზე ნაციონალური ავტონომიის შესახებ, გაზეთ „ისკრას“ ნაფლეთები, დაშიფრული წერილები და რევოლვერი.

დიდხანს არ ამყოფეს ლადო ბაქოს საპყრობილეში. 23 სექტემბერს თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველომ მიიღო ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ პროშინის ხელმოწერილი დეპეშა: „ახლა გამოვგზავნეთ თქვენს განკარგულებაში კეცხოველი. აგენტურის ცნობებით უნდათ რა მისი განთავისუფლება, ვოკზალში მიყვანილ იქნა კაზაკებით **).

23 სექტემბერს კონვოირმა კოლომეიცევმა ლადო ჟანდარმთა სამმართველოში მიიყვანა, ხოლო იმავე დღეს ჟანდარმთა როტმისტრმა რუნიჩმა ლადო მეტეხის საპყრობილეში გაგზავნა.

თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს აგენტურის გამგე როტმისტრი ლავროვი, რომელიც არაერთხელ იქნა ლადოს მიერ მშრალზე დატოვებული, შესცვალა როტმისტრმა რუნიჩმა.

აი ამ ახალი ჯალათის ხელში მოხვდა ლადოს საქმე, აი ვინ განაგებდა საკანში მომწყვდეულ ლომგულის ბედს. რუნიჩი ახალი კაცია, მას დახმარების ხელს აწვდის უფროსი ჯალათი — თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი დებილი. 23 სექტემბერს ჩამოიყვანეს ლადო თბილისში, ხოლო 25 სექტემბერს დებილი საიდუმლო მიმართვას უგზავნის რუნიჩს და აცნობებს, რომ გამოძიების ქვეშ მყოფი კეცხოველი ის პირია, ვისაც დაეძებდა სამმართველო ტრამვაის გაფიცვებთან დაკავშირებითო, ის პირია, ვინც დიმიტრაძის გვარით იმალებოდა და ვისი სურათიც წამოვიღეთ სოფელ ქორბიდან, კეცხოველის დის ოჯახის ჩხრეკისასო. „სურათი სამმართველოს საქმეშია და თუ საჭირო შეიქნება, დაკითხვისას თქვენ გადმოგცემთ“ ***).

ამუშავდა რუნიჩი, შეუდგა ლადოს საწინააღმდეგო ცნობების შეკრებას. გორში გზავნიან საიდუმლო მიმართვას, შეატყობინონ, თავს ხომ არ არიდებდა კეცხოველი სამხედრო ბეგარის მოხდას.

მოსდით მეჯვრისხევის ბოქაულის მეშვეობით პასუხი, რომ „კენჭის ამოღების შემდეგ ვლადიმერ კეცხოველმა თავი აარიდა სამხედრო ბეგარის მოხდასო“.

---

*) საქ. სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო, ფ. 36, ს 467, ტ. II, გვ. 7—23.

**) მარქს-ენგელს-ლენინის ინს-ტის თბილისის ფილიალის არქივი, 9. № 31, საქმე № 144, გვ. 112.

***) იმავე არქივიდან, ფ. 31, საქმე № 144, გვ. 121.

ესეც ერთი მხილებათაგანი ლადოს წინააღმდეგ. ათვალიერებს ჟანდარმერია ბაქოს არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილ პროკლამაციებს, სურს შეიტყოს, ამიერ-კავკასიის გარეთაც ხომ არ ვრცელდებოდა ეს პროკლამაციები. ოდესის, ასტრახანის, ყუბანის, ტავრიდის და ბესარაბიის გუბერნიების და დონის ოლქის ჟანდარმთა სამმართველოებს ეგზავნებათ მიწერილობა, ამცნონ ხომ არ აღმოუჩენიათ პროკლამაციები: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „ამხანაგო მუშებო“, „ახლოვდება პირველი მაისის დღე“, „ამხანაგო ჯარისკაცებო“.

თუ სოფელ ქორბიდან ჩხრეკისას წამოღებულ ჯგუფთან გადაღებულ ლადოს ფოტოგრაფიულ სურათს ასე უფრთხილდებოდა ჟანდარმერია და მისი საშუალებით უნდოდა კეცხოველის შეპყრობა, ახლა როცა პატიმარი მათ ხელშია, სურათის გადაღებას არ აკმარებენ. როტმისტრი რუნიჩი 1902 წ. 22 ოქტომბერს იწვევს ექიმ როტინიანცს ლადოს აგებულების შესამოწმებლად: სიმაღლე 2 არშინი და 8 გოჯი, აგებულება სწორი, თმახუჭუჭა, გარეგნული შეხედულება ინტელიგენტისა, — მოგვითხრობს ოქმი და ერთხელ კიდევ თვალწინ გვიყენებს სიცოცხლით სავსე, შუათანა ტანის, კარგად მოყვანილ, მეტყველი სახის, ხუჭუჭა-თმიან ლადოს.

„ლადოს დატუსაღების ამბავი მთელს ციხეს მოედო, — იგონებს ლადოს დროს პატიმრობაში მყოფი ერმილე ხავთასი. — გაჩაღდა საკნებში კედელზე „კაკუნი“ და ამით ატყობინებდნენ ყველა იქ მყოფ ამხანაგებს, რომ ჩვენი ლადო აქ მოიყვანესო“. მალე ლადომ კედელზე კაკუნის საშუალებით კავშირი გაბა ტუსაღებთან, დაუახლოვდა მათ და მარჯვედ ახერხებდა გარედან წერილების მიღებას და გადაცემას. მეტეხის ციხის პირველ კორპუსში სტამბა იყო მოთავსებული, რომელსაც ლუარსაბ ხელაძე განაგებდა. ადმინისტრაცია სტამბაში ტუსაღებს ამუშავებდა, რომელთა რიცხვში ერმილე ხავთასიც იყო. ლადოს საკანი მეორე კორპუსში იყო. ძაფის საშუალებით ლადო ზევიდან უშვებდა ძაფზე მობმულ გარედ გასაგზავნ მასალებს და ამავე საშუალებით ილებდა გარედან შემოგზავნილს. ხავთასის თქმით ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევდა მათ ლუარსაბ ხელაძე, რომელიც კისრულობდა წერილების წაღებას და მოტანას.

1902 წლის 21 ოქტომბერს ლადომ შესძლო წერილი გაეგზავნა თავის ძმა სანდროსათვის, რომლის მინაწერშიც სთხოვს — გამოუგზავნონ შექსპირის თხზულებანი რუსულ ენაზე, გოეთეს „ფაუსტი“, ჰაინეს ლექსები, გერმანული ენის თვითმასწავლებელი ტუსენის მეთოდით და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები.

მებრძოლი რაინდი, „პროფესიონალი რევოლუციონერი“ ვლადიმერ კეცხოველი, როგორც ეს განაცხადა მან გაბედულად დაკითხვისას, იმავე დროს პოეზიის მოტრფიალეა და თავათაც პოეტია. ავტორთა შერჩევა ააშკარავებს ლადოს დიდ გემოვნებას და პოეტურ სულს. ციხის ჯურღმულში ლადოსთან ერთად გაქრა რევოლუციის რაინდის მგზნებარე სტრიქონებიც. 1903 წლის 17 მარტს როტმისტრი რუნიჩი მოახსენებს თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, რომ მან მოახდინა პოლიტიკური პატიმრის კეცხოველის საკანის ჩხრეკა, სადაც, სხვათა შორის, აღმოაჩინეს რევოლუციური ლექსი „ახალი მარსელიოზა“, რომლის ერთი ტაეპიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევსო.

„В стране подавленной безправьем,
Вам слышно-л? Близок ураган —
То в смертный бой с самодержавьем
Вступает русский великан“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკითხვაზე, — განაგრძობს რუნიჩი, — კეცხოველმა განაცხადა, რომ ეს ლექსი მან დაპატიმრებამდე დასწერა.

1903 წლის 20 აგვისტოს (№ 783-ით) თბილისის საგუბერნიო ციხის უფროსი ატყობინებს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, რომ მეექვსე სადარაჯოს გუშაგმა დაუჭირა პოლიტიკურ პატიმარ ვლადიმერ კეცხოველს საბრალდებულო დასკვნა მანჯავიძის, სტურუას და სხვათა შესახებ იმ დროს, როცა კეცხოველი ფანჯრიდან ძაფით უშვებდა ძირს ამ საბრალდებლო დასკვნას. 16 აგვისტოს საღამოთი, *) — განაგრძობს ციხის უფროსი,—მოვახდინე კეცხოველის საკანის ჩხრეკა და ჩამოვართვი მას სამი რვეული: „ერთი ყდიანი, რომელშიაც 148 გვერდზე ოთხმოცდა შვიდი ლექსია, ქართულ ენაზე დაწერილი, მეორე, ვლადიმერ კეცხოველის ხელისმოწერით, სხვადასხვა შენიშვნებით რუსულ და ქართულ ენებზე და მესამე რვეული ოცდათერთმეტ გვერდზე (ლექსებით) ქართულ ენაზე...“ **).

ციხის უფროსმა რვეულები ამ მიმართვასთან ერთად ჟანდარმთა სამმართველოში გადაგზავნა.

ბარათაშვილის და ჰაინეს პოეზიის მოყვარული რევოლუციის რაინდი, „ახალი მარსელიოზის“ ავტორი უდაოდ მრავალი ლექსით გაამდიდრებდა ქართულ პოეზიას, ჯალათებს რომ არ მოესპოთ მისი ლექსების რვეულები.

საკანში გამომწყვდეული უშიშარი რევოლუციონერი ახერხებს საპყრობილის წინააღმდეგ ბრძოლას, პატიმართა გაფიცვის და გამოსვლების მოწყობას. „იშვიათი იყო ისეთი დღე,—იგონებს ხავთასი, — რომ ლადოს სერიოზული შეხლა არ ჰქონოდეს ციხის ადმინისტრაციასთან. ციხის ეკლესიაში, წირვაზე, მოვიდა ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, რომელიც კეცხოველს კარგად იცნობდა. ლადომ გამოსთქვა სურვილი დასწრებოდა წირვას, რაც საშუალებას მისცემდა გამოლაპარაკებოდა ტუსაღებს. ეპისკოპოსმა წირვის დასასრულს ქადაგებით მიმართა ტუსაღებს, მან შეამჩნია ტუსაღებში ლადო, მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, მაგრამ გაწვდილი ხელი ჰაერში შერჩა: „С врагалис я ничего общего не имею“, მიაძახა ლადომ ეპისკოპოსს. ამ ინციდენტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ციხის უფროსს მილოვს საყვედური გამოეცხადა ასეთი ტუსაღის ეკლესიაში შეყვანისათვის.

პოლიტიკური ტუსაღების ყოველ გამოსვლას ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ლადო მეთაურობს. თბილისის საგუბერნიო საპყრობილის უფროსის თანაშემწე 1903 წლის 15 ივლისის თარიღით და № 4075 შემდეგს ატყობინებს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს: „ვარდგენ რა ამასთანავე თქვენი ალმატებულების განკარგულებაში ოქმს, შედგენილს ჩემი თანაშემწის, საგუბერნიო მდივნის ნოსენკოს მიერ, ჩემდამი რწმუნებულ საპყრობილის განყოფილებაში ამა 15 ივლისს პოლიტიკური ტუსაღების მიერ მოხდენილ უწესოებათა შესახებ, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ოქმში დასახელებულ ტუსაღებს ჩემს მიერ, ბ-ნ პროკურორის თანაშემწის სტრუვესთან შეთანხმებით,

*) კეცხოველის მუხანათურად მოკვლის წინა დღეს.
**) იმავე არქივის ფ. 31, საქ. № 42, გვ. 63.

მიყენებული აქვთ დისციპლინალური სასჯელი: ზაქარია ჩოდრიშვილი, ვლადიმერ კეცხოველი ჩასმულ იქნენ საპყრობილის კარცერში, თითოეული შვიდი დღით საჭმლის ერთგვარი შეზღუდვით"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარცერში ჯდომით და საჭმლის შეზღუდვით გმირები ... „მაშ ბრძოლა! ბრძოლა! და თუ ამ ბრძოლაში წავიქეცი, ნუ იდარდებ. ყოველი საქმე და მით უმეტეს თავისუფლება მსხვერპლს თხოულობს, но где, скажи, когда без жертв искуплена свобода?!" — სწერდა ლადო მეტეხის საკანიდან თავის ძმას სანდროს.

ლადო კარცერშია. 22 ივლისს მას უთავდება კარცერში დამწყვდევის ვადა. საკანში მყოფი ლადო კვლავ წინ აღუდგება ადმინისტრაციას, კვლავ ამხელს მის საზიზღროებას, კვლავ აამოძრავებს პატიმრებს ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. „საპატიმროს ადმინისტრაციამ გადასწყვიტა, დაეცვა ჯალათების მუნდირის ღირსება. თვითმპყრობელობის ქოფაკი ძაღლები აყეფდნენ ფეხქვეშ გათელილი ხელისუფლების პრესტიჟის „აღდგენაზე" (ლ. ბერია „ლადო კეცხოველი", გვ. 16). ჯერ კიდევ კარცერშია ჩამწყვდეული ლადო, როცა თბილისის საგუბერნიო ციხის უფროსი მიმართავს უგზავნის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს და სთხოვს, გადაიყვანონ მეტეხის ციხეში მოთავსებული პოლიტიკური პატიმარი სამხედრო საპყრობილეში...

„მისი ციხეში ჩასმის დროიდან მომხდარ უწესოებათა უმეტესობა გამოწვეულია ისევ და ისევ ამ პატიმრის წყალობით, რომელსაც დიდი დემორალიზაცია შეაქვს მის ირგვლივ მყოფ ამხანაგებში.

უკანასკნელ, ამა წლის 15 ივლისის არეულობაში კეცხოველმა მიიღო ფრიად აქტიური მონაწილეობა, რისთვისაც დაედო დისციპლინარული სასჯელი: ბნელ კარცერში შვიდი დღე-ღამის განმავლობაში ჯდომა...

დაუყონებლივ გადავიყვანოთ იგი სამხედრო საპყრობილეში, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ არეულობა პოლიტიკურ პატიმრებს შორის, აღვადგინოთ ფეხქვეშ გათელილი პრესტიჟი ხელისუფლებისა..." *).

ციხის ადმინისტრაციის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს, რადგან სამხედრო საპატიმრო სხვა დანიშნულებისათვის ჰქონდა მოწყობილი თვითმპყრობელობას და კეცხოველი კვლავ მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა ცალკეულ საკანში (№ 4) მოათავსეს.

გამოძიება დასასრულს უახლოვდება. ლადოს მოელის გადასახლება სადმე შორეულ ადგილას, საიდანაც მოხერხებული და გამბედავი ლადო უეჭველია მალე შესძლებდა გაქცევას და კვლავ შეუდგებოდა თავის საყვარელ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. ამიტომაც მიმართავს იგი განცხადებით და თხოულობს სატუსაღოდან განთავისუფლებას და წინასწარ მიჩენილ ადგილას გადასახლებას. მაგრამ სულ სხვა გეგმებს ამზადებს ჯალათი რუნიჩი.

1903 წლის 10 აგვისტოს რუნიჩი მოხსენებით მიმართავს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, რომელშიაც, მოაგონებს რა, თუ რაშია მხილებული ლადო კეცხოველი, დასძენს:

„გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ თუმცა კეცხოველის წინასწარ ერთ-ერთ შორეულ ადგილას გადასახლება კვლევა-ძიების საბოლოოდ დასრულებამდე სასურველია, მაგრამ სასარგებლო იქნე-

*) საქ. ცენტრარქივი, საარქ. ფ. № 7, ს. 427, 1903 წ. აღწ. № 8, ტ. IV, თბილ. საგუბ. ჟანდ. სამმართ. ფ. 2.

ბოდა კეცხოველის პიროვნების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან კვლევა-ძიებით დადასტურდა კეცხოველის სერიოზულობა და მნიშვნელობა რევოლუციურ მოძრაობისათვის, რომ გადასახლების დროს კეცხოველის წინააღმდეგ გამოგვეყენებინა რაიმე განსაკუთრებით (ხაზი ჩვენია შ. დ., ა. ბ.) ზომები, ვინაიდან კეცხოველი, როგორც კი განთავისუფლდება, პირველ შესაძლებლობისთანავე გაიქცევა საზღვარ-გარეთ და მომავალში თავისი უკიდურესი შეხედულებით უსათუოდ დიდ ზიანს მოგვაყენებს, რა მიზნითაც, ალბათ, ხსენებულმა კეცხოველმა აღძრა სწორედ შუამდგომლობა ტუსაღობიდან განთავისუფლების შესახებ, წინასწარ გადასახლებით იმ ადგილას, რომელიც განაჩენით აქვს დანიშნული"...

რა არის ეს განსაკუთრებული ზომები, რომელთა გამოყენებაც საჭიროდ მიაჩნია რუნიჩს? რა განიზრახა ჯალათმა? რა ჯოჯოხეთური გეგმა შეადგინა პირსისხლიანმა როტმისტრმა? ამ მიმართვის დაწერის შვიდი დღის შემდეგ, 17 აგვისტოს, დილის 9 საათსა და 20 წუთზე, გუშაგის სერგეი დერგილევის მიერ საკანის ფანჯარაში ნასროლმა ტყვიამ გვამცნო „ეს განსაკუთრებული" ზომა, რომელმაც სამუდამოდ შეუწყვიტა მაჯის ცემა რევოლუციის მგზნებარე რაინდს, ლადო კეცხოველს...

*

* *

კვირა დღეა. მეტეხის ციხის ეკლესიაში წირვაა. ვინც კი ეკლესიაში არ მოისურვა წასვლა, საკნებში არიან ჩამწყვდეულნი. საკანში ნასროლი ტყვიის ამბავმა პირველად ეკლესიამდე მიაღწია და ააფორიაქა ტუსაღები. გათავდა წირვა, ჩამწკრივებული ტუსაღები ზედამხედველებმა საკნებში მიიყვანეს. მოსულები ამცნობენ ტუსაღთ მეოთხე საკანში მომხდარ ამბავს. „როცა კი ეს ამბავი გავრცელდა ციხეში, მყისვე ყველა კორპუსში ასტყდა ხმაური, დაიწყო ფანჯრების მსხვრევა, მთელ ციხეში გაისმოდა ყვირილი: „ჯალათები გვხოცავენ, ჯალათები გვხოცავენ!" რამდენიმე ხნის შემდეგ ციხეში მოვიდა ვიცეგუბერნატორი",—იგონებს ქ. ხავთასი — „შეიქნა კამერებში კაკუნი, ასტყდა ყვირილი, აურზაური, ფანჯრებისა და კარების ლაწალუწი. კაზაკებს გამოუძახეს და ციხეს ალყა შემოარტყეს"—იგონებს ლ. ხელაძე. საზიზღარი მკვლელების ამბავი მალე ქალაქსაც მოედო. ციხის გარშემო ხალხი ჯგუფჯგუფად იკრიბებოდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა ჯალათებს. ქალაქის ქუჩები პროკლამაციებით მოიფინა.

მე-10 უბნის ბოქაული ნოვოსადი 19 აგვისტოს თარიღით და № 952-ით ატყობინებს თბილისის პოლიცმეისტერს, რომ 18 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, მალაკნის ქუჩაზე, №44, უბნის ზედამხედველის კალინოვსკის ბინაში ღია ფანჯრიდან შეჰყარეს პროკლამაციები, რომლებშიაც აწერილია მეტეხის ციხეში მოკლული ლადო კეცხოველის ამბავიო. იგივე ბოქაული ატყობინებს პოლიცმეისტერს, რომ დიდუბეში, შერემეტევის და ტრამვაის ქუჩაზე, რკინისგზის სკოლის პირდაპირ, იპოვნეს 5 ცალი პროკლამაცია. მესამე უბნის ბოქაული ამცნობს პოლიცმეისტერს, რომ ქუჩაში პოლიციელმა იპოვნა სამგლოვიარო ფურცლები კეცხოველის მოკვლის შესახებ.

თუ თბილისის ქუჩები პროკლამაციებით იფინება, რომელთა ეპიგრაფად აღებულია გორკის სიტყვები: „О смелый сокол, в борьбе с врагами истек ты кровью" და ჯალათების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებენ

მასებს, არც ჯალათები არიან გულზე-ხელდაკრეფილნი და ცდილობენ თავიანთ ჯოჯოხეთურ გეგმას გამამართლებელი მიზეზები გამოუნახონ. პოლიციის დეპარტამენტის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში ისეა საქმე წარმოდგენილი, თითქოს ლადომ კედლებიდან აგურები გამოაძრო და გუშაგს დაუყარა, ხოლო როცა სამხედრო პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, იძულებული გახდა ელეარებინა, რომ კამერიდან აგურის სროლას ადგილი არა ჰქონია, არა თუ აგურები, კენჭებიც კი ვერ ნახეს ძირს დაყრილი, და ციხის ადმინისტრაციამ სრული შესაძლებლობა მისცა ყარაულის უფროსს სტროევს ემოქმედნა თავისი შეხედულებითო. აშკარა გახდა, რომ საზიზღარი მკვლელობა ის განსაკუთრებული ზომა იყო, რომელიც შეიმუშავა ჯალათმა რუნიჩმა და რომლის მიხედვითაც მან, ციხის ყარაულის უფროსის სტროევის დახმარებით, გუშაგ სერგეი დერგილევს მოაკვლევინა ლადო.

*

* *

ზაფხულის წყნარი ღამეა. ტყვიავში ნიკო და მარიამი არიან. მოხუცი ზაქარია ქორბშია თავის ქალთან. კეცხოველების ეზოში ეტლი შეიჭრა, გავიდა ნიკო და სახლში შეიყვანა დათიკო დემეტრაშვილი (ფეხშველაშვილი). მოსულს სუნთქვა ეკვრის, ხმა ვერ ამოუღია, ბოლმა აწვება. ბოლოს წაილულლულა: ნიკო, ლადო დასჭრეს მეტეხის ციხეშიო! გაქვავდა ნიკო, ტახტზე ჩაიკეცა და დიდხანს გაშტერებული სივრცეში გაიყურებოდა. „მაშ ლადო მოჰკლეს!“ ამოიკვნესა და თვალწინ თავისი გაზრდილი, ხუჭუჭა ვაჟკაცი დაუდგა.

კაცი აფრინეს ქორბში და მოხუცი დაიბარეს. ჩაიყვანეს მოხუცი შვილებმა თბილისში და ციხის კარებს მიადგნენ, უნდათ ძვირფას ცხედარს დახედონ, დაიტირონ, მაგრამ ჯალათებმა ქურდულად იმავე ღამეს ტომარაში ჩასდეს ლადოს გვამი, გააპარეს და სამხედრო სასაფლაოზე დამარხეს. მამის თხოვნას გუბერნატორის სახელზე, რომ დაენებებინათ ძვირფასი გვამი დასაკრძალავად, პასუხი არ გასცეს. პოლიცმეისტერი მიწერილობას უგზავნის მეშვიდე უბნის ბოქაულს ამბარდანოვს, ნება მისცეს მოკლულის მშობლებს პატივი სცენ მიცვალებულს. ბოქაული ამბარდანოვი ატყობინებს პოლიცმეისტერს, რომ მისი ბრძანება შესრულებულია და მღვდელმა იოსებ ჩიჯავაძემ პანაშვიდი გადაუხადაო. ჯალათებმა მოუკლეს შვილი ზაქარიას და ძვირფასი ცხედარიც კი არ დაანებეს.

დაბრუნდა მოხუცი სახლში. ეზო ჭირისუფლებითაა სავსე. ორი შვილი ნიკო და სანდრო შეუდგნენ მხრებში მოხუცს და ისე ამოიყვანეს, — იგონებს მარიამ კეცხოველისა: „ჩვენი ეზო ხალხით გაივსო. შეიკრიბა მთელი სოფელი. ახლო მახლო სოფლებიდან მოგროვდა ხალხი. ყველა ბორგავდა. აივანზე გამოდის გაფითრებული სანდრო. ლადო მოჰკლეს ჯალათებმაო, — ალმოხდა გულიდან სანდროს და აღგზნებული სიტყვით მიმართა ხალხს. შორიახლოს ურიადნიკი გამოჩნდა, მაგრამ შეშინდა, ვერაფერი გაბედა და მიიმალა. მამა გამოვიდა ხალხის წინ, ჯვარი ჩამოიხსნა და ძირს გადააგდო. მას შემდეგ იგი არც საყდარში შესულა და არც ჯვარისათვის მოუკიდნია ხელიო“.

*

* *

ჯალათებმა მოუსპეს სიცოცხლე ლადოს, მაგრამ განა ამით ბნელეთის მოციქულებმა მიზანს მიაღწიეს?

მოჰკლეს ლადო, მაგრამ განა ამით შეფერხდა ის დიდი საქმე, რომელსაც მტლად დაედვა ლადო?

მტრის გამოსროლილმა ტყვიამ გული გაუგმირა, მაგრამ ვერ შეუწყვიტა ლადოს,

„გმირის ალაგას თავგანწირულნი
ისევე გმირნი იბადებიან, —
მაგრამ იცოდე, მისი საქმენი
სადიდებელნი არა კვდებიან“.

ამბობდა ევდოშვილი ლადოსადმი მიძღვნილს ლექსში „გმირის საფლავზე“, და მართალი იყო პოეტი.

მოკვდა ლადო, მაგრამ რევოლუციამ მის ადგილზე სხვა მებრძოლნი წამოაყენა. გმირის ადგილზე ასევე თავგანწირული გმირები იბადებოდნენ და ირაზმებოდნენ და თავიანთი ბელადების ლენინისა და სტალინის მეთაურობით განაგრძობდნენ ბრძოლას, რაც დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარით დაგვირგვინდა.

წინასწარმეტყველური იყო ლადო კეცხოველის ხსოვნისადმი გამოქვეყნებული ბროშურა, წინასწარმეტყველებდა მისი ავტორი, როცა ამბობდა:

„შენი უმანკო სისხლი, მეტეხის ციხის ფანჯარაზე ასე მუხანათად დანთხეული, მალე მის დამანთხეველ მტარვალთა სისხლით გავბანოთ. შენი უდროვო საფლავის გამთხრელ სულთამხუთავ თვითპყრობელობას სამაგიერო საფლავი გაუთხაროთ“.

გამართლდა წინასწარმეტყველება. მებრძოლმა პროლეტარიატმა სამუდამოდ დაასამარა თვითმპყრობელობა და თავისუფლება მიანიჭა მშრომელთ, რომელთა ბედნიერებისათვისაც დაანთხია თავისი წმინდა სისხლი ლადო კეცხოველმა.

მადლიერი პროლეტარიატი—„ბოლშევიკური პარტია, ამხანაგ ლავრენტი ბერიას თქმით, პატივისცემით იხსენიებს თავის ერთგულ შვილებს და მათი ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის მაგალითზე ზრდის ბოლშევიკთა ახალ თაობას“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბენჟამენ კონსტან

ადოლფი

მესამე გამოცემის წინასიტყვაობა

მხოლოდ ერთგვარი ყოყმანის შემდეგ გავხდი თანახმა, რომ ამ ათი წლის წინათ გამოქვეყნებული ეს პატარა ნაშრომი ხელახლად გამომეცა. მე თითქმის დაჯერებული ვიყავი, რომ ბელგიაში ამ თხზულების გაყალბება სურდათ და ამ ყალბად-ქმნილის, მსგავსად მრავალ იმ ნაწარმოებთა, რომელთაც ბელგიელი ყალბის მქნელები ავრცელებდნენ გერმანიაში და იქედან შეაქვთ საფრანგეთში, ინტერპოლაციები და დამატებები დაერთოდა, რაშიც მე არავითარი წილი არ მედებოდა; თუ ეს არა, მე არასოდეს არ შეუდგებოდი ამ ამბავს, რომელიც დაწერილია მხოლოდ იმ აზრით, რათა ორი თუ სამი სოფელში შეკრებილი მეგობარი დაარწმუნოს, რომ შესაძლებელია რომანს მიენიჭოს ინტერესი, მაშინაც კი, როდესაც ის ერთსა და იმავე სიტუაციაში მოქცეული ორი მომქმედი პირით განისაზღვრება.

შევუდექი რა ამ საქმეს, განვიზრახე რამდენიმე სხვა იდეის განვითარებაც, რომლებიც მოულოდნელად დამებადა თავში და არც თუ ისე უსარგებლოდ მეჩვენა: მინდოდა დამეხატა ის ტკივილი, რომელსაც თვით მშრალი გული განიცდის როდესაც იგი ტანჯვას აყენებს სხვას, და ის ილუზია, რომელიც აიძულებს მას თავისი თავი უფრო ფუქსავატად და უფრო გარყვნილად ჩასთვალოს, ვიდრე ნამდვილად არის. გარკვეულ მანძილზე ჩვენ მიერ მიყენებული ტანჯვა ბუნდოვნად და მკრთალად გვეჩვენება იმ ღრუბლის მსგავსად, რომლის გაპობაც ადვილად შეიძლება; გვამხნევებს ცბიერი საზოგადოების მოწონება, რომელიც პრინციპებს სცვლის წესებით, ემოციებს ზრდილობით, რომელსაც სძაგს სკანდალი, არა როგორც ამორალური, არამედ როგორც უხერხული რამ, რადგან საზოგადოება საკმაოდ კარგად ღებულობს ბიწიერებას, როცა მას თან სკანდალი არ ახლავს. ადამიანები ფიქრობენ, რომ კავშირი რომელიც დაუფიქრებლივ შეიქმნება, არც თუ ისე ძნელი დასარღვევია. მაგრამ როცა ვხედავთ სევდას, რომელიც შედეგია დამსხვრეული კავშირისა, შეცდენილი გულის ამ მტკივნეულ განცვიფრებას, ამ უნდობლობას, რომელიც სცვლის ესოდენ უნაკლულო ნდობას და რომელიც უნდა მიმართულიყო ამ ქვეყნად ერთად-ერთი არსების წინააღმდეგ, ეხლა კი მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ მიიმართება, ამ უარყოფილ პატივის ცემას! რომელიც ველარ პოულობს თავისთვის ადგილს, მაშინ გრძნობთ, რომ არსებობს რაღაც წმინდათა-წმინდა ისეთ გულში, რომელიც იტანჯება იმიტომ, რომ მას უყვარს. მაშინ ჩვენ ვხედავთ რა ღრმად ჰქონია გამდგარი ფესვები გრძნობას, რომელიც ჩაგვიგონებია, ისე რომ ჩვენ ის არ გაგვიზიარებია.

თუ ჩვენ, ჩვენს ბუნებაში დავთრგუნავთ იმას რასაც სისუსტეს ვუწოდებთ, შევმუსრავთ ყოველივეს რაც ერთგულებას გამოჰხატავს, გავწირავთ

ყოველივეს, რაც ჩვენში კეთილშობილი და უმწიკვლოა. ასეთი გამარჯვებიდან გამოვდივართ ისე, რომ ვკლავთ საკუთარი სულის ნაწილს, ეკარგებთ სიმპატიას, ბოროტად ვიყენებთ სისუსტეს, შეურაცხყოფთ მორალს, ვხდით მას სისასტიკის საბაბად და ვსპობთ იმას, რაც საუკეთესოა ჩვენს არსებაში; ჩვენ შერცხვენილნი, ან შერყვნილნი ვრჩებით ამ სამწუხარო წარმატებით, სამაგიეროდ გულგრილი ადამიანები და მეგობრები ტაშით გვხვდებიან.

ასეთი სურათი მინდოდა დამეხატა „ადოლფში". არ ვიცი, შევძელი თუ არა. მაგრამ ვფიქრობ, სიმართლე მაინც უნდა იყოს შიგ, რადგან თითქმის ყველა ჩემი მკითხველი, რომელსაც მე შეეხვედრივარ, აღიარებდა, რომ მასაც განუცდია ჩემი გმირის მდგომარეობა; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იმ სინანულში, რომელსაც ისინი სხვებისათვის მიყენებული ტანჯვის გამო გამოხატავდნენ, ერთგვარი დაკმაყოფილებული თავმომწონეობა გამოკრთოდა. მათ მოსწონდათ თავის თავის, დახატვა ადოლფის მსგავსად, რომ თითქოს ისინიც უძლეველ გრძნობებს იწვევდნენ, თითქო ისინი მათ მიერ შთაგონებული უდიდესი სიყვარულის მსხვერპლნი იყვნენ ვფიქრობ, მეტ წილად ისინი თავიანთ თავს ცილს სწამებდნენ, და თუ ამაო პატივმოყვარეობის გრძნობას მათთვის სიმშვიდე მიეცა, მათი სინიდისიც დამშვიდებული იქნებოდა.

რაც უნდა იყოს, ყოველივე იმას რაც ადოლფს შეეხება, მე სრულიად გულგრილად ვუყურებ, მე არაფრად არ ვაფასებ ამ რომანს. ვიმეორებ რომ როდესაც მას ხელმეორედ ვაქვეყნებდი საზოგადოებისთვის, რომელსაც ის, უთუოდ დაავიწყდა კიდეც, თუ კი ოდესმე იცოდა მის შესახებ რაიმე, ჩემი ერთად ერთი განზრახვა იყო გამეცხადებია, რომ ყოველივე სხვა გამოცემა, რომელშიაც მოთავსებული იქნება სხვა რაიმე, რასაც წინამდებარე გამოცემა არ შეიცავს, ჩემგან არ მომდინარეობს და მაზე პასუხს არ ვაგებ.

გამომცემლის შენიშვნები

მრავალი წლის წინად იტალია მოვიარე. მდინარე ნეტოს ადიდებამ შემაჩერა კალაბრიის პატარა სოფელ სერენზას სასტუმროში. ამ სასტუმროშივე იმყოფებოდა უცხოელი, რომლის იქ ყოფნაც იმავე მიზეზით იყო გამოწვეული, რითაც ჩემი. იგი სდუმდა, სჩანდა მოწყენილი იყო. არავითარ მოუთმენლობას არ გამოხატავდა. ხანდისხან მას შევჩივლებდი როგორც ერთად-ერთ ადამიანს, რომელთანაც შემეძლო საუბარი, იმ შეგვიანების გამო, რომელსაც ამ მგზავრობის დროს განვიცდიდით. „ჩემთვის სულ ერთია,—მიპასუხა მან,— აქ ვიქნები თუ სხვაგან". ჩვენი სასტუმროს პატრონი გამოესაუბრა უცხოელის მსახურს, ნეაპოლიტანელს, რომელიც მას ისე ემსახურებოდა, რომ არც კი იცოდა მისი ვინაობა. მან გადმომცა, რომ იგი ცნობისმოყვარეობის კარნახით არ მოგზაურობს, არასოდეს არ ათვალიერებს არც ნანგრევებს, არც ბუნების სურათებს, არც ძეგლებს, არც ადამიანებს; კითხულობს ბევრს, მაგრამ არ იცავს თანმიმდევრობას; საღამოობით დასეირნობს მუდამ მარტო; ხშირად დღეებს ატარებს მჯდომარე, უმოძრაოდ, ხელებზე თავდაყრდნობილი.

იმ დღეს, როდესაც მიმოსვლა აღდგენილ იქნა და ჩვენც მოგვეცა გამგზავრების საშუალება, უცხოელი ძალიან ავად გახდა. კაცთმოყვარეობის გრძნობამ მაიძულა გამეხანგრძლივებინა იქ დარჩენა, რათა მომეევლო მისთვის. სერენზაში მხოლოდ სოფლის დოსტაქარი იყო. მინდოდა კოზენზში გამეგზავნა ვინმე, რომ უფრო რეალური დახმარება აღმოგვეჩინა. „არა ღირს შრომად, — მიპასუხა უცხოელმა, — ეს კაცი სწორედ ის არის, ვინც მე მჭირდე-

ბა". იგი მართალი იყო, შეიძლება უფრო მეტადაც, ვიდრე თითონ ფიქრობდა, რადგან ამ დოსტაქრის დახმარებით განიკურნა. „არ მეგონა, თუ ასეთი მარჯვე იქნებოდით", — უკმაყოფილოდ მიმართა უცხოელმა განშორებისას. შემდეგ მეც მადლობა გადამიხადა მზრუნველობისათვის და გაემგზავრა.

რამდენიმე თვის შემდეგ ნეაპოლში სერენზას სასტუმროს პატრონისაგან მივიღე წერილი და კოლოფი, რომელიც სტრონგოლის გზაზე ეპოვნათ, ეს ის გზა იყო, რომლითაც მე და უცხოელი გავემგზავრეთ, მაგრამ ცალ-ცალკე. სასტუმროს პატრონი გზავნიდა რა კოლოფს დარწმუნებული იყო, რომ იგი რომელიმე ჩვენგანს ეკუთვნოდა. კოლოფში აღმოჩნდა ბევრი ძველი წერილი, უმისამართო, ან წაშლილი მისამართით და ხელმოწერით, ქალის სურათი და რვეული მოთხრობით თუ ისტორიით, რომელსაც ეხლა წაიკითხავთ. უცხოელმა, ამ ნივთების პატრონმა, განშორებისას არ მომცა არავითარი საშუალება მიმეწერა მისთვის. ყველაფერი ეს დავიცავი ათი წლის განმავლობაში. არ ვიცოდი, როგორ ეომეხმარა, როგორ მოვქცეოდი ამ ნივთებს. და აი, ერთხელ, როცა შემთხვევით გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში რამდენიმე პირთან ვსაუბრობდი, ერთმა მათგანმა დაჟინებით მთხოვა, გადამეცა მისთვის ჩემ მიერ დაცული ხელნაწერი. რვა დღის შემდეგ ეს ხელთნაწერი დამიბრუნეს წერილთან ერთად, რომელსაც ამ ისტორიის ბოლოს ვათავსებ, ვინაიდან ის გაუგებარი იქნება იმ დრომდე, სანამ თვით ისტორიას არ გაეცნობიან.

ამ წერილმა გადამაწყვეტინა ამ წიგნაკის გამოქვეყნებაც. დარწმუნებული ვარ, რომ მას არ შეუძლია ვისიმე შეურაცხყოფა, ან შერცხვენა. მე არ შემიცვლია დედანში არც ერთი სიტყვა, თვით საკუთარი სახელების ამოღებაც ჩემგან არ მომდინარეობს, ისინი იქაც ინიციალებით იყვნენ აღნიშნული.

ადოლფი

თავი I

ოცდაორი წლისამ სწავლა დავასრულე გოეტინგენის უნივერსიტეტში. მამაჩემის D***-ს მთავრის მინისტრის განზრახვა იყო ევროპის ყველა საყურადღებო ქვეყანა მომეივლო, შემდეგ მას უნდოდა დავებარებინე თავისთან, შევეყვანე დეპარტამენტში, რომლის მართველობაც მას ჰქონდა მინდობილი და მოვემზადებინე იმისათვის რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ადგილი დამეჭირა. ფუქსავატი ცხოვრების გარემოცვაში, ჩემი გულმოდგინე შრომით მივაღწიე წარმატებას, რითაც გამოვირჩეოდი მოსწავლე ამხანაგებში. ამ გარემოებამ, როგორც სჩანს, მამაჩემში გადაჭარბებული იმედები გააღვიძა.

ამ იმედებმა იგი დიდად შემწუხარებელი გახადა ჩემს მიერ ჩადენილი შეცდომების მიმართ. იგი არასოდეს არ მაძლევდა საშუალებას განმეცადა ამ შეცდომების შედეგებით გამოწვეული ტანჯვა. ყოველთვის მისრულებდა თხოვნას და ხშირად თითონ დაასწრებდა ხოლმე ჩემს მიმართვას.

საუბედუროდ, მისი დამოკიდებულება ჩემდამი უფრო კეთილშობილი და სულგრძელი, იყო, ვიდრე ნაზი. მე გამსჭვალული ვიყავი მადლიერების და პატივისცემის გრძნობით მისდამი. მას ამის უფლება ჰქონდა, თუმცა ჩვენს შორის არასოდეს არ არსებობდა ნდობა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მის განწყობილებაში იყო რაღაც ირონიული, რომელიც არ ეგუებოდა ჩემს ხასიათს. მაშინ არაფერი არ მინდოდა, გარდა იმისა, რომ დავმორჩილებოდი მარტივ და მძაფრ ვნებას, რომელიც ადამიანს ყოველდღიურობას აშორებს და მასში

ზიზღს იწვევს ყველა გარემომცველ საგნისადმი. მამაჩემში მე ვპოულობდი არა ცენზორს, არამედ ცივ და გესლიან დამკვირვებელს, რომელიც ჯერ გულმტკივნეულად იღიმებოდა, ხოლო სულ მალე მოუთმენლად ასრულებდა საუბარს. არ მახსოვს რომ თვრამეტი წლის განმავლობაში მასთან ერთ-საათიანი საუბარი მაინც მქონოდეს. მისი მოსიყვარულე წერილები სავსე იყო გონიერი რჩევით და გრძნობით. მაგრამ როგორც კი პირისპირ დავრჩებოდით, მასში იბადებოდა რაღაც იძულება, რომლის ახსნაც მე არ შემეძლო; იგი მძიმე გავლენას ახდენდა ჩემზე. მე ჯერ არ ვიცოდი, თუ რა იყო გაუბედაობა. ეს შინაგანი ტანჯვა მომწიფების ხანაშიც თან გვდევს და გვაიძულებს გულში ჩავიმარხოთ ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებები, ჰყინავს ჩვენს სიტყვებს, ამახინჯებს ბაგეზე მომდგარ გამოთქმებს.

არ ვიცოდი, თუ მამაჩემი თავის შვილთანაც გაუბედავი იქნებოდა. ხშირად, იგი ხანგრძლივად ელოდებოდა ჩემგან სიყვარულის რაიმე ნიშანს, რასაც წინ მისი გარეგნული გულგრილობა ეღობებოდა, შემდეგ მტოვებდა ცრემლმორეული თვალებით და სხვებს შესჩიოდა, რომ თითქო მე ის არ მიყვარდა.

ჩემი თავდაჭერილობა მის მიმართ დიდ გავლენას ახდენდა ჩემს ხასიათზე. მე ისეთივე გაუბედავი ვიყავი, როგორც ის, თუმცა ამასთანავე უფრო მოუსვენარი, როგორც ახალგაზრდა. დავეჩვიე დამემალა ყოველივე ის, რასაც განვიცდიდი, და ხელმარტოს შემექმნა გეგმები, რომელთა განხორციელებაში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მქონდა. დარიგებას, ყურადღებას, დახმარებას და სხვათა დასწრებას ვუყურებდი, როგორც შევიწროვებას და დაბრკოლებას. შევეჩვიე არასოდეს ამ მესაუბრა იმ საქმეზე, რითაც შეპყრობილი ვიყავ. საუბარს ვუყურებდი, როგორც მომაბეზრებელ აუცილებლობას: მას ვაცხოველებდი გამუდმებული ოხუნჯობით, რომელიც ნაკლებად მღლიდა და მეხმარებოდა ჭეშმარიტი აზრები დამემალა. აქედან წარმოსდგებოდა თავდაუჭერლობა, რასაც დღესაც მისაყვედურებენ ჩემი მეგობრები და შეუძლებლობა სერიოზულად საუბრისა. ამის შედეგი იყო აღგზნებული სურვილი დამოუკიდებლობისა, დიდი მოუთმენლობის გრძნობა, რათა განვთავისუფლებულიყავ იმ კავშირისაგან, რომელიც ხელფეხს მიკრავდნენ და გადაულახავი შიში ახალი კავშირის შესაძლებლობის წინაშე. კარგად ვგრძნობდი თავს მხოლოდ მაშინ, როცა მარტო ვიყავ და ეხლაც ისეთია ჩემი სულიერი განწყობილება, რომ თვით უმნიშვნელო შემთხვევების დროს, როცა რაიმე გადაწყვეტილების მიღება მიხდება, ადამიანის სახე მაშფოთებს და ჩემი ბუნებრივი მოძრაობაა— გავექცე მას, რათა მარტოდ-მარტო ვიფიქრო. მიუხედავად ამისა, მე არ მქონდა ის ღრმა ეგოიზმი, რომელსაც ასეთი ხასიათი მოწმობს: თუმცა დაინტერესებული ვიყავ მხოლოდ საკუთარი თავით, საკუთარი თავიც ნაკლებად მაინტერესებდა. გულის სიღრმეში ვატარებდი მოთხოვნილებას მგრძნობელობისადმი, რომელსაც ვერ ვამჩნევდი, რადგან ეს მოთხოვნილება ვერ პოულობდა დაკმაყოფილებას, ის თანდათან მაშორებდა ყველა იმ საგანს, რომელიც რიგრიგობით იზიდავდა ჩემს ცნობისმოყვარეობას. გულგრილობა ყველაფრის მიმართ კიდევ უფრო გააძლიერა სიკვდილის იდეამ, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდას მაოცებდა. ვერაფრით ვერ გამეგო, როგორ შეეძლოთ ადამიანებს მისი ასე ადვილად დავიწყება. ჩვიდმეტი წლისა ვიყავ, როცა დავესწარი ერთი ხნიერი ქალის სიკვდილს, ამ ქალის შესამჩნევი და ახირებული ჭკუა ხელს უწყობდა ჩემს განვითარებას, ეს ქალი როგორც ბევრი სხვა, ცხოვრების სარბიელზე გამოსვლისას, შევიდა მაღალ საზოგადოებაში ისე, რომ

არ იცნობდა მას, შეიჭრა შიგ, დიადი სულიერი ძალით და ჭეშმარიტად დიდი ნიჭით. მან ზოგიერთების მსგავსად ქედი არ მოიხარა წუთისოფლის ცრუ, მაგრამ აუცილებელი პირობითობის წინაშე და დაინახა, თუ როგორ ეცინოვდა მისი იმედები და როგორც უხალისოდ ჩაუარა ახალგაზდობამ. ბოლოს მოხუცებულობაც ეწვია, თუმცა ვერ დაიმორჩილა ის. იგი ჩვენი მამულის ახლო მდებარე კოშკში ცხოვრობდა უკმაყოფილოდ და ყველასაგან დაშორებული. ერთად-ერთი წყარო სიმშვიდისა მისი გონება იყო, რომლითაც მან ყველაფერს ანალიზი გაუკეთა. თითქმის მთელი ერთი წლის განმავლობაში, ჩვენი დაუსრულებელი საუბრის დროს, ყოველ მხრიდან სახეში ჩავხედეთ ცხოვრებას და დავინახეთ, რომ ყველაფრის დასასრული სიკვდილია. და მას შემდეგ, რაც მე მას რამდენჯერმე ვესაუბრე სიკვდილზე, დავინახე, თუ როგორ განგმირა იგი ჩემს თვალწინ სიკვდილმა.

ამ შემთხვევამ აღმავსო ურწმუნოების გრძნობით ბედის მიმართ, და ბუნდოვანი ოცნებით რომელიც არ მტოვებდა. პოეზიაში ვკითხულობდი უმთავრესად იმას, რაც ადამიანის ცხოვრების ხანმოკლეობას მაგონებდა. დავრწმუნდი, რომ არ არსებობს ისეთი მიზანი, რომელზედაც ღირდეს ძალის დაკარგვა. საკმაოდ უცნაურია, რომ ეს შთაბეჭდილება ჩემში სუსტდებოდა იმდენად რამდენადაც ხანში შევდიოდი. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ იმედში რაღაც ეჭვის ნასახია, და როდესაც იმედი ადამიანს მისი ცხოვრების სარბიელზე სტოვებს, მაშინ ეს სარბიელი უფრო მკაცრ, მაგრამ უფრო პოზიტიურ ხასიათს ღებულობს. შეიძლება ცხოვრება უფრო რეალური გვეჩვენება იმიტომ, რომ ყოველგვარი ილუზია ქრება, იმ მთის მწვერვალების მსგავსად, რომლებიც ნათლად იხატებიან ჰორიზონტზე, როცა ღრუბლები იფანტება.

დავტოვე გოეტინგენი და გავემართე პატარა ქალაქ დ-ში. ეს ქალაქი მთავრის რეზიდენცია იყო. როგორც გერმანელი მთავრების უმრავლესობა, ეს პრინციც მშვიდათ მართავდა თავის პატარა მხარეს, მფარველობდა განათლებულ ადამიანებს, სრულ თავისუფლებას აძლევდა ყოველგვარ აზრს. ტრადიციის მიხედვით, იგი გარს შემორტყმული იყო მხოლოდ თავისი კარის კაცებით, რომელნიც უმეტეს ნაწილად, უმნიშვნელო ან საშუალო ზომის ადამიანებს წარმოადგენდნენ.

მთავრის კარზე ცნობისმოყვარეობა გამოვიწვიე, რასაც ბუნებრივად შთაგონებს ყოველი უცხოელი, რომელიც არღვევს წრის ერთფეროვნებას და ეთიკეტს. რამდენიმე თვის განმავლობაში არაფერი ისეთი არ შემიმჩნევია, რასაც შესძლებოდა ჩემი ყურადღების მიპყრობა. მადლიერი ვიყავი ჩემდამი თავაზიანი დამოკიდებულებით, თუმცა ჩემმა გაუბედაობამ ხელი შემიშალა მესარგებლა ამ თავაზიანობით. სულ მალე უმიზნო აღელვებისაგან გამოწვეულმა დაღლილობამ მაიძულა უპირატესობა მიმეცა მარტოობისათვის, ვიდრე უგემურ მხიარულებისათვის, რომელშიაც მონაწილეობის მისაღებად მეპატიჟებოდნენ. არავის მიმართ არ მქონდა სიძულვილი, ცოტანი იწვევდნენ ჩემში რაიმე ინტერესს; ჩვენი გულგრილობა შეურაცხყოფს ადამიანებს, ამას ისინი გაბოროტებას ან თვალთმაქცობას მიაწერენ და არ უნდათ დაიჯერონ, რომ ბუნებრივად მოწყენის გრძნობას იწვევენ. ხანდისხან მინდოდა ჩემი მოწყენა დამეძლია. თავშესაფარს ღრმა მდუმარებაში ვპოულობდი. ეს მდუმარება კი ზიზღის გრძნობად მიაჩნდათ. ზოგჯერ მე თითონ მღლიდა ჩემი საკუთარი მდუმარება. მაშინ გადავდიოდი ოხუნჯობაზე და ჩემი ამოძრავებული გონება მაიძულებდა დამეკარგა ყოველგვარი საზღვარი. ერთ დღეში აღმოვაჩენდი

ადამიანებში ყველა იმ სასაცილო მხარეს, რომელსაც მთელი თვის განმავლობაში თვალყურს ვადევნებდი. იმათ, ვისაც მოულოდნელად და უნებურად ჩემს გრძნობებს გადმოვუნთხევდი, არ იყვნენ ჩემი მადლიერნი, და მართალნიც იყვნენ, რადგან მე მიტაცებდა მოთხოვნილება ლაპარაკისა და არა ნდობა მათდამი. იმ ქალთან საუბრის დროს, რომელმაც პირველმა განავითარა ჩემი აზრები, მე შევითვისე დაუძლეველი სიძულვილი ყველა საერთო წესისა და ყველა დოგმატური ფორმულის მიმართ. მაშინ, როდესაც მე მესმოდა უმნიშვნელო ადამიანების მსჯელობა ურყევ პრინციპებისა, მტკიცე მორალისა და ზრდილობის, ან რელიგიის შესახებ, იმ საგნების შესახებ, რომლებსაც ხალისით ათავსებდნენ ერთ ხაზზე, ვგრძნობდი, რომ წინააღმდეგობა უნდა გამეწია არა იმიტომ, რომ თვითონ გამაჩნდა საწინააღმდეგო აზრი, არამედ იმიტომ, რომ მოთმინებიდან გამოვყავდი ამ მტკიცე და უაზრო რწმენას. არ ვიცი და რომელიღაც ინსტიქტის მიხედვით არ ვენდობოდი იმ საზოგადო აქსიომებს, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ განსზაღვრულობას და განწმენდილნი იყვნენ ყოველგვარ ნიუანსისაგან. უგუნურები თავიანთი მორალისაგან ჰქმნიან რაღაც მთლიანს და ურყეველს, იმისათვის, რომ ის რაც შეიძლება ნაკლებად შეეხოს მათ მოქმედებას და თავისუფლება მისცეს ცხოვრების ყოველ წვრილმანში.

სულ მალე, ჩემი ასეთი საქციელის გამო, მე მოვიპოვე თავქარიანი, დამცინავი, გულღვარძლიანი ადამიანის რეპუტაცია. ჩემს გესლიან სიტყვებს ხსნიდნენ ჩემი სულიერი ბოროტებით. ჩემი ოხუნჯობანი მიაჩნდათ თავდასხმათ იმაზე, რაც ღირსია ყველაზე მეტი პატივისცემისა, ისინი ვინც ჩემი გაუფრთხილებლობით მასხარად ავიგდე, სავსებით მოსახერხებლად სთვლიდნენ დაეცვათ ის პრინციპები, რომელთა შებღალვასაც მაბრალებდნენ, და რადგან მე უნებურად ვაიძულებდი დაეცინათ ერთმანეთისათვის, ყველა გაერთიანდა ჩემს წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ მე მათ ვაიძულებდი შეემჩნიათ თავიანთი სასაცილო მხარეები და ამით ვღალატობდი იმ ნდობას, რომელსაც ისინი ჩემს მიმართ იჩენდნენ. დამანახვეს რა თავი ისეთად, როგორიც ისინი სინამდვილეში იყვნენ, თითქოს ჩემგანაც მიიღეს დუმილის აღთქმა. მაგრამ მე არ მქონდა იმის შეგნება, რომ ვიკისრე ესოდენ მძიმე შეთანხმება. ისინი კმაყოფილებას გრძნობდნენ, როდესაც გულახდილად მელაპარაკებოდნენ, მე კი სიამოვნებას ვპოულობდი დაკვირვებასა და აღწერაში, და რასაც ისინი ვერაგობას უწოდებდნენ, მე უბრალო და სავსებით კანონიერ სამაგიეროს გადახდად მეჩვენებოდა.

არა მსურს თავი გავიმართლო აქ: მე უკვე კარგა ხანია უარი განვაცხადე ამ ფრივოლურ და ადვილ საშუალებაზე, რომელსაც გამოუცდელი გონებანი მიმართავენ. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო და ისიც უფრო სხვათათვის, ვიდრე ჩემთვის, რომელიც ეხლა დაფარულია ქვეყნიერებისაგან, რომ საჭიროა დრო, რათა შეეჩვიო ადამიანთა მოდგმას, შექმნილს ანგარიშიანობის, თვალთმაქცობის, პატივმოყვარეობისა და შიშის გავლენით. გაკვირვება, რომელსაც ადამიანი განიცდის პირველი ახალგაზრდობისას როცა ხედავს ცბიერ, ხელოვნურ ზაზოგადოებას, ცხადჰყოფს უფრო გულის ბუნებრივობას, ვიდრე გონების სიბოროტეს. ამასთანავე საზოგადოებას არაფრისა არ უნდა ეშინოდეს: იგი ისეთნაირად გვაწვება, მისი ყრუ ზეგავლენა იმდენად ძლიერია, რომ იგი არ აყოვნებს დაგვადოს თავისი უნივერსალური დაღი. მაშინ გვაკვირვებს ჩვენი წარსული განცვიფრება, და კარგად ვგრძნობთ თავს ახალ ფორმაში, სწორედ

ისევე, როგორც სავსე დარბაზში უფრო და უფრო თავისუფლად ვიწყებთ სუნთქვას იმ ჰაერით, რომელმაც პირველად, შესვლის დროს, სული შეგვიხუთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვინმემ თავი დააღწია ამ საზოგადო ხვედრს, ის თავის თავში იმარხავს ფარულ უთანხმოებას. სასაცილოში უმთავრესად ამჩნევენ ბიწიერების ნასახს და აღარ დასცინიან მას, რადგან სიძულვილმა შესცვალა დაცინვა, სიძულვილი კი ყოველთვის მდუმარეა.

ამნაირად, პატარა საზოგადოებაში, რომლითაც მე გარემოცული ვიყავი, დამყარდა რაღაც გაურკვეველი მღელვარება ჩემი ხასიათის გამო. არავის არ შეეძლო მოეწერა ჩემთვის რაიმე საძრახი საქციელი, პირიქით, ვერ უარყოფდნენ რომ სულგრძელობისა და თავგანწირულების გამოჩენა შემეძლო. თუმცა ჩემზე ამბობდნენ, უზნეო და ნაკლებ საიმედო არისო: ეს ორი ეპიტეტი მარჯვედ იყო მოგონილი იმისათვის, რათა ნართაულად ილაპარაკო უცნობ ფაქტებზე და ადამიანს აგრძნობინო ის, რაც არ იცი.

თავი II

დაბნეული, უყურადღებო, მოწყენილი, უკვე ველარ ვამჩნევდი იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ვახდენდი, ვანაწილებდი დროს მეცადინეობებს შორის, რასაც ხშირად ვწყვეტდი განუხორციელებელი გეგმებით და იმ სიამოვნებით, რომელიც არავითარ ინტერესს არ იწვევდა ჩემში, სანამ ერთმა გარემოებამ, გარეგნობით ძალზე ფრივორულმა, მნიშვნელოვანი გადატრიალება არ მოახდინა ჩემს განწყობილებაში.

ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მე ვმეგობრობდი, რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა თავი მოეწონებინა ქალისათვის, რომელიც ნაკლებ უგვანო იყო იმ საზოგადოებაში, საცა ვცხოვრობდით. მე სავსებით დაუინტერესებელი მესაიდუმლე ვიყავი მისი წამოწყებისა. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ მან საწადელს მიაღწია: იგი შეიყვარეს და რადგან ის არასოდეს არ მიმალავდა თავის მარცხსა და მწუხარებას, საჭიროდ სცნო ეცნობებია ჩემთვის თავისი წარმატებაც. ვერაფერი ვერ შეედრებოდა მის აღფრთოვანებას და განუსაზღვრელ სიხარულს. ამ ბედნიერმა სანახაობამ ჩემში სინანული გამოიწვია, რადგან მე ჯერ არგანმეცადა ის. ამ დრომდე მე არ მქონია ქალთან კავშირი, რომელსაც შეეძლო ჩემი თავმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. თითქოს ახალი მომავალი გადაიშალა ჩემს თვალწინ, ახალი მოთხოვნილებანი წარმოიშვა ჩემი გულის სიღრმეში. რასაკვირველია, მასში მარტო ამაო თავმოყვარეობა როდი იყო, შეიძლება ეს გრძნობა უფრო ნაკლებიც მქონდა ვიდრე თითონ ვგულისხმობდი: ადამიანის გრძნობები ბუნდოვანი და დახლართულია, ისინი ბევრი სხვადასხვა გვარი შთაბეჭდილებებისაგან შესდგებიან, რაც დაკვირნებას გამოეპარება ხოლმე; სიტყვები მუდამ ძალზე ტლანქი და ზოგადია, მას შეუძლია გრძნობის კარგად აღნიშვნა, მაგრამ განსაზღვრა კი — არაოდეს.

მამიჩემის ოჯახში მე შევიძინე უზნეო შეხედულება ქალებზე. იგი მკაცრად იცავდა გარეგნული ზრდილობის წესებს, მაგრამ თავის თავს ხშირად ნებას აძლევდა აგდებულად ესაუბრა სამიჯნურო კავშირებზე. ასეთი კავშირი შამაჩემს მიაჩნდა თავის შექცევად. თუ ნებადრთულ თავის შექცევად არა, მისატევებლად მაინც. იგი მხოლოდ ქორწინებას უყურებდა სერიოზულად. ის იმ პრინციპისა იყო, რომ ახალგაზრდა კაცმა გულმოდგინეთ თავი უნდა მოარიდოს იმას, რასაც უგუნურებას უწოდებენ, ე. ი. მან არ უნდა იკისროს ხან-

გრძლივი ვალდებულება იმ ქალის მიმართ, რომელიც მისი თანასწორი არ არის მდგომარეობით, წარმოშობით და გარეგნული უპირატესობით; თუმცა-ღა, მისი აზრით, ყველა ქალს, სანამ ქორწინებამდე არ არეს მისული, საქმე, შეიძლება მამაკაცი ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, [illegible] და შემდეგ მიატოვოს. ვხედავდი როგორი მოწონებით გაიღიმა ერთხელ, როცა გაიგონა პაროდია ცნობილ თქმაზე: „მათთვის ამას ასე ცოტა ზიანი მოაქვს, ჩვენ კი ამდენ სიამოვნებას განვიცდით ხოლმე“.

ადამიანებმა არ იციან, თუ ამგვარი სიტყვები რა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ იმ ასაკში, როცა შეხედულებები ჯერ კიდევ გამოურკვეველი და მერყევია. ბავშვებს უკვირთ, როცა ტაშის კვრით ხვდებიან უხონჯობას, რომელიც ეწინააღმდეგება იმ წესებს, რომელთაც მათ ასწავლიან. ეს წესები მათთვალში მხოლოდ ბანალურ ფორმულებს წარმოადგენენ. მშობლები იძულებულნი არიან გაიმეორონ ის, თავიანთი სინდისის გასაწმენდად, მათ ჰგონიათ, რომ ეს ოხუნჯობანი მალავენ ცხოვრების ჭეშმარიტ საიდუმლოებას.

„მინდა უყვარდე ვისმე“, — ვეუბნებოდი მშფოთავი განცდებით გატანჯული ჩემს თავს და ვიყურებოდი ირგვლივ. ვერავის ვხედავდი, ვისაც შეეძლო ჩემთვის შთაეგონებინა სიყვარული, არავინ იყო ისეთი, ვისაც შეეძლო მისი მიღება. ვეკითხებოდი ჩემს გულს, ჩემს გემოვნებას და არავის მიმართ არ ვგრძნობდი უპირატესობას. ასე ვიყავ შინაგანად აღელვებული, როცა გავიცანი გრაფი დე პ-ი, ორმოცი წლის კაცი, რომლის ოჯახიც ენათესავებოდა ჩვენს ოჯახს. მან წინადადება მომცა, მივსულიყავ მასთან. ეს იყო საბედისწერო მისვლა! მასთან ცხოვრობდა მისი სატრფო, პოლონელი ქალი, სილამაზით ცნობილი, თუმცა არც სრულიად ახალგაზრდა. ამ ქალმა მიუხედავად თავისი არა ხელსაყრელი მდგომარეობისა, ზოგ შემთხვევაში კეთილშობილება გამოიჩინა. მისი ოჯახი, საკმაოდ ცნობილი პოლონეთში, აიკლეს ამ მხარეში არეულობის დროს. მამა მისი გადასახლებულ იქნა. დედა საფრანგეთს წამოვიდა თავშესაფარის საძებნად, თან ჩამოიყვანა ქალიშვილი, რომელიც სიკვდილის შემდეგ ბედის ანაბარად დასტოვა. გრაფ დე პ-ს შეუყვარდა იგი. მე ვერასოდეს ვერ გავიგე, როგორ წარმოიშვა ეს კავშირი, რადგან როცა პირველად შევხვდი ელენორას, ის უკვე დიდი ხნის განმტკიცებული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საყოველთაოდ აღიარებული იყო. მისმა საბედისწერო მდგომარეობამ თუ ახალგაზრდობით გამოწვეულმა გამოუცდელობამ გადაისროლა იგი ცხოვრებაში, რომელიც ერთნაირად ეწინააღმდეგებოდა როგორც მისი აღზრდის ჩვეულებებს, ისე მის ქედმაღლობას, რაც მისი ხასიათის ძალზე შესამჩნევ თვისებას წარმოადგენდა. მეც ვიცოდი და ყველამ იცოდა, რომ გრაფმა დე პ***-მ თითქმის მთელი თავისი ქონება დაჰკარგა და თავისუფლების დაკარგვაც მოელოდა. ელენორამ მისცა მას იმდენი დამამტკიცებელი საბუთი ერთგულებისა, ისეთი ზიზღით უკუაგდო ბრწყინვალე წინადადებები და მასთან ერთად თავგამოდებით და მხიარულადაც კი გაინაწილა ხიფათი და სიღარიბე, რომ თვით უმკაცრეს ადამიანებს არ შეეძლოთ არ ეღიარებინათ მისი მისწრაფების სიწმინდე და მისი უანგარობა. გრაფმა დე პ-***-მ მხოლოდ მისი ენერგიის, სიმამაცის, გონიერების და ყველა იმ მსხვერპლის წყალობით, რომელიც მან ყოველგვარი სინანულის გარეშე გაიღო, აღადგინა თავისი ქონების ნაწილი. ისინი დასახლდნენ დ-ში, სადაც მიმდინარეობდა პროცესი, რომელსაც შეეძლო დაებრუნებინა გრაფ დე პ-***-სთვის მთელი მისი ძველი სიმდიდრე. ვარაუდობდნენ რომ იქ ორ წელს დაჰყოფდნენ.

ელენორას ჩვეულებრივი ჭკუა ჰქონდა, მაგრამ მისი მუდამ სწორი აზრები, მუდამ უბრალო გამოთქმები, ზოგჯერ აოცებდნენ კაცს კეთილშობილებით და ამაღლებული გრძნობით. მას ბევრი ცრუ-რწმენა გააჩნდა, თუმცა ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მის ინტერესებს. იგი დიდად [illegible] წესიერ ყოფაქცევას, რადგან მისი საკუთარი ყოფაქცევა, ჩვეულებრივი გაგებით წესიერი არ იყო. იგი უაღრესად მორწმუნე იყო, რადგან რელიგია სასტიკად ჰგმობდა ისეთ ცხოვრებას, როგორსაც ის ატარებდა. საუბრის დროს ელენორა სასტიკად ერიდებოდა ყოველივე იმას, რაც სხვას უწყინარ ოხუნჯობად ეჩვენებოდა, მუდამ ეშინოდა, რომ მის მდგომარეობას უფლება არ მიეცა მათთვის უადგილო ოხუნჯობისათვის. ელენორას უნდოდა შინ მიეღო მხოლოდ მაღალი წრის და უმწიკვლო ზნეობის პირები, რადგან ის ქალები, რომელთან შედარებისაც მას ეშინოდა, ჩვეულებრივ გარს იკრებდნენ შერეულ საზოგადოებას და მორჩილებით უარს აცხადებდნენ პატივისცემაზე. თავიანთ ურთიერთობაში ისინი არაფერს არ დაეძებდნენ, გარდა გართობისა. ერთი სიტყვით ელენორა მუდმივ ბრძოლაში იყო თავის ბედთან. ყველა თავისი მოქმედებით და სიტყვებით თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი პროტესტს აცხადებდა იმ წრის წინააღმდეგ, რომელშიაც მოექცა; და რადგან ის გრძნობდა, რომ სინამდვილე მაზე უფრო ძლიერი იყო, რადგან მის მეცადინეობას არავითარი ცვლილება არ შეჰქონდა მის მდგომარეობაში, იგი ძალიან უბედურად გრძნობდა თავს. ელენორა დიდი სიმკაცრით ზრდიდა თავის ორ შვილს, რომლებიც გრაფ დე პ-***-საგან ჰყავდა. შეიძლება ითქვას, რომ რაღაც საიდუმლო აღშფოთება ერთოდა მის სიყვარულს ბავშვებისადმი, რომელიც უფრო ვნებიანი იყო, ვიდრე ნაზი. თითქოს ისინი მას თავს აბეზრებდნენ კიდეც, როდესაც ვინმე კეთილგანწყობილი შენიშვნას აკეთებდა, მისი ბავშვების ზრდაზე ან შესაძლებელ ნიჭზე, ან იმ სარბიელზე რომელიც მათ უნდა აერჩიათ, იგი ფითრდებოდა იმ აზრის გამო, რომ ერთ დღეს მას მათთვის უნდა აღიარებინა მათი წარმოშობის ამბავი. მაგრამ საკმარისი იყო ცოტაოდენი საფრთხე, ერთი საათის მოშორებაც კი, რომ იგი, შეძრწუნებული, ბავშვებისაკენ მიისწრაფოდა. მასში შერეული იყო სინდისის ქეჯნა და სურვილი — თავისი ალერსით მიეცა ბავშვებისათვის ის ბედნიერება, რომელსაც თითონ ვერ პოულობდა მათში. ასეთმა წინააღმდეგობამ გრძნობისა და იმ ადგილს შორის, რომელიც მას საზოგადოებაში ეჭირა, მისი ხასიათი გახადა უსწორმასწორო. ხშირად იგი მეოცნებე და მდუმარე იყო, ზოგჯერ ცხარედ ლაპარაკობდა, და რადგან მას ერთი განსაკუთრებული აზრი სტანჯავდა, საერთო საუბრის დროსაც კი მთლად წყნარად არ რჩებოდა. სწორედ ამიტომ მის მოქცევაში იყო რაღაც მგზნებარე და მოულოდნელი, რამაც იგი უფრო პიკანტური გახადა ვიდრე შეიძლებოდა ბუნებრივად ყოფილიყო. მისი მდგომარეობის არაჩვეულებრივობის გამო მას იმდენად აღარ სჭირდებოდა აზრების განახლება. მას ინტერესით და ცნობის მოყვარეობით აკვირდებოდნენ, როგორც საუცხოო ელვაქუხილს.

ეს ქალი მომეწონა იმ დროს როცა ჩემს გულს სიყვარული სწყუროდა, ხოლო ჩემს ამაო თავმოყვარეობას წარმატება; ელენორა დაპყრობის ღირსად მეჩვენა. მანაც ჰპოვა სიამოვნება იმ ადამიანის საზოგადოებაში, რომელიც სხვებს არ ჰგავდა და როგორიც აქამდე არ ენახა.

ელენორას წრე შესდგებოდა მისი საყვარლის რამდენიმე მეგობრის ან ნათესავისაგან და მათი ცოლებისაგან, რომელნიც გრაფ დე პ-***-ს გავლენით

იძულებულნი იყვნენ მიეღოთ ელენორა. ქმრები მოკლებულნი იყვნენ, როგორც გრძნობებს, ისე აზრებს; ცოლები ქმრებისაგან კიდევ უფრო გონება შეზღუდული, მოუსვენარი და დაუდევარი იყვნენ, რადგან მათ არ ეაჩნდათ ის სულის სიმშვიდე, რაც შედეგია მეცადინეობისა და თანმიმდევრობისა საქმიანობისა. მსუბუქმა ოხუნჯობამ, მრავალფეროვანმა საუბარმა, მელანქოლიისა და მხიარულების, სასოწარკვეთილებისა და დაინტერესების, ენტუზიაზმისა და ირონიის რაღაც განსაკუთრებულმა ნარევმა გაარკვია და მიიზიდა ელენორა. იგი რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა, მართალია, სრულყოფილად კი არა, მაგრამ მუდამ ცოცხლად და ზოგჯერ მოხდენილადაც. გეჩვენებოდათ, თითქოს მისი აზრები სძლევდნენ დაბრკოლებებს და ამ ბრძოლიდან გამოდიოდნენ უფრო სასიამოვნონი, უფრო გულუბრყვილონი და ახალნი, ეს იმიტომ, რომ უცხო იდიომები აახლებენ აზრებს, ანთავისუფლებენ იმ საქცევრებისაგან, რომლებიც მათ ხან ულაზათოდ ხდიან ხან კი მაღალფარდოვნად. ჩვენ ერთად ვკითხულობდით ინგლისელ პოეტებს, ერთად დავსეირნობდით. ხშირად დილით მივდიოდი მასთან და საღამოთი ვბრუნდებოდი. ვესაუბრებოდი ათას საგანზე. ვფიქრობდი, როგორც ცივ და მიუდგომელ დამკვირვებელს, შემესწავლა მისი ხასიათი და გონება. მაგრამ ყოველი მისი სიტყვა, რომელსაც იგი წარმოსთქვამდა, აუხსნელი გრაციით შემოსილი მეჩვენებოდა. მისწრაფებას,რომ მას მოვწონებოდი, ჩემს ცხოვრებაში ახალი ინტერესი, შეჰქონდა, უჩვეულოდ აცხოველებდა ჩემს არსებობას. მის მომხიბლაობას ვაწერდი ამ თითქმის მაგიურ ზემოქმედებას. უფრო მეტად ვისიამოვნებდი, რომ არ ამეღო მოვალეობა ჩემი საკუთარი თავმოყვარეობის მიმართ. ეს თავმოყვარეობა აღიმართა ჩემსა და ელენორას შორის. ვგრძნობდი, რომ იძულებულ ვიყავ, რაც შეიძლება სწრაფად წავსულიყავ მიზნისაკენ, რომელიც ჩემს თავს დაუსახე. მაშასადამე არ შემეძლო თავისუფლად მივცემოდი განცდებს, მინდოდა, რაც შეიძლება ყოველივე მალე გამემხილა მისთვის, რადგან მეგონა, გავუმხელდი თუ არა, მაშინვე მივაღწევდი მიზანს. არ მეგონა თუ მიყვარდა ელენორა, მაგრამ უარს ველარ ვიტყოდი, იმაზე, რომ მოვწონებოდი. შეპყრობილი ვიყავ მის მიერ. ვადგენდი ათასნაირ გეგმებს, ვიგონებდი დაპყრობის ათას საშუალებას იმ თვითკმაყოფილებით გამსჭვალული, რომელიც დარწმუნებულია გამარჯვებაში, რადგან არასოდეს არაფერი არ უცდია. მიუხედავად ამისა, დაუძლეველი გაუბედაობა მაჩერებდა: ტუჩებზე მომდგარი სიტყვები მიჩერდებოდა და თუ დავასრულებდი სულ სხვას ვამბობდი და არა იმას, რაც განზრახული მქონდა. შინაგანად ვებრძოდი ჩემს თავს, აღშფოთებული ვიყავ ჩემივე თავის წინააღმდეგ. ბოლოს მივედი ისეთ გადაწყვეტილებამდე, რომელიც შესძლებდა ჩემს გამოყვანას ამ ბრძოლიდან და გამამართლებდა საკუთარ თვალშივე. ჩემს თავს ვუთხარი, რომ საჭირო არ არის დაჩქარება, რადგან ელენორა ძალიან ცოტათი არის მომზადებული იმ აღსარებისათვის, რომელიც მე განვიზრახე მეთქი. უმჯობესი იყო კიდევ შემეცადა, რათა მშვიდობიანად ვიცხოვროთ საკუთარ თავთან, ჩვენ თითქმის ყოველთვის რაღაც ანგარიშებით და სისტემებით ვნიღბავთ ჩვენს უძლურებას და სისუსტეს. ეს აკმაყოფილებს ჩვენი თავის იმ ნაწილს, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორის მაყურებელია. ასეთი მდგომარეობა გაჭიანურდა. ცისმარე დღე ვნიშნავდი მეორე დღეს, როგორც შეუცვლელ ვადას გრძნობის გამოცხადებისათვის, და ყოველი ხვალინდელი დღე მიმდინარეობდა როგორც წინა დღე. ჩემი გაუბედაობა მტოვებდა მაშინვე, როგორც კი ელენორას ვშორდებოდი; კვლავ ვუბრუნდებოდი ჩემს მარ-

ჯვე გეგმებს და ღრმა კომბინაციებს. მაგრამ გავჩნდებოდი თუ არა მის გვერდით, ისევ შიში და მღელვარება მეუფლებოდა. ვინც მასთან არ ყოფნის დროს ჩემს გულში ჩაიხედავდა, ცივ შემცდუნებლად და ნაკლებ მეოცნებეობიარედ ჩამთვლიდა, ყველა ის, ვინც მის გვერით დამინახავდა ჩემი გამუცდელ, საგონებელში ჩავარდნილ და ვნებიან შეყვარებულს შეიცნობდა. ორთავე მსჯელობა ერთნაირად შემცდარი იქნებოდა. ადამიანში არ არის მთლიანობა და თითქმის არასოდეს არავინ არ არის ნამდვილად გულწრფელი და ნამდვილად არაგულწრფელი.

დარწმუნებული განმეორებული ცდებით, რომ არასოდეს სიმამაცე, არ მეყოფოდა გამოვტყდომოდი ელენორას, გადავწყვიტე წერილი მიმეწერა მისთვის. გრაფი დე პ-*** შინ არ იყო. შინაგანი ბრძოლა, რომელსაც ასე დიდხანს ვაწარმოებდი ჩემს ხასიათთან, მოუთმენლობა, რომ ვერ დავძლიე იგი, ჩემი განზრახვის წარმატების რწმენა, ყოველივე ეს აძლევდა ჩემს წერილს მღელვარებას, რომელიც ძალიან წააგავდა სიყვარულს. ამასთანავე საკუთარი სტილით აღგზნებულმა, წერილის დასასრულს ვიგრძენი იმ ვნების ნაწილი, რომლის გამოხატვასაც მთელი ძალღონით ვცდილობდი.

ელენორამ ჩემს წერილში დაინახა ის, რაც უნდა დაენახა — წუთიერი აგზნება მამაკაცისა, რომელიც მაზე ათი წლით უმცროსია, ვისი გულიც იშლება გრძნობებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ უცნობია მისთვის: იგი იმსახურებს უფრო შებრალებას, ვიდრე მრისხანებას. მან გულკეთილად მიპასუხა, მომცა კარგი რჩევა-დარიგება, შემომთავაზა გულწრფელი მეგობრობა, მაგრამ შემომითვალა, რომ გრაფის დაბრუნებამდე ჩემი მიღება არ შეუძლია.

ამ პასუხმა სრულიად ამაფორიაქა. მთელ ჩემს არსებას დაეუფლა ფანტაზია, რომელიც დაბრკოლებებით იყო გაღიზიანებული. ერთი საათის წინ მეკმაყოფილი ვიყავი მოჩვენებითი სიყვარულით, ეხლა კი მეჩვენებოდა, რომ გაშმაგებით განვიცდიდი მას. გავიქეცი ელენორასთან; მითხრეს, გარეთ გავიდაო. წერილი მივწერე, ვემუდარებოდი მოეცა უკანასკნელი შეხვედრის თანხმობა. გულშემზარავი სიტყვებით ვუხატავდი ჩემს სასოწარკვეთილებას და იმ დამღუპველ გეგმებს, რომლებიც შთამაგონა მისმა სასტიკმა გადაწყვეტილებამ. დღის უმუტესი ნაწილი პასუხის ამაო ლოდინში გავატარე. ჩემს გამოუთქმელ ტანჯვას ვამშვიდებდი იმით, რომ ვიმეორებდი: ხვალ გადავლახავ ყველა დაბრკოლებას, რათა მივაღწიო ელენორას, გამოველაპარაკო მასმეთქი. საღამოთი მისგან რამდენიმე სიტყვა მომიტანეს. ეს სიტყვები ნაზი იყო. მომეჩვენა, თითქოს მათში სინანულისა და სევდის გრძნობაც იყო. მაგრამ იგი დაჟინებით იდგა იმ ურყევ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მან განმიცხადა. მეორე დღეს კვლავ გავსწიე მასთან. იგი წასულიყო სოფელში, რომლის სახელი მოსამსახურეებმა არ იცოდნენ. მათ არც შეეძლოთ გადაეგზავნათ მისთვის წერილები.

დიდხანს უმოძრაოდ ვიდექი მის კარებთან, ვერავითარი საშუალება ვერ მომესაზრებინა ელენორას საპოვნელად. თითონ ვიყავი განცვიფრებული იმით, თუ როგორ ვიტანჯებოდი. ჩემმა მეხსიერებამ აღადგინა ის წუთები, როცა მე გულში ვამბობდი, მხოლოდ გამარჯვებისაკენ მივისწრაფვი მეთქი. მეგონა, ეს უბრალო ცდაა, რაზედაც სულ ადვილად უარს ვიტყოდი. არაფერი არ გამეგებოდა ამ მწვავე გულისტკივილისა, რომელიც გლეჯდა ჩემს გულს.

რამდენიმე დღემ ამნაირად გაიარა. დავკარგე როგორც გართობის, ისე მეცადინეობის ყოველივე უნარი. განუწყვეტლივ ელენორას კარების წინ

დავეხეტობოდი, დავსეირნობდი ქალაქში, ქუჩის ყოველ მოსახვევში მასთან შეხვედრის იმედი მქონდა. და ერთ დილას, ასეთი უმიზნო სეირნობის დროს, როცა ჩემს აღელვებას დაღლილობა ემცვლებოდა თვალი მივაყარე გრაფ დე პ-ს ეტლს. იგი მოგზაურობიდან ბრუნდებოდა. მან მიცნო და ეტლიდან ჩამოხტა. რამდენიმე ბანალური ფრაზის შემდეგ სიტყვა ჩამოვუგდე ელენორას მოულოდნელი გამგზავრების შესახებ, ისე, რომ დავფარე ჩემი აღელვება.

— დიახ, — მიპასუხა მან, — მის მეგობარ ქალს, რომელიც აქედან რამდენიმე მილზე სცხოვრობს, რაღაც უსიამოვნება შეემთხვა. ელენორამ იფიქრა, რომ დამშვიდება, სარგებლობას მოუტანდა ამ ქალს. ისე წავიდა, რომ ჩემთვის რჩევაც არ უკითხია. მასში ყველაფერზე გრძნობა ბატონობს, და მისი მუდამ მოქმედი სული მოსვენებას პოულობს თავის განწირვაში. მაგრამ მისი აქ ყოფნა ეხლა აუცილებელია ჩემთვის. მივწერ, უთუოდ რამდენიმე დღეში დაბრუნდება.

ამ სიტყვებმა დამამშვიდა. ჩემი გულის ტკივილიც მიყუჩდა. ელენორას წასვლის შემდეგ პირველად შემეძლო თავისუფლად ამოსუნთქვა. მისი დაბრუნება არც თუ ისე მალე მოხდა, როგორც გრაფი იმედოვნებდა. მე დაუბრუნდი ჩემს ჩვეულებრივ ცხოვრებას. სევდა, რომლითაც შეპყრობილი ვიყავი უკვე იფანტებოდა. თვის დამლევს დე პ-***-მ მაცნობა, რომ ელენორა ამ საღამოთი უნდა ჩამოვიდესო. რადგან იგი, დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რომ ელენორასათვის საზოგადოებაში შეენარჩუნებინა ადგილი, რომელიც მას მისი ხასიათის გამო ღირსეულად ეკუთვნოდა, მაგრამ მდგომარეობა თითქოს ართმევდა. გრაფმა ვახშმად მიიწვია რამდენიმე ქალი — ნათესავი და მეგობარი, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს მისვლა-მოსვლა ჰქონოდათ ელენორასთან.

მოგონებები განმიახლდა, ჯერ ბუნდოვნად, მერე უფრო და უფრო ცხოველად. ამას ჩემი თავმოყვარეობაც ჩაერია, შეშფოთებულად, დამცირებულად ვგრძნობდი თავს. უნდა შევხვდე იმ ქალს, რომელიც ბავშვივით მომეპყრო. მომეჩვენა, თითქოს ვუახლოვდები მას, ის კი იღიმება, ფიქრობს, რომ ხანმოკლე დაშორებამ ახალგაზრდული მღელვარება დაამშვიდა. ღიმილში ზიზღიც შევამჩნიე ჩემს მიმართ. ჩემი გრძნობები თანდათან განახლდა. იმ დღეს როცა გამოვიღვიძე სულ არ ვფიქრობდი ელენორაზე. ერთი საათის შემდეგ, როგორც კი მისი ჩამოსვლა მაცნობეს, იმისი სახე ჩემს თვალწინ მოძრაობდა, ის გამეფდა ჩემს გულში. შიშის ცახცახმა ამიტანა, ვაი თუ ვეღარ ვიხილო მეთქი.

მთელი დღე შინ დავყავი. შეიძლება ითქვას, რომ ვიმალებოდი. ვკანკალებდი, რომ მცირე მოძრაობასაც კი არ შეეშალა ხელი ჩვენი შეხვედრისათვის, თუმცა ამაზე უბრალო და უცილობელი არაფერი იყო, მაგრამ მე ისეთი მგზნებარე გრძნობით მწადდა, რომ იგი შეუძლებლად მეჩვენებოდა. მოუთმენლობამ შემიპყრო. ყოველ წუთს საათს დავყურებდი, იძულებული ვიყავ ფანჯარა გამეღო რომ მესუნთქა. ძარღვებში მოწოლილი სისხლი მწვავდა.

ბოლოს მომესმა, როგორ ჩამოჰკრა საათმა: მოვიდა დრო, როცა გრაფთან უნდა წავსულიყავ. ჩემი მოუთმენლობა უცბად მორიდებამ შესცვალა. ნელ-ნელა ვიცვამდი, აღარ ვჩქარობდი, ვშიშობდი, ჩემი მოლოდინი შეიძლება გაცრუვდეს მეთქი. და ეს გრძნობა ტკივილისა, რომელიც შემეძლო განმეცადა ისეთი ცოცხალი იყო, რომ სიამოვნებით დავთანხმდებოდი გადამედო ყოველივე.

საკმაოდ დაგვიანებული იყო, როცა დე პ***-სთან შევედი. ელენორა ოთახის სილრმეში იჯდა. ვერ გავბედე მასთან მისვლა. მომეჩვენა, თითქოს ყველა მე შემომცქეროდა. მივიმალე სალონის კუთხეში, მოსაბრეგ მამაკაცთა ჯგუფის უკან. იქიდან ვუცქეროდი ელენორას. იგი ოდნავ შეცვლილი მეჩვენა, უფრო ფერმკრთალი, ვიდრე ჩვეულებრივ. გრაფმა მიპოვნა ჩემს საფარში, მომიახლოვდა, წამავლო ხელი და ელენორასთან მიმიყვანა.

— წარმომიდგენია თქვენთვის, — მიმართა მან სიცილით, — ერთი იმათთაგანი, რომელიც თქვენმა მოულოდნელმა წასვლამ ყველაზე მეტად გააოცა.

ელენორა თავის გვერდით მჯდომ ქალს ესაუბრებოდა, როცა შემომხედა. სიტყვები ტუჩებზე გაუშრა. სახტად დარჩა. მეც სახტად ვიყავი.

ჩვენი მოსმენა შეეძლოთ. ამიტომ ელენორას რამდენიმე უმნიშვნელო კითხვით მივმართე. ორივემ გარეგნულად მშვიდი გამომეტყველება მივიღეთ. გამოაცხადეს — სუფრა გაშლილიაო. ჩემი ხელი გაუწოდე — არ შეეძლო უარი ეთქვა.

— თუ პირობას არ მომცემთ, — მივმართე მე და გზა განვაგრძე, — რომ ხვალ თერთმეტ საათზე მიმიღებთ, ეხლავე წავალ, დაუყოვნებლივ გავემგზავრები, მივატოვებ ჩემს ქვეყანას, ოჯახს, მამას, გავწყვეტ ყოველგვარ კავშირს, უარვყოფ ყველა ვალდებულებას და გავიქცევი, რათა სწრაფად ბოლო მოვუღო ჩემს სიცოცხლეს, რომლის მოწამვლაც თქვენ სიამოვნებას გგვრით.

— ადოლფ! — მიპასუხა მან. იგი შეყოყმანდა. შევტოკდი მეც, რათა გავცლოდი. არ ვიცი, რას გამოხატავდა ჩემი სახე, მაგრამ არასოდეს არ განმიცდია ისეთი დიდი აღელვება. ელენორამ შემომხედა. სინაზესთან არეული ძრწოლა აღებეჭდა სახეზე.

— მიგიღებთ ხვალ, — წარმოსთქვა მან, — მაგრამ გაფიცებთ...

უკან მოგყვებოდნენ. მან ველარ დაასრულა წინადადება. მე ხელი მოვუჭირე მის ხელს. მოვუსხედით მაგიდას. მინდოდა ელენორას გვერდით დავმჯდარიყავ, მაგრამ სახლის პატრონმა სხვაგვარად გადასწყვიტა; მომცეს ადგილი თითქმის მის პირდაპირ. ვახშმის დასაწყისში იგი ჩაფიქრებული იყო. როცა მიმართავდენ, თავაზიანად უპასუხებდა, მაგრამ მალე ისევ ფიქრს ეძლეოდა. ერთმა მისმა მეგობარმა, ელენორას სიჩუმით და უგუნებობით გაოცებულმა, ჰკითხა, ავად ხომ არა ხარო.

— ვერა ვარ კარგად ამ ბოლო დროს, — მიუგო მან. — ჯერაც ვერ გამოვკეთებულვარ.

მინდოდა სასიამოვნო შთაბეჭდილება მომეხდინა ელენორას გონებაზე, მინდოდა გამომემჟღავნებინა თავაზიანობა და ჭკუამახვილობა, რათა ჩემდა სასარგებლო განწყობილება შემექმნა და მომემზადებინა შეხვედრისათვის, რომელიც მან მოწყალებით მაჩუქა. ათასნაირად ვცდილობდი მისი ყურადღების დაპყრობას; ისეთ ამბებზე ჩამოვაგდე ლაპარაკი, რაც მისთვისაც საინტერესო უნდა ყოფილიყო. საუბარში ჩვენი მეზობლებიც ჩაერივნენ. მე შთაგონებულ ვიყავ ქალის იქ ყოფნით და ბოლოს, მივაღწიე იმას, რომ იგი მისმენდა. მალე ელენორას ღიმილიც დავინახე. ამან სიხარულით აღმავსო. ჩემი თვალები ისეთ მადლობას გამოხატავდნენ, რომ მე არ შემეძლო არ ამელელვებინა იგი. გაჰქრა მისი სევდა და ნაღველი. იგი წინააღმდეგობას ველარ უწევდა იმ იდუმალ მომხიბლაობას, რომელიც ეუფლებოდა მის სულს იმ ბედნიერების დანახვაზე, რომელსაც მე მისი მეოხებით განვიცდიდი. როდესაც მაგიდიდან

წამოვდექით, ჩვენი გულები ისე შეთანხმებული იყვნენ, თითქოს არასოდეს ვყოფილიყავით განშორებული.

— ხომ ხედავთ,—მივმართე და გავუწოდე ხელი, რათა სალონში დავბრუნებულიყავით, — თქვენ ხელთ არის ჩემი სიცოცხლე. რა ჩავიდინე ისეთი, რომ ჩემი ტანჯვა სიამოვნებას გგვრით?

თავი III

ღამე უძილოდ გავატარე, ჩემს გულში აღარ ისმოდა არც ანგარიშები, არც გეგმების საკითხი, თავს ვგრძნობდი ჭეშმარიტად შეყვარებულად. ეს აღარ იყო იმედი გამარჯვების, რომელიც მაიძულებდა მემოქმედნა, ჩემში განსაკუთრებით იყო გაბატონებული მოთხოვნილება — მენახა ის, ვინც მიყვარდა, დავმტკბარიყავ მასთან ყოფნით. თერთმეტმა საათმა დაჰკრა. გავემართე ელეონორასთან. იგი მელოდებოდა. მას უნდოდა გამომლაპარაკებოდა, მაგრამ ვთხოვე ჩემთვის მოესმინა. დავჯექი მის გვერდით, რადგან ფეხზე ძლივს ვიდექ და დავიწყე ჩემი სიტყვა, თან იძულებული ვიყავ ხშირად შემეწყვიტა.

— არ მოვსულვარ იმისათვის, რომ შევედავო თქვენს განაჩენს; არ მოვსულვარ იმისათვის, რათა უკან წავიღო აღსარება რომელმაც შეიძლება თქვენ შეურაცხგყოთ. ეს ამაო სურვილი იქნებოდა. სიყვარულს, რომელსაც თქვენ ხელსა ჰკრავთ, გაუნადგურებელია, ის ძალდატანება, რომელსაც ეხლა მე მივმართავ, რათა ცოტათი მაინც მშვიდად გელაპარაკოთ, დამამტკიცებელია გრძნობის იმ ძალისა, რომელიც თქვენ შეურაცგყოფთ. მაგრამ ამაზე კი არ მინდოდა მესაუბრა, როცა გემუდარებოდით მოგესმინათ ჩემთვის. პირიქით, მინდა გთხოვოთ, დაივიწყოთ ეს და მიმიღოთ ისე, როგორც წინად მიღებდით. განდევნეთ მოგონება ჩემს წუთიერ სიგიჟეზე და ნუ დამსჯით იმისათვის, რომ გაიგეთ საიდუმლოება, რომელიც გულის სიღრმეში უნდა ჩამემარხა. თქვენ იცით ჩემი მდგომარეობა, ჩემი ხასიათი, რომელზედაც ამბობენ, რომ უცნაური და ველურიაო, იცით, რომ ჩემი გული ამ ქვეყნიური ინტერესებისთვის უცხოა, რომ იგი ადამიანთაგან განმარტოებულია, მაგრამ მაინც დატანჯულია მარტოობით, რომელიც მას მისჯილი აქვს. თქვენი მეგობრობა მამაგრებდა. თქვენი მეგობრობის გარეშე მე არ შემიძლია ცხოვრება. ჩვეულებად გადამექცა თქვენი ხილვა, თქვენ დაბადეთ და ჩამოაყალიბეთ ეს ნაზი ჩვეულება, რა ჩავიდინე ისეთი, რომ დავკარგო ჩემი სევდიანი და პირქუში არსებობის ეს ერთადერთი ნუგეში? საშინლად უბედური ვარ, აღარ ძალმიძს ავიტანო ასეთი ხანგრძლივი უბედურება. აღარაფრის იმედი არა მაქვს, არაფერს არა გთხოვთ, მინდა მხოლოდ გიყურო, უნდა გიყურო, რათა ვიარსებო.

ელენორა სდუმდა.

— რისა გეშინიათ?—განვაგრძე მე,—რას მოვითხოვ? იმას, რასაც თქვენ აძლევთ თქვენს მიმართ ყველა გულგრილს. საზოგადოება გაშინებთ? იგი ჩაფლულია საზეიმო სიცალიერეში და ვერ შესძლებს ვერაფრის ამოკითხვას ჩემს მაგვარ გულში. როგორ არ უნდა ვიყვე ფრთხილად? განა საკითხი ჩემს სიცოცხლეს არ შეეხება? ელენორა, დაუთმეთ ჩემს მუდარას, თქვენ მის დაკმაყოფილებაში ცოტაოდენ სიამოვნებას იპოვით. თქვენთვისაც მომხიბვლელი იქნება — იგრძნოთ, თუ რა რიგ ძლიერ უყვარხართ, მიხილოთ მუდამ თქვენს გვერდით, მარტო თქვენით შეპყრობილი, ვიარსებო მხოლოდ თქვენთვის, მოვალე ვიქნები თქვენს წინაშე ბედნიერების ყველა იმ შეგრძნებით,

რისი უნარიც მე კიდევ შემწევს; თქვენის მეოხებით თავს დავაღწევ ტანჯვას და სასოწარკვეთილებას.

ამნაირად განვაგრძე დიდხანს. ვსპობდი ყოველგვარ შესრულებას, ათასნაირად ვატრიალებდი ყველა იმ მოსაზრებას, რომელიც ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობდა. ისეთი მორჩილი, ისეთი უდრტვინველი ვიყავი, ისე ცოტას ვთხოვდი, ისე უბედური ვიქნებოდი უარი, რომ მიმეღო.

ელენორა აღელდა: რამდენიმე პირობა წამომიყენა. იგი დამთანხმდა იშვიათად მიეღე მრავალ რიცხოვან საზოგადოებაში, იმ პირობით, რომ არასოდეს არაფერს ვეტყოდი სიყვარულის შესახებ. დავპირდი, რომ ყველაფერს აუსრულებდი. ორივენი კმაყოფილნი ვიყავით, მე იმით, რომ კვლავ დავეუფლე იმ სიკეთეს, რომელსაც დაკარგვა ემუქრებოდა, ელენორა კი მით, რომ ერთსა და იმავე დროს გამოამჟღავნა სულგრძელობა, მგრძნობიარობა და სიფრთხილე.

მეორე დღესვე ვისარგებლე, იმ ნებართვით, რომელიც მივიღე, ვსარგებლობდი შემდეგშიაც. ელენორა აღარ ცდილობდა იშვიათად მენახა იგი. მალე ბუნებრივად მიიჩნია რომ ყოველ დღე მხედავდა. ათი წლის ერთგულებამ გრაფ დე პ***-ს სრული ნდობა შთააგონა. იგი ელენორას დიდ თავისუფლებას აძლევდა და რადგან მას უხდებოდა ბრძოლა საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ, რომელსაც უნდოდა მისი საყვარელი საზოგადოებიდან გამოერიცხა, გრაფ დე პ-***ს მოსწონდა, როდესაც ელენორას საზოგადოება იზრდებოდა. სტუმრებით სავსე სახლი მის თვალში ადასტურებდა გამარჯვებას საზოგადოებრივ აზრზე.

ელენორასთან შესვლისთანავე — მის გამოხედვაში სიამოვნების გამოხატულებას ვამჩნევდი. როდესაც საუბარი მისთვის შესაქცევი ხდებოდა, მისი თვალები ბუნებრივად ჩემსკენ მოემართებოდნენ. საინტერესოს არაფერს არ მოჰყვებოდა ისე, რომ მოსასმენად არ დავეძახე. მაგრამ მარტო არასოდეს არ იყო: მთელი საღამო ისე გაივლიდა რომ მე ვერ ვახერხებდი რაიმე მეთქვა მისთვის, გარდა უმნიშვნელო და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებისა. მალე ასეთმა შევიწროვებულმა მდგომარეობამ გაღიზიანებამდე მიმიყვანა. მოვიღრუბლე, მდუმარე გავხდი, ავირიე ჩემს განწყობილებაში, გესლიანად ვლაპარაკობდი, როცა ჩემს გარდა სხვა ვინმე განმარტოებით ესაუბრებოდა ელენორას, ძალდატანებით ვიკავებდი თავს, უცებ შევაწყვეტინებდი საუბარს, ჩემთვის სულ ერთი იყო შეურაცხყოფდი ვისმე თუ არა. არ ვჩერდებოდი იმის წინაშეც, რომ შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩამეგდო ქალიც. ელენორა ჩემთან საუბარში უჩიოდა ამ ცვლილებას.

— რა გნებავთ? — მივმართე მას ერთხელ მოუთმენლად — თქვენ უთუოდ ფიქრობთ, რომ ბევრი რამ გააკეთეთ ჩემთვის. იძულებული ვარ მოგახსენოთ, რომ სცდებით. აღარაფერი მესმის თქვენი ახალი ქცევისა. წინათ თქვენ განმარტოებით სცხოვრობდით, გაურბოდით საზოგადოებას, რომელიც გლიდათ, გაურბოდით დაუსრულებელ საუბარს, რომელიც გრძელდებოდა უფრო იმისათვის, რომ არასოდეს ხელახლა არ უნდა დაწყებულიყო. დღეს თქვენი კარი ღიაა მთელი ქვეყნისათვის: გთხოვეთ რა ჩემი მიღება, ამით მე მთელი ქვეყნისათვის მივიღე იგივე მოწყალება, რაც ჩემთვის. უნდა გამოგიტყდეთ, ვხედავდი რა წინათ თქვენ სიფრთხილეს, თქვენგან ასეთ ფუქსავატობას არ მოველოდი.

ელენორას სახეზე უკმაყოფილება და სევდა ამოვიკითხე.

— ძვირფასო ელენორა, — ვუთხარი მას და სწრაფად მოვლბი, — ნუ თუ მე ღირსი არა ვარ გამომარჩიოთ იმ ათას მომაბეზრებელთა შორის, რომლებითაც გარემოცული ხართ? განა მეგობრობას არა აქვს თავისი [illegible]ლობა? განა ის ეჭვიანი და მოკრძალებული არ არის ხმაურობასა და [illegible]?

ელენორას ეშინოდა, შეუფასებლობა გამოეჩინა: ეს ჩემში ისევ გამმოიწვევდა გუფრთხილებლობას, რაც მას საშიშოდ მიაჩნდა როგორც ჩემთვის, ისე თავის თავისთვისაც. მისი გული ახლო აღარ იკარებდა ჩვენი განშორების აზრს. იგი დამეთანხმა ზოგჯერ მარტო მევლო. მაშინ სწრაფად შეიცვალა მის მიერ დადგენილი სასტიკი წესები. მან ნება დამრთო აღმეწერა ჩემი სიყვარული: იგი თანდათან შეეჩვია სიყვარულის ენას, სულ მალე აღიარა, რომ ვუყვარვარ.

რამდენიმე საათი გავატარე მის ფერხთით. ჩემს თავს ადამიანთო შორის ყველაზე ბედნიერად ვთვლიდი, ათასნაირად ვარწმუნებდი მას ჩემს სინაზესა, ერთგულებასა და სამუდამო პატივისცემაში. მან მიამბო როგორ იტანჯებოდა, როდესაც ჩემს განშორებას შეეცადა. თუმცა ფიქრობდა დამალვას, მაგრამ იმედი მაინც ჰქონდა, რომ ვიპოვიდი. მცირე ხმაურობა, რომელიც კი მის ყურამდე აღწევდა, თითქოს ჩემს მისვლას აცნობდა. რა შეკრთომა, სიხარული, შიში იგრძნო მან, როცა კვლავ დამინახა. ის ცდილობდა გულის მიდრეკილება სიფრთხილესთან შეეთანხმებინა.

იგი არ ენდობოდა თავის თავს, ამიტომ მიეცა გასართობებს, და დაეძებდა საზოგადოებას, რომელსაც წინად გაურბოდა. მე ვაიძულებდი გაემეორებინა სულ პატარა წვრილმანებიც კი, და ეს რამდენიმე კვირის ისტორია მთელი ცხოვრების ისტორიად გვეჩვენებოდა. სიყვარული რაღაც მაგიურ ძალით ანახლებს ხანგრძლივ მოგონებებს. ყოველ სხვა მიდრეკილებას წარსული ესაჭიროება, სიყვარული კი თითონ ჯადოსავით ჰქმნის წარსულს, რომელიც გარს გვერტყმის. ის გვაძლევს იმის შეგნებას, რომ ხანგრძლივი წლების განმავლობაში იმ არსებასთან ვცხოვრობდი, რომელიც მანამდე თითქმის უცხო იყო ჩვენთვის. სიყვარული სხვა არაფერია გარდა მანათობელი წერტილისა, მიუხედავად ამისა იგი თითქო ეუფლება დროს. სულ რამდენიმე დღის წინათ იგი არ არსებობდა, მალე არ იარსებებს, მაგრამ სანამ არსებობს, ჰფენს შუქს იმ დროს, რომელიც წინ უძღოდა და რომელიც შემდგომად მიჰყვება.

ეს სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა. ელენორას ეშინოდა თავისი სისუსტისა. მას სდევნიდნენ მოგონებები წარსული შეცდომებისა. ჩემი ოცნება, ჩემი სურვილი, დიდი წარმოდგენა ჩემს თავზე, რასაც თითონ ვერ ვამჩნევდი, — აღსდგა ასეთი სიყვარულის წინააღმდეგ. მუდამ გაუბედავი, ხშირად გაღიზანებული, ვჩიოდი, ვჯავრობდი საყვედურებით ვავსებდი მას, ელენორას სწადდა რამდენჯერმე გაეწყვიტა კავშირი, რომელსაც მის ცხოვრებაში მწუხარება და შფოთი შეჰქონდა, არა ერთხელ დამიმშვიდებია იგი მუდარით, დარწმუნებით და ცრემლებით.

ელენორა, — მივწერე მას ერთ დღეს, — თქვენ არ იცით, როგორ ვიტანჯები. თქვენ ახლო თუ თქვენგან განშორებული, მე ერთნაირად უბედური ვარ იმ საათებში, რომლებიც ჩვენ გვთიშავენ, დავეხეტები საცა მომხვდება, წელში მოღუნული არსებობის სიმძიმის ქვეშ, რომელიც, არ ვიცი, როგორ ავიტანო. საზოგადოება მომბეზრდა, მარტოობა მჩაგრავს. გულგრილი ადამიანები, თვალყურს მადევნებენ და არ იციან, რითა ვარ შეპყრობილი, ისინი შემომცქერიან ინტერეს მოკლებული ცნობისმოყვარეობით, განცვიფრებით,

შეუბრალებლად, — ეს ადამიანები, ბედავენ ჩემთან თქვენს გარდა სხვა რამეზე ლაპარაკს და ჩემს გულში მომაკვდინებელ სევდას იწვევენ. გავრბივარ მათგან. მაგრამ, როცა მარტო ვარ, ამაოდ დავეძებ ჰაერს ჩემი შეკუმშული მცერდისათვის. მე ვეცემი მიწას, რომელიც უნდა გაიხსნას, რათა ჩაგეფლეთ საუდამოდ; თავს ვდებ ცივ ქვაზე, რამაც უნდა დააცხროს ის ცხელება, რომელიც მღრღნის. მივლოლავ ბორცვებზე, საიდანაც მოსჩანს თქვენი სახლი; ვრჩები იქ და თვალს ვაპყრობ იმ თავშესაფარს, საცა მე ვერასოდეს ვერ ვიცხოვრებ. ადრე რომ შემხვედროდით, ხომ ჩემი იქნებოდით, ჩაგიხუტებდით ერთად-ერთ ქმნილებას, რომელიც ბუნებამ ჩემი გულისთვის შექმნა, იმ გულისათვის, რომელიც ამდენს იტანჯებოდა, რადგან თქვენ დაგეძებდათ, და ძალიან გვიან გიპოვათ. ბოლოს, როცა ბოდვის საათები გადის და დგება დრო, როცა უნდა გიხილოთ, აკანკალებული მოვემართები თქვენი სახლისაკენ, მეშინია შევხედე ყველა იმას, ვინც გამოიცნობს ჩემს გრძნობას, რომელიც თან დამაქვს. ვჩერდები, ნელის ნაბიჯით მოვდივარ, ვაგვიანებ ნეტარების წუთებს, იმ ნეტარების წუთებს, რომლებსაც ყველა ემუქრება, რისი დაკარგვაც ყოველთვის მაშინებს, არასრულ და შფოთიან ნეტარების წუთებს, რომლის წინააღმდეგაც ყოველთვის შეთქმულებას აწყობენ საბედისწერო შემთხვევებიც, შურიანი გამოხედვაც, ბარბაროსული ჭირვეულობაც და თქვენი საკუთარი ნებაც.

როცა მე ვეხები თქვენი კარების ზღურბლს, როცა ვაღებ კარებს, ახალი შიში მეუფლება. მოვდივარ როგორც მსჯავრდებული, შეწყალებას მოვითხოვ ყველა იმ საგნებისაგან, რომელთაც ჩემი მხედველობა ეხება, თითქოს ყველა ისინი მტრები იყვნენ, თითქოს ყველას შურდეს ის ნეტარების საათები, რომლებითაც მე დავტკბები. მაშინებს ოდნავი ხმაურობა, ცოტაოდენ მოძრაობას ჩემს ახლოს ძრწოლაში შევყავარ, ჩემივე საკუთარი ნაბიჯების ხმაურობა მაიძულებს უკან დავიხიო; როცა სულ ახლოსა ვარ თქვენთან, მეშინიც მაშინებს რაღაც დაბრკოლება, რომელიც შეიძლება უეცრივ აღდგეს ჩემს და თქვენს შორის. და აი, როგორც იქნა, გხედავთ თქვენ, გხედავთ და ვსუნთქავ, გეჭვრეტთ და ვჩერდები, როგორც ლტოლვილი, რომელმაც უშიშარ მიწას მიაღწია, რამაც იგი უნდა დაიცვას სიკვდილისაგან. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მთელი ჩემი არსება თქვენსკენ არის მომართული, როცა მე ამ ტანჯვა-წვალებისაგან მჭირდება დასვენება, რათა თავი დავდო თქვენს მუხლებზე, მივცე თავისუფალი მდინარება ჩემს ცრემლებს, მე მთელი ჩემი ძალლონით უნდა შევიკავო თავი. თქვენ გვერდითაც უნდა ვიცხოვრო ძალდატანებით ალსავსე ცხოვრებით. არც ერთი წუთი გრძნობის ლაღათ გამოთქმისათვის, არც ერთი წუთი თავდავიწყებისათვის! თქვენი გამოხედვა მდარაჯობს. თქვენ შემკრთალი, თითქმის შეურაცხყოფილი ხართ ჩემი აღელვებით, არ ვიცი, რა იძულება მოჰყვა იმ ტკბილ საათებს, როცა თქვენ აღიარეთ, რომ გიყვარვართ. დრო გარბის, ახალი ინტერესები მოგიწოდებენ, არასოდეს არ ივიწყებთ მას, თქვენ არასოდეს არ აყოვნებთ ჩემი წასვლის წუთებს. უცხონი მოდიან, მე უკვე ნება არა მაქვს გიცქიროთ. ვგრძნობ, რომ უნდა გავექცე ეჭვს, რომელიც გარს მახვევია. გტოვებთ უფრო აღელვებული, უფრო ნაწვალები, უფრო უგუნური, ვიდრე ოდესმე; გტოვებთ და ისევ ვვარდები იმ უსაშინელეს მარტოობაში, რომელშიაც თავს ვიღრღნი, ვერ ვხვდები ვერც ერთ არსებას, რომელზედაც დაყრდნობა და ცოტათი მოსვენება შემეძლოს".

ასეთნაირად ელენორა არავის არ ჰყვარებია. გრაფ დე პ*** მის მიმართ მეტად გულწრფელი გრძნობით იყო გამსჭვალული, დიდი მადლიერებით მისი

ერთგულებისათვის, დიდი პატივის ცემით მისი ხასიათის გამო. მაგრამ მის მოქცევაში ყოველთვის სჩანდა, რომ ის უპირატესობას გრძნობდა იმ ქალის მიმართ, რომელიც მას აშკარად დანებდა ქორწინების გარეშე. გრაფს შეეძლო გაება უფრო საპატიო კავშირი, რომელიც საზოგადოებრივ აზრს მუუთანხმებოდა. ის ამის შესახებ არაფერს ეუბნებოდა ელენორას, შეიძლება ამას არ ეუბნებოდა თავის თავსაც. მიუხედავად ამისა, ის რასაც ჩვენ არ ვამბობთ, მაინც არსებობს, და რაც არსებობს, ის გამოიცნობა.

აქამდე ელენორას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია ასეთი ვნებიანი გრძნობის შესახებ, რომელიც ერთის არსებობას ადნობს მეორეში. ჩემი მძვინვარება, ჩემი უსამართლობა და ჩემი საყვედურები სხვა არაფერს ამტკიცებდა, გარდა აუცილებელი ვნებისა. მისი წინააღმდეგობა აგულიანებდა ყველა ჩემს გრძნობას, ყველა ჩემს აზრს. ხან კვლავ ვნებიანად აღგზნებული ვიყავი, რაც მას აშინებდა, ხან მორჩილებას, სინაზეს და ღვთაებრივ თაყვანისცემას ვუბრუნდებოდი, მე მას შევყურებდი როგორც ციურ ქმნილებას. ჩემი სიყვარული კულტს ჰგავდა და მით უფრო მომხიბლავი იყო მისთვის, რომ მას მუდამ დამცირებისა ეშინოდა. დაბოლოს იგი მთლიანად დამნებდა.

უბედურია ის ადამიანი, რომელსაც სამიჯნურო კავშირის პირველ ხანებში არ სჯერა, რომ ეს კავშირი მუდმივი უნდა იყოს! უბედურია ის, ვისაც გულში ჩაკრული ჰყავს სატრფო, რომელიც ეს არის დანებდა მას, და საბედისწერო წინათგრძნობით სჭვრეტს რომ იგი შეიძლება მას დაშორდეს! ქალში რომელიც გულით არის გატაცებული, არის რაღაც ამაღელვებელი და წმინდა. არც კმაყოფილება, არც ბუნება, არც მგრძნობიერება არა გვრყვნის ჩვენ, ჩვენ გვრყვნიან მხოლოდ ის ანგარიშები, რომლებსაც საზოგადოებამ მიგვაჩვია, და ის ფიქრები, რომლებსაც გამოცდილება შობს. მე ათასჯერ უფრო მეტ პატივს ვცემდი ელენორას მას შემდეგ, როცა იგი დამნებდა. მე ამაყად დავდიოდი ხალხში და გამარჯვებული შევყურებდი ადამიანებს. თვით ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავდი, ჩემთვის სასიამოვნო იყო. მივისწრაფოდი ბუნებისაკენ, რათა მადლობა გადამეხადა იმ მოულოდნელი სიკეთისათვის, იმ უდიდესი წყალობისათვის, რომელიც კეთილ ინება და მაჩუქა მან.

თავი IV

სიყვარულის მომხიბლავობავ! ვის შეუძლია შენი აღწერა? რწმენა იმისა, რომ ვიპოვეთ ის არსება, რომელიც ბუნებამ ჩვენთვის განკუთვნა; ეს მოულოდნელი შუქი რომელიც ვრცელდება ჩვენს ცხოვრებაზე და თითქოს ხსნის ცხოვრების საიდუმლოებას; ეს გამოუცნობი ღირებულება, რომელსაც ვაკუთვნებთ ყოველ უმცირეს მდგომარეობას; ეს ჩქარი საათები, რომელთა წვრილმანები თავისი სინატიფის გამო მოგონებებს ეპარებიან ხოლმე და რომელნიც ჩვენს გულში მხოლოდ ბედნიერების გრძელ კვალს სტოვებენ; ეს გიჟმაჟური მხიარულება, რომელიც ხანდისხან უმიზეზოდ შეერევა ჩვეულებრივ გულჩვილობას — რამდენი სიამოვნებაა ერთად ყოფნაში და რამდენი იმედია განშორებაში; ეს მოწყვეტა ჩვეულებრივ ზრუნვისაგან; ეს უპირატესობა ყველა იმაზე, რაც ჩვენს გარშემოა; ეს დარწმუნება, რომ ამიერიდან გარეშე სამყარო ვერ მისწვდება იმას, საცა ჩვენ ვცხოვრობთ: ეს ერთურთ გაგება, რომელიც გამოიცნობს ყოველ აზრს და ყოველ განცდას უპასუხებს; სიყვარულის მომხიბლაობავ, ვინც განგიცადა, იგი ვერ შესძლებს შენს აღწერას.

ბატონი დე პ***-ი იძულებული იყო გადაუდებელი საქმეების გამო ექვსი კვირით სხვაგან წასულიყო. ეს დრო თითქმის განუწყვეტლივ ელენორასთან გავატარე, მისი სიყვარული ჩემს მიმართ გაღებული მსხვერპლის გამო თითქო გაიზარდა. არასოდეს არ განვშორებივარ ისე, რომ არ ცდილიყო შეეჩერებინე. წასვლის დროს ყოველთვის მეკითხებოდა, როდის დაბრუნდებიო. ორი საათით დაშორებაც კი მისთვის აუტანელი ხდებოდა. იგი სიზუსტით აღნიშნავდა ჩემი დაბრუნების წუთებს. სიხარულით ვემორჩილებოდი. მადლიერი, ბედნიერი ვიყავი იმ გრძნობით, რომელსაც იგი ჩემს მიმართ იჩენდა. მიუხედავად ამისა, ერთად ცხოვრების ყველა მოთხოვნილება თვითნებურად არ იხრება ჩვენი სურვილების წინაშე. ჩემთვისაც ხანდისხან უხერხული იყო წინასწარ აღმენიშნა ჩემი ნაბიჯები და ყველა ჩემი წუთები დამეთვალა. იძულებული ვიყავ ყველა ჩემი საქმე დამეჩქარებინა, უმრავლეს შემთხვევაში თითქმის ყველა კავშირი გამეწყვიტა. არ ვიცოდი რა მეპასუხნა ჩემი ნაცნობებისათვის, რომლებიც წინადადებას მაძლევდნენ ერთად გავისეირნოთო. ბუნებრივ მდგომარეობაში არავითარი საბაბი არ მექნებოდა უარისათვის. არ ვნანობდი საზოგადოებრივი ცხოვრების სიამოვნებათა დათმობას, რადგან მათ მიმართ არ გამაჩნდა დიდი ინტერესი, მაგრამ მინდოდა ელენორას ნება მოეცა უფრო თავისუფლად მეთქვა უარი მათთვის. მეტ სიტკბოებას ვიგრძნობდი, რომ მასთან ჩემივე საკუთარი ნებით დავბრუნებულიყავ ისე რომ არ მეთქვა ჩემი თავისთვის, დადგა დრო, როცა იგი შეწუხებული მელოდება მეთქი. არ მინდოდა ჩემი აზრი მის მწუხარებაზე, შერეოდა იმ ბედნიერებას, რომელიც მასთან შეხვედრისას მინდოდა მეგემნა. რასაკვირველია, ელენორა ჩემი არსებობის ცოცხალი სიამოვნება იყო, მაგრამ იგი უკვე მიზანი აღარ იყო.

გარდა ამისა, მეშინოდა სახელი არ გამეტეხა ელენორასთვის. განუწყვეტლივ უნდა გაეკვირვებინა მასთან ყოფნას მისი მოსამსახურენი, ბავშვები, რომელთაც შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ ჩემთვის. ვკანკალებდი იმ აზრის გამო, რომ მისი ცხოვრების დანგრევა შემეძლო. ვგრძნობდი, რომ შეუძლებელი იყო ჩვენს შორის კავშირი სამუდამო ყოფილიყო და რომ ჩემს წმინდა მოვალეობას შეადგენდა მისი სიმშვიდისათვის პატივი მეცა. ვარიგებდი მას, ფრთხილად მოქცეულიყო. თანაც ვარწმუნებდი, მიყვარხარმეთქი, მაგრამ რაც უფრო მეტად ვარიგებდი, მით უფრო ნაკლებად იყო იგი მოწადინებული ეს დარიგება მოესმინა. ამავე დროს საშინლად მეშინოდა მეწყენინებინა მისთვის. როცა მის სახეზე მწუხარების გამოხატულებას დავინახავდი, მისი ნება ჩემს ნებად იქცეოდა. თავს კარგად მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი, როცა იგი კმაყოფილი იყო ჩემით, როდესაც დაჟინებით გამოვითხოვდი რამდენიმე წუთით აუცილებლობის გამო მის დატოვებას და ვახერხებდ კიდევაც ამას, ტანჯვის გამოხატულება, რომელსაც მე ვაყენებდი მას, ყველგან მდევნიდა, მიპყრობდა აღგზნებული მონანიების გრძნობა, რომელიც ყოველ წამს იზრდებოდა და რომელიც ბოლოს გადაულახავი გახდა. მივქროდი მისკენ და ბედნიერებას განვიცდიდი იმ აზრის გავლენით, რომ ვანუგეშებდი, დავამშვიდებდი, მაგრამ როგორც კი მის სახლს მიუახლოვდებოდი, ჩემს სხვა გრძნობებს ერეოდა გაღიზიანების გრძნობა ამ საკვირველი ძალაუფლების წინააღმდეგ.

თარგმანი ფრანგულიდან **ქეთევან ირემაძისა**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“*

* * *

ერთერთ ასეთ ზვირთს, ყველაზე ბუმბერაზულსა და მღელვარეს, წარმოადგენს „აბესალომში“ მესამე მოქმედების დიდი ანსამბლი, ე. ი. მთელი ეს მოქმედება აბესალომის დიდი არიითურთ, რომლითაც იგი იწყება და რომელიც ამ ანსამბლის განუთვითებელი ნაწილია.

ბევრი არ ვიცით თვით შესანიშნავ ოპერებში ასეთი მძლეთა-მძლე და მსმენელის სულის სიღრმემდე ამაღელვებელი ანსამბლი. იქნება, ერთ-ერთი იყოს, „ჰუგენოტებში“, მაგალითად (შეთქმულების სცენა), ან „აიდაში“ (მესამე მოქმედება).

ამ ანსამბლებში, რასაკვირველია, სულ სხვა გრძნობები მეტყველებენ, ვიდრე „აბესალომისაში“, ვინაიდან აქ დრამატიული მდგომარეობა და მუსიკალური შინაარსი სხვადასხვაა. მე ვგულისხმობ მათ მხატვრულ ძალას და შთაბეჭდილებას, რომელსაც ისინი მსმენელზე ახდენენ. პროფ. შ. ასლანიშვილის აზრით, „აბესალომის“ ანსამბლი თავისი გენიალობით ჰენდელისა და ბახის ორატორიებს მოგვაგონებს.

როდესაც ვისმენდი ამ ანსამბლს, სადაც ცალკეული ადამიანებისა და ადამიანთა კრებულის საერთო გულისწუხილი თითქო ერთ მთლიან ვაებად შენივთებულა მათ ხმებში, მე ყოველთვის, სულიერ აღძვრასთან ერთად, მაკვირვებდა ის შემოქმედი ძალა, რომელმაც შეაძლებინა ერთ ადამიანს აერეკლა მხატვრულ წარმოდგენაში ეს ზღვა გრძნობა და ასე გამომეტყველად გადმოეცა მუსიკის ენით.

აქ თითქო, შემოქმედებასთან ერთად, უნდა ყოფილიყო კიდევ რაღაც პირად განცდათა გამოძახილი, რაც მხატვრულ წარმოდგენას იმ უშუალო გრძნობის სიწრფოებით ჰფერავდა, რომლითაც გაჟღენთილია მთლად ეს ანსამბლი.

---

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 10.

და, მართლაც, ამას წინად გავიგე, რომ აბესალომის არია „ვეძებდი ბედსა“ და ზედ მიყოლებით მთელი ანსამბლი განსვენებულ კომპოზიტორს შეუქმნია დიდი პირადი სულთაძვრის პერიოდში.

ზაქარიას ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. მშვენიერი ბავშვი იყო. მშობლებს გაგიჟებით უყვარდათ და დიდი იმედი ჰქონდათ მისი იშვიათი მუსიკალური ნიჭისა. მე თითონ ზაქარიასაგან გამიგია ამის დამადასტურებელი ფაქტი. ბავშვი ოთხი წლისა იქნებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს როიალს მიუჯდა და მოულოდნელად დაუკრა გლინკას ოპერის „რუსლანიდან“ ცნობილი მარში, რომელიც სმენით დაესწავლა.

აი, ეს საყვარელი, ერთადერთი შვილი 9 წლისა უეცრად მოუკვდა. უბედურება თავზარდამცემი იყო. და ზაქარიას სიძემ — მიხ. კვალიაშვილმა (მოსკოვის დიდი თეატრის რეჟისორმა, „აბესალომის“ ერთმა დამდგმელთაგანმა — ახლახან გადმომცა თვით ზაქარიას ნაამბობი. ერთ საღამოს ისეთი ბოღმა შემომაწვა, რომ ტანჯვას ვერ გავუძელ და ჩემი ბიჭიკოს საფლავზე გავიქერიო. შინ რომ დავბრუნდი სევდიანი, როიალს მივუჯექი და მუშაობით ვლამობდი ამ წუხილის განქარვებასაო. თვალწინ სულ შვილი მედგა. და სწორედ იმ ღამეს აბესალომის არია მთლად დავწერეო. შემდეგ დღეებში ზედ ანსამბლიც მიუყოლებია.

და ამ ინტიმური სულიერი ტრაგედიის ანარეკლი უთუოდ მოჩანს აბესალომის არიაში და, შეიძლება, მთელ ანსამბლშიაც. ამას ვამბობ იმ შთაბეჭდილების გამო, რომელსაც პირადად ჩემზე ახდენს არიაც და ანსამბლიც.

რა ხასიათისაა ეს შთაბეჭდილება?

სახელდობრ იმ ხასიათისა, რომ აბესალომის ვაებაში ტრფიალების ვ ნ ე ბ ი ა ნ ო ბ ა, დ ა ო ბ ლ ე ბ უ ლ ი ს ხ ე უ ლ ი ს ძ ა ხ ი ლ ი თითქო არ ისმის. არამედ აქ არის მარტოოდენ დ ა ო ბ ლ ე ბ უ ლ ი ს უ ლ ი ს კ ა ე შ ა ნ ი და გ ო დ ე ბ ა, ნამდვილი სასოწარკვეთილება, როდესაც ხორცი სდუმს და გული-ღა ჩივის.

იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ზაქ. ფალიაშვილის ამ ნაწარმოებს პროფ. შ. ასლანიშვილმა აბესალომ Passion ოპერა უწოდა, ე.-ი. „აბესალომის ვნებანი“, ბახის „მათეს ვნებათა“ მსგავსად.

რაღა თქმა უნდა, ამათუიმ შემოქმედის პირად განცდათა გავლენა მის მხატვრულ ნაწარმოებზე ჩვეულებრივი მოვლენაა. და, შეიძლება, აქაც ბუნების უმანკო მსხვერპლმა და მამის განწირულმა სულისკვეთებამ აიყვანა მისი მხატვრული ხილვა ნამდვილ ტრაგიკულ პათოსამდე და, ამნაირად, ხელოვანის პირადმა უბედურებამ შესძინა ქართულ მუსიკას და, ალბათ, მსოფლიო მუსიკასაც უკვდავი შედევრი.

* * *

აბესალომის არიის პირველი ნაწილი, დაწყებული პირველივე სიტყვებით „ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად“, ვიდრე უკანასკნელ ფრაზამდე, „მზე ჩაესვენა! რამ მიმშუქაროს?!“ — ნამდვილი მოთქმაა უზომოდ მწუხარე გულისა, ნამდვილ ქართულ, თითონ ზაქ. ფალიაშვილის მიერ შექმნილი, მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული და ორი სხვადასხვა მუსიკალური თემის შემცველი. მეორე თემა უფრო ვრცელია და იწყება სიტყვებით „ზინათ-დოვლათი, ყო-

ფა-ცხოვრება..“ უკანასკნელი ფრაზა „მზე ჩაესვენა! რამ მიმშუქარის?!“ მოცემულია ისეთი გამომეტყველი ფიგურებით, რომ გგონიათ თვითეული ბგერის ხვეულში სისხლი წვეთ-წვეთად ჟონავდეს პირგახსნილი იარიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როდესაც მარტო ორკესტრი იძლევა მომენტის დახასიათებას, იწყება გაშლილი მღერა, მუხლობრივი წყობის კანტილენა, რასაც თვით ავტორი არიოზოს უწოდებს. იგი შეიცავს მხოლოდ ერთ მუსიკალურ თემას, მისგანვე გამომდინარე ვარიაციებზე გაშლილს და ორ ორსტრიქონიან ლექსზე განაწილებულს, მაგალითად: „ძვირფასო ეთერ, დაგკარგე, უშენოდ ჩემთვის დღით მზე ბნელა“; ამასთანავე უკანასკნელი ფრაზა განიმეორება მცირედი ინტონაციური ცვლილებით და ჩალრმავების მახვილების დასმით ყველა სიტყვაზე, განსაკუთრებით სიტყვაზე „ჩემთვის“. ასევეა შემდეგ მუხლშიაც, მხოლოდ მას ნართაული ფრაზა აქვს: „თავო ბედშავო“, მდორე მოთქმით დასამღერი მელოდიური რეჩიტატივი. ამის მომდევნო მუხლი „ვერ გავძლო, როს გაგეყარო..“ უკვე უამნართაულოდ იმღერება, აქ კვლავ პაუზაა და მეტყველებს მხოლოდ ორკესტრი. შემდეგ მუხლში „ეთერო, შენი სიკეთე გაგიშვა და ვიჩქარიო...“ დიდი ასამაღლებელია (სი-ნატურელ) ბგერაზე „შე“. არია თავდება კვლავ მოთქმით: „თავო ბედშავო! მზე ბნელო! ვაი! ვაი! ვაი!, და უკანასკნელი „ვაი“ მიბნედილი ხმაშეკიდებით ბოლოვდება.

ამ არიაზე მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ შევაჩერე, რომ იგი მეტისმეტად დამახასიათებელია ზაქ. ფალიაშვილის წერის მანერისა, უფრო სწორედ — სტილისა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თვით კანტილენაშიაც კომპოზიტორი არ მისდევს ჩვეულებრივი საარიო მუსიკის თხზვის მეთოდს. იგი ერიდება კანტილენის გაბმით მოცემას, ორ ადგილას საკმაოდ ხანგრძლივ პაუზას იძლევა საორკესტრო სურათების მოხაზვით, და აგრეთვე ნართაულ ფრაზას, მელოდიურ რეჩიტატივზე აგებულს. ეს ხანგრძლივი პაუზები ანელებენ საერთო ეფექტს, განსაკუთრებით ასამაღლებელი მუხლის წინ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰქმნიან ადამიანის მეტყველების ბუნებრიობას. უნდა გვახსოვდეს, რომ აბესალომი მწარე ფიქრებშია წასული, ეს ფიქრები წამდაუწუმ იერს იცვლიან, ხანდახან სწყდებიან და კვლავ აღიძვრიან ახალი სახით. აი, ამ ფიქრთა დენის პროცესის ბუნებრიობისათვის მიმართავს ავტორი თავის ამ ხერხს — პაუზებს, ნართაულ ფრაზას და მუხლის მეორე ნაწილის იდეფიქსურ განმეორებას საკვირველად გამომეტყველი ინტონაციების ცვალებადობით.

ამ არიაზე კიდევ იმიტომ გავჩერდი, რომ აღარა ვთქვა რა ეთერის დიდ არიაზე „დედამთილი, მამამთილი...“ (უკანასკნელი მოქმედების დასაწყისში), რომელიც იმავე მანერით არის ჰარმონიზებული, ხოლო აქ მელოდიური რეჩიტატივისა და კანტილენის თემები ქართული ბაიათური ხასიათისაა.

აბესალომის ეს არია ძნელი ასასრულებელია. ვანო სარაჯიშვილი ხშირად გამოტოებდა ხოლმე მას და მღეროდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხმაზე კარგად იყო.

ხოლო ეთერის არიას სტოვებენ აგრეთვე ხშირად ჩვენი ლოტბარები ან რეჟისორები. ამ უცნაური ტრადიციის მიხედვით, როგორც მითხრეს, მოსკოვის დიდ თეატრშიაც ასე მოქცეულან. ძალიან დასანანებელი გარემოებაა, რადგანაც ეთერის არია — ისე, როგორც აბესალომის არია, — შესანიშნავია თავისი

მუსიკალური შინაარსითაც და დრამატიული სიტუაციის ნათელყოფითაც. უამარიოდ ვერ მიხვდებით, კმაყოფილია თუ არა ეთერი თავისი ბედისა მურმანის ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ანსამბლს იწყებს მამაკაცთა გუნდი, რომელიც ჩუმი დუდუნივით ვაი!-ვაი!-ვაი!-ს თქმით შემოდის სცენაზე. შემდეგ ქალთა გუნდიც ჩაერევა, ეთერს რომ შემოიყვანენ სცენაზე. ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქო ეს ვაება გაგრძელება იყოს გოდებისა, რომელიც სცენის გარეთ დაიწყო და სცენაზე შემოსვლისას უკვე მიყუჩებულ წუხილად გადაიქცა. ხოლო სასოწარკვეთილი აბესალომის დანახვისას კარის-კაცნი განაახლებენ მოთქმას, მაგრამ არა ხმამაღლა ძახილით, არამედ გულჩახვეული მდორე გუგუნით, მიტირების მსგავსად.

ამ მოთქმის მუსიკალური თემა მოკლეა, ძალიან მელოდიური და განაწილებულია მუხლობრივი წყობით ორსტრიქონიან ლექსზე: „რა დღე დაგვიდგა, რას მოვესწარით! ლხენა დასრულდა ნაღველ-სიმწარით!..“ ამ მელოდიის თემა მეორე ფრაზაში იშლება („ლხენა დასრულდა...“) ნამდვილი ხალხური სიმღერის კილოდ, რომელსაც განსაკუთრებულ მეტყველებას აძლევს სიტყვა „ნაღველ“-ის ზედიზედ განმეორება საინტონაციო მახვილით. ჩვეულებრივ ლაპარაკშიაც ხომ ეს მეორე „ნაღველ“ უეჭველად განსაკუთრებულის ინტონაციით ითქმის. და საგულისხმო ის არის, რომ ხელოვანმა მცირე ნუანსით ეს ინტონაცია შესატყვისად აამეტყველა მუსიკალურ ენაზე.

გუნდი ამავე მელოდიას ზედმიყოლით იმეორებს შემდეგ სიტყვებად: „ეთერი-ქალი, გვირგვინოსანი — ვარდი შეგვექმნა ყვითელ-სოსანი“ და აქ საინტონაციო მახვილი განმეორებულ სიტყვა „ყვითელ“-ზე მოდის.

აქამდე თუ სცენაზე საერთო ბოლმა თითქო ნელი ცეცხლივით იღვეფებოდა, სამაგიეროდ, როდესაც აბესალომი სასოწარკვეთილებით მიმართავს იქ მყოფთ: „მიშველეთ! ეს რა შემემთხვა! რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?“—იგი ხანძარის ძალას იძენს.

პირდაპირ სასწაულმოქმედი ფრაზაა!

მუსიკალური ენით დრამატიული სიტუაციის ამაზე ძლიერად ასახვა ვერ წარმომიდგენია! არ დაიჯერებთ, მაგრამ ერთ საათზე მეტ ხანს ვცდილობდი, მთელი მეხსიერება გადავაბრუნე, ვეძებდი სხვადასხვა ცნობილ ოპერებში ასეთი ძლიერების მქონე ფრაზას, მაგრამ ამაოდ. სადაც მივაგენი მსგავს რასმე, ბოლოს მაინც არ გამართლდა! იმის გამოსარკვევად, რომ არა ვცდები და რომ ამ მუსიკალური ფრაზით სხვა არაფრის გამოთქმა არ შეიძლება, თუ არა უკიდურესი სასოწარკვეთილებისა, — აი, რა ხერხს მივმართე: აბესალომის მუსიკალურ ფრაზას სულ სხვა შინაარსის სიტყვები მივუწერე, სახელდობრ ტრფიალებისა, მაგრამ მუსიკამ ეს სიტყვები ახლოც არ გაიკარა. მაშინ როდესაც, სხვა ოპერებში ნაპოვნმა ფრაზებმა კარგად შეიშვნიეს უცხო შინაარსის წინადადება. მაგალითად, „ჰუგენოტებში“ ასეთივე სასოწარკვეთილების გამომეტყველი თქმაა „Этот час так ужасен! Что делать мне? თავისთავად მუსიკა აქ მშვენიერი არის, როგორც დრამატიული მომენტის გამომეტყველი. მაგრამ ამ მუსიკას არა დაუშავდა რა, როდესაც შემდეგი სიტყვები მივუწერე: Я тебя люблю так страстно! ответа жду“.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ არა იშვიათად ამათუიმ მუსიკალურ ფრაზას აზრობრივ მნიშვნელობას სიტყვები აძლევს, და იგი თავისთავად შეიძლება

სულ სხვა ვითარებას გამოხატავდეს, ვიდრე იმას, რისთვისაც იგი განკუთვნილი.

აბესალომის ზემოაღნიშნულ გამოთქმაში სულ ცხრა სიტყვაა, ხოლო მუსიკალურ ფრაზაში, მიუხედავად მისი აზრობრივი მთლიანობისა, ორი სხვადასხვა, სრულიად დამოუკიდებელი თემაა: „მიშველეთ! ეს რა შემემთხვა!“ და „რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?“

„მიშველეთ!“ სიტყვის მუსიკა თავისთავად იმდენად დასრულებული თემაა, რომ ავტორს შეეძლო ამაზე გაჩერებულიყო დრამატიული მომენტის აღსანიშნავად. ეს იქნებოდა ფიგურალური რეჩიტატივი, განსაზღვრული აზრის დასრულებულად გამომხატველი. და თუ მე მაინც მას შემდეგ გამოთქმას ვუერთებ „ეს რა შემემთხვა!“, — მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს ყურში იგი „მიშველეთი“-დან გამოძახილ ვარიაციულ თემად გაისმის.

მაგრამ კომპოზიტორი არც ამაზე ჩერდება. იგი აძლიერებს დრამატიულ მომენტს ახალი მუსიკალური თემით—„რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?“ — და ნამდვილ პათოსამდე აჰყავს იგი. და არა ხმაშეკიდებით, არამედ, პირიქით, ინტონაციის ჩავარდნით. მერე, რა საკვირველი ბუნებრივი ინტონაციებია მოცემული, რა მშვენიერი ქართული კილოკავიანი მეტყველებაა! განსაკუთრებით უკანასკნელ გამოთქმაში—„რა წყალში ჩავვარდე?“ გეგონებათ, მართლაც, ადამიანი მორევში ეშვება და შველას გეხვეწებათ. აი, ნამდვილი ობოლი მარგალიტი ქართული მუსიკალური ენისა!

მაგრამ ეს მხოლოდ საუცხოო შესავალია ადამიანთა განუზომელი ვაებისა, რომელიც სწორედ ამის შემდეგ გადაიშლება ნამდვილი მუსიკალური ტრაგედიის ჩარჩოებში.

და იმის შემდეგ, როდესაც კარის-კაცნი და სეფე-ქალნი ვერავითარ რჩევას ვერ აძლევენ, იმეორებენ რა თავიანთ „რა დღე დაგვიდგა“-ს, ხოლო ნათელა-დედოფალი, მარიხი და მურმანი, თვითეული ცალ-ცალკე ურჩევენ — გაუშვას ეთერი, როდესაც ეს უკანასკნელი მოჰყვება თავის მოთქმას და ამბობს „გამიშვი, მეფევ, ველად გავიჭრა, ნადირის მსგავსად ვიარო“-ო, როდესაც მის აჯას უერთდებიან პერსონაჟები და შემდეგ ორივე გუნდიც, რომელსაც ეთერის მუსიკალური თემა, მცირედი ვარიაციული სახეცვლილებით, აქვს მძლავრ ასამაღლებელზე—„გაუშვი ველად“-ო... როდესაც ზენიტამდე მიღწეულ საერთო ზარში ოქროს სოლივით შეიჭედება აბესალომის ხმაშეკიდებული პროტესტი — „ვერა, ვერ შევძლებ მის გაშვებასა“-ო, — აი, აქ კომპოზიტორის მხატვრული წარმოდგენა ტრაგიკული პათოსისა მუსიკაში და ძალა მისი გამოვლინებისა ბგერათა ენით შემოქმედების ისეთ მწვერვალს აღწევს, რომ მსმენელს ერთსადაიმავე დროს აღტაცებაც იპყრობს იმის გამო, რომ ხელოვანმა იგი სრული თანაზიარი გახადა თავისი მხატვრული განცდებისა, და გაოცებაც იმის გამო, რომ ერთ ადამიანს შეუძლიან დაიტიოს თავის შემოქმედ არსებაში ამოდენა ემოციები და ასეთის ძლიერებით გადმოღვაროს.

მერე, რას ამბობს ეთერი ისეთს?

ძალიან ცოტას და იმავე დროს ძალიან ბევრსაც. ცოტას — სიტყვებით, ბევრს — მუსიკით. მაგრამ მუსიკაც „ბევრია“ მხოლოდ თავისი საკვირველი მეტყველებით.

იგი სიმღერის კილოზეა აგებული, მუხლობრივ დაყოფილი. სულ ორი მუსიკალური მუხლია: პირველი („გამიშვი, მეფევ, გავიჭრა ველად“) ძირითადი თემაა, ხოლო არა დასრულებული; ამასთანავე, მეორე წინადადება „გავი-

ჭრა ველად“ — განმეორებაა პირველი წინადადებისა, მაგრამ ისეთი ინტონაციური ცვლილებით, რომ ცალკე მუხლად გეჩვენებათ. მეორე მუხლი („ნადირის მსგავსად ვიარო“) — ვარიაციული მოქცევაა პირველი მუხლისა. ქართული სიმღერის თავისებურ კილოჩავარდნით ბოლოში. მთელი ფრაზა იშვიათად მელოდიურია, ნიშანდობლივ ღრმა სევდით გაჟღენთილი. პირველი მუხლი, როგორც მე მგონია, ქართული ბაიათური იერისაა, ხოლო მეორე — ხალხური მელოდიის იერისა, განსაკუთრებით უკანასკნელ სიტყვაში („ვიარო“).

გარნა ეს, კაეშნით მოსევადებული მოკლე მუსიკალური ფრაზა ანსამბლურ გადმოცემაში ისეა ხმებზე განლაგებული და ისეთ ბუმბერაზულ ძლიერებას ჰქმნის (თუ ორკესტრის მონაწილეობასაც დავურთავთ), რომ ადამიანთა ნამდვილ გოდებად იქცევა და იმ შთაბეჭდილებას იწვევს, რაც ზევით აღვნიშნე.

თითქო ზღვარი მიღწეულია. კიდევ ერთი მეტი აკორდი და ყველაფერი ჩაიფუშება. მაგრამ დრამატიული კვანძი ჯერ არ გახსნილა. აი, აქ არის სწორედ საფრთხე: ისეთი არა ითქვას რა, რაც შთაბეჭდილებას არ კი გააძლიერებს, არამედ მიანელებს.

და ავტორი ამბობს თავის აუცილებელ სათქმელს და ამბობს ისე, რომ მას მსმენელი აჰყავს კვლვა ახალ მწვერვალზე, რომლის სიმაღლეც უკვე მიღწეულს არ ჩამოუვარდება.

ამბობს სულ სხვა ფერებით, ნაზი ლირიკული მეტყველებით, რომელშიაც შინაგანი წვა შეიძლება უფრო ძლიერ ცეცხლს გვაგრძნობინებდეს, ვიდრე ხანძრის ფართოდ გაშლილი ალეული ფრთები.

ეს არის აბესალომის ფრაზები: „რადგანაც ჩემს მზესაც სწადიან, მით უფრო გაჰყვე ნებასა“ და „ჰეი-ი-ი! ვის გინდათ ქალი ეთერი, თავს ოქროს გვირგვინოსანი?“..

თუ პირველი ფრაზა ულმობელ ბედთან ბრძოლისაგან ნებისყოფა დაკარგული ადამიანის ნაიძულევი წართქმაა იმისა, რის თქმასაც ამდენ ხანს გაურბოდა, მეორე ფრაზა უკვე გაბმული ამოძახილია სასოწარკვეთილებისა, ბოლოში თითქო ხმის ჩავარდნით.

მე ასე ჩამესმის ყურთ ამ ფრაზების მუსიკა, მუსიკა უაღრესად ქართული იერისა და აზრობრივი შინაარსით სავსე.

ასევე შესანიშნავია მურმანის წამოძახილი „მე მინდა ქალი ეთერი, თავს ოქროს გვირგვინოსანი!“. რაოდენი უხამსი, ველური სიხარული გამოითქმის ამ წამოძახილში, თავდავიწყებამდე მიღწეული სიხარული და რანაირად განესხვავება იგი აბესალომის კაეშნურ კილოს! და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც აბესალომი განცვიფრებით შეჰკივლებს — „შენ?“ (ერთადერთი მშრალი რეჩიტატივი მთელს ოპერაში), მურმანი, თითქო გონს მოვიდაო, ჩქარის გამოთქმით, დაბნეულად თავს მართლულობს „ოღონდ არ გასწყრეთ, მეფეო...“ და ერთგულებას ეფიცება.

მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული ეს ფრაზა თვალნათლივად ამჟღავნებს მურმანის ორეროფულ ფსიქიურ მდგომარეობას.

აბესალომის უკანასკნელი ფრაზა ამ ანსამბლში „მურმანო! აჰა ეთერი, შენთან ჰპოებდეს შვებასა“ — უკანასკნელი ამონაკვნესია ნაწამები გულისა, რომელმაც თითქო სიკვდილის მოახლოება იგრძნო.

* * *

თუ მეოთხე (უკანასკნელი) მოქმედების მუსიკა სუეტის დრამატიზაციის მხრით იმ ბუმბერაზული ძლიერებისა არ არის, როგორისაც მესამე მოქმედების მუსიკაა, სამაგიეროდ, თემატიკური მრავალფეროვანობით, ჰარმონიათი კეთილხმოვანებით და ლირიკული მეტყველებით იგი უაღრესად მდიდარია და მომხიბვლელი.

აქ იმოდენა მუსიკალური მასალაა მოცემული, რომ სხვა ხელმოჭირნე კომპოზიტორი ერთ კარგ სამმოქმედებიან ოპერას პირთამდე აავსებდა.

ამ მოქმედების მუსიკის სიმდიდრე მარტო ის როდია, რომ სწორედ აქ არის აბესალომისა და მურმანის შესანიშნავი დიალოგი „მურმან, მურმან, შენსა მზესა...", ან საკვირველი მელოდიურობით სავსე მათივე დუეტი „ამაღამდელო ღამეო...", რომლითაც ავტორმა მოგვცა საარიო მღერისა და მელოდური რეჩიტატივის მხარდამხარი შეთავსების საუცხოო ნიმუშები, აგრეთვე დრამატიული სიტუაციის დინამიური განვითარება და მოქმედ პირთა (აბესალომის და მურმანის) მდგომარეობის უეცარი გარდაქმნის სურათი, სადაც, წინაალმდეგ იმისა, რასაც დიალოგში ვხედავთ — აბესალომის უძლურებას და მურმანის ზვიადობას, — პირიქით აქ, აბესალომი უკვე აქტიურ პიროვნებად გვევლინება, ხოლო მურმანი — შიშისაგან თავზარდაცემულად.

არც მარტო იმით განისაზღვრება ამ მოქმედების მუსიკის სიმდიდრე, ხომ აქვე ვისმენთ ეთერის სულიერ განცდათა გამომჟღავნებელ, ჩუმი სევდითა და მელანქოლიით განმსჭვალულ არიას „დედამთილი, მამამთილი...", რომელიც უკვე ზევით აღვნიშნეთ, შემდეგ კი — იშვიათი სიცოცხლითა და მზიურობით სავსე კვარტეტს „მე პატარა გამომგზავნეს...", რაც ასე დამახასიათებელია მარიხ-ვარსკვლავის ცხოველმყოფელი ბუნებისა, და, ბოლოს, პოლიფონიური მუსიკის შედევრს—დუეტ-ანსამბლს „წამწამსა და წამწამს შუა ბაღი გაგიშენებია..."

ეს, ასე ვთქვათ, ის ძლიერი მუსიკალური ზვირთებია, რომელთა სიდიადე და სიტურფე არ შეიძლება არ შეიცნო ოპერის პირველსავე მოსმენაზე, რაც უნდა წყალწაღებული მსმენელი იყო, თუკი კი, რასაკვირველია, განგებ ბამბის ძელს არ დაიცვამ ყურში.

მაგრამ ამ დიდი ზვირთების გვერდით არის სხვა მუსიკალური ნაკადებიც, რაც, შეიძლება, მსმენელმა ერთის ყურმოკვრით ვერ შეამჩნიოს.

ასეთია, მაგალითად, საგუნდო ნომერი — მურმანის დედის ნაანას და მისივე დების სიმღერის „ქალია, ქვეყნის თვალია! რაო თუ ქოხში მოსულა...." მშვენიერი მოკლე მელოდიაა, რომლის მთქმელიც ნაანაა, ხოლო მისი ქალები მიუმღერიან უკანასკნელ მუხლს. თავისი ხასიათით იგი სავსებით შეეფერება სცენიურ მდგომარეობას—ერთის ფარეზობას, თმის ვარცხნას. ჰანგი ბაიათური აღნაგობისაა, განსაკუთრებულ მელიზმებსა და მორთულობას მოკლებული; ხოლო მელოდიის განმეორებისას, დასაწყისს ლამაზი ასამაღლებელი ფორშლაგი აქვს, რომელიც მელოდიას საუცხოოდ ამკობს და ამით თითქო მუხლებსაც განასხვაფერებს. ჰანგი მთლად ალერსით არის მოსევადებული და საამურ ნანასავით გაისმის.

აქვეა ეთერისა და აბესალომის მოკლე დიალოგი, რომელიც ეთერის ყვედრებით იწყება: „რას ამივლი და ჩამივლი მაგ თოხარიკი ცხენითა?" ამ დიალოგში რამდენიც ფრაზაა, იმდენი ახალ-ახალ მუსიკალური თემაა, უმთავრესად ეთერის გამოთქმებში, მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული, ყველა

ნამდვილი ქართული ჯიშისა. აბესალომი კი ერთსადაიმავე მუსიკალურ ფრაზას იმეორებს: „ეთერო, გთხოვ მომისმინო!“ — და ათავებს შესანიშნავი თქმით „ღმერთმა მოჰკითხოს მას, ვინც მოგვაყენა ეს ვნება“. რამდენადაც ეთერის ფრაზებია მოჩვენებული უკმაყოფილების ვითომ მკვეთრი გამომხატველი, იმდენად აბესალომის მოკლე გამოთქმები სევდით და ბედის მორჩილებით არის სავსე.

ეს დიალოგი იმით არის კიდევ საყურადღებო, რომ ეთერი მალავს ამ მკაცრ გამოთქმებში თავის ნამდვილ გრძნობას, მაშინ როდესაც, აბესალომის გულის იარა თითქო გადახსნილია და სისხლსა ჟონავს. ამის მიხედვით, ეთერის როლის გ უ ლ ხ მ ი ე რ ი ალმასრულებელს შეუძლიან შექმნას მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური სიტუაცია, როგორც მუსიკალურ ფრაზებში ამათუიმ ნუანსის შეტანით, ისე სცენიური განსახიერებით.

მთელი შემდეგი სცენა—აბესალომის მიმართვა მსახურთ-უხუცესისადმი—მურმანი მომგვარეო, მსახურთ-უხუცესის მიერ მურმანის გამოძახება, მურმანის შეშფოთება და დედისადმი მიმართვა—დაკრძალეთ ქალი ეთერი, მიუალერსეთ და შეიტკბეთო, — მუსიკალურად აგებულია იმავე არიოზულ მღერაზე და ნამდვილი სიტყვა-პასუხის იერისაა, სხვადასხვა ინტონაციებით მდიდარი და თემატიკურად მრავალფეროვანი.

ალსანიშნავია აგრეთვე ნათელა დედოფლისა და ეთერის დუეტი „ეთერო, შემოგიარე მაგ შენი ციხის მზვარესა“. ეს დუეტი საყურადღებოა თავისებური კილოკავით, როგორც თითქო მესტვირული მღერის ანარეკლი. უმელიზმო, საკმაოდ მონოტონურ ჰანგს იერს აძლევს მელოდიის ვარიაციული მოქცევა კუპლეტის უკანასკნელ სტრიქონებზე „რად არ ნახავ შენს დარბაზსა, თემურგხანის აგებულსა...“, სადაც მკვეთრად გამოკვეთილი ინტონაციები განასხვაფერებენ მთავარ მელოდიას.

შესანიშნავია დრამატიული მეტყველებით უკანასკნელი ფრაზები: აბესალომისა — „ეთერო, დახსენ გულმკერდი...“ და ეთერისა — „ველარ დავთმე ჭირთა თმენა...“, როგორც ტრაგიკული დასასრულის მაუწყებელი გამოთქმები, კვლავ ქართული ხასიათის მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული.

ოპერის ბოლო-სიტყვა — გუნდის საგალობელი „„მათი სული, ქვეყნად ერთი...“ — მრავალ მხრით საგულისხმიერო დასასრულია. იგი არ არის მწუხარება და ზარი, ან დრტვინვა იმ ტრაგედიის გამო, რაც ახლა მოხდა. იგი თითქო გარინდებაა იმ საშინელი საიდუმლოების წინაშე, რომელსაც სიკვდილი ეწოდება და სასოებით მიღებაა მისი, როგორც გარდაუვალი რამ მოვლენისა ყველა იმ ტანჯვა-წამების შემდეგ, რაც ტრაგედიის გმირებმა სიცოცხლეში განიცადეს. და, თუ გინდათ, იგი ჩანასახია იმ ბრწყინვალე შარავანდედისა, რომლითაც ხალხის პოეტური წარმოდგენა ჰმოსავს ლეგენდის გმირების ხსოვნას, სახელდობრ, რომ აბესალომისა და ეთერის საფლავზე ორი ვარდი ამოვიდა, ხოლო მათ შუა ასკილი (მურმანის სიმბოლო), და ვარდებს გადახვევნას უშლის. ამ საგალობელით ტრაგედიის მოწმენი თითქო პოეტის სიტყვებით ამბობენ — სიკვდილში ჰპოვეს მათ ნეტარება და ეს იქნება თვით უკვდავებაო. საგალობელი, რაღა თქმა უნდა, ქართული გალობის საუცხოო ნიმუშია, ყოველად ღირსი ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებისა.

რასაკვირველია, ყოველივე ზემოალნიშნულით არ ამოიწურება მეოთხე მოქმედების ვოკალური მუსიკა. ალუნიშვნელი დამრჩა კიდევ არა ერთი ღირსშესანიშნავი მუსიკალური ფრაზა.

* * *

„აბესალომის“ მუსიკის ქართულობაზე დიდი ლარის გაბმა და ხაზის გასმა საჭირო არ არის. ამის უარყოფა არავის შეუძლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელს ოპერაში არა ქართულ თემაზე აგებული ჰანგი არის. მეორე მოქმედების კვინტეტი „ღმერთმა კარგად აგვისრულოს“ და მეოთხე მოქმედების დუეტ-ანსამბლი „წამწამსა და წამწამს შუა...“

უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, შეიძლება აღვნიშნოთ კიდევ მურმანის არია „ამომავალსა მზეს სწუნობს“, მეორე მოქმედების „დიდება“ და აბესალომის დიდი არიის („ვეძებდი ბედსა“) საკანტილენო ნაწილი, რომელთაც დაჰკრავს ეკლექტური მუსიკის იერი. მაგრამ, ამასთანავე, ყველა ეს ჰანგი ისეა ქართულად მოზარნიშებული, რომ თუ მელოდიის მთავარ ხაზს კარგად არ დავუკვირდით, ვერც კი შეამჩნევთ მის ეკლექტურ ხასიათს. ამრიგად, არც ამ ნაკვეთებს შეაქვთ რაიმე დისონანსი „აბესალომის“ ქართულობის მთლიანობაში.

თვით დიდებული გლინკას „ივან სუსანინში“ შეხვდებით უფრო მკაფიოდ გამოთქმულ, ეგრეთწოდებულ პირწავარდნილ „იტალიანიზმებს“. მაგალითად შესანიშნავი გამოთქმა „И миром благим процветет“, ან „Чуют правду“ (მხოლოდ ეს ფრაზა და არა მთლად ჰანგი). მაგრამ ეს იოტის ოდენათაც არ უკარგავს ამ ოპერას განსაცვიფრებელ რუსულ ხასიათს.

ხოლო, თუ „აბესალომის“ მუსიკის თავანკარ ქართულობაში ეჭვი არავის შეაქვს, სამაგიეროდ, ბევრსა ჰგონია, რომ იგი მთლად აგებული იყოს ქართული სიმღერების მზა-მზა თემებზე, ე.-ი., უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ვითომ ზაქარია ფალიაშვილს ამათუიმ ჰანგისათვის ან ცალკეული ფრაზისათვის აღებული ჰქონდეს ესათუის გარკვეული სიმღერა და სათანადოდ გადაემუშავებინოს იგი.

„აბესალომზე“ დაბეჭდილ რეცენზიებში, ქართულადაც და რუსულადაც, ხშირად შეხვდებით სიტყვა „ფოლკლორს“. მე არ ვიცი, რა მნიშვნელობით ხმარობენ რეცენზეტები ამ ცნებას. ხოლო, თუ ისინი ამით გულისხმობენ მზა-მზა თემების (სიმღერების) გამოყენებას, მაშინ, რასაკვირველია, ასეთი შეხედულება უაღრესად მცთარია.

პირიქით, „აბესალომში“ თავისუფალი კომპოზიციური შემოქმედება, აწონ-გაზომვით რომ ვთქვათ, ოთხმოც პროცენტს მაინც აღემატება. და რომ ეს მართალია, ამის საილუსტრაციოდ სჯობია ცოცხალ ფაქტებს მივმართოთ.

მზა სიმღერის სახით „აბესალომში“ აღებულია „მაყრული“ და „ჩაკრულო“, რომლებიც ჰარმონიზაციულად არც კია გადამუშავებული, არამედ პირწმინდად არის ჩართული სათანადო ადგილას, მხოლოდ ორკესტრის აყოლებით.

კერძოდ, „მაყრულზე“ უნდა ვთქვა, რომ იგი მეტისმეტად სადად არის მოცემული. იმ მელიზმებს და ფორშლაგებს მოკლებული, რომლებიც ხალხურ მღერაში ამ ჰანგს თან ახლავს და ძალიანაც ალამაზებს. „მაყრული“ ორპირად იმღერება და მეორე შემოძახილზე დამწყები ამაღლებულ ფორშლაგს უკეთებს პირველსავე ბგერას, რაც „აბესალომის“ „მაყრულში“ არ გაისმის. აგრეთვე ფრაზის დამთავრებისას ჰანგი ხვეული ბგერით თავდება თანდათან მელიზმური დაბლა დაშვებით, რაც დამახასიათებელია ზოგიერთი კახური სიმღერისა, მაგალითად გრძელი „მრავალჟამიერისა“.

ხოლო ასეთი ნუანსები ზაქ. ფალიაშვილმა იმიტომ არ შეიტანა თავის „მაყრულში“, რომ ოპერის გუნდისათვის მათი გადმოცემა მეტად ძნელია. საე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთოდ კი გუნდისათვის მიღებულია უფრო ნაკლებ ფიგურალური, სადად წერა.

სხვა? სხვა არ ვიცი. ვინც იცის — იმან დაასახელოს.

„მურმანოო“?—წამომედავება უეჭველად ვინმე.

ჰო... ეს კი... ეს სულ სხვა საქმეა.

შეიძლება თამამად ითქვას, გარდა „დიდი ანსამბლისა“, ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების სიდიადე ისე მკაფიოდ არსად გამოვლინებულა, როგორც ამ განსაცვიფრებელ დიალოგში.

აქ პირდაპირ სინთეზის კანონის განხორციელებასთან გვაქვს საქმე.

მაგალითად, ვინმე დიდი ქიმიკოსი მარტივი ელემენტების შეერთებით მიიღებს რაიმე რთულ სხეულს, რომელიც ქიმიაში სასწაულს მოახდენს...

განა ეს თავისუფალი შემოქმედება არ არის?!

თქვენ აიღეთ „მურმან, მურმან, შენსა მზესა...“, როგორც სიმღერა და შეადარეთ „აბესალომის“ „მურმანოს“ და მაშინ ნახავთ, თუ რა შემოქმედია ზაქ. ფალიაშვილი სწორედ აი, ამ სინთეზის კანონის მიხედვით.

მთელი სიმღერიდან აღებულია დასაწყისი ფრაზა. და, სამაგიეროდ, ჩვენ მივიღეთ არა მარტო სმენის დამატკბობელი მელოდია, არამედ რთული მუსიკალური „სხეული“, რომელიც თვალწინ გვიშლის უაღრესად დრამატიულ მდგომარეობაში მყოფი ორი ადამიანის ნამდვილ გულისთქმასა და გრძნობას. თქვენ შეადარეთ აბესალომის მწუხარებით სავსე შეკითხვის კილო და მისი ვარიაციული გამოძახილები დიალოგის განვითარების მანძილზე — მურმანის გულზვიად პასუხების კილოს და აშკარად დაინახავთ, რა სხვადასხვა სულისკვეთება ამოძრავებთ მათ, რა სხვადასხვანი არიან ისინი თავიანთი ადამიანური ბუნებით და რა სხვადასხვანაირია ერთიდაიგივე დრამატიული სიტუაციის ანარეკლი ამ ორ ადამიანში.

სწორედ ეს შედარება გიჩვენებთ, როგორ გადნა, როგორ ჩაიშალა რთულ სხეულში ის მარტივი ელემენტი, რომელიც დიდმა ხელოვანმა ხალხური საგანძურიდან ამოიღო.

დეე, ყველა ჩვენმა კომპოზიტორმა, ძველმა თუ ახალმა, ასეთ მარტივ ელემენტებზე ააგოს თავისი ნაწარმოები, თანაც ასეთივე რთული მუსიკალური სხეული შექმნას და დარწმუნებული ვარ, ქართული მუსიკა ისევე გადიადდება და თითონ კომპოზიტორიც ისევე დიდი შემოქმედი იქნება, როგორც „აბესალომმა“ გაადიადა ჩვენი მუსიკა და როგორც მისი ავტორი იყო დიდი შემოქმედი.

ასე რომ არ იყოს, მაშინ გლინკას შესანიშნავი სიმფონიატა „კამარინსკაია“ თავისუფალი შემოქმედება არა ყოფილა, ვინაიდან აქ თემა აღებულია მზა ხალხური სიმღერიდან. მაგრამ ამის თქმას ვინ გაბედავს, თუ არა ის, ვინც მხოლოდ ამ ხალხური სიმღერის ანარეკლის მეტს ვერას ხედავს დიდ ნაწარმოებში.

მე პირადად ამგვარი სინთეტიური გამოძახილები, ხოლო არა ასე ნათლად, „აბესალომის“ სხვა ჰანგებშიაც მესმის. მაგალითად, გუნდის სიმღერაში „რა დღე დაგვიდგა, რას მოვესწარით! ლხენა დასრულდა ნაღველ-სიმწრით!“ აქ ბოლო თითქო შორეული ანარეკლი უნდა იყოს „გაფრინდი, შავო მერცხალო“-ს ბოლოსივე, ან, როგორც ზევითაც აღვნიშნე, დასაწყისი აბესალომის ფრაზისა „ჰეი-ი-ი! ვის გინდათ ქალი ეთერი...“ — „მუმლი მუხასა“-ს დასაწყისისა, მაგრამ გადაჭრით მაინც ამის თქმა არ შემიძლიან.

აგრეთვე, თითქო რომელიღაც საგალობელს (შეიძლება, „შენ ხარ ვენახი“ იყოს) ეხმაურება აბესალომის მიმართვა ეთერისადმი მეორე სურათში „ეთერო, შენსა ღალატსა...“

ხოლო საიდან არის ისეთი დიდი, თუ „რთული სხეული“, როგორიცაა „მურმანოს“ გაგრძელება, დუეტი „ამაღამდელო ღამეო...“, სულ სხვა თემებზე და რიტმზე აგებული და ისევე მომხიბლავი, ვით „მურმანო“?

საიდან არის ცქრიალა მარიხის ცქრიალა კანცონეტა „საყვარელო გულისა...“ და ისეთივე კვარტეტი „მე პატარა გამომგზავნეს...“?

საიდან არის ნამდვილი მოთქმა აბესალომის ტანჯული გულისა „ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად“ და ეთერის კაეშნური „დედამთილი, მამამთილი“... ან მისივე „დედინაცვალი — თვალში ნაცარი...“?

საიდან არის პირველი ორი სურათის მთელი მუსიკა შესანიშნავი დიალოგებით და ცალკეული ფრაზებით?

საიდან არის დიდი კომპოზიციური ოსტატობით გაკეთებული და ნარნარი, ხანმოკლე და თითქო ამისგამო სევდანარევი სიხარულით გამსჭვალული დუეტ-ანსამბლი „წამწამსა და წამწამს შუა ბალი გაგიშენებია...“?

საიდან არის თავისი ძლიერებით თავბრუდამხვევი „დიდი ანსამბლი“?

საიდან არის, დაბოლოს, სხვადასხვა პერსონაჟების აუარებელი დიალოგი თუ ცალკეული ფრაზა, რაც „აბესალომის“ მკვიდრ და სრულიად ორიგინალურ საძირკველს შეადგენს?

მე ვიცი, საიდანაც არის!

იგია ზაქარია ფალიაშვილის მხატვრული შემოქმედების ლაბორატორიიდან, რომელმაც ქართული ზოგადი სიმღერა აითვისა თავის საშოში, ვით გასანაყოფიერებელი რამ თესლი, ჰკვება იგი თავისი სისხლით და ტვინით და ჰშვა უკვე ა რ ა თ ე ს ლ ი, არამედ ნ ა ყ ო ფ ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ი!

* * *

ახლა დროა, თავი მოვუყაროთ ერთ მთლიან დასკვნად ამ წერილში ქაოტურად გაბნეულ აზრებს „აბესალომის“ ვოკალურ, ანუ, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ხმიერ“ მუსიკაზე.

მე მგონია, ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ სტრუქტურულად აგებულია ეგრეთწოდებული „დიდი ოპერის“ (ოპერა-სერია) ყაიდაზე, ვინაიდან აქ ჩვენ გვაქვს ყველა ის მუსიკალური ფორმა, რაც ამ სახის ოპერას ახასიათებს: არია, დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, ანსამბლი და სხვ.

მაგრამ მისი მუსიკა მოცემულია უპირატესად „მუსიკალური დრამის“ უმთავრესი ფორმით—არიოზული მღერით, მელოდიური რეჩიტატივით. ეს მელოდიური რეჩიტატივი, როგორც საერთოდ ქართული მელოდიის განსხვავებული სახის ანარეკლი, მრავალფიგუროვანია, ამიტომ მეტად კეთილხმოვანი, თავისი მეტყველებით სიმღერას უახლოვდება.

„აბესალომის“ მუსიკა ლირიკულია, როგორც თვით დრამის სიუჟეტიც. ხოლო ეს სრულიადაც არ უშლის ავტორს აიყვანოს მისი მეტყველება ნამდვილ ტრაგიკულ პათოსამდე, როდესაც ამას სცენიური სიტუაცია მოითხოვს.

მუსიკა უაღრესად ქართულია და ერთი-ორი ნაკვეთი, რომლის ძირითადი თემა ეკლექტური მუსიკის ხასიათისაა, მაინც ისეა შეზავებული და ქართული მელოდიის დამახასიათებელი მელიზმებით მორთული, რომ სრულიად ბუნე-

ბრივად ეკილოკავება ოპერის მთლიან მეტყველებას — ქართული მუსიკის ენას.

„აბესალომის“ მუსიკა მეტისმეტად მდიდარია თემატიკით, ამ მხრივ ე.-ი. თემატიკის ორიგინალობით, იგი სულ ახალი სიტყვაა საერთოდ მუსიკის სფეროში, ვინაიდან იგი, არის რა სრულიად სხვა სახისა, ვიდრე ევროპული და რუსული მუსიკა, — ძირითადად განესხვავება აგრეთვე ამ ორ მუსიკაში კარგად ცნობილ, ეგრეთწოდებულ აღმოსავლურ მუსიკას, როგორც აღნაგობით, ისე მეტყველებით.

* * *

P. S. ორკესტრიო? — იკითხავს, ალბათ, მკითხველი, თუ კი ვინმე თავს შეიწუხებს და ბოლომდე ჩაიკითხავს ამ წერილს.

დიაღ, ამოდენა წერილში არსად კრინტი არ დამიძრავს „აბესალომის“ ინსტრუმენტალურ მუსიკაზე. და ეს ხომ ოპერის განუთვითებელი ნაწილია.

არ დამიძრავს იმიტომ, რომ არასპეციალისტისათვის ეს თითქმის დაუძლეველი ამოცანაა. ამათუიმ ხმიერ მელოდიაზე ჩემისთანა პროფანმა კიდევ შეიძლება როგორმე გაბედოს „თავისი შთაბეჭდილების“ გამოთქმა, მაგრამ რა უნდა სთქვას ინსტრუმენტალურ მუსიკაზე, როდესაც, როგორც იტყვიან ხოლმე, დოლს სალამურისაგან ვერ არჩევსო.

ხოლო ვგრძნობ, რომ მაინც უნდა ითქვას რამე, რათა წერილი მთლად „უკუდო“ არ გამოვიდეს. სულ ერთია, ბევრი რამ გავბედე აქამდე დილეტანტური და დეე, ესეც ამ ბევრთან იყოს.

სპეციალისტების აზრით, ზაქარია ფალიაშვილი ჩინებული ინსტრუმენტალისტია. ამას ისინიც კი აღიარებენ, ვინც საერთოდ თვალამრეზით უყურებს მის შემოქმედებას.

მე რაღა მეთქმის ამის შემდეგ?

ოღონდაც, რომ ეს ჭეშმარიტებაა.

მართალია, ზაქარია ფალიაშვილის ორკესტრი რიხარდ ვაგნერის ორკესტრი არ არის, ძალიან დიდი მანძილია მათ შორის. მაგრამ არც ის არის, რომ იგი ძველი იტალიელი კომპოზიტორებივით, მარტო ვოკალური მელოდიის იოლ აკომპანიმენტს სჯერდებოდეს. თავისი იერით და აღნაგობით მისი ორკესტრი „დიდი ოპერის“ ტრადიციებს მისდევს.

თუ ხშირად მისი ორკესტრი ვოკალურ ფრაზას პარალელურად იმეორებს, აგრეთვე ძალიან ხშირად იგი იძლევა ამ ფრაზის სახეცვლილ ვარიაციულ გამოძახილებს და ფრაზის დამატებად და განსავითარებლად ჰქმნის ამათუიმ ახალ ფიგურაციას, რომელიც აძლიერებს შთაბეჭდილებას, განსხვაფერებს რა ხმიერი ფრაზის შინაარსს. განსაკუთრებული ძლიერებით ეს გამოითქმის რიტურნელებისა და სცენური პაუზების დროს.

აღნიშნავენ ორგანის გავლენას ზაქარია ფალიაშვილის საორკესტრო მუსიკაზე. ეს არც გასაკვირველია და არც ნაკლად ჩაითვლება. ძველი კლასიკოსების ორგანულ მუსიკაზე აღზრდილს და თითონაც ორგანისტს, ზაქარია ფალიაშვილს არ შეეძლო არ აეთვისებინა ამ მიმართულების საუკეთესო ტრადიციები.

„აბესალომში“ ამ სტილის გავლენა ეტყობა მხოლოდ ანსაბლებს, მაგალითად მეორე მოქმედების „დიდებასა“ და „მაყრულს“ და მესამე მოქმედების „დიდ ანსამბლს“.

და, იქნება, ნაწილობრივ, სწორედ ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს ნაკვეთები დიდი ექსპრესიით და მონუმენტალურად მეტყველებენ.

აგრეთვე ზაქარია ფალიაშვილს (ამმხრივ უკვე ვაგნერის ...) დიდი მიდრეკილება ჰქონდა სპილენძის ჩასაბერი საკრავებისადმი. ... ერთსადაიმავე ტემბორის საკრავს რამდენსამეს ერთად იყენებდა ხოლმე. საერთოდ, ქართული ჰაეროვანი მელოდიისათვის ეს, შეიძლება, ზედმეტი ტვირთი იყო. ამიტომაც მისმა ძმამ, სახ. არტ. ვანო ფალიაშვილმა, როცა „აბესალომის“ ლოტბარობას ხელი მოჰკიდა (წინად ამ ოპერას თვით ზაქარია ლოტბარობდა), განტვირთა ორკესტრი ამ ზედმეტი ბარგისაგან და ეს ტრადიციად გადაიქცა სხვა ლოტბარებისათვისაც.

„აბესალომის“ ცალკეულ ინსტრუმენტალურ ნომრებში შესანიშნავია ოპერის მოკლე შესავალი, თუ არა ვცდები, „შენ გიგალობ“-ის შორეული გამოძახილი. აგრეთვე მეორე სურათის სულ პაწია, მშვენიერი ინტერმეცო აბესალომის შემოსვლის წინ, სავსებით ეკლექტური ხასიათისა, რომლის ბოლოშიაც, როგორც მე მგონია, ცხენის ჭენების ხმა გაისმის. და, ბოლოს, ოპერის ფინალი, სცენიური მომენტის შესაფერი ტრაგიკული აკორდებით სავსე.

საუცხოოა აგრეთვე, „საყვარელო გულისა“, „კვარტეტისა“, „დედამთილი, მამამთილი“-სა და „ქალია-ქვეყნის თვალია“-ს დაისტრუმენტება.

დაგვრჩა ბალეტი. იგი მოცემულია „ლეკურის“ და, როგორც თითონ ზაქარია იტყოდა ხოლმე, „მირზაიას“ სახით.

ეს საბალეტო ნომერი არა მარტო ჩინებული საცეკვაოა, არამედ აგრეთვე საუცხოო სიმფონიური მუსიკაა. განსაკუთრებით „ლეკურია“ მდიდარი მრავალი მუსიკალური ფიგურაციით. აქ გაისმის ანწუხური, დუდუკური და ზურნული ლეკურის მელოდიები, რთულ ჰარმონიზაციად განაწილებული უპირატესად სიმიან და ხის ჩასაბერ საკრავებზე.

ბალეტი იწყება „ლეკურით“. შემდეგ ადაჯიოს სახით მოცემულია „მირზაია“, *) მუსიკალურად აღმოსავლური ხასიათისა, უფრო ლამაზი პლასტიკური მოძრაობისა და სურათოვანი პოზებისათვის განკუთვნილი, ვიდრე ფეხის თამაშისათვის, თავდება ბალეტი კვლავ ლეკურით.

„ლეკურის“ მკვირცხლი რიტმი და მუსიკალური „ჩუქურთმები“ და „მირზაიას“ ლივლივა მიმოხვრის შესაბამი ფიგურაციები, ადგილ-ადგილ მკვეთრი აქცენტებით, აშკარად გვიჩვენებს, რომ ზაქარია ფალიაშვილის მხატვრულ ხილვას ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა ამ ორივე ცეკვის ბუნება — გარეგანი და იდეური შინაარსიც.

19 — IX — 39 წ.
თბილისი.

---

*) აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა გამახსენა კერძო საუბარში, რომ ამ „მირზაიასათვის“ განსვენებულ კომპოზიტორს გამოყენებული აქვს თემა ხალხური მგზავრული სიმღერისა „იშითა და კინტრაშითა“, რომელიც მე პირადად ამ 40—45 წლის წინად მომისმენია კახეთში. ხოლო კომპოზიტორის ჰარმონიზაციაში იგი ისეა გადაკეთებული, ისეთი რიტმით და ახალი თავისებური ფიგურაციებით არის მოცემული, რომ უეჭველად აღმოსავლური საცეკვაოს იერით იმოსება.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქიზიყის პოეტური ფოლკლორი

გამომცემლობა — „ფედერაცია“, 1940 წ.

მდიდარია და მრავალფეროვანი ქართული ხალხური შემოქმედება. ქართველი ხალხი თავის ჭირ-ვარამს, მწუხარებას და სიხარულს დამწერლობის, ანბანის შემოღებამდე ბევრად ადრე ზეპირსიტყვაობით გამოთქვამდა. შემდეგში მწერლობის პარალელურად ხალხური შემოქმედება იყო გამომხატველი ჩვენი ხალხის ბრძოლის, მისი სწრაფვისა და უკეთესი მომავლისათვის ოცნების.

პრეისტორიიდან, წარმართობის დროიდან დაწყებული, ჩვენ მზიან დღეებამდის, ქართული ხალხური პოეტური სიტყვა მოდიოდა, იწმინდებოდა, ვაჟკაცდებოდა და ინარჩუნებდა მხოლოდ იმას, რაც ნამდვილად ხალხური, ნამდვილად ეროვნული იყო. იგი მთქმელთა ერთი თაობიდან მეორეზე გადადიოდა და თანდათან ყალიბდებოდა მაღალ პოეტურ კულტურად.

უცხო დამპყრობელთა ურდოები აქცევდნენ და ანადგურებდნენ ძველი საქართველოს კულტურულ კერებს, სწვავდენ და იტაცებდნენ ლამაზი, კალიგრაფიული ხელით ნაწერ პერგამენტებს.

ცეცხლსა და მახვილს ძველი ქართული ლიტერატურის მრავალი ძეგლი ვერ გადურჩა და შთამომავლობისათვის სამუდამოდ დაიკარგა.

ასეთ პირობებში ზეპირსიტყვაობა ხშირად ბევრს ისეთ რამეს ინახავდა ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, რისი შენახვა და გადმოცემაც მწერლობას აღარ შეეძლო.

ამიტომ ქართულ ხალხურ შემოქმედების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო ლიტერატურის, ან ეთნოგრაფიულის თვალსაზრისით, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც.

ფოლკლორის ნიმუშების შეკრებას და შესწავლას არც ისე დიდი წარსული აქვს ჩვენში.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი, უმიკაშვილი, ძმები რაზიკაშვილები, ურბნელი და კიდევ ორიოდე ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყვნენ ქართული ფოლკლორისტიკის საფუძვლის ჩამყრელები.

მაშინ ეს საქმე კერძო ინიციატივასა და ქველმოქმედებას არ სცილდებოდა.

ნამდვილი ფართო მეცნიერული მუშაობა ამ მხრივ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაჩაღდა. გაიშალა მუშაობა ხალხური შემოქმედების შესაკრებად და შესასწავლად. ჩვენი გამომცემლობები ხშირად სცემენ ქართულ ძველ და ახალ ფოლკლორის ნიმუშებს, ჩვენი ცენტრალური და რაიონული პრესა სისტემატურად აგროვებს და ბეჭდავს ხალხში დაცულ პოეტური სიტყვის უმდიდრეს მემკვიდრეობას.

სარეცენზიო კრებულიც ასეთი მუშაობის შედეგს წარმოადგენს. იგი შეუდგენია, წინათქმა, განმარტებანი და ლექსიკონი დაურთავს ს. ებრალიძესა და შ. ღლონტს.

წინათქმა წარმოადგენს ქიზიყის მშრომელების ისტორიული ცხოვრებისა და შემოქმედების თავისებურების მოკლე მიმოხილვას, ბედნიერი ქიზიყელი კოლმეურნეების ზეპირსიტყვაობის მოკლე დახასიათებას.

განყოფილებაში, რომელსაც „წარსულის სილუეტები“ ეწოდება მოთავსებულია ლექსები ქიზიყის წარსულზე, მისი გარეშე მტრებთან ბრძოლაზე, თათრობაზე და ლეკიანობაზე და სხვა. აქვეა ლექსები იმ განუწყვეტელ აჯანყებებზე, რომლებიც ქიზიყში ხდებოდა საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარებიდან გასაბჭოების დღემდე.

ცალკე აღსანიშნავია ლექსები განყოფილებიდან: „ხალხის საყვარელი გმირები“. ქიზიყელი გლეხების ბრძოლა გაბატონებული ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ კარგადაა გადმოცემული „მიხას ლექსში“. ეს ლექსი მოგვაგონებს არსენას ლექსს, როგორც განწყობილების ისე ამბის თხრობის მხრივაც. შესანიშნავადაა დახატული ვაჟკაცის სიკვდილი:

„სამი საჟენი კლდე იყო,
ტყვიამ სულ გადათხარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხებში მიწა უცვივა,
მუხლამდი დაიმალა.
... ხუთმეტი მოხვდა ბეჭებში,
ძუძუსთან გაიარა,
საწყალი ფეხზე ვერ დადგა,
რაცრაცით გაიარა".

მეორე ლექსში („მაცნე მოვიდა") ქიზიყელთა სიმამაცე, შეუდრეკელი ბრძოლა და ვაჟკაცური სიკვდილი ასეა გადმოცემული:

„ოთხნი ჩვენ დავიხოცებით,
თოთხმეტი თქვენი მკვდარია.

და ბოლოს:

„ყორნებმა ჩვენი თვალები
ამტვრიეს კაკლებივითა".

„ბრძოლისა და გამარჯვების ლირიკის" (წიგნის ცალკე განყოფილებაა) ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის განთავისუფლებული მშრომელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული დიდ ბელადების ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა დ მ ი, საქართველოს საამაყო შვილის ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს ა დ მ ი.

„დავკარგეთ მამა ლენინი,
მშრომელი ხალხის მცველია,
სალი კლდესავით ურყევი,
მტრის ჯავრის ამომყრელია"-ო

დასტირის გარდაცვალებულ ლენინს ქიზიყელი სახალხო მთქმელი.

„მაგრამ ჩვენ დაგვრჩა მესაჭე
რკინისებური, მაგარი,
დიდი და ბრძენი ს ტ ა ლ ი ნ ი
შუქურა მზესთან სადარი"

იმედიანად მღერის სტალინის გენიით შთაგონებული სახალხო მთქმელი.

დიდი სტალინის ერთგულმა მოწაფემ ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა მ ქართველ მშრომელებში უდიდესი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ამ გრძნობას უბრალოდ, მაგრამ მოხდენილად გამოხატავს ლექსი „იდიდოს შენი სახელი":

„იდიდოს შენი სახელი
ჩვენო ძვირფასო ბერია,
ჩვენი ქალაქი თბილისი
გახადე მშვენიერია,
განზე გასწიე ქუჩები,
ნეტავ რა მშვენიერია".

წიგნის ამ განყოფილებისათვის დამახასიათებელია ასეთი ლექსები: „კომბაინი ყანასა მკის", „შენი ჭირიმე სამშობლო", „ახალწვეულთა ფიცი" და სხვ. ეს ლექსები მოგვითხრობენ ქიზიყის სოფლების სოციალისტურ გარდაქმნაზე და აყვავებაზე.

პოეტური ღირსების მხრივ მეტად თავისებური და საინტერესო ნაწილია „საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლირიკა". აქ არის ბევრი პატარა ლირიკული ლექსი რომელიც, სხვადასხვა ვარიაციებით საქართველოს სხვა კუთხეების ფოლკლორშიაც გვხვდება. აქ არის ამ ჟანრის როგორც უძველესი, ისე ახალი საუკეთესო ნიმუშები.

წიგნი მთლიანად კულტურითა და გემოვნებითაა შედგენილი. ჩვენ მხოლოდ გვინდა ზოგიერთ ნაკლს მივუთითოთ.

კრებულში მდიდრადაა წარმოდგენილი ახალი პოეტური ფოლკლორი თანამედროვე მთქმელების კანანელისა და სხვათა ლექსების სახით. ეს ლექსები ყოველთვის როდი არიან მაღალი მხატვრული ღირსების. ყველაფერი რაც ამ მთქმელებს უთქვამთ არ გადავა ხალხში, ვერ გახდება ხალხური ლექსი. ამიტომ ასეთი ლექსების დაბეჭდვისას და მათთვის „ხალხურის" დარქმევისას სიფრთხილეა საჭირო.

კრებულისთვის შეუფერებლად მიგვაჩნია წიგნის ერთერთი განყოფილების სახელი „წარსულის ს ი ლ უ ე ტ ე ბ ი".

საერთოდ კი სარეცენზიო წიგნის გამოსვლა სასარგებლო და მისასალმებელი საქმეა. წიგნი გამოცემულია ლამაზად და ღირს 11 მანეთი.

ა. მ ე ლ ი ვ ა ნ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი — ფრიდრიხ ენგელსი 5

ასოცი წელი ენგელსის დაბადებიდან

ივ. ჯაფარიძე — ენგელსი დიალექტიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების შესახებ 13

აკაკი გაწერელია — აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი 31

მხატვრული ლიტერატურა

დემნა შენგელაია — შთაგონება (რომანი. გაგრძელება) 35
გიორგი კაჭახიძე — წიგნები (ლექსი) 62
გაბრიელ ჯაბუშანური — მტრები (ლექსი) 64
უიარალო — მაძიებელნი (გაგრძელება) 67
ლადო ასათიანი — ნამკაშურის წისქვილები (ლექსი) 103
ალეკო შენგელია — დაბრუნება. დღეები. (ლექსები) 105
შალვა დადიანი, ალ. ბურთიკაშვილი—ლადო კეცხოველი (დასასრული) 107
ბენჟამენ კონსტან — ადოლფი (თარგმანი ფრანგულიდან ქეთევან ირემაძისა) 127

ხელოვნების საკითხები

ილია ზურაბიშვილი — ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ 146

ბიბლიოგრაფია

ა. მდივანი — ქიზიყის პოეტური ფოლკლორი 159

გადაეცა წარმოებას 9/XII-40 წ. ხელმოწ. დასაბეჭდად 6/I-41 წ. ანაწყობის ზომა 7 × 12. ფორმათა რაოდენობა 10. ქაღალდის ზომა 70 × 108. შეკვ. № 2140. უე 5651. ტირ. 3.700.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ფასი 2 მ. 50 კ.

41-28

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ